

### თავი 1. ზოგადი მეთოდოლოგიური რეკომენდაციები

ინტეგრირებული მოდული „კომუნიკაცია ქართულ ენაზე“ გათვლილია 9 სასწავლო კრედიტზე. იგი მოიცავს 6 შედეგს, რომლებიც მოდულის სწავლების გრძელვადიან მიზნებს წარმოადგენს და მიუთითებს, თუ რა უნარებს უნდა ფლობდეს სტუდენტი სწავლის დასრულებისას. მოდულის I-II შედეგები მიემართება ზეპირმეტყველების სფეროს და აერთიანებს მოსმენისა და ლაპარაკის უნარებს, III-V შედეგები კითხვის სფეროს განეკუთვნება, ხოლო VI შედეგი - წერისას.

#### *კავშირი მოდულის შედეგებს შორის*

სწავლა-სწავლების პროცესში მოდულის შედეგები უმჭიდროესად უნდა დაუკავშირდეს ერთმანეთს - მოსმენის, ლაპარაკის, კითხვისა და წერის დროს მიღებული გამოცდილება ავსებს და ამდიდრებს ერთმანეთს. ესაა დინამიკური, ინტერაქტიული პროცესები, რომლებიც აზრის გამოტანასა და გადმოცემაში ეხმარება სტუდენტებს.

სტუდენტები, რომლებიც წერენ იმაზე, რაც წაკითხესან რაზედაც ისაუბრეს, უკეთ იმახსოვრებენ წაკითხულს, არიან უფრო კრიტიკული მკითხველები. ბუნებრივია, წერის ზოგიერთი სახეობა შეიძლება ისწავლებოდეს დამოუკიდებლად, მაგრამ შესაძლებელია ისიც, რომ წერა მასწავლებელმა გამოიყენოს კითხვის წინა აქტივობის, კითხვის დროს ჩართული აქტივობის და/ან კითხვის შემდგომი აქტივობის სახით. სტრატეგიები, რომლებიც გამოიყენება კითხვისა და წერის დროს, რიგ შემთხვევებში ერთი და იგივეა (მაგ., წინარე ცოდნის გააქტიურება, კითხვების დასმა, შეფასება, სხვ.).

ზოგიერთი ჯგუფური აქტივობა, რომლებიც კითხვასა ან წერაზეა ფოკუსირებული, შეიძლება იმავდროულად ავარჯიშებდეს სტუდენტებს მოსმენასა და ლაპარაკში. ასე მაგალითად, წინარე ცოდნის გააქტიურების, წაკითხულის გააზრების თუ წერითი ნამუშევრისათვის იდეების შემუშავების მიზნით, ხშირად გამოიყენება აქტივობები, რომლებიც წარიმართება ზეპირი გზით და მოითხოვს ლაპარაკისა და მოსმენის უნარების გააქტიურებას (მაგ., ამა თუ იმ საკითხზე არგუმენტირებული ესეს დაწერის წინ შეიძლება მოეწყოს საერთო დისკუსია, ჩატარდეს გონებრივი იერიში, რომელიც იდეების შემუშავებაში დაეხმარება სტუდენტებს); წერის დასრულების შემდეგ შეიძლება მოეწყოს ნამუშევრის გაზიარება-პრეზენტაცია, აზრების

გაცვლა-გამოცვლა და ა.შ.; კითხვის შემდგომ ეტაპზე - კითხვა-პასუხი, ზეპირი მსჯელობა, დისკუსია წაკითხულის შესახებ, წერა წაკითხულის შესახებ. კითხვის წინა ეტაპზე შესაძლებელია წინასწარი ზეპირი ვარაუდების გამოთქმა ტექსტის სიუჟეტის შესაძლო განვითარების შესახებ; საინფორმაციო და/ან კრიტიკული მოსმენის დროს - წერილობითი ჩანაწერების გაკეთება ინფორმაციის უკეთ დამახსოვრების მიზნით და ა.შ.

ამდენად, სასწავლო პროცესის წარმატებულად მართვის შემთხვევაში, მასწავლებელს შეუძლია აუდიტორიაში შექმნას გარემო, რომელშიც კომბინირებული იქნება მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა და წერა. ამ გზით შესაძლებელი იქნება სასწავლო პროცესის დაახლოება რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებთან, რაც ძალზე სასარგებლო იქნება სტუდენტებისთვის.

### *კავშირი სხვა მოდულებთან*

მოდულის „კომუნიკაცია ქართულ ენაზე“ მასწავლებელი კარგად უნდა აცნობიერებდეს კავშირს არა მხოლოდ მოდულის შედეგებს შორის, არამედ თავის საგანსა და სხვა ზოგად თუ დარგობრივ მოდულებს შორისაც.

საქმე ისაა, რომ ნებისმიერი დარგისა თუ საგნის შესწავლა სტუდენტისაგან მოითხოვს კითხვების დასმის, კრიტიკული აზროვნების, მსჯელობის, პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი გადაწყვეტის უნარების გამოვლენას, რისთვისაც კომუნიკაციის უნარებია აუცილებელი. სტუდენტს მუდმივად სჭირდება სიტყვიერად მოწოდებული საკითხების არსის გააზრება და გააზრებულისაკითხების სიტყვიერად გადმოცემა. მოდული „კომუნიკაცია ქართულ ენაზე“ უნდა დაეხმაროს სტუდენტებს ამ გამჭოლი კოგნიტურ-ენობრივი უნარების განვითარებაში. ამისათვის სასურველია, რომ კომუნიკაციის მასწავლებელმა ხელი შეუწყოს სხვადასხვა მოდულს შორის „ენობრივი ხიდების“ გადებას, რათა სტუდენტებისთვის, ცალკეული მოდულის კონტექსტში, ენა გადაიქცეს დაკვირვების ობიექტად. ამის მეშვეობით სტუდენტები შეძლებენ ერთი მოდულის ფარგლებში შეძენილი კოგნიტურ-ენობრივი ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებას სხვა მოდულის კონტექსტშიც.

ამგვარი მიდგომა გააფართოებს სტუდენტების ენობრივ ცნობიერებას და განავითარებს მათ შემეცნებით თუ კომუნიკაციურ უნარებს, რაც წარმატებული სწავლის საფუძველია.

მოდულის შედეგებით განსაზღვრული საკომუნიკაციო უნარების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ასევე დარგობრივი მოდულების თემატიკის/საკითხების გამოყენებაც. შესაბამისად, კომუნიკაციის მოდულის სწავლა-სწავლების პროცესში ძალზე სასარგებლო იქნება დარგობრივი საკითხების ინტეგრირებაც. ეს ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, დარგობრივი პროგრამის განტვირთვასა და სწავლის პროცესის ოპტიმიზაციას, მეორე მხრივ, დარგობრივი ცოდნის განმტკიცებას და ენობრივ-საკომუნიკაციო უნარების გადატანას („ტრანსფერს“) ერთი მოდულის კონტექსტიდან მეორეში. აქედან გამომდინარე, ხარისხიანი პროფესიული განათლების ხელშესაწყობად აუცილებელია, რომ მოდულის მასწავლებელს კარგად ჰქონდეს გააზრებული

ინტერდისციპლინური, ინტეგრირებული მიდგომის მნიშვნელობა, რაც სხვადასხვა მოდულის მასწავლებელთა მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობას გულისხმობს. ამ გზით სტუდენტები შეძლებენ განვითარებული უნარებისა და შეძენილი ცოდნის კონტექსტში გამოყენებას და მზად იქნებიან უპასუხონ იმ გამოწვევებს, რომლებსაც მათ შესთავაზებს პროფესიული საქმიანობა თუ რეალური ცხოვრება.

## **როგორ ვიმუშაოთ საკითხავ მასალაზე**

### **კითხვის პროცესი**

კითხვის მიზანი კითხვა, როგორც კომპლექსური სააზროვნო უნარების ერთობლიობა, წარმოადგენს საძირკველს, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის პროფესიულ თუ პიროვნულ ზრდა-განვითარებას. ესაა საფუძველი, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანს, წარმართოს დამოუკიდებელი საქმიანობა და წარმატებას მიაღწიოს ცხოვრების ნებისმიერ სფეროში.

ცნობილია, რომ ტექსტს მკითხველი, ძირითადად, ორი მიზნით კითხულობს: ესთეტიკური სიამოვნების მისაღებად ან ინფორმაციის მოსაპოვებლად. მაგალითად, მხატვრული ნაწარმოებები, კომიქსები და მსგავსი ტიპის ტექსტები, უმეტესწილად, სიამოვნების მიღების მიზნით კითხვასთან არის ასოცირებული. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მხატვრული ლიტერატურიდან მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება შეგვიძლია ამა თუ იმ ისტორიული ეპოქის, ისტორიული პირების, ქვეყნის/კულტურის შესახებ. რაც შეეხება არამხატვრულ - საინფორმაციო ან სამეცნიერო-დარგობრივ ტექსტებს, ლექსიკონებს და ა.შ. - ისინი უმთავრესად ასოცირდება კითხვასთან ინფორმაციის მიღების მიზნით.

კითხვის ინდივიდუალური ხასიათი კითხვის უნარების განვითარებაზე მუშაობის დროს უნდა გვახსოვდეს, რომ კითხვა უაღრესად ინდივიდუალური და პირადული ქმედებაა. თითოეული ადამიანი წაკითხულის აღქმისა თუ გაგება-გააზრების დროს იყენებს საკუთარ ცხოვრებისეულ, ლიტერატურულ და ენობრივ გამოცდილებას. მნიშვნელოვან როლს ასრულებს ასევე მკითხველის სოციალური, კულტურული თუ ოჯახური წარმომავლობა, შეხედულებები/წარმოდგენები, გემოვნება, სხვ. ამდენად, არაფერია მოულოდნელი იმაში, რომ სხვადასხვა მკითხველმა ერთმანეთისაგან განსხვავებულად აღიქვას და გაიაზროს ერთი და იგივე ტექსტი.

თავისი ინდივიდუალური და პირადული ხასიათის მიუხედავად, კითხვის პროცესი შეგვიძლია ზედმიწევნით სოციალიზებულ და თანამშრომლობით აქტივობად ვაქციოთ. წაკითხულზე აზრების გაზიარება, საუბრები და დისკუსიები სტუდენტს შესაძლებლობას მისცემს, მოისმინოს თანაჯგუფელების მოსაზრებები და ურთიერთგანსხვავებული ინტერპრეტაციები. ეს კი მას უზიბდებს, კრიტიკულად შეაფასოს და განავრცოს თავდაპირველი შთაბეჭდილებები და

შეხედულებები წაკითხულზე. გარდა ამისა, პირადი შთაბეჭდილებებისა და შეხედულებების ხმამაღლა გაცხადება და სხვებისთვის გაზიარება დაეხმარება თავად სტუდენტს, რომ მის გონებაში დაბადებულმა აზრებმა, განცდებმა და შეგრძნებებმა უფრო ჩამოყალიბებული სახე მიიღოს. ამ გზით სტუდენტი უკეთ შეძლებს წაკითხული ტექსტისადმი თავისი ემოციური თუ ინტელექტუალური მიმართების გამოკვეთას, ასევე საკუთარი განცდებისა და შეხედულებების ფორმულირებას როგორც ზეპირად, ისე წერილობით.

ამდენად, კითხვის უნარების განვითარებაზე მიმართული სასწავლო აქტივობების დაგეგმვის დროს აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ინდივიდუალური (პერსონალური), სოციალური და ინტერაქტიური ელემენტების ერთობლიობა.

**კითხვა, როგორც პროცესი** კითხვის უნარების განვითარებაზე მიმართული სისტემური სამუშაოები, ტრადიციულად, ეყრდნობა კითხვის სამფაზიან მოდელს. ეს მოდელი გულისხმობს სასწავლო აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებას კითხვის დაწყებამდე, კითხვის დროს და კითხვის დასრულების შემდეგ.

პირველი ფაზა ემსახურება მკითხველის მომზადებას ტექსტის შინაარსის გასაგებად, მისიყურადღების „დაპყრობას“. პირველ ფაზაზე გამოიყენება ე.წ. *გაცნობითი კითხვის* მიდგომები: სტუდენტი ყურადღებას მიმართავს სათაურზე, ტექსტის ორგანიზაციულ-სტრუქტურულ მახასიათებლებზე, ილუსტრაციებზე, აბზაცების პირველ და/ან ბოლო წინადადებაზე. გაცნობითი კითხვის შედეგად მკითხველი წარმოდგენას შეიქმნის ტექსტის რაობაზე, მის ზოგად შინაარსზე. კითხვის მეორე ფაზაზე ე.წ. *შესწავლითი კითხვის* მიდგომების გამოყენებით მკითხველი ამუშავებს ტექსტის ცალკეულ ნაწილებს და ეტაპობრივად უკავშირებს მათ ერთმანეთს. ამ ფაზის მთავარი ამოცანაა ტექსტის შინაარსის თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ კონსტრუირება. კითხვის მესამე ფაზა ემსახურება გაგების უნარების გადრმავება-გაუმჯობესებას, ტექსტის მთლიანობაში გააზრება-შეჯამებას, განხილული საკითხებისადმი საკუთარი პოზიციის გამოკვეთას და მიღებული ცოდნა-გამოცდილების საფუძველზე ახალ ცოდნა-გამოცდილებათა განვითარებას.

**აქტიური და პასიური კითხვა** კითხვა შეიძლება იყოს პასიური და აქტიური. აქტიური კითხვა არის კითხვა ტექსტის გაგება-შეფასების მიზნით, რომელიც გულისხმობს კონკრეტული საკითხავი ამოცანების დასახვას და მათ გადასაჭრელად სტრატეგიების გააზრებულად გამოყენებას.

აქტიური კითხვის არსის უკეთ უკეთ გასაგებად უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ტექსტი ესაა ადამიანი, რომელმაც იცის ის, რაც უცნობია ჩვენთვის. ამ ჩვენთვის უცნობი ინფორმაციის მისაღებად აუცილებელია საკითხავ ტექსტთან კომუნიკაციის დამყარება - ისევე, როგორც მოვიქცეოდით ინფორმაციის მფლობელ ადამიანთან ურთიერთობის დროს. ეს გულისხმობს კითხვების დასმას და პასუხების ყურადღებით მოსმენას (პასუხები თავად ტექსტში უნდა მოვიძიოთ). ამდენად, აქტიური კითხვის დროს მკითხველი არის კითხვის პროცესის აქტიური მონაწილე და არა ინფორმაციის პასიურად მიმღები.

აქტიური კითხვის დროს მკითხველს წაკითხული - ანუ თვალთ ალქმული შინაარსი - „შეჰყავს“ გონებაში და ამუშავებს მას წინარე ცოდნა-გამოცდილების გამოყენებით. ეს პროცესი ძალზე წააგავს კომპიუტერის მუშაობის პრინციპს: იმისთვის, რომ რაიმე მონაცემი კომპიუტერულად დამუშავდეს, აუცილებელია ამ მონაცემის შეყვანა კომპიუტერის მეხსიერებაში. ასევეა მოწყობილი ადამიანის აზროვნების სისტემაც: მასალის დამუშავებისა და გაგების პროცესების განსახორციელებლად აუცილებელია მისი (მასალის) შინაარსის გონებაში, წარმოდგენაში შეყვანა, რაც თვალთ ალქმისას ვერ ხერხდება. აქედან გამომდინარე, კითხვის პროცესში მასწავლებლის მუშაობა ისე უნდა წარიმართოს, რომ სტუდენტებმა შეძლონ წაკითხულის გონებაში „შეყვანა“, წარმოდგენაში გაცოცხლება და დამუშავება. ამ სააზროვნო სამუშაოების ჩასატარებლად აუცილებელია, რომ მასწავლებელმა საკმარისი დრო მისცეს სტუდენტებს.

აქტიური მკითხველისგან განსხვავებით, პასიურ მკითხველს არ „შეჰყავს“ ალქმული შინაარსი გონებაში და მოელის, რომ თვალთ ალქმის პროცესში თავისთავად მოხდება შინაარსის წვდომა-გაგება, თავისთავად გადაიშლება ტექსტში ჩადებული აზრები მის თვალწინ. ამდენად, ასეთ მკითხველს არასწორი წარმოდგენები აქვს გაგების განმაპირობებელ პროცესებზე, რაც კიდევ უფრო ართულებს მის მდგომარეობას. საქმე ისაა, რომ როდესაც პასიური მკითხველიერთი წაკითხვით ვერ იგებს ტექსტს/ტექსტის ნაწილს, იგი ფიქრობს, რომ მას თვითონ არა აქვს წაკითხულის გაგების უნარები და, შედეგად, აღარ ცდილობს გაგების დონის გაუმჯობესებას. მას უარყოფითი წარმოდგენები უყალიბდება საკუთარ უნარებზე და ვერ ხვდება, რომ პრობლემა არის არა უნარში, არამედ კითხვის მიდგომაში, კითხვის მეთოდში. ამდენად, პასიური კითხვა სწავლა-სწავლების ნაკლებად ეფექტიან გზას წარმოადგენს, რომელიც წარუმატებელი მკითხველის ფორმირებას უწყობს ხელს.

**აქტიური კითხვის სტრატეგიები** აქტიური კითხვის დროს გამოიყენება შემდეგი ძირითადი სტრატეგიები:

1. **ვიზუალიზება** - პერსონაჟ(ებ)ის, მოქმედების დროისა და ადგილის, აღწერილი მოვლენების ცოცხალ სურათებად წარმოდგენა, გონებაში „გაცოცხლება“. ეს მკითხველს წაკითხულის უკეთ გაგებაში ეხმარება.
2. **ვარაუდების გამოთქმა**- ტექსტის მონაცემებზე დაყრდნობით, ვარაუდების გამოთქმა იმასთან დაკავშირებით, თუ რაზეა ტექსტი, რა მოხდება ტექსტში შემდეგ/როგორ განვითარდება მოვლენები, როგორ დასრულდება ტექსტი. ტექსტის წაკითხვამდე მასწავლებელს შეუძლია სტუდენტებს შესთავაზოს, გადახედონ სათაურს, ქვესათაურებს/ქვეთავებს, დიაგრამებს, რუბრიკებს, ილუსტრაციებს, პირველ/ბოლო წინადადებებს, ფრაზებს; გამოიწვიოს სტუდენტები, ხმამაღლა იმსჯელონ თანაჯგუფელებთან ერთად და გამოთქვან ვარაუდები იმაზე, რასაც წაკითხავენ. ტექსტის სტრუქტურისა და მისი მახასიათებლების გაცნობა-გაგება დაეხმარება სტუდენტებს, უკეთ განსაზღვრონ

ავტორის მიზნები ან/და ტექსტის შინაარსი. კითხვის დროს მასწავლებელს შეუძლია წინასწარ შერჩეულ ადგილზე/ეპიზოდზე შეაჩეროს კითხვა (მაგ., სათაურსა დაპირველ წინადადებაზე, **ან** კულმინაციურ მომენტზე/კონფლიქტის სცენაზე) და ჰკითხოს სტუდენტებს - მათი აზრით, რაზეა ტექსტი, **ან** როგორ განვითარდება მოვლენები, **ან** როგორ მოიქცევა პერსონაჟი, **ან** როგორ დასრულდება ტექსტი. პასუხების მოსმენის დროს მასწავლებელი სთხოვს სტუდენტებს, დაასაბუთონ თავიანთი ვარაუდები ტექსტზე დაყრდნობით. მაგ., ვარაუდი პერსონაჟთან დაკავშირებით: არ მიატოვებს მეგობარს - წინა ეპიზოდში დავინახეთ, რომ ის მამაცია/ერთგულია; **ან** შეყვარებულს მოატყუებს და მიატოვებს - ადრე მეგობარს უღალატა, ასე რომ შეიძლება შეყვარებულსაც უღალატოს და ა.შ. კითხვის სესიის დასრულების შემდეგ მერე მოკლე საუბარი იმაზე, ვისი მოლოდინი გამართლდა, ვისი-არა; რამდენად და რატომ იყო მოსალოდნელი/მოულოდნელი მოვლენების განვითარება ტექსტში.

3. **გარკვევა** - რთული ან გაუგებარი სიტყვების, წინადადებების, ფრაზების/პასაჟების იდენტიფიცირება და იმის გააზრება, თუ რა გზითაა შესაძლებელი მათი მნიშვნელობის განსაზღვრა. ეს გულისხმობს, რომ მკითხველმა ხელახლა უნდა გადაიკითხოს გაუგებარი ადგილები და შეეცადოს მნიშვნელობის გაგებას კონტექსტზე დაკვირვებით, სიტყვის ნაცნობ ფუძეზე დაყრდნობით, ლექსიკონის ან ილუსტრაციის გამოყენებით, კითხვების დასმით და მათზე პასუხის მოძიებით და ა.შ. ამდენად, გარკვევის სტრატეგია კითხვის მონიტორინგსაც გულისხმობს.
4. **კითხვების დასმა** - საკითხავ ტექსტთან დაკავშირებული კითხვების დასმა გამოიყენება კითხვის პროცესის სამივე ფაზაზე: კითხვის დაწყებამდე, კითხვის დროს, კითხვის დასრულების შემდეგ. კითხვების დასმა მკითხველს ეხმარება წაკითხულიდან აზრის გამოტანაში, წაკითხულის გაგებაში. გარდა ამისა, კითხვების დასმა ხელს უწყობს მკითხველს იმის შემოწმებაში, თუ რამდენად სწორად გაიგო წაკითხული, ასევე ტექსტთან პერსონალური მიმართებების დამყარებაში. თავისთავად, კითხვების დასმა გულისხმობს, რომ მკითხველი კითხულობს გარკვეული მიზნით, ანუ აქვს კონკრეტული საკითხავი ამოცანა.
5. **დაკავშირება** - ტექსტთან პერსონალური მიმართების დამყარება. დაკავშირება არის ხიდი, რომელსაც მკითხველი „აგებს“ ორ მოცემულობას შორის. ეს მოცემულობებია: 1. ტექსტი, რომელსაც ის კითხულობს; 2. პირადი გამოცდილება ან/და ცოდნა.

არსებობს დაკავშირების 3 გზა. ესენია:

ა) **ტექსტი და მე**: ტექსტის დაკავშირება საკუთარ თავთან. ეს შეიძლება იყოს: ცხოვრებისეული გამოცდილება, მიღებული ცოდნა.

ბ) ტექსტი და ტექსტი: ტექსტის დაკავშირება სხვა ნაცნობ ტექსტთან. ეს შეიძლება იყოს: ადრე წაკითხული ტექსტები, ნანახი ფილმები/სპექტაკლები.

გ) ტექსტი და გარესამყარო: ტექსტის დაკავშირება საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, ისტორიულ პრობლემებთან/საკითხებთან, მოვლენებთან (მკითხველის ცოდნა-გამოცდილებაზე დაყრდნობით).

დაკავშირების სტრატეგიის სასწავლებლად მასწავლებელმა ტექსტის/ტექსტის მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ თავად უნდა უჩვენოს სტუდენტებს შესაბამისი მაგალითი/მაგალითები ხმამაღლა ფიქრის ფორმატში.

ა) პირად გამოცდილებასთან დაკავშირების მაგალითი: „ამ ტექსტმა გამახსენა ჩემი შარშანდელი შვებულება, რომელიც ბათუმში გავატარე. მეც მსგავს სიტუაციაში აღმოვჩნდი...“;

ბ) სხვა ტექსტთან დაკავშირების მაგალითი: „ამ პერსონაჟმა გამახსენა ქართული ზღაპრის გმირი ....., რადგან ისიც...“;

გ) რეალურ სამყაროსთან დაკავშირების მაგალითი: „წაკითხული ჰგავს სტალინური რეპრესიების ხანას, რადგან...“.

6. **შეფასება** - პირადი მოსაზრებების შემუშავება წაკითხულზე (როგორც უშუალოდ კითხვის პროცესში, ისე კითხვის დასრულების შემდეგ); საკუთარი დამოკიდებულებების ფორმირება პერსონაჟების, ტექსტში ასახული რეაქციების, აღწერილი მოვლენების მიმართ; მსჯელობა იმაზე, არის თუ არა დამაჯერებელი ავტორის პოზიცია და რატომ (/მოახერხა თუ არა ავტორმა მისი დარწმუნება და რატომ).

აქტიური კითხვის გამოყენება მოდულის სწავლებისას სტუდენტების კითხვის უნარების განვითარების ხელშესაწყობად მოდულის მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს აქტიური კითხვის სტრატეგიები. ამ გზით ტექსტზე მუშაობის ფოკუსი გადაინაცვლებს უშუალოდ გაკვეთილზე, სადაც სტუდენტები, კონკრეტული საკითხავი ამოცანების ფარგლებში, წაიკითხავენ ტექსტს/ტექსტის ფრაგმენტს, დასვამენ კითხვებს, იმსჯელებენ წაკითხულზე, გამოხატავენ თავიანთ აზრებს წაკითხულთან დაკავშირებით და ა.შ. გზამკვლევის II-VI თავებში წარმოდგენილი მასალა აქტიური კითხვის ფორმატშია დამუშავებული.

### მულტიმედიაური რესურსები და მათი გამოყენება

მულტიმედიაური რესურსების სასწავლო მიზნებით გამოყენების დროს მიზანშეწონილია, რომ მასწავლებელმა:

- სტუდენტებს აჩვენოს წინასწარ შერჩეული მოკლე ფრაგმენტი/ფრაგმენტები (და არა მთელი ფილმი ან პროგრამა);
- არ გამოართოს სინათლე მასალის დემონსტრირებისას, რათა შეინარჩუნოს აქტიური სამუშაო გარემო;
- მასალის ჩვენებამდე მოკლედ უთხრას სტუდენტებს, რა უნდა ნახონ/მოისმინონ, რას მიაქციონ ყურადღება;
- საჭიროებისამებრ, არ შემოიფარგლოს ერთხელ ჩვენებით და ხელახლა აჩვენოს სტუდენტებს მასალა/ კონკრეტული ფრაგმენტი მასალიდან;

- საჭიროებისამებრ, მცირე ხნით შეაჩეროს („დააპაუზოს“) მასალის ჩვენება იმ მიზნით, რომ გამოკვეთოს კონკრეტული მომენტი, დასვას შეკითხვები მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით, გაამახვილოს სტუდენტების ყურადღება ვიზუალურ მხარეზე და/ან სხვა ასპექტებზე.

### **შეფასება**

შეფასება არის სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილი, რომლის უმთავრესი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა. ეს გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს.

სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა გულისხმობს ორი ტიპის შეფასების, კერძოდ, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების გამოყენებას. შეფასების ეს ორი ტიპი ერთმანეთისაგან მიზნებით განსხვავდება: განმავითარებელი შეფასების მიზანია სწავლის პროცესის, სტუდენტის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობა, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების მიზანია სტუდენტის აკადემიური მიღწევის დადგენა მოდულის შედეგებთან მიმართებით.

### **განმავითარებელი შეფასება**

სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშესაწყობად უპირატესობა უნდა მიენიჭოს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც სტუდენტს აფასებს მის წინარე დონესთან მიმართებით, ზომავს ინდივიდუალურ წინსვლას, რითაც სტუდენტს ცოდნის ეტაპობრივი კონსტრუირების საშუალებას აძლევს.

აღსანიშნავია, რომ მოდულის - „კომუნიკაცია ქართულ ენაზე“ - სწავლის შედეგები წარმოადგენს განვითარებად უნარებს, ანუ უნარებს, რომელთა განვითარებაზე მუშაობა უნდა გაგრძელდეს მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში. შესაბამისად, განმავითარებელმა შეფასებამ უნდა აჩვენოს, თუ როგორ მიმდინარეობს შედეგებით გათვალისწინებული უნარების განვითარების პროცესი; კონკრეტულად, რა აბრკოლებს ამ პროცესს და რა გზებით უნდა გადაილახოს შექმნილი დაბრკოლებები.

განმავითარებელი შეფასების ძირითადი ფუნქციებია ინდივიდუალური წინსვლის ხელშეწყობა და სტუდენტთა ქმედუნარიანობის ამაღლება.



განმავითარებელი შეფასების განსახორციელებლად გამოიყენება ნებისმიერი ტიპის აქტივობა, რომელსაც სტუდენტებისწავლა-სწავლების პროცესში ასრულებენ. მასწავლებელმა სტუდენტთა მუშაობის პროცესსა თუ მათ ნამუშევრებზე დაკვირვების შედეგად უნდა შეაგროვოს ინფორმაცია თითოეული სტუდენტის მიღწევებისა და საჭიროებების შესახებ. ამისთვის მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს სხვადასხვა საშუალება: გააკეთოს ჩანაწერები ბლოკნოტში, დაადგინოს და შეავსოს კრიტერიუმების ბადე, სტუდენტების თანამონაწილეობით შეადგინოს და შეავსოს თვითშეფასების / ურთიერთშეფასების სქემები; გამოიყენოს დაკვირვების ფურცელი, ამონაწერების სტუდენტების ნამუშევრებიდან და სხვ.

შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე სტუდენტმა მასწავლებლისგან უნდა მიიღოს იმგვარი უკუკავშირი, რომელიც ხელს შეუწყობს მის წინსვლა-განვითარებას. მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს უკუკავშირის მრავალგვარი ფორმა: რჩევა-დარიგება; სტუდენტისათვის იმის ახსნა, თუ რაში აქვს წინსვლა; სტუდენტთან ერთად შეცდომების განხილვა-გაანალიზება; შევსებული შეფასების სქემის განხილვა-გაანალიზება; სტუდენტთან შეთანხმება იმაზე, თუ რა უნდა გააკეთოს მან სიძნელების გადასალახავად; ზეპირი ან წერილობითი კომენტარის გაკეთება და სხვ.

სტუდენტთა ქმედუნარიანობის გასაზრდელად აუცილებელია, რომ ისინი აქტიურად ჩაერთონ თავისი სწავლის პროცესის შეფასებაში. სწავლის პროცესზე დაფიქრებას სტუდენტს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, რაც მას მისცემს საშუალებას, გაცნობიერებულად და გააზრებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. სწავლის პროცესში გათვითცნობიერების გზით სტუდენტი დაეუფლება „სწავლის ხელობას“, რაც აუცილებელ უნარს წარმოადგენს თანამედროვე სამყაროში გზის გასაკვალად და ადგილის დასამკვიდრებლად.

*როგორ უნდა შევუწყოთ ხელი სტუდენტების აქტიურად ჩართვას სწავლის პროცესში?*

პირველ რიგში, სწავლის პროცესი ისე უნდა წარიმართოს, რომ სტუდენტმა ყოველ ჯერზე ნათლად გაიაზროს შესასრულებელი აქტივობის მიზანი და მისი მიღწევის კრიტერიუმები. ამ გზით იგი უკეთ დაინახავს, თუ რა ნაბიჯები უნდა გადადგას სასურველი შედეგის მისაღწევად. მეორეც, სტუდენტი უნდა დავაფიქროთ მის მიერ გამოყენებულ სწავლის მიდგომებსა და საშუალებებზე. ასე მაგალითად, აქტივობის დასრულებისას შეიძლება ვთხოვოთ, დაფიქრდეს განვლილ გზაზე და თქვას - რა ნაბიჯები გადადგა, რა მიდგომა გამოიყენა მიზნის მისაღწევად; კიდევ რომელი მიდგომის გამოყენება შეიძლებოდა/უკეთესი ხომ არ იქნებოდა სხვა მიდგომის გამოყენება, რამ შეუქმნა პრობლემა, რა გაუჭირდა ან რა გაუადვილდა და სხვ. სწავლის პროცესზე დაფიქრების მიზნით დაგეგმილი აქტივობების დროს სტუდენტები აცნობიერებენ საკუთარ შეხედულებებს სამუშაო მეთოდებსა თუ სტრატეგიებზე, რომლებსაც ისინი, როგორც წესი, გაუცნობიერებლად იყენებენ; პოულობენ წარმატებისა თუ წარუმატებლობის მიზეზებს, ურთიერთგაზიარებით

ამდიდრებენ ერთმანეთის გამოცდილებას, სწავლობენ განსხვავებული სტრატეგიების გამოყენებას; გაიაზრებენ, რომ გონივრულად შერჩეული სტრატეგიის გამოყენებას შეუძლია მათი ქმედუნარიანობის გაზრდა.

ინდივიდუალურ წინსვლაზე ორიენტირებული სწავლება და შეფასებაწარმოქმნის კონსტრუქციულ და თანამშრომლობით გარემოს, რომელშიც მასწავლებლისა და სტუდენტის მთავარ საზრუნავს სწავლა და წინსვლა წარმოადგენს. ესაა წარმატების პედაგოგიკა.

### *განმსაზღვრელი შეფასება*

განმსაზღვრელმა შეფასებამ უნდა დაადასტუროს სწავლის შედეგებითგათვალისწინებული უნარების განვითარების დინამიკა; აჩვენოს, რომ სწავლის პროცესის მიმდინარეობის კვალდაკვალ, ცალკეულ სტუდენტსულ უფრო მეტად უვითარდება შედეგებით განსაზღვრული უნარები. თუ მთელი სასწავლო პერიოდის მანძილზე აშკარად ჩანს განვითარების პროცესი, მაშინ სტუდენტს დადებითი შეფასება ეკუთვნის.

რამდენადაც განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ტიპები ერთმანეთისაგან მხოლოდ მიზნებით განსხვავდება, გზამკვლევის მესამე-მეშვიდე თავებში შესული აქტივობებიში იძლევა გამოვიყენოთ როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასებისთვის, მაგრამ აუცილებლად უნდა გვახსოვდეს შემდეგი: განმსაზღვრელი შეფასებისთვის გამოყენებული აქტივობები/დავალებები უნდა ამოწმებდეს მხოლოდ იმ უნარებსა და ცოდნას, რომლებზეც სტუდენტი, განმავითარებელი შეფასების ფარგლებში, უკვე გავარჯიშებულია.

განმსაზღვრელი შეფასების ხელშესაწყობად ყოველი თემატური ერთეულის დასაწყისში მოწოდებულია კონკრეტული კონკრეტული რეკომენდაციები შემაჯამებელი დავალებებისთვის.

## თავი 2. ტიპობრივი აქტივობები

ქვემოთ მოყვანილი ტიპობრივი აქტივობების განხორციელება შესაძლებელია ნებისმიერი სასწავლო თემის ფარგლებში, სწავლების მთელი პერიოდის განმავლობაში, სხვადასხვა სახის/ტიპის ტექსტებზე დაყრდნობით - მასწავლებელს თავადშეუძლია „მორგოს“ აქტივობა ამა თუ იმ სასწავლო თემას.

### **აქტივობა 1. არაფორმალური კამათი**

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა დაეხმარება სტუდენტებს, განივითარონ კამათის კულტურა. იგი სტუდენტებს საშუალებას აძლევს, მოუსმინონ თანაჯგუფელების მოსაზრებებს და გამოთქვან საკუთარი აზრი მათთვის საინტერესო საკითხებზე, ჩამოყალიბდნენ კრიტიკულ მსმენელებად; მიიღონ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები; განივითარონ არგუმენტირებისა და გუნდური მუშაობის უნარი. აქტივობა ტარდება სამ ეტაპად: 1-ლ ეტაპზე ტარდება მოსამზადებელი სამუშაოები, მე-2 ეტაპზე ჩატარდება კამათი, მე-3 ეტაპზე შეფასდებიან კამათის მონაწილეები.

#### **აქტივობის მიზნები:**

- კრიტიკული მოსმენის უნარების განვითარება;
- არგუმენტირების უნარის განვითარება;
- ეტიკეტური მეტყველებისა და ქცევის უნარების განვითარება;
- თანამშრომლობის უნარების განვითარება.

**რესურსები:** ადამიანური რესურსები, სტუდენტებისთვის განკუთვნილი შეფასების კითხვარი.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** ჯგუფური (სტუდენტები იყოფიან სამ ჯგუფად. პირველი ორი ჯგუფის წევრები მონაწილეობენ კამათში, მესამე ჯგუფი („ექსპერტები“) - აკვირდება და კითხვარზე დაყრდნობით აფასებს კამათის მონაწილეებს).

#### **აქტივობის აღწერა:**

## I ეტაპი - მოსამზადებელი სამუშაოები

ა) საკამათო თემის შერჩევის შემდეგ მასწავლებლისა და სტუდენტების ერთობლივი მუშაობით მზადდება:

- ინსტრუქციების ჩამონათვალი/ნუსხა, რომელშიც ასახული იქნება კამათის ნაყოფიერად წარმართვისათვის აუცილებელი პირობები (დროის რეგლამენტი; რიგითობის დაცვის, ყურადღებით მოსმენის, ჯგუფის წევრებთან მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობა და სხვ.). ჯგუფებში სტუდენტები განაწილებიან იმისდა მიხედვით, თუ რა პოზიცია ექნებათ საკამათო თემასთან დაკავშირებით. სტუდენტები წინასწარ ამზადებენ არგუმენტებს თავიანთი პოზიციის დასასაბუთებლად და გააცნობენ თანაგუნდელებს (ამისთვის გუნდებს ეძლევათ 15-20 წუთი).
- მზადდება კითხვარი, რომლის მიხედვითაც დამკვირვებლები („ექსპერტები“) შეაფასებენ კამათის მონაწილეებს.

კითხვარის ნიმუში:

- რომელი არგუმენტები იყო ყველაზე სარწმუნო და დამაჯერებელი?
- დახარჯეს თუ არა მონაწილეებმა დრო და ენერგია მთავარი პრობლემისთვის ნაკლებად მნიშვნელოვან მოსაზრებებზე?
- თქვენი აზრით, რომელი არგუმენტი/არგუმენტები იყო იმდენად დამაჯერებელი, რომ შეეძლო ზოგიერთი სტუდენტის მოსაზრების შეცვლა?
- იცავდნენ თუ არა მონაწილეებისამეტყველო ქცევის ეტიკეტს, დროის რეგლამენტს, კამათის წესებს?
- შეესაბამებოდა თუ არა არავერბალური მეტყველების ხერხები (ხმის ტემბრი, ჟესტები, მხედველობითი კონტაქტი) საკომუნიკაციო ამოცანას?
- და სხვა.

ბ) მუშაობა ჯგუფებში - ორივე გუნდის წევრები წარმოთქვამენ და განიხილავენ არგუმენტებს. არგუმენტების წარმოთქმისა და განხილვის შემდეგ თითოეული გუნდი შეარჩევს ამა თუ იმ კონკრეტული არგუმენტის პრეზენტატორს.

## II ეტაპი - კამათი

არგუმენტების წარმოთქმისას გუნდების პრეზენტატორები რიგ-რიგობით საუბრობენ, სტუდენტები უნდა დარწმუნდნენ, რომ: ა) ჩაწერილი აქვთ ყველა არგუმენტი; ბ) არ იმეორებენ უკვე ნათქვამ არგუმენტს. კამათი გრძელდება მანამდე, სანამ არგუმენტები არ ამოიწურება.

## III ეტაპი - შეფასება

დამკვირვებელი სტუდენტები („ექსპერტები“) ამზადებენ და წარმოადგენენ კამათის მონაწილეთა შეფასების შედეგებს. დამკვირვებლებმა არგუმენტირებულად, მაგალითების მოყვანით უნდა დაასაბუთონ თავიანთ მოსაზრებები კამათის მიმდინარეობის შესახებ. განსხვავებული აზრის არსებობის შემთხვევაში, „მეორადი“, „ზედნაშენი“ კამათი წარიმართება, რომელშიც დამკვირვებელი სტუდენტები და მასწავლებელიც მიიღებენ მონაწილეობას.

## რეკომენდაციები შეფასებისთვის

II ეტაპზე განხორციელებული აქტივობა ხელს უწყობს იმ უნარების განვითარებას, რომლებიც პირველ შედეგშია წარმოდგენილი. სტუდენტის აქტივობა შეიძლება შეფასდეს პირველი შედეგის შესრულების ყველა კრიტერიუმით;

III ეტაპზე განხორციელებული აქტივობა ხელს უწყობს მეორე შედეგით წარმოდგენილი უნარების განვითარებას. სტუდენტის აქტივობა შეიძლება შეფასდეს მეორე შედეგის შესრულების ყველა კრიტერიუმით.

## მეთოდური მითითებები

- სასურველია, საკამათო თემა შეირჩეს სტუდენტების აზრის გათვალისწინებით. თემა კარგად ნაცნობი უნდა იყოს სტუდენტებისათვის, რათა მათ შეძლონ არგუმენტების მოფიქრება. თუ საკითხებს კარგად არ იცნობენ, მაშინ ამ მიმართულებით მოსამზადებელი სამუშაო იქნება ჩასატარებელი.
- რეკომენდებული არ არის, რომ თითოეულ „დამკვირვებელს“ შეფასების ორ ან სამ კრიტერიუმზე მეტი მიეცეთ. საჭიროებიდან და სასწავლო მიზნიდან გამომდინარე, მასწავლებელი თავად შეარჩევს, რომელ სტუდენტს რომელი კრიტერიუმ(ებ)ი მისცეს.
- რეკომენდებული არ არის კამათში „გამარჯვებული“ გუნდის გამოცხადება, მაგრამ თუკი სტუდენტები მოისურვებენ გამარჯვებულის გამოვლენას, ეს შეიძლება მოხდეს შემდეგი გზით: ა) განსაკუთრებით ძლიერი და/ან ორიგინალური არგუმენტებისათვის ჯგუფი ქულას მიიღებს; ბ) თუ არგუმენტი გამეორდა, ჯგუფი ქულას არ მიიღებს. გაიმარჯვებს ის გუნდი, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს.
- კამათის განმეორებით ჩატარების შემთხვევაში, სასურველია, შეიცვალოს მოკამათეთა ჯგუფების წევრების, ასევე „ექსპერტების“ ჯგუფის შემადგენლობა, რათა სტუდენტებს მიეცეთ სხვადასხვა თანაჯგუფელთან თანამშრომლობის, ასევე განსხვავებული საკომუნიკაციო ამოცანების/როლების შესრულების საშუალება.
- საკამათოდ შერჩეული თემა შესაძლებელია რომელიმე შესწავლილ ნაწარმოებში განხილულ თემას/პრობლემას უკავშირდებოდეს. ამ შემთხვევაში აქტივობა დაფარავს მოდულის III და V შედეგებსაც და შეფასდება შესაბამისი შესრულების კრიტერიუმების გათვალისწინებით.

### *იდეები დამატებითი აქტივობისათვის*

შესაძლებელია, დამკვირვებელთა ჯგუფის ერთ-ერთ სტუდენტს, ზეპირი შეფასების ნაცვლად, ოქმის დაწერა შევთავაზოთ. ასეთ შემთხვევაში ნამუშევარი შეფასდება მეექვსე შედეგის კრიტერიუმების გათვალისწინებით (სტუდენტს შეუძლია წერილობითი კომუნიკაცია მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით).

## აქტივობა 2. „პერსონაჟის“ სკამი

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა ხელს უწყობს კითხვისა და მეტყველების უნარების განვითარებას, სტიმულს აძლევს შემოქმედებითი უნარების განვითარებას. აქტივობა გამოიყენება წერის წინა ეტაპზე. მისი ჩატარების შემდეგ სტუდენტებს შეიძლება შევთავაზოთ შერჩეული პერსონაჟის დახასიათების დაწერა.

**რესურსები:** ადამიანური რესურსები (დამატებით შესაძლებელია რაიმე ატრიბუტიკის გამოყენებაც).

**ორგანიზების ფორმა:** მთელი ჯგუფის მონაწილეობით

**აქტივობის აღწერა:**

**ეტაპი 1.** სტუდენტები მცირე ჯგუფებში ამზადებენ შეკითხვებს შერჩეული პერსონაჟისთვის, რისთვისაც გზადაგზა უბრუნდებიან ტექსტს. შეკითხვები შეიძლება მიემართებოდეს შემდეგ სფეროებს: შინაგანი სამყარო: ფიქრები, განცდები, ემოციები, ინტერესები (მაგ., რას გრძნობდი/რა გაიფიქრე, როდესაც...? არ შეგეშინდა, როდესაც ...? რა გიყვარს ყველაზე მეტად? და ა.შ.); პერსონაჟის ბიოგრაფიის დეტალები, შესაძლებელი წინა ვითარებასთან დაკავშირებული (გყავს და-ძმა?); ურთიერთობები სხვა პერსონაჟებთან (რატომ მეგობრობ ...-სთან? რას ფიქრობ ....-ზე? (სხვა რომელიმე პერსონაჟის დასახლებით). სტუდენტი (ან სტუდენტები), რომელმაც უნდა განასახიეროს პერსონაჟი, ემზადებიან საპასუხოდ, რისთვისაც აკვირდებიან ტექსტში პერსონაჟის შესახებ არსებულ ინფორმაციას.

**ეტაპი 2.** სტუდენტი (/ სტუდენტები) გამოდის კლასის წინ, ჯდება სკამზე და „მოირგებს“ პერსონაჟის როლს. დასაწყისში ის ძალიან მოკლედ წარადგენს თავის თავს შესწავლილ ტექსტში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით (მაგ., „მე მქვია ალუდა“, „ვცხოვრობ შატილში“) და პასუხობს თანაჯგუფელების მიერ დასმულ შეკითხვებს, რომლებიც ამ პერსონაჟისთვისაა გამიზნული (შეიძლება ამორჩეული პერსონაჟისათვის დამახასიათებელი რაიმე ატრიბუტიკის გამოყენებაც). მოსწავლეთა წასაქვებლად და მაგალითის საჩვენებლად მასწავლებელს შეუძლია თვითონაც დაუსვას შეკითხვები „პერსონაჟის სკამზე“ მჯდომ სტუდენტს.

თუკი სტუდენტები კარგად აითვისებენ აქტივობას, ამასთან, იგი მათთვის საინტერესო და სახალისო აღმოჩნდება, შეიძლება აქტივობის გართულება - „პერსონაჟის სკამზე“ დასასმელად შეიძლება შეირჩეს მეორეხარისხოვანი

პერსონაჟი, რომლის შესახებ ტექსტში მცირე ინფორმაციას ვხვდებით მეორეხარისხოვანი პერსონაჟების როლის მოსარგებად სტუდენტებს დეტალების უკეთ გააზრება და ფანტაზიისა და წარმოსახვის უნარის მეტიმობილიზაცია დასჭირდებათ.

**მეთოდური მითითება:** აქტივობაში ჩართული უნდა იყოს მთელი ჯგუფი. თუკი დაინახავთ, რომ ჯგუფი პასიურია და აქტიურობს მხოლოდ ის სტუდენტი, რომელიც პერსონაჟს ასახიერებს, აქტივობის გაგრძელება მიზანშეწონილი არ არის.

### რეკომენდაციები შეფასებისთვის აქტივობა ხელს შეუწყობს

#### აქტივობა 3. დისკუსია

<b>აქტივობის</b>	<b>შესახებ:</b>	დისკუსია ხელს შეუწყობს სტუდენტებში მსჯელობის, კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემის გადაწყვეტის უნარების განვითარებას. ავარჯიშებს სტუდენტებს აზრების მწიობრად გამოხატვასა და დასკვნების გამოტანაში, სადავოსაკითხების გადაჭრასა და ალტერნატიული გადაწყვეტილებების მოძებნაში.
------------------	-----------------	--

დისკუსიებში სტუდენტებს მოეთხოვებათ არგუმენტირებული მსჯელობა; გადაწყვეტილების მიღება; დისკუსიის წესების დაცვა. სასურველია, ესწესებთ ავად სტუდენტებმა შეიმუშავეთ მასწავლებლის ხელმძღვანელობით (მაგალითად, როცა რამის თქმა გვსურს, ხელი უნდა ავიწიოთ; არ შევაწყვეტოთ ერთმანეთს ლაპარაკი; დავიცვათ დროის რეგლამენტი და ა.შ.). დისკუსიისას სტუდენტებმა შეიძლება მოისმინონ განსხვავებული თვალსაზრისები და გააცნობიერონ, რომ არსებობს ისეთი პრობლემები, რომელთაც არ აქვთ მხოლოდ ერთი გადაწყვეტა. დისკუსიისათვის მიზანშეწონილია სამ-ხუთწევრიანი ჯგუფების ორგანიზება, რადგან აცამგვარად ყველას ექნება დისკუსიაში წვლილის შეტანის შესაძლებლობა - როგორც მსმენელის, ისე სიტყვით გამომსვლელის სტატუსით.



გარდაამისა, პატარაჯგუფებისალაპარაკოდგამოიწვევს მორცხვ დაპასიურსტუდენტებსაც, რომლებმაც შეიძლება არ მიიღონმონაწილეობა დიდჯგუფებშიგამართულგანხილვაში. მცირესადისკუსიოჯგუფებშიწევრებსშეუძლიათჩამოაყალიბონსაკუთარიზრებიდაგააქტიურონსუბიექტურიგამოცდილება. ჯგუფებიშეიძლებაჩამოაყალიბდეს:

- სტუდენტებისსურვილისგათვალისწინებით;
- შემთხვევითი შერჩევით (მაგ., ერთმანეთთან ახლოს მსხდომი სტუდენტები);
- მასწავლებლის ინიციატივით (შემადგენლობას განსაზღვრავს თავად მასწავლებელი).

რეკომენდებულიათითოეულიჯგუფისწევრისათვისკონკრეტულიმოვალეობისდაკისრება (მაგალითად, ერთიარგუმენტებსჩამოწერს, მეორეებებსდამატებითმასალას, მესამეშეკითხვებსამზადებს, მეოთხეწარმოადგენსჯგუფისსაერთოაზრსდაა.შ.). ჯგუფებიდროდადროუნდაგადახალისდეს, რათასტუდენტებსმიეცეთსხვადასხვა თანაჯგუფელთან თანამშრომლობის საშუალება.

სადისკუსიოდუნდაშეირჩესისეთისაკითხი, რომლის შესახებაც განსხვავებულითვალსაზრისებიშეიძლებაარსებობდეს,ანდაისვასისეთიპრობლემა, რომლის გადასაჭრელად ალტერნატიულიგზებიარსებობს. დისკუსიისას მნიშვნელოვანიამის ცოდნა, რომ:

- მონაწილეებმა არ შეიძლება გადაუხვიონ სადისკუსიო თემას, საკითხს/პრობლემას;
- არარსებობს თავისთავად მცდარიდასწორიზრი, არსებობსდაუსაბუთებელიდადასაბუთებული მოსაზრებები;
- დისკუსიისმიზნებიდაწესებიწინასწარარისგანსაზღვრული, აუცილებელია მათი დაცვა;
- დისკუსიისმთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს ჯგუფსგანსახილველისაკითხისშესახებცოდნისგამოვლენაში, ასევე ამ ცოდნის გამოყენებაში პრობლემის გადასაწყვეტად;
- დისკუსიაპასუხებისგანუსაზღვრელრაოდენობასწარმოშობსდაარმოითხოვსერთადერთდასკვნას;
- არსებობსგანსხვავებულიმოსაზრებები, ამიტომ საკუთართვალსაზრისისდაცვასთანერთად პატივი უნდა სცე სხვებისთვალსაზრისსაც;

- მონაწილეები უნდა შეეცადონ, რომ ერთი კონკრეტული საკითხი/პრობლემა განიხილონ ორი საპირისპირო მხრიდან (საწინააღმდეგო და მხარდამჭერი პოზიციიდან)
- აკრიტიკებენაზრებსდაარაადამიანებს.

დისკუსიის დროს საჭიროა სტუდენტების წახალისება, რათა მათ:

- ყურადღებით მოისმინონ ყველა აზრი (აცადონ სხვა მონაწილეებს აზრის გამოთქმა, არ შეაწყვეტინონ ლაპარაკი), არ შეეცადონ დომინანტური პროზიციის დაკავებას;
- დასვან შეკითხვები;
- პერიფრაზირების, კითხვის დასმის გზით დააზუსტონ გამოთქმული თვალსაზრისი (მაგალითად, „თუსწორად გავიგე, შენამბობ, რომ...“);
- იკამათონ კონსტრუქციულად;
- შეაჯამონ დისკუსიისას გამოთქმული აზრი;
- გადაამოწონ ვარიანტები.

**რესურსები:** სასურველია, სტუდენტებისთვის თვალსაჩინო ადგილას იყოს გამოკრული დისკუსიის წესები.

**შეფასება:** დისკუსიის დროს მასწავლებელი მხოლოდ აკონტროლებს მონაწილეთა მიერ დისკუსიის წესების დაცვას და ინიშნავს მათ პასუხებს, რათა შეაფასოს მონაწილეები. არ არის მიზანშეწონილი, რომ მასწავლებელმა დისკუსიაში აშკარად გამოხატოს საკუთარი პოზიცია (განსაკუთრებით საწყის ეტაპზე). მან უნდა შეაფასოს არგუმენტები და არა პოზიციის ჭეშმარიტება (სწორია თუ არა პოზიცია). სასურველია გამოვიყენოთ ჯგუფის შეფასების ანკეტა. იგი შეიძლება შეავსოს ჯგუფის ერთმა წევრმა, რომელიც საერთო პოზიციის გამომხატველი იქნება, ან ჯგუფის ყველა წევრმა.

გთავაზობთ ამგვარი ანკეტის ნიმუშს:

კრიტერიუმები	დიახ	არა	ზოგჯერ
დისკუსიის პროცესში ყველა მონაწილეობდა და აზრს გამოთქვამდა. კომუნიკაცია ინტერაქტიული იყო.			
ჯგუფის წევრები ხშირად სვამდნენ შეკითხვებს აზრის დასაზუსტებლად, კონკრეტული ინფორმაციის მოსაპოვებლად (დეტალების დასაზუსტებლად)			
დისკუსია ჯგუფში თემის არგასცილებია.			
დაცული იყო დისკუსიის წესები.			

### მეთოდური მითითებები

- მასწავლებელმა უნდა წახალისოს სტუდენტები, რათა მათ გამოიყენონ ამ საკომუნიკაციო სიტუაციის შესაფერისი ენობრივი საშუალებები, მაგალითად: „გეთანხმები/არ გეთანხმები, რადგან...“, „ერთ რამეს დავუმატებ ...-ის ნათქვამს ...“ და ა.შ.
- ამა თუ იმ საკამათო საკითხთან დაკავშირებით დისკუსიის ორგანიზება მიზანშეწონილია სწავლის მთელ პერიოდში.

რეკომენდაციები შეფასებისთვის

აქტივობა ხელს უწყობს

სტუდენტის აქტივობა შეიძლება შეფასდეს შედეგის შესრულების ყველა კრიტერიუმით.

#### აქტივობა 4. დავაკვირდეთ არავერბალურ საშუალებებს

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა ხელს უწყობს სტუდენტების მოსმენილის აღქმისა და კრიტიკული შეფასების უნარების განვითარებას. იგი დაეხმარება სტუდენტებს, გაეცნონ კომუნიკაციის დროს გამოყენებულ სხვადასხვა არავერბალურ საშუალებებს, დააკვირდნენ მათი გამოყენების პრაქტიკას სხვადასხვა საკომუნიკაციო სიტუაციაში. საბოლოო ჯამში, ეს ხელს შეუწყობს სტუდენტებს, გააცნობიერონ არავერბალური საშუალებების მნიშვნელობა და განვიითარონ მათი ადეკვატურად გამოყენების უნარები. აქტივობა კომპლექსური სახისაა და ფარავს ზეპირმეტყველებისა და წერის მიმართულებებს.

**აქტივობის მიზნები:**

- ზეპირმეტყველების უნარების განვითარება;
- კრიტიკული ანალიზის უნარების განვითარება.

**რესურსები:** ამა თუ იმ პირის (პოლიტიკოსის, ხელოვანის, მეცნიერის, სხვ.) საჯარო გამოსვლის 5-10-წუთიანივიდეოჩანაწერი ან ამავე ქრონომეტრაჟის სატელევიზიო დისკუსიის, დებატების ვიდეოჩანაწერი, შერჩეული მასწავლებლის მიერ; ამობეჭდილი ცხრილები (სათანადო რაოდენობით), საწერი კალმები.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** ნებისმიერი (ინდივიდუალური, წყვილური, მცირე ჯგუფებში)

**აქტივობის აღწერა:**

**პირველი ეტაპი:** დაფაზე გამოსახულია არავერბალური საშუალებებზე დაკვირვების ცხრილი. მასწავლებელი გაესაუბრება სტუდენტებს აქტივობის მიზანზე, გააცნობს მათ შესასრულებელ სამუშაოს, ცხრილის შევსების წესებს; ბოლოს დაურიგებს სტუდენტებს ამავე ცხრილის ქალაქზე დაბეჭდილ ვერსიებს.

მასწავლებელი ჩართავს წინასწარ შერჩეულ ჩანაწერს. ნიმუშის საჩვენებლად მასწავლებელი ჩანაწერის მიმდინარეობის დროს შეავსებს ცხრილს პირველი ორი მონაცემით, შემდეგ შეაჩერებს ჩანაწერის ჩვენებას და დამატებით ახსნა-განმარტებებს მისცემს სტუდენტებს ცხრილის შევსების წესის შესახებ: მოლაპარაკის მიერ გამოყენებული ყოველი არავერბალური საშუალება სათანადო გრაფაში აღინიშნება X-ით (მაგ., გამოყენებული ჟესტი X ნიშნით აღინიშნება გრაფაში „ჟესტები“). იმ შემთხვევაში, თუკი მოსაუბრე, ვთქვამთ, 5-ჯერ გამოიყენებს სხვადასხვა ჟესტს, გრაფაში „ჟესტები“ 5-ჯერ ჩაიწერება X. საბოლოოდ, ეს გრაფა მიიღებს შემდეგ სახეს: XXXXX. სასურველია, სათანადო კომენტარის თანხლებით. ამის შემდეგ ჩანაწერის ჩვენება გაგრძელდება. სტუდენტები უყურებენ ჩანაწერს და ავსებენ ცხრილს.

**მეორე ეტაპი:** ივსება ცხრილის ბოლო სვეტი „დასკვნა“. ამისათვის სტუდენტები აკვირდებიან ცხრილის პირველ-მეორე სვეტებს, გაიაზრებენ და შეაჯამებენ მათ მონაცემებს და მიღებულ შედეგებს ჩაწერენ სვეტში „დასკვნა“ (მაგ., „ყველა ხშირად იყენებს ჟესტებს“, „არ ცვლის სახის გამომეტყველებას“, „ხშირად უწევს ხმას“ და მისთ).

სტუდენტები წარადგენენ თავიანთ ნამუშევრებს ზეპირი გზით. მასწავლებელი საჭიროების შემთხვევაში იძლევა დამატებით ახსნა-განმარტებებს.

ნიმუში ა. ცხრილი.

I მოლაპარაკე		
საშუალებები	გამოყენებულია	დასკვნა
ჟესტები		

მხედველობითი კონტაქტი		
მკაფიო მეტყველება		
ხმის აწევ-დაწევა		
გამომეტყველების ცვლილება		
<b>II მოლაპარაკე</b>		
ჟესტები		
მხედველობითი კონტაქტი		
მკაფიო მეტყველება		
ხმის აწევ-დაწევა		
გამომეტყველების ცვლილება		

ნიმუში ბ.

გამომსვლელი (სახელი, გვარი):		
საშუალებები	გამოყენებულია	დასკვნა
ქესტები		
მხედველობითი კონტაქტი		
მკაფიო მეტყველება		
ხმის აწევ-დაწევა		
გამომეტყველების ცვლილება		

სამუშაოს დასრულების შემდეგ სტუდენტები წარადგენენ ნამუშევრებს. მასწავლებელი საჭიროების შემთხვევაში იძლევა დამატებით ახსნა-განმარტებებს, აკეთებს კომენტარებს.

**მეთოდური მითითებები**

- დასკვნების სვეტში შესაძლებელია ჩაიწეროს აგრეთვე ზოგადი დასკვნა ამა თუ იმ მონაწილის ქცევის/არავერბალური მეტყველების შესახებ, რომელიც უშუალოდ გამომდინარეობს მარცხენა და შუა სვეტში მოთავსებულ დაკვირვებებიდან (მაგ., დაკარგა კონტროლის უნარი - ხმამაღლა ყვირილზე გადავიდა, ან ბოლომდე აკონტროლებდა თავს/შეინარჩუნა სიმშვიდე და მისთ.).

- თავისი შეხედულებისამებრ, მასწავლებელს შეუძლია სტუდენტებს შესთავაზოს ცხრილის მოდიფიცირებული ვარიანტი - ორსვეტიანი ცხრილი, რომელსაც არ ექნება მესამე, „დასკვნების“ სვეტი. ამ შემთხვევაში სტუდენტები ზეპირი გზით შეაჯერებენ ცხრილში ჩაწერილ მონაცემებს.

### რეკომენდაციები შეფასებისთვის

I ეტაპზე განხორციელებული აქტივობა ხელს უწყობს არავერბალური საშუალებების ამოცნობისა და დახარისხების უნარს (იხ. I შედეგის კრიტერიუმები: 3, 5; II შედეგის კრიტერიუმები: 5, 6).

II ეტაპზე განხორციელებული აქტივობა ხელს უწყობს წერითი მეტყველებისთვის აუცილებელი უნარების განვითარებას. სტუდენტის აქტივობა შეიძლება შეფასდეს VI შედეგის მე-2, მე-4, მე-7 კრიტერიუმებით.

### აქტივობა 5. მსმენელის გზამკვლევი

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა ხელს უწყობს სტუდენტების კრიტიკული მოსმენისა და, ზოგადად, კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას. იგი დაეხმარება სტუდენტებს, განივითარონ ზეპირად მოსმენილი ინფორმაციის ადეკვატურად გაგება-გააზრების უნარი.

#### აქტივობის მიზნები:

- კრიტიკული მოსმენის უნარების განვითარება;
- კრიტიკული ანალიზის უნარების განვითარება.



**რესურსები:** ამა თუ იმ პირის (პოლიტიკოსის, ხელოვანის, მეცნიერის, სხვ.) საჯარო გამოსვლის 5-10 წუთიანი ვიდეოჩანაწერი, ან ამავე ქრონომეტრაჟის სატელევიზიო დისკუსიის, დებატების ვიდეოჩანაწერი, შერჩეული მასწავლებლის მიერ, ცალკე ქაღალდებზე დაბეჭდილი კითხვარი (საჭირო რაოდენობით), საწერი კალმები.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** წყვილური.

**აქტივობის აღწერა:** მსმენელის გზამკვლევის/კითხვარის ტექსტი დაწერილი დაფაზე (დაფაზე გაკრულ დიდი ფორმატის ქაღალდზე). მასწავლებელი გაესაუბრება სტუდენტებს აქტივობის მიზანზე, გააცნობს მათ შესასრულებელ სამუშაოს; ბოლოს დაყოფს სტუდენტებს წყვილებად და დაურიგებს ქაღალდზე ამობეჭდილ კითხვარს.

მასწავლებელი ჩართავს წინასწარ შერჩეულ ჩანაწერს. სტუდენტები ისმენენ ტექსტს და ავსებენ კითხვარს წყვილებში მუშაობის გზით.

ნიმუში.

მსმენელის გზამკვლევი:

მსმენელების სახელი, გვარი: .....

მოლაპარაკის სახელი, გვარი: .....

თარიღი: .....

- დაასახელეთ თემა .....
- დაასახელეთ ძირითადი საკითხი/საკითხები .....
- ჩამოაყალიბეთ მოლაპარაკის მიერ გამოთქმული ძირითადი მოსაზრება (3-4 წინადადებით)  
.....  
.....
- გადმოეცით თქვენი პირადი შთაბეჭდილება (3-5 წინადადებით)

სამუშაოს დასრულების შემდეგ სტუდენტები წარადგენენ ნამუშევრებს. მასწავლებელი საჭიროების შემთხვევაში იძლევა დამატებით ახსნა-განმარტებებს, აკეთებს კომენტარებს.

### რეკომენდაციები შეფასებისთვის

I ეტაპზე განხორციელებულიაქტივობა ხელს უწყობს ინფორმაციის გააზრების, დახარისხება-შეჯამებისა და წერილობითი ფორმით გადმოცემის უნარს (იხ. I შედეგი, კრიტერიუმი: 3;V შედეგი, კრიტერიუმები: 1, 2, 3, 4; VI შედეგი, კრიტერიუმები: 2, 3, 4, 5, 7).

### აქტივობა 6. კონტექსტის/საკომუნიკაციო სიტუაციის აღდგენა

რესურსები: ტექსტის ნაწყვეტი.

აქტივობის აღწერა:მასწავლებლისტუდენტებს ასმენინებსმოკლე, კონკრეტული კონტექსტიდანამოღებულ ნაწყვეტს, მაგალითად, დიალოგისანდისკუსიისნაწილს, სტუდენტებმაუნდა გამოთქვან ვარაუდები და აღადგინონ კონტექსტი, კერძოდ: ვინარიანმოლაპარაკეები, რაურთიერთდამოკიდებულეებაამათშორის, რისშესახებშიეძლებოდაამათესაუბრათ, ხმისტონის, საუბრისნაწყვეტისშინაარსის, საუბრისსტილის, ენობრივ-გრამატიკულისტრუქტურისმიხედვითინტერპრეტაცია, სადშიეძლებაიყენენმოსაუბრეები, ოფიციალურიდიალოგიათუმეგობრული. ვარაუდების გამოთქმისას სტუდენტები კონკრეტული მაგალითების მოყვანით ასაბუთებენ, რატომფიქრობენასე, რამინიშნებას ეყრდნობიან (მაგ., ტექსტში გამოყენებული თავაზიანობისგამომხატველიფორმები / ფამილარულიმიმართვები, თავადტექსტისშინაარსი, სხვ).

### მეთოდური მითითებები

- მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მოსასმენი ნაწყვეტი არიყოს ძალიან ნათელი, რათა იძლეოდეს არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციის საშუალებას. წინააღმდეგ შემთხვევაში აქტივობა იქნება საინტერესო სტუდენტებისთვის.
- აღნიშნული აქტივობის გამოყენება, სხვადასხვა ზეპირი ტექსტის საფუძველზე, შესაძლებელია სწავლების ნებისმიერ ეტაპზე, სხვადასხვა თემატური ერთეულის ფარგლებში.

**რეკომენდაციები შეფასებისათვის**

- აქტივობა ხელს უწყობს ტექსტების გააზრებისათვის საჭირო ისეთი უნარების განვითარებას, როგორებიცაა ვარაუდების გამოთქმა, ნაცნობ ელემენტებზე დაკვირვებით დასკვნების გამოტანა, ენობრივ-გრამატიკულ ფორმებზე დაკვირვების გზით ტექსტის ტიპის ამოცნობა (იხ. I შედეგი, კრიტერიუმები: 1, 2, 3, 4).

**აქტივობა 7. მკითხველის დღიური**

მასწავლებელი სტუდენტებს წარუდგენს მკითხველის დღიურის გამარტივებულ ვერსიას - ორსვეტიან ცხრილს და უხსნის, როგორ უნდა გამოიყენონ/შეავსონ იგი. შემდეგ სტუდენტები კითხულობენ (/ისმენენ) შერჩეულ ადგილს ტექსტიდან და ავსებენ ცხრილს. ნიმუშის საჩვენებლად მასწავლებელი თავდაპირველად თვითონ შეავსებს დაფაზე გამოსახულ ცხრილს ერთი ჩანაწერით.

ტექსტი: \_\_\_\_\_

მთავარი მოვლენა, მთავარი აზრი, სიტყვა, წინადადება ან	დაკავშირება ჩემს გამოცდილვ ბასთან ვინ ან რა გამახსენდა?	დაკავშირება მეორე ტექსტთან რომელი წიგნი ან ფილმი გამახსენდა? რა	დაკავშირება გარესამყაროსთან შეიძლება თუ არა ეს მოხდეს რეალურ ცხოვრებაში? რა
--	---	---	---

წინადადებები		<i>მსგავსებაა- განსხვავებაა მათ შორის?</i>	შეიძლება მოხდეს და რა - არა? როგორ გამოვიყენებ ტექსტით მიღებულ გამოცდილებას ყოველდღიურ ცხოვრებაში

ცხრილის შევსების შემდეგ გაიმართება დისკუსია. სასურველია, რომ დისკუსიის დროს მასწავლებელმა, სხვათა შორის, სტუდენტებს დაუსვას შემდეგი კითხვები: *რამდენად დაგეხმარათ კავშირების მოძებნა ტექსტის უკეთ გაგებაში? კონკრეტულად, რაში დაგეხმარათ/ რა გაიგეთ ამ დაკავშირების შედეგად?*

აქტივობა 8.

**ორი ტექსტის შედარებითი ანალიზი ჩარჩო-სქემის საფუძველზე**

I ეტაპი

**ვიპოვოთ მსგავსება-განსხვავებები**

სტუდენტები ავსებენ ცხრილს (ორი შესადარებელი ტექსტის საფუძველზე)

ცხრილი.

	I ტექსტი	II ტექსტი
მთავარი პერსონაჟი		
მოქმედების დრო		
მოქმედების ადგილი		
პრობლემა		
პრობლემის გადაჭრა		

### II ეტაპი

ცხრილის შევსების შემდეგ სტუდენტები პასუხობენ კითხვებზე.

ინსტრუქცია. ცხრილის მონაცემებზე დაყრდნობით უპასუხეთ კითხვებს (დაწერეთ პასუხები ცარიელ ხაზებზე).

1. რით ჰგავს ეს ორი ტექსტი ერთმანეთს?

---

2. რით განსხვავდება ეს ორი ტექსტი ერთმანეთისგან?

---

3. თქვენი აზრით, რომელი იყო უფრო სერიოზული პრობლემა? რატომ ფიქრობ ასე? (პასუხის დასაბუთებისთვის გამოიყენეთ ტექსტებში მოცემული ინფორმაცია).

---

### თავი 3.

#### სიტყვის ძალა

#### ძირითადი სასწავლო რესურსები

#### აქტივობები

##### ბეჭდური ტექსტები

##### მულტიმედიური ტექსტები

###### მხატვრული

1. ილია ჭავჭავაძე, გლახის ნაამბობი: ფრაგმენტი.

1. სოციალური სარეკლამო რგოლი

2. ივანე ჯავახიშვილის საჯარო გამოსვლა

4. ეპიზოდი მხატვრული ფილმიდან „ქალის სურნელი“.

აქტივობა 1. როგორ დავარწმუნოთ ადამიანები

აქტივობა 2. „სიტყვების ძალა“

აქტივობა 3. ამოვიცნოთ დარწმუნების ხერხები

აქტივობა 4. დავარწმუნოთ უფროსები, დავარწმუნოთ პატარები

აქტივობა 5. ფართო აუდიტორია: საჯარო გამოსვლის ანალიზი

აქტივობა 6. ფაქტები და მოსაზრებები

აქტივობა 7. ქვიზი

აქტივობა 8. გამოვხატოთ ჩვენი თვალსაზრისი

აქტივობა 9. საკითხი–როლი–აუდიტორია

###### არამხატვრული

1. თამარ ფერაძის სტატია: „დასაშვებია თუ არა მობილურები სკოლებში?“ (დამარწმუნებელი ტექსტი).

2. ორი სარეკლამო ტექსტი.

აქტივობა 10. რადიოინტერვიუ

აქტივობა 11. დისკუსია

### თემატური საკვანძო შეკითხვები

➤ რა არის საჭირო იმისათვის, რომ კომუნიკაცია წარმატებული იყოს?  
როგორ მოვახდინო ზეგავლენა ჩემს მსმენელებზე, მკითხველებზე? / როგორ დავარწმუნო ჩემი მკითხველები, მსმენელები?

### შემაჯამებელი კომპლექსური დავალებები

შემაჯამებელი განმსაზღვრელი შეფასება შეიძლება შემოიფარგლოს შემდეგი სამი აქტივობით:

- საკითხავი დავალებები, რომლებიც მოსდევს თამარ ფერაძის სტატიას „დასაშვებია თუ არა მობილურები სკოლაში?“
- თავის ბოლოს შეთავაზებული შემაჯამებელი აქტივობებიდან ნებისმიერი ერთი წერიტი აქტივობა (სტუდენტის არჩევანის მიხედვით);
- თავის ბოლოს შეთავაზებული შემაჯამებელი აქტივობებიდან ნებისმიერი ერთი ზეპირი აქტივობა (სტუდენტის არჩევანის მიხედვით);

თუ სტუდენტი დამაკმაყოფილებელ დონეზე შეასრულებს აღნიშნულ სამ აქტივობას, ეს იმას ნიშნავს, რომ მან სასწავლო თემის („სიტყვის ძალა“) ფარგლებში დაძლია მოდულის მოთხოვნები.

მოდულის შედეგები	სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები	საკითხები
<p><i>პროფესიული სასწავლებლის სტუდენტმა უნდა შეძლოს:</i></p> <p>1. ტექსტის გაანალიზება ჟანრული და კომპოზიციური მახასიათებლების გათვალისწინებით.</p> <p>2. ტექსტის გაანალიზება ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და სტრუქტურულ-ორგანიზაციული მახასიათებლების მიხედვით.</p> <p>3. ტექსტის გააზრება-გაანალიზება კონტექსტური ფაქტორების გათვალისწინებით.</p> <p>4. ტექსტების შედარება, ინტერტექსტობრივი მიმართებების გამოვლენა.</p>	<p><i>ტექსტის ჟანრი</i></p> <p>ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო მახასიათებლები</p> <p><i>ტექსტის კომპოზიცია</i></p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ ნაწარმოების მთლიანობას ქმნის კომპოზიციურ-ლიტერატურული ელემენტების ერთობლიობა.</li> <li>▪ კომპოზიციურ-ლიტერატურული ელემენტების ცოდნის გამოყენება დამეხმარება ტექსტების სიღრმისეულად გააზრებაში, მიზნის შესაბამისი ტექსტების შედგენაში.</li> </ul> <p><i>ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება</i></p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნის გამოყენება დამეხმარება ტექსტების სიღრმისეულად გააზრებაში, მიზნის შესაბამისი ტექსტების შედგენაში.</li> <li>▪ მკაფიო სტრუქტურა და ლოგიკურად ორგანიზებამეხმარება ტექსტის შინაარსის უკეთ გაგებაში.</li> </ul> <p><i>ტექსტის ენა, სტილი</i></p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ ტექსტში გამოყენებული ენობრივ-გამომსახველობითი ფორმები და სიტყვები გავლენას ახდენს ტექსტის მნიშვნელობაზე/ფასეულობაზე.</li> <li>▪ ავტორები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ-გამომსახველობით საშუალებას იმისათვის, რომ უკეთ გადმოსცენ სათქმელი, მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი.</li> <li>▪ ენობრივისაშუალებების ცოდნა დამეხმარება ტექსტების გაგება-გააზრებაში, მიზნის შესაბამისი ტექსტების შედგენაში.</li> </ul> <p><i>საკომუნიკაციო სიტუაცია</i></p>	<p>პერსონაჟი, ფასეულობები/დამოკიდებულებები;</p> <p>ხედვის კუთხე/პერსპექტივა; ფაქტობრივი ინფორმაცია;</p> <p>კომუნიკაციის ადგილი, მიზანი, აუდიტორია/ადრესატი; ადრესანტი, კონტექსტი,</p> <p>სტრუქტურა: სათაური,</p> <p>რიტორიკული სტილის ძირითადი მახასიათებლები (სარწმუნოობა, ლოგიკა, ემოცია) - დარწმუნების ხერხები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ მხატვრული ჟანრები: მოთხრობა; არამხატვრული ჟანრები: რეკლამა, არგუმენტირებული ტექსტი; თემა</li> <li>➤ ტროპები: ეპითეტი, მეტაფორა;</li> <li>➤ რიტორიკის ელემენტები: თეზისი, არგუმენტი; რიტორიკული სტილის ძირითადი მახასიათებლები (სარწმუნოობა, ლოგიკა, ემოცია) - დარწმუნების ხერხები;</li> <li>➤ მსაზღვრელ-საზღვრულის</li> </ul>



<p>5. ტექსტის ინტერპრეტირება, მის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა-დასაბუთება.</p> <p>6. სხვადასხვა ტიპის ზეპირი და წერილობითი ტექსტების შედგენა-გაზიარება საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინებით.</p> <p>7. წარმატებული კომუნიკაციის სტრატეგიების გააზრებულად გამოყენება.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ საკომუნიკაციო სიტუაციის ცოდნის გამოყენება დამეხმარება ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარებაში. <i>კონტექსტი</i></li> </ul> <p>კონტექსტის ცოდნა მეხმარება ტექსტის სიღრმისეულად, მრავალმხრივად გაგება-გააზრებაში. <i>ინტერტექსტუალობა</i></p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ ინტერტექსტობრივი მიმართებების აღმოჩენა შესაძლებელია წინარე ცოდნა-გამოცდილების გამოყენებით.</li> <li>▪ ინტერტექსტობრივი მიმართებების დადგენის შედეგად უფრო ღრმად/მრავალმხრივად გავიაზრებ ტექსტის მნიშვნელობას, იდეებს, თემებსა და პერსპექტივებს. <i>ინტერპრეტაცია</i></li> </ul> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ ტექსტის მნიშვნელობის ასახსნელად, ახალი კუთხით/ფორმით წარმოსაჩენად შემოძლია გამოვიყენო პირადი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ლიტერატურის, ცნებებისა და საკითხების ცოდნა. <i>ტექსტის გაგება</i></li> </ul> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ ტექსტის გაგება არის პროცესი, რომელიც ეტაპებისგან შედგება.</li> <li>▪ ტექსტის გაგების ხელშესაწყობად უნდა შევარჩიო და გამოვიყენო ცალკეული კონკრეტული ეტაპის შესაბამისი სტრატეგია. <i>ტექსტის შედგენა-გაზიარება</i></li> </ul> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ ტექსტის შედგენა-გაზიარება არის კომპლექსური პროცესი, რომელიც ეტაპებისგან შედგება.</li> <li>▪ ტექსტის შედგენა-გაზიარებისას უნდა: <ul style="list-style-type: none"> <li>○ გამოვიყენო</li> </ul> </li> </ul>	<p>ბრუნებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები; რამდენიმე მსაზღვრელის რიგი; მძიმე შერწყმულ წინადადებაში; სათაურების მართლწერა.</p>
---	---	---

	<p>ქანრობრივი მახასიათებლებისა და ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ შევარჩიო და გამოვიყენო კონკრეტული ეტაპის შესაბამისი სტრატეგია.</li> </ul>	
--	---	--

*შენიშვნა: საკითხების ჩამონათვალში მითითებული ენობრივ-გრამატიკული საკითხების ცოდნის გასააქტიურებლად და სტუდენტების ენობრივი უნარების გასავითარებლად მასწავლებელს შეუძლია შეარჩიოს სავარჯიშოები, რომლებიც მოცემულია დამხმარე რესურსში (იხ. დ. თვალთვაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ქართული მართლწერის წესები და სავარჯიშოები, თბილისი, 2013, გვ. 65-71, 281-287). ცალკეულ ენობრივ საკითხებთან დაკავშირებული კონკრეტული სავარჯიშოების რაობა და რაოდენობაუნდა შეირჩეს სტუდენტთა საჭიროებების გათვალისწინებით.*

## I. სოციალური სარეკლამო რგოლი: „სიტყვების ძალა“

(მასალის ხანგრძლივობა: 01. 47 წთ.)

ეტაპი 1. მასწავლებელი სტუდენტებს შესთავაზებს ვიდეორგოლის ნახვას; გააფრთხილებს, რომ ნახვის შემდეგ მოეწყობა დისკუსია/აზრების გაცვლა-გამოცვლა ნანახთან დაკავშირებით.

ვიდეორგოლის ნახვის შემდეგ მოეწყობა ინტერაქცია იმაში დასარწმუნებლად, რომ სტუდენტებმა კარგად გაიგეს ნანახი. შესაძლებელია მასწავლებელმა სტუდენტებს სთხოვოს, მოკლედ გადმოსცენ ნანახის შინაარსი.

ეტაპი 2. ეწყობა მცირე დისკუსია

### სადისკუსიო კითხვები:

შეკითხვა 1. პლაკატზე თავიდან ეწერა, რომ კაცი უსინათლოა და დახმარება სჭირდება. გამვლელი ქალის ჩარევის შემდეგ პლაკატზე წარწერა შეიცვალა და დაიწერა, რომ კაცი ვერ ხედავს მშვენიერ დღეს. როგორ ფიქრობთ, რატომ აღმოჩნდა უფრო ეფექტური/შედეგიანი მეორე წარწერა?

პასუხების მოსმენა, უკუკავშირი

*შესაძლო პასუხი: ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე ინფორმაციაა მოწოდებული (ბრმა კაცი საჭიროებს დახმარებას). პირველ შემთხვევაში ინფორმაცია მიემართება ლოგიკის სფეროს - კაცი ბრმაა, ამდენად, მას სხვების დახმარება სჭირდება. მეორე შემთხვევაში (გამვლელი ქალის მიერ დაწერილი ტექსტი) ინფორმაცია გათვლილია ემოციის სფეროზე - სხვა ადამიანებმა უნდა წარმოიდგინონ, რა მძიმე მდგომარეობაშია კაცი, რომელიც ვერაფერს ხედავს. ემოციების გააქტიურება მეტ თანაგრძნობას იწვევს, აძლიერებს თანადგომის, სოლიდარობის სურვილს. ეს უფრო ეფექტიანია მაშინ, როდესაც დახმარებას, შემწეობას ითხოვ. შესაბამისად, ბრმას ბევრად მეტი ადამიანი ეხმარება მეორე წარწერის წაკითხვის შემდეგ.*

საბოლოოდ, სტუდენტები გააცნობიერებენ, რომ: ერთი და იგივე ინფორმაცია სხვადასხვაგვარად შეიძლება იყოს მოწოდებული; მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, თუ რას ამბობ, არამედ რატომ ამბობ; წარმატებული/ეფექტიანი კომუნიკაციისთვის აუცილებელია საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინება და ზემოქმედების/დარწმუნების შესაბამისი ხერხის შერჩევა.

## შეკითხვა 2. როგორ დაასათაურებდით ვიდეორგოლს?

ვარიანტების მოსმენა, უკუკავშირი. დასასრულ, მასწავლებელი გამოაჩენს ვიდეორგოლის სახელწოდებას: „სიტყვების ძალა“.

მასწავლებელი ეკითხება სტუდენტს, ვინც სწორი ან ყველაზე მიახლოებული ვარიანტი დაასახელა, რა დაეხმარა მას სწორი ვარიანტის მოძებნაში, რა მინიშნებებს დაეყრდნო.

საჭიროებისამებრ, მასწავლებელს შეუძლია გაააქტიუროს სტუდენტების წინარე ცოდნაც: ეკითხება სტუდენტებს, რომელ ნაცნობ ტექსტებს ახსენებს მათ სათაური „სიტყვების ძალა“ (სულხან-საბა ორბელიანის იგავეები: „ენით დაკოდილი“ და „უტკბესი და უმწარესი“) და რით ჰგავს ეს იგავეები ნანახ ვიდეორგოლს. სტუდენტები იხსენებენ საბას იგავეების მორალს/შეგონებას, აკავშირებენ ნანახ ვიდეორგოლის მთავარ სათქმელთან, პოულობენ მსგავსებებს.

### **1. მიმდინარე აქტივობა - დარწმუნების სამკუთხედი, ანუ როგორ დავარწმუნოთ ადამიანები (დარწმუნების სტრატეგიები)**

აქტივობის მიზანია სტუდენტთა ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარება.

ამისთვის სტუდენტებს გავაცნობთ ე.წ. რიტორიკულ სამკუთხედს, რომელიც დარწმუნების სტრატეგიების ქვაკუთხედს წარმოადგენს<sup>1</sup> (იხ. ქვემოთ წარმოდგენილი სქემა).

**რესურსები:** დაფა, ცარცი/მარკერი, სამუშაო ფურცლები.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** I და II ეტაპები - მთელი ჯგუფის მონაწილეობით, III ეტაპი - ინდივიდუალურად ან წყვილებში.

აქტივობა ტარდება 3 ეტაპად.

---

<sup>1</sup> დარწმუნების სამკუთხედი ასევე ცნობილია, როგორც რიტორიკული სამკუთხედი. იგი უკავშირდება არისტოტელეს - ძვ. წელთაღ. ცნობილ ბერძენ ფილოსოფოსს. ამის გამო მას ზოგჯერ არისტოტელეს სამკუთხედსაც უწოდებენ.

### I ეტაპი


მასწავლებელი გაესაუბრება სტუდენტებს იმაზე, თუ რა ხერხებს მიმართავენ ადამიანები სხვების დასარწმუნებლად, სთხოვს, გაიხსენონ კონკრეტული მაგალითები პირადი ან ლიტერატურული გამოცდილებიდან, ნანახი ფილმებიდან. ინტერაქციას მასწავლებელი წარმართავს იქითკენ, რომ გამოიკვეთოს დარწმუნების სამი ხერხი: გავლენა/ზემოქმედება ლოგიკური არგუმენტების გამოყენებით; გავლენა/ზემოქმედება ადამიანის ემოციებზე; გავლენა/ზემოქმედება საკუთარი კომპეტენციის ავტორიტეტის, გამოცდილების წარმოჩენით.

### II ეტაპი

ამის შემდეგ მასწავლებელი სტუდენტებს პროექტორზე უჩვენებს სლაიდს - დარწმუნების სამკუთხედი (ან გამოსახავს დაფაზე).

დარწმუნების სამკუთხედი

სარწმუნოობა, სანდოობა



ლოგიკა

ემოცია

სამკუთხედის სამი წვერო წარმოადგენს ლოგიკას, სარწმუნოებას და ემოციას - „იარაღებს“, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელია ადამიანის დარწმუნება, მასზე ზეგავლენის მოხდენა (ცხადია, აუცილებელი არ არის, რომ ერთდროულად სამივე იყოს გამოყენებული).

**სარწმუნოება** - თუკი ადამიანები გენდობიან, სჯერათდასწამთთქვენი, უფროადვილადშეძლებთმათდარწმუნებას. სარწმუნოების ხარისხის ასამაღლებადეფექტიანია მაგ., კვლევების მონაცემების დამოწმება, ავტორიტეტების/ავტორიტეტული წყაროების, ხალხური სიბრძნის მოშველიება, საკუთარი კომპეტენციის წარმოჩენა. კვლევების მონაცემების მოშველიება მეტ სანდოობას სძენს ტექსტში გამოთქმულ თვალსაზრისს. მაგ., „ახლახან ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები ადასტურებს, რომ...“; გამოჩენილიადამიანებისგამონათქვამების, ბრძნულიშეგონებების (სენტენციების), წმინდა წერილის, ანდაზებისა დამისთ. გამოყენებამეტიდამაჯერებლობისათვის.

**ლოგიკა** – მოყვანილიუნდაიყოსსათანადოფაქტები, მონაცემები, რიცხვები, ანალოგიები, მაგალითები.

**ემოცია** - მკითხველშიგარკვეულიემოციისა თუ განცდის (კმაყოფილების, ბედნიერების, მწუხარების, მრისხანების, თანაგრძნობის, სხვ.) აღძვრაზემოქმედების მოსახდენად, დასარწმუნებლად.

მკითხველზე ზემოქმედების გასაძლიერებლად ეფექტიანია მკითხველისდარწმუნებაიმაშიც, რომსაკითხისმნიშვნელობიდანგამომდინარე, საჭიროადაუყოვნებლივმოქმედება.

## ქვიზი

რიტორიკული სამკუთხედის გაცნობის შემდეგ მასწავლებელი სტუდენტებს დაურიგებსსამუშაო ფურცლებს და სთხოვს, შეასრულონ მასზე წარმოდგენილი ქვიზი. კერძოდ: სტუდენტებმა უნდა დაახარისხოთ სამუშაო ფურცლებზე მოყვანილი მოცემული გამონათქვამები სამ ჯგუფში. ესენია: „სარწმუნოება/სანდოობა“, „ლოგიკა“, „ემოცია“.

### ქვიზი.

წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული გამონათქვამები და მიუთითეთ, რომელ ჯგუფს მიეკუთვნება თითოეული მათგანი (ხაზი გაუსვით სწორ ვარიანტს) (სტუდენტებისათვის ამოსაბეჭდი ვარიანტი იხ. დანართში)



### იდეები დამატებითი აქტივობებისთვის

- სხვადასხვა სარეკლამო ტექსტში (მაგ., მობილური ტელეფონით მოსულ რეკლამებში) გამოყენებული დარწმუნების სტრატეგიების გაანალიზება;
- სიმულაციური თამაში: სტუდენტ(ებ)ს სთხოვს მოხალისეთა გუნდის ორგანიზება რაიმე საზოგადოებრივი საქმის შესასრულებლად (ეზოს დასუფთავება, მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლში/მოხუცებულთა თავშესაფარში მორიგეობა, სხვ.). სტუდენტი ესაუბრება თანაჯგუფელებს და ცდილობს, დაარწმუნოს ისინი, რომ ჩაეწერონ მოხალისეთა გუნდში.
- სამოტივაციო წერილის დაწერა პოტენციურ დამსაქმებელთან - დარწმუნების სტრატეგიების გამოყენებით

## II. ილია ჭავჭავაძე „გლახის ნაამბობი“ (ფრაგმენტი)

### კითხვის დაწყებამდე

მასწავლებელი სტუდენტებს სთხოვს, გაიხსენონ შემთხვევები, როდესაცადამიანებს შეუცვლიათ მიღებული გადაწყვეტილება სიტყვიერი ზემოქმედების/დამარწმუნებელი ტექსტის მოსმენის შედეგად(მაგალითები პირადი გამოცდილებიდან, წაკითხულიდან/ნანახიდან, გაგონილიდან). სტუდენტები იხსენებენ ამგვარ შემთხვევებს და ხსნიან, კონკრეტულად, რატომიქონია ასეთი ძლიერი ზეგავლენა ნათქვამამსმენელზე; რომელ სფეროს მიემართებოდა ნათქვამი („დამარწმუნებელი სამკუთხედის“ მიხედვით).



ამის შემდეგ მასწავლებელი დაურიგებს სტუდენტებს სამუშაო ფურცლებს, რომელზედაც ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „გლახის ნაამბობი“ ფრაგმენტის ტექსტია წარმოდგენილი. (იხ. დანართი) და დაამუშავებინებს მასალას (მართული კითხვის ფორმატში). შემდეგ სტუდენტები შეუდგებიან სამუშაო ფურცლებზე მოცემული დავალებების შესრულებას.

## გლახის ნაამბობი

(ფრაგმენტი)

- წაკითხეთ ფრაგმენტი ილია ჭავჭავაძის მოთხრობიდან „გლახის ნაამბობი“, რომელშიც გადმოცემულია ახალგაზრდა მღვდლის საუბარი გლეხ პეტრესთან. ამბის მოთხრობელია გაბრიელი, რომელიც ამ საუბრის დროს 14-15 წლის ბიჭი იყო.
- ტექსტის წაკითხვის შემდეგ უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს.

მღვდელი შუაში იდგა, ხალხი ბუზსავით ირეოდამისგარშემო. ზოგის ელაპარაკებოდა, ზოგიც დაუზარებლად პასუხს აძლევდა, ზოგი გაეხუმრებოდა, ზოგს თვითონაც გაუხუმრებდა დამაშინუნდაგენახათგულიანი ხარხარიერისა. ზოგი კი დევსულგანაბულიშესცქეროდა, თითქო დაჯერებულიაო<sup>2</sup>, იმისპირიდან ოქროგადმოვარდება, დაშიშობს, ხელიდან არწამივიდესო. ბევრისიკეთეუნდადაეთესოსკაცსა, რომელსაც გერესიყვარულითგარსართყიახალხი! კაციცისარის, შენიჭირიმე, დაქუდიციმასაჰხურავს. ალბათ, კაიკაცსაცთაფლიაცხია, რომდიდიდაპატარაბუზსავითზედებევია!.. დედამიწისზურგსბევრიარუტარებიაიმისთანა. სწორედკაცსრომწყალიმოსწყურდება, ისემომწყურდაიმისსიტყვებისგაგება. გადავიხარეთავი, რომდამენახადაგამეგორამე. წინედგაერთიპატარაბიჭითავჩაღუნული.

<sup>2</sup>თითქო დაჯერებულიაო - თითქოს სჯერა.

— ყველა, ყველადა, შენ რატომ ჩემთან აღარ დადიხარ? — უბრძანა<sup>3</sup> მღვდელმა, — მოგწყინდა განა, შეცუღლულუტო<sup>4</sup>, წიგნისკითხვა?

— მერავიცი? — უთხრა ბიჭმა, — მამა ჩემი არ მიშვებს. — მღვდელი თითქოს შეკრთაო, ისე წყინა ეს პასუხი.

— რატომ არ გიშვებს?

— გეყოფა, რაც ისწავლეო, — მეუბნება.

— აქ ხომ არ არის მამა შენი?

— აი, იქითაზის.

— აბა, აქ დაუძახე.

პატარა ბიჭი ციბრუტი ვით მოტრიალდა და გაიქცა მამის დასაძახებლად.

— ვერ უყურებ თაქტრეს!.. — თქვა თავის-თავად<sup>5</sup> მღვდელმა და ჩაფიქრდა...

— ეგ არის და!.. — დაიძახა ვიღაცამ, — ავიძალადი არც თვითონ ასჭამს, არც სხვას აჭმევსო.

ხალხმა გაიცინა, მღვდელსაც დიმილი მოერია, მაგრამ მარდად შეიკავასიცილი.

— მამას არ უსწავლია და პაპას, შვილს რა დასწავლის? — თქვა მეორემ, — შეჩვეული ჭირი ურჩევნიამაგის თანა თავხედ კაცსა შეუჩვევარ ზნისა.

---

<sup>3</sup>უბრძანა - უთხრა.

<sup>4</sup>ცუღლულუტი - ცელქი, ონავარი.

<sup>5</sup>ციბრუტი - მშვილდის სატრიალე ბლიანი ბურღი.

<sup>6</sup>თავის-თავად - თავისთვის.

— გონიერსამწვრთნელი<sup>7</sup>უყვარს, უგუნურსაგულსაჰგმირდესო<sup>8</sup>, — მაგისთანაკაცზე არისნათქვამი, — წამოიძახამესამემ.

იქნებაკიდევბევრიელაზღანდარათ<sup>9</sup>, რომთვეითონპეტრეარმოსწრებოდათ.

— კაცო! — უბრძანამღვდელმა, — მართალია, შენს შვილსშენუშლისწავლასა?

— მართალიგახლავთ. რამაგისსაქმეა? არაშეჯდამწყერიხესა, არაიყოგვარიმისი, შენიჭირიმე! — უპასუხათამამადაპეტრემ.

—როგორთუარაიყოგვარიმისი?

— ესე, შენიჭირიმე! ჩვენგლებკაცებსგვეძახიან, დღედაღამოფლიუნდავიწუროთდაპურიისევჭამოთ. ღმერთსეგრეუბრძანებია: „ოფლითათქვენითამოიპოვეთპურიითქვენიო“.

ესღვთისბრძანებამარტოჩვენდაგვაწვაკისერზედავეწვევითკიდევ.

წიგნირაჩვენისაქმეა? ისჩვენდამშეულკუჭსვერგავვიძღობს. ჩვენიწიგნიდედამიწაა, ვენაცვალეიმისმაღლს!

როცადედამიწასმწვანებავერდსავითჯეჯილის<sup>10</sup>ყდაგადაეკვრება, მაშინიმაზედავიტხულობთჩვენსბედსაცა.

ჩვენიკალამიდაულაღავიგუთანია, მეღანკიდევგულ-ღვიძლიდან გამოწურულიჩვენიოფლია. ამოვანებთოფლშიგუთანსა,

გადვუხსნითხოლმედედამიწასმაღლიანგულსა, ჩავაყრითშიგთესლსა, როცადრომოვა — მივალთ —

დაისდალოცვილიმიწათავისდღეშიარდაიღლება, ისეარგაძუნწდება, რომმიბარებულიერთი-ორადმანცარდაგვიბრუნოს.

ტყუილადკიარეძახიანმიწას: „დედაო“, ისგვაწოვებსჩვენძუძუს, იმასდავხართდღედაღამ, ჩვენიჭირიცდალხინიცისარის,

შენიკვენესამე! წიგნიკარგია, ვინარიცის? ბევრიცსხვარამეაკარგიაძვეყანაზე, ჩვენიქამდინხელიარმიგვიწვდება... გაგიბედავთ,

შენიჭირიმე, დაგეტყვით, ჯერკუჭიუნდაგავიძლოთ, კუჭი!.. ჩვენითავდაპირველიგულისტკივილიესარის!..

— მართალსამბობს, მედაჩემმადმერთმა, — გაიხმაურახალხმა, რომელიცწუთისწინათ ისეთავხედადდასცინოდაპეტრესა.

— რასბძანებთ?.. — წამოიძახახალხისხმითგულგაკეთებულმა<sup>11</sup>პეტრემ, — წელშივერგავსწორებულვართ, პირუტყვისავითმალავერაგვიხედია, სულდედამიწასდავყურებთ, თითქოს ჩვენიბედიქდაკარგულადავეძებთო, ვინჩვენდავინწიგნი!..

<sup>7</sup>მწვრთნელი - ის, ვინც ასწავლის, წვრთნის.

<sup>8</sup>გულსა ჰგმირდეს - გულს უკლავდეს.

<sup>9</sup>ლაზღანდარობა - ხუმრობა.

<sup>10</sup>ჯეჯილი - პურეულის (ხორბლის, ქერის) აღმონაცენი.

<sup>11</sup>გულგაკეთებული - დაიმედებული, გამხნეებული.

— მემესმის, ჭკვიანოპეტრევ, შენიგულისვითარება, — უბრძანადღონებითმღვდელმა, — მემოზიარევარშენი გულისტკივილისა!..  
შენგუთანიგირჩევნიაწიგნსა, იმიტომრომშენგუთანიდღესპურსგაჭმევს.

— მართალიბძანებაა, შენიჭირიმე, — მიუგოპეტრემ.

— ეხლაშენერთიესმითხარ: რომარგცოდნოდა, რომცეცხლშირკინარბილდება, საიდან გააკეთებდიბარ-საკვეთს, ცულსა, ეჩოსა<sup>12</sup>,  
რომლითაცგუთნისხესასთლი? რომარგცოდნოდა, რომეგრეუნდაგამოყვანაგუთანსა, რითმოხნავდიმიწასა? რომარგცოდნოდა,  
რომელმიწასროგორუნდამოხვნა, — ღრმადჩაშვებაბარ-საკვეთისა, თუთხლად, — რაგეშველებოდა?

— შენიმტერიიქნებოდა, მევიქნებოდი.

— საიდან იციესყველაფერი?

— როგორთუსაიდან?.. მამა-პაპით, შენიჭირიმე! მაღლობადმერთსა, თვალიმქონია — მინახავს, ყურიმქონია — მსმენია.  
გულისყურიმქონია — მიხვდერილვარ, ხსოვნამქონია, გონებაშიჩამრჩენია.

— რაცგინახავს, გსმენია, მიხვდერილხარ, გონებაშიჩაგრჩენია, — ამასსულერთიანადრასემახი?

პეტრეჯერჩაფიქრდა, თითქოს არიცის, რასთქვასო, მერეკისეჭოჭმანობით<sup>13</sup>წამოიძახა:

— რავიცი, შენიჭირიმე, რასვემახი.

— მაინც?

— ჩემს გამოცდილებას, ჭირნახულობას, ჩემს ცოდნასა, შენიჭირიმე!

— კუჭსგიძღობსეგშენიცოდნა?

<sup>12</sup>ეჩო - ხის სათლელი იარაღი.

<sup>13</sup>ჭოჭმანობით - დაეჭვებით, ყოყმანით.

— მაგასრალაპასუხიუნდა, შენიკვენესამე? თვითონშენკარგადიცი, რომუმაგისოდწყალშიგადასაგდებივიქნებოდი.

— ეხლართიესმითხარკიდევ: რამდენიშენზე უფრომცოდნეკაციაქვეყანაზე?

— რავიცი, შედალოცვილო? მგონი, თავზე იმოდენიბალანიც<sup>14</sup>არამქონდეს: მჯობსმჯობიარდაელევა.

— იმმცოდნეკაცებისჭირნახულობა, გამოცდილება, ცოდნარომშენსასზედდაემატოს, — კარგიარიქნება? უფროადვილადარგაიდობკუჭს, უფროცოტაოფლითბევრსარმოიძვი?

— ღვთისწყალობაგქონდეთ, რომკარგისიქნება, მაგრამხათაბალა<sup>15</sup>ესარის, რომთვალიიმათამდინარმიმიწვდებადაყური. საიდან სადაო, წმინდაოსაბაო: ამოდენადედამიწისზურგზე სადვემებომეისინი, რომგამოვკითხორამე?

— მერომგაჩვენოიმისთანარამ, რომმთელი ქვეყნისოსტატობა, ჭკვიანი კაცებისნაცადი, ცოდნა, თუმოინდომებ, სულმუდამხელთაგქონდეს, ერთისიტყვით, რომელჭკვიანკაცთანაცგინდა, შორიდანვეგაგალაპარაკო, — რასიტყვი?

— იმასვიტყვი, რასაცმთელიქვეყანამბობს: ეგხომისნობა<sup>16</sup>იქნება.

— აბამაგისთანამისანიაწიგნი.

მერომესგავიგონე, სწორედმოგახსენოთ, თავიდან ფეხებამდინჟრჟოლამგამიარა, არვიციკირად. ესკვიცი, რომჩემგარდასხვასაცეგდაემართა: ხალხს, თითქოს მზემდაჰკრაო, სახეგაუნათლდა. პეტრეკისესახტადთვალებდაჰყეტილიდარჩა, თითქოს თავბრუდაესხაო. ისეატაცებულსავითდიდხანსიქნებოდა, რომმღვდლისსიტყვებსარგამოეფხიზლებინა.

— ეხლარასიტყვი, წიგნიგიშველისრამეს, თუარა?

— ნებამომეცი, — უთხრაგულამომჯდარმაპეტრემ, — ეგმუხლებიგადაგიკოცნო. ჩემიტურჩებიბევრჯერმიჰკარებიასხვისმუხლსადაშენისთანასკიარცერთხელ.

---

<sup>14</sup>ბალანი - აქ: თმა.

<sup>15</sup>ხათაბალა - უბედურება, დავიდარაბა.

<sup>16</sup>მისნობა - მკითხაობა, ჯადოქრობა, გულთმისნობა. მისანი - მკითხავი, გულთმისანი.

მღვდელმთარმიუშვამუხლებამდინ.

მაშინპეტრემპირნათლადშეხედადაგონებაგახარებულმაწამოიძახა:

— დაილოცაშენიენისპირწყლიანობა<sup>17</sup>!.. ღმერთიმალლიდან გიყურებს, შეღვთისაგანკურთხეულადამიანო, რომმესულისწაწყმედისაგანდამიხსენ. წელანგელაპარაკებოდიბრმა; შვილისცოდვაშვიდგებოდი, ეხლა, შენი მადლიანი ენითთვალხილული, გეუბნები: ისმამაშვილისდამღუპავიყოფილა, რომელსაცშენისთანადვთისკაციგამოუჩნდებაშვილისგასაწურთვნელადდაარგაწურთვნიებს. ნუშეჯდებამწყერიხესა, ნუიქნებაგვარიმისი, ჩემმაშვილმაკიწიგნიუნდაიცოდეს, შენიჭირიმე!.. მომეციხელი, შენიკვნესამე!.. ერთიგემთხვიო!..

გულმოლობილი<sup>18</sup>პეტრემივარდახელზე საკოცნელად, მღვდელმააკურთხადაარამთხვევინაკი.

— მაშდამილოცემაინცმამისერთაშვილი! — უთხრაპეტრემდაშვილიწინწამოაყენა. მღვდელმააკურთხაისბავშვიდათავზე აკოცაგაღიმებულმა.

— შვილო! ესდღედაიხსომე, — უთხრაშვილს პეტრემ, — ესდღემედაშენთვისმზიანიდღეა.

მღვდელიაირია, ვნახე, რომმოენამათვალეებიცა<sup>19</sup>. უეცრადმოაშორათვალეიგულამომჯდარპეტრესდამისთავკალუნულშვილსა. თითქოსთავისიგულისმადლიანობაუნდადაუმალოსმამასაცდაშვილსაცაო.

### კითხვები

**1. პირველი აბზაცის მიხედვით, როგორია ხალხის დამოკიდებულება მღვდლის მიმართ? (ამოიწერეთ შესაბამისი წინადადებები)**

<sup>17</sup>პირწყლიანობა - კარგად ლაპარაკი.

<sup>18</sup>გულმოლობილი - გულაჩუყებული.

<sup>19</sup>თვალეები მოენამა - თვალეებზე ცრემლი მოადგა.

ხალხი ბუხსავით ირეოდა მისგან შიშით. ზოგის ელაპარაკებოდა, ზოგიც დაუზარებლად პასუხს აძლევდა, ზოგი გაეხუმრებოდა, ზოგს თვითონაც გაუხუმრებდა და მაშინ უნდა გენახათ გულიანი ხარხარიერისა. ზოგი კი დევს ულგანაბული მესცქეროდა, თითქო დაჯერებულ იყო<sup>20</sup>, იმის პირიდან ოქრო გადმოვარდება, და შიშობს, ხელიდან არ წამოვიდესო.

## **2. ხალხის დამოკიდებულებაზე დაყრდნობით, რას დაასკვნის გაბრიელი მღვდლის შესახებ? (ამოიწერეთ შესაბამისი წინადადება).**

ბევრისი კეთეუნი და დაეთესოს კაცსა, რომელსაც ეგრესი ყვარულით გარსარტყია ხალხი!

## **3. ამოიწერეთ წინადადებები, რომლებშიც მოცემულია ინფორმაცია მთხრობელის შესახებ.**

ესაა წინადადებები, რომლებშიც გამოყენებული პირველი პირის ზმნური და ნაცვალსახელოური ფორმები, კერძოდ:

- „სწორედ კაცს რომ წყალი მოსწყურდება, ის ემომწყურდამის სიტყვების გაგება. გადავიხარეთავი, რომ დამენახა და გამეღრამე“.
- „მერომესგავიგონე, სწორედ მოგახსენოთ, თავიდან ფეხებამდინ ჟოლამ გამიარა, არვიცდკირად. ესკვიცი, რომ ჩემგარდასხვასაც ვედაემართა“
- „მღვდელია ირია, ვნახე, რომ მოენამათვალებიცა“.

## **4. რა სიტყვებით იწყებს მღვდელი პეტრესთან საუბარს? თქვენი აზრით, რატომ?**

მღვდელი იზიარებს პეტრეს გულისტკივილს და ამით საერთო ნიადაგს გამოძებნის (მოლაპარაკების წარმოების სტრატეგია): თავდაპირველად ეთანხმება პეტრეს, ამბობს, რომ პეტრეს ქმედებას (შვილს სწავლას არ ანებებს) ლოგიკური მიზეზი აქვს (მიმართვისას „ჭკვიანს“ უწოდებს პეტრეს). მეტიც, უფრო მკაფიოდ აყალიბებს პეტრეს აზრს, იზიარებს მის გულისტკივილს: „მემესმის, ჭკვიანო პეტრევ, შენი გულისვითარება, — უბძანა და ღონებით მღვდელმა, — მემოზიარე ვარშენის გულის-ტკივილისა!.. შენგუთანი გირჩევიან წიგნსა იმიტომ, რომ შენგუთანი დღეს პურს გაჭმევს“.

<sup>20</sup> თითქო დაჯერებულ იყო - თითქოს სჯერა.

5. გაიხსენეთ რიტორიკულ სამკუთხედზე გამოსახული სამი სფერო (სარწმუნოება, ემოცია, ლოგიკა) დაშეავსეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი: მიუთითეთ, რა სახის არგუმენტები მოჰყავს პეტრეს თავისი ნათქვამის დასადასტურებლად (II სვეტი) და რომელ სფეროს მიემართება მისი არგუმენტი (III სვეტი)

პეტრეს არგუმენტაცია	არგუმენტის სახე, რაობა	სფერო
1. რამაგისსაქმეა? „არაშეჯდამწყერიხესა, არაიყოგვარიმისი“	ხალხური ანდაზა	სარწმუნოება
2. ჩვენგლებკაცებსგვეძახიან, დღედაღამოფლიუნდავიწუროთდაპურიისევქამოთ. ღმერთსეგრეუბრძანებია: „ოფლითათქვენითამოიპოვეთპურიტქვენიო“.	ბიბლია	სარწმუნოება

*შენიშვნა: ამ დავალების შესრულების შემდეგ მასწავლებელს შეუძლია სტუდენტებს დამატებით შესთავაზოს კიდევ ერთხელ გადაავლონ თვალი ფრაგმენტის დასაწყისს და დააკვირდნენ ხალხის მეტყველებას. კითხვა: რა მსგავსებაა ხალხის საუბარსა და პეტრეს საუბარს შორის?*

*ხალხიც პეტრეს მსგავსად ლაპარაკობს - იყენებს მამა-პაპისგან ზეპირი გზით შეთვისებულ ანდაზებს, ბრძნულ გამონათქვამებს: „ავი ძაღლი არც თვითონა სჭამს, არც სხვას აჭმევსო“; „შეჩვეული ჭირი ურჩევნია შეჩვეულ ლხინსო“; „გონიერსა მწვრთნელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდესო“.*

**6. პეტრე ამბობს:** „ჩვენიწიგნიდედამიწაა ... ჩვენიკალამიდაულაღავიგუთანია“.

მიუთითეთ, რომელი მხატვრული ხერხებია გამოყენებული პეტრეს ნათქვამში?



ა) ჰიპერბოლა და ეპითეტი;

**ბ) მეტაფორა და ეპითეტი;**

გ) შედარება და მეტაფორა;

დ) შედარება და ჰიპერბოლა.

7. წაიკითხეთ პერსონაჟ პეტრეს სიტყვები და ქმედებები და მიუთითეთ, როგორია ეს პერსონაჟი (შემოხაზეთ სწორი ვარიანტი).

*პეტრეს სიტყვები*

*როგორია პეტრე?*

1. სწავლა რამაგისსაქმეა? არაშეჯდამწყერხესა,  
არაიყოგვარიმისი, შენიჭირიმე!

2. წიგნი რა ჩვენი საქმეა? ის ჩვენ დამშეულ კუჭს  
ვერ გაგვიძღობს.

3. ჩვენიკალამიდაულალავიგუთანია, მელანიკიდევ  
გულ-ღვიძლიდან გამოწურულიჩვენიოფლია.

○ ტრადიციულიშეხედულებებისაა

○ ზოგადად, სწავლისადმიუარყოფითი  
დამოკიდებულება აქვს.

○ უზრუნველია

*პეტრეს ქმედებები*

**8. პეტრესთან საუბრისას მღვდელსმაგალითები მოჰყავს ყოველდღიური ყოფა-ცხოვრებიდან. როგორ ფიქრობთ, რატომ?**

მღვდელს მოჰყავს კონკრეტული მაგალითები იმ სფეროდან, რომელიც გლეხმა პეტრემ ყველაზე უკეთ იცის - ესაა გლეხკაცის ყოველდღიური შრომითი საქმიანობა - შრომის იარაღების კეთება, ხვნა-თესვა.

ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ მღვდელი ითვალისწინებს თავისი მსმენელის - პეტრეს ცოდნა-გამოცდილებას და ამ გზით ეხმარება პეტრეს აზრის გაგებაში. ეს მაგალითები გასაგებია ასევე სხვა მსმენელებისთვისაც - უბრალო ხალხისთვის, რომელიც ესწრება მღვდლისა და პეტრეს გასაუბრებას.

**9. მღვდელი პეტრეს ამ სიტყვებით მიმართავს: „იმცოდნეკაცებისჭირნახულობა, გამოცდილება, ცოდნარომშენსასწუედდაემატოს, — კარგიარიქნება? უფროადვილადარგაიდლობკუქს, უფროცოტაოფლითბევრსარმოიძკი?“.**  
**რის თქმა სურს ამით მღვდელს?**

*ადამიანი უკეთ იცხოვრებს, თუკი:*

- ა) მხოლოდ წიგნებიდან მიღებულ ცოდნას გამოიყენებს;
- ბ) პრაქტიკულ ცოდნას გააღრმავებს წიგნებიდან მიღებული ცოდნით;
- გ) მხოლოდ პრაქტიკულ ცოდნას გამოიყენებს;
- დ) პრაქტიკულ ცოდნასა და წიგნებიდან მიღებულ ცოდნას ერთმანეთში არ აურევს.

10. რა გავლენა მოახდინა მსმენელებზე მღვდლის სიტყვებმა? ამოიწერეთ წინადადებები, რომლებშიც ასახულია იქ მყოფთა რეაქცია.

**პეტრე:**

აპეტრე გაოგნდა, ლაპარაკის უნარი დაკარგა:

„პეტრეკისესახტადთვალეზდაჭყეტილიდარჩა, თითქოთავბრუდაესხაო. ისეატაცებულსავითდიდხანსიქნებოდა, რომმღვდლისსიტყვებსარგამოეფხიზლებინათ“.

ბპეტრეს სურს გამოხატოს უდიდესი მადლიერება:

ნებამომეცი, — უთხრაგულამომჯდარმაპეტრემ, — ეგმუხლებიგადაგიკოცნო. ჩემიტუჩებივერჯერმიჰკარებიასხვისმუხლსადაშენისთანასკიარცერთხელ.

გპეტრე მიხვდა თავის შეცდომას და გულახდილად აღიარებს ამას.

„სულისწაწყმედისაგანდამიხსენ. წელანგელაპარაკებოდირმა; შვილისცოდვაშივდებოდი. ეხლა, შენისმადლიანიენითვალხილული, გეუბნები: ისმამაშვილისდამლუპავიყოფილა, რომელსაცშენისთანაღვთისკაციგამოუჩნდებაშვილისგასაწურთვნელადდაარგააწურთვნიებს“.

**ხალხი:** ყველას შეეცვალა გამომეტყველება: „ხალხს, თითქომზემდაჰკრაო, სახეგაუნათლდა“.

**გაბრიელი:** გაბრიელში ძლიერი ემოციები გამოიწვია (ემოციური მღელვარება):



„მერომესგავიგონე, სწორედმოგახსენოთ, თავიდამფეხებამდინჯრჟოლამგამიარა, არვიციკირად“.

11. რა ცვლილება განიცადა პეტრემ?

როგორ შეიცვალა პეტრე ბოლოს?

რატომ შეიცვალა?





## 12. როგორ დაახასიათებთ პეტრეს?

პეტრე საკმაოდ თავდაჯერებული კაცია - თამამად ელაპარაკება მღვდელს და მოჰყავს დამაჯერებელი არგუმენტები თავისი პოზიციის დასაცავად. იგი ტრადიციული შეხედულებების კაცია - თვლის, რომ გლეხკაცის საქმე ხვნა-თესვა, ფიზიკური შრომაა და არა სწავლა. მისი სიტყვებით, მამა-პაპისგან ნასწავლ ცოდნას საკუთარი გამოცდილების საფუძველზე ნასწავლიც დაუმატა და თვლის, რომ ეს გლეხისთვის სრულიად საკმარისია. რადგან წერა-კითხვის ცოდნა კუჭს ვერ გაუძღობს გლეხკაცს, მიაჩნია, რომ მისმა შვილმა სწავლაზე დრო არ უნდა დაკარგოს. მიუხედავად ამისა, მღვდლის საუბრის მოსმენის შემდეგ პეტრემ გადაწვიტა, რომ შვილს გააგრძელებინოს სწავლა. ეს მიგვითითებს პეტრეს გონიერებაზე: მას შეუძლია სხვისი არგუმენტების გააზრება- შეფასება და, საჭიროების შემთხვევაში, შეცდომის აღიარება და გამოსწორება. მღვდლის საუბრის მოსმენის შედეგად პეტრე მიხვდება, რომ მხოლოდ „ჭირნახულობა, გამოცდილება, ცოდნა“ საკმარისი არ არის, სწავლა იმითი ყოფილა კარგი, რომ „ცოტა ოფლით“ შეიძლება მეტს მიაღწიო

პეტრე ახლებურადგაიაზრებს მამაპაპეულ ცოდნას, რომელიც მას, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, დაბრკოლებად ეღობებოდა(მღრ. პეტრეს სიტყვები: „ნუ შეჯდება მწყერი ხესა...მაგრამ ჩემმა შვილმა წიგნი უნდა იცოდეს“).

პეტრე გაოგნებულია იმით, რომ ახალი შესაძლებლობები დაინახა, ახალი ჰორიზონტი გადაეშალა თავაღწინ (გონებაგახარებულია). სწორედ ამიტომ უწოდებს იგი მღვდელთან საუბრის დღეს „მზიან დღეს“.

13. წაკითხეთ ფრაგმენტები ი. ჭავჭავაძის ორი თხზულებიდან. ესენია: „გლახის ნამზობი“ და „სიტყვა წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე“ (1883 წ.).

პირველ სვეტში მოყვანილია ხალხის რეაქცია მღვდლის საუბარზე, ასევე პეტრეს სიტყვები, რომლებითაც ის მღვდელთან გასაუბრების შემდეგ აღტაცებით მიმართავს მღვდელსა და თავის შვილს. მეორე სვეტში მოყვანილია ილიას მოსაზრებები, რომლებიც მან გამოხატა წინამძღვრიანთკარის სკოლის გახსნაზე წარმოთქმულ საჯარო სიტყვაში. დააკვირდით ხაზგასმულ სიტყვებს და ისაუბრეთ, ცოდნასთან მიმართების თვალსაზრისით, რა საერთოა ამ ორ ტექსტს შორის.

I. გლახის ნამზობი	II. წინამძღვრიანთკარის სიტყვა
1. „ხალხს, თითქოს <u>მზემდაჰკრაო, სახეგაუნათლდა</u> “	1. „ცოდნა <u>ანთებულ სანთელს ჰგავს</u> . ერთი სანთლით შეგიძლია ათას სხვა სანთელს მოუკიდო. ამით სანთელს არც ალი დააკლდება, არც სინათლე. პირიქით, იმატებს კიდევ, რადგანაც ერთის მაგივრად ათასი სხვა სანთელი იმასთან ერთად დაიწყებს ლაპლაჰს“.
2. „მაშინპეტრემპირნათლადშეხედადა <u>გონებაგახარებულმაწამოიძახა</u> : ... <u>წელანგელაპარაკებოდიბრმა</u> ; შვილის <u>ცოდვაშივდებოდი</u> . <u>ეხლა, შენი მადლიანი ენითთვალხილული, გეუბნები</u> ...“	2. „აი, ეს არის <u>სასიხარულო სანთელი</u> , რომლის <u>სინათლევც</u> მტერს დააფრთხობს და მოყვარეს გაახარებს და რომელსაც ცოდნა

4. „შვილო! ესდღედაიხსომე, — უთხრაშვილს პეტრემ, — ესდღემედაშენთვის მზიანიდღეა“.

ჰქვია“.

დასკვნა

პერსონაჟი პეტრე იყენებს სიტყვებს, რომელიც ნათელთან, თვალის სინათლესთან, სიხარულთან არის დაკავშირებული: „ბრმა“, „თვალახილული“, „მზიანი“, ხალხის გამომეტყველებაც მზის ნათელთან არის შედარებული; პეტრე, რომელმაც ახალი ცოდნა მიიღო (გააცნობიერა წიგნის მნიშვნელობა), გონებაგახარებულია.

წინამძღვრინათკარის სამეურნეოს სკოლის გახსნაზე წარმოთქმულ სიტყვაში ილია ჭავჭავაძე ცოდნას ადარებს ანთებულ სანთელს, უწოდებს სასიხარულო სანთელს.

ამდენად, ორივე ტექსტში ცოდნა დაკავშირებულია ნათელთან, სინათლესთან და სიხარულთან (ანალოგია სიტყვა „განათლება“).



ფრაგმენტის კითხვისას მასწავლებელს გაამახილებს მოსწავლეთა ყურადღებას შემდეგ ენობრივსაკითხებზე:

- დიალოგების მართლწერა (იხ. დ. თვალთვამე, დასახ. წიგნი, გვ. 300-301).
- შორისდებულები და მათი მართლწერა (შენიჭირიმე! შენიკვნესამე!) (იხ. დ. თვალთვამე, დასახ. წიგნი, გვ. 275-276).
- ერთცნებიანი კომპოზიტები და მათი მართლწერა: გულამომჯდარი, გულგაკეთებული, გონებაგახარებული, პირწყლიანობა (იხ. დ. თვალთვამე, დასახ. წიგნი, გვ. 65-70).

### იდევნი დამატებითი აქტივობებისთვის

- როლური კითხვა: სტუდენტები გაინაწილებენ პერსონაჟებს და კითხულობენ ტექსტს სათანადო ინტონაციით;
- ინსცენირება: (სტუდენტები გაითამაშებენ სცენას).
- „პერსონაჟის“ სკამი (იხ. თავი 2, აქტივობა # 2). ფრაგმენტის წაკითხვის შემდეგ კითხვების დასასმელად შესაძლებელია შეირჩეს პატარა ბიჭი - პეტრეს შვილი (შესაძლო კითხვები: რა იგრძენი, როდესაც მამამ მღვდელთან სიარული აგიკრძალა? პირადად შენზე რა შთაბეჭდილება მოახდინა მღვდლის სიტყვებმა? რამდენად შეიცვალა შენი მდგომარეობა ოჯახში/შეგიქმნეს თუ არა სწავლისთვის უკეთესი პირობები მღვდელთან ლაპარაკის მერე (მაგ., გაგათავისუფლეს საოჯახო სამუშაოებისგან)? აპირებ თუ არა სწავლის გაგრძელებას მომავალში? რატომ? მღვდლისა და მამაშენის საუბარს სხვებიც ისმენდნენ. გაიზარდა თუ არა

მღვდლის მოსწავლეების რიცხვი/სხვა მშობლებმაც ხომ არ მიიყვანეს თავიანთი შვილები სასწავლებლად? და ა.შ.).

- დისკუსია: დისკუსიის მოწყობა შემდეგ საკითხზე: ამ ანდაზაში გამოთქმული აზრია არასწორი, თუ პეტრე იყენებდა არასწორად? (შეუფერებელ სიტუაციაში). დასახელება შესაფერისი სიტუაციებისა, როდესაც ეს გამონათქვამი ჭეშმარიტი იქნება. არსებობს თუ არა ისეთი გამონათქვამი, აზრი, რომელიც ჭეშმარიტი იქნება ყველა შემთხვევაში? (მაგალითების გახსენება და დასახელება).

### **აქტივობა 3. ამოვიცნოთ დარწმუნების ხერხები**

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა ემსახურება ფუნქციური/მიზნობრივი ტექსტების შედგენის უნარების განვითარებას; ხელს უწყობს ანალიტიკური აზროვნების, ასევე დარწმუნების სტრატეგიების ამოცნობა-გამოყენების უნარების განვითარებას სარეკლამო ტექსტების გაანალიზებისა და შექმნის გზით. აქტივობა განავითარებს წიგნიერებისა და მედიაწიგნიერების, უნარებს, სტიმულს აძლევს დარგობრივი ლექსიკის ათვისებას. აქტივობა ტარდება 4 ეტაპად.

**აქტივობის მიზნები:**

- ანალიზის უნარის განვითარება;
- დარწმუნების სტრატეგიების ამოცნობისა და გამოყენების უნარების განვითარება;
- მოდელის მიხედვით ფუნქციური ტექსტის შექმნის უნარის განვითარება;
- წერიტი მეტყველების უნარების განვითარება;
- წიგნიერებისა და მედიაწიგნიერების უნარის განვითარება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** მთელი ჯგუფის მონაწილეობით (III ეტაპი), ინდივიდუალური (IV ეტაპი).

**რესურსები:** წინასწარ შერჩეული სარეკლამო ტექსტი, საწერი ბარათები, დაფა, ცარცი/მარკერი, საწერი კალამი, რვეული (შესაძლებელია ასევე ლეპტოპი, პროექტორი - იხ. მეთოდური მითითება).



### აქტივობის აღწერა:

I ეტაპი - მასწავლებელი გაესაუბრება სტუდენტებს რეკლამებზე, სარეკლამო ტექსტებზე, ზეპირად გამოჰკითხავს მათი საყვარელი/მათთვის საინტერესო რეკლამების შესახებ; დაინტერესდება, რატომ მოსწონს ამა თუ იმ სტუდენტს კონკრეტული რეკლამა, ესმის თუ არა მისი გზავნილი (მაგ., ვიყიდოთ ესა თუ ის პროდუქცია, მატერიალურად დავეხმაროთ ამა თუ იმ წამოწყებას/ორგანიზაციას; გავხდეთ ამა თუ იმ საზოგადოების/ასოციაციის წევრები, გამოვხატოთ ჩვენი პოზიცია კონკრეტულ საკითხზე და სხვ.). საუბარს მასწავლებელი წარმართავს იქითკენ, რომ სტუდენტებმა გააცნობიერონ სარეკლამო ტექსტების მთავარი მიზანი - აუდიტორიაზე ზეგავლენის მოხდენა. სარეკლამო ტექსტის ამოცანაა, დაარწმუნოს აუდიტორია იმაში, რომ აუცილებელია/კარგია/სასარგებლოა რაიმე კონკრეტული ქმედების განხორციელება. მაგ., მკითხველის / მსმენელის / მაყურებლის დარწმუნება იმაში, რომ იყიდონ კონკრეტული ნივთი, ხმა მისცენ კონკრეტულ კანდიდატს, დაეხმარონ კონკრეტულ ადამიანს და სხვ. რეკლამამ უნდა დაარწმუნოს ადამიანები, რომ თუკი გააკეთებენ იმას, რისკენაც რეკლამა მოგვიწოდებს, მათი ცხოვრების პირობები გაუმჯობესდება, ისინი უფრო ჯანმრთელნი (ლამაზი) იქნებიან, მიიღებენ სიამოვნებას, მიაღწევენ წარმატებას და სხვ.

მასწავლებელი სტუდენტების ყურადღებას გაამახვილებს აგრეთვე სარეკლამო ტექსტების ერთ-ერთ უმთავრეს მახასიათებელზე - ლაკონიურობაზე. გრძელ, არასაჭირო დეტალებით გადატვირთულ სარეკლამო ტექსტს ადამიანის გონება ცუდად აღიქვამს. ამგვარად, ასეთი რეკლამა მიზანს ვერ მიაღწევს. ამას გარდა, აუცილებელია, რომ მთავარი სარეკლამო გზავნილი ცხადად, ნათლად იყოს ფორმულირებული. დაბოლოს,

II ეტაპი - მასწავლებელი შეახსენებს სტუდენტებს დარწმუნების სტრატეგიებს(იხ. ზემოთ, აქტივობა „დარწმუნებისსამკუთხედი“).

ამის შემდეგ მასწავლებელი გააცნობს სტუდენტებს წინასწარ შერჩეულ მოკლე სარეკლამო ტექსტს - წაიკითხავს მას ხმამაღლა, შემდეგ დაწერს დაფაზე ან დაურიგებს სტუდენტებს წინასწარ მომზადებულ სამუშაო ფურცლებს, რომლებზედაც ეს ტექსტია დაწერილი. სასურველია, შეირჩეს იმგვარი ტექსტი, რომელშიც დარწმუნების სამივე ხერხია (ემოცია, სარწმუნოობა, ლოგიკა) გამოყენებული.

ქვემოთ გთავაზობთ სარეკლამო ტექსტის კონკრეტულ ნიმუშს თანამდევი დავალებებით (სტუდენტებისთვის განკუთვნილი სამუშაო ფურცლები იხ. დანართში).

სამუშაო ფურცელი.

„ცნობილი საერთაშორისო ფარმაცევტული კომპანია „ABC“ წარმოგიდგენთ ნამდვილ სიახლეს სტომატოლოგიაში - კბილის პასტას „ალუბლიკოს“!!! „ალუბლიკო“ შექმნილია უნიკალური ტექნოლოგიით - ბუნებრივი პროდუქტს გამოყენებით. ალუბლის ნატურალურ წვენიზე დამზადებული კბილის პასტა გაგრძნობინებთ ალუბლის - ამ უგემრიელესი ხილის სასიამოვნო არომატსა და გემოს, ხოლო C და A ვიტამინი, რომლებითაც მდიდარია ალუბალი, საიმედოდ დაიცავს თქვენს ღრძილებს სისხლნაკლებობისაგან. გამოიყენეთ „ალუბლიკო“, რათა დატკბეთ ზაფხულის არომატით და გაიღიმოთ ყოველთვის თამამად.

„ალუბლიკო“ - სერტიფიცირებულია საქართველოს სტომატოლოგთა კავშირის მიერ“.

III ეტაპი - შეთავაზებულ სარეკლამო ტექსტს მასწავლებელი სტუდენტების თანამონაწილეობით დაამუშავებს დაფაზე „რიტორიკული სამკუთხედის“ გამოყენებით, ამისათვის იგი დაფაზე ჩამოწერს „რიტორიკულ სამკუთხედზე“ წარმოდგენილ სამივე ხერხს, შემდეგ კი, ერთობლივი მუშაობის ფორმატში, სტუდენტები დაახარისხებენ ტექსტის ცალკეულ წინადადებებს შესაბამის ჯგუფებში. საბოლოოდ სანიმუშო სარეკლამო ტექსტი ამგვარ სახეს მიიღებს (იხ. ქვემოთ ცხრილის სახით):

ცხრილი. დარწმუნების ხერხები

დარწმუნების ხერხები	მაგალითები ტექსტიდან
სანდობა	შექმნილია უნიკალური ტექნოლოგიით - ბუნებრივი პროდუქტის გამოყენებით; ალუბლის ნატურალურ წვენიზეა დამზადებული; მოწონებულია საქართველოს სტომატოლოგთა კავშირის მიერ

ლოგოვა	მდიდარია C და A ვიტამინებით. ვიტამინები საიმედოდ იცავს ღრძილებს სისხლნაკლებობისაგან.
ემოცია	გაგრძობინებთ ალუბლის - ამ უგემრიელესი ხილის სასიამოვნო არომატსა და გემოს; დატკბებით ზაფხულის არომატით; გაიღიმებთ ყოველთვის თამამად.

დაბოლოს, მასწავლებელი, სტუდენტების ჩართულობით, შეაჯამებს, რომ სარეკლამო ტექსტში ამა თუ იმ წინადადების ცალკეული ნაწილები შეიძლება დარწმუნების სხვადასხვა სტრატეგიას შეესაბამებოდეს. მაგ. წინადადება: „ალუბლის ნატურალურ წვენიზე დამზადებული კბილის პასტა გაგრძობინებთ ალუბლის - ამ უგემრიელესი ხილის სასიამოვნო არომატსა და გემოს“. პირველი ოთხი სიტყვა „სარწმუნოების“ ჯგუფისაა, ბოლო 6 სიტყვა - „ემოციის“ ჯგუფისა.

სარეკლამო ტექსტზე მუშაობისას მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ტექსტის სტრუქტურაზე, სასვენი ნიშნებით გაფორმებაზე. მაგ., ძახილის ნიშანი სანიმუშო სარეკლამო ტექსტის პირველი წინადადების ბოლოს ძლიერი ემოციური მუხტის შესაქმნელადაა გამოყენებული; ტირე მეორე წინადადებაში გამოკვეთს ლოგიკურ კავშირს წინადადების პირველ და მეორე ნაწილებს შორის (ცხადყოფს უნიკალური ტექნოლოგიის არსს, რომელიც ნატურალური პროდუქტის გამოყენებაში მდგომარეობს).

**იდებები დამატებითი აქტივობებისთვის:** წინასწარ შერჩეული სხვადასხვა სარეკლამო ტექსტის (მაგ., მობილურით შემოსული გზავნილების) გაანალიზება.

**მეთოდური მითითება**

სარეკლამო ტექსტის შესაქმნელად შესაძლებელია საჭირო გახდეს დარგობრივი ლექსიკის გამოყენება. მაგ., სანიმუშო სარეკლამო ტექსტში გამოყენებულია დარგობრივი ლექსიკა: „ფარმაცევტული“, „სტომატოლოგთა კავშირი“, „A და C ვიტამინები“, „სისხლნაკლებობა“. გაკვეთილზე შერჩეული „სარეკლამო პროდუქციის“ რაობის შესაბამისად, მასწავლებელმა შეიძლება წინასწარ გაამახვილოს სტუდენტების ყურადღება საშინაო დავალების შესასრულებლად საჭირო დარგობრივ ლექსიკაზე (მიზანშეწონილი იქნება ასევე წინასწარი კონსულტაციის გავლა პროფესიული მოდულის მასწავლებელთან).

#### **აქტივობა 4. დავარწმუნოთ უფროსები, დავარწმუნოთ პატარები**

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა ემსახურება ფუნქციური/მიზნობრივი წერილობითი ტექსტების შედგენის უნარების განვითარებას; ხელს უწყობს ანალიტიკური აზროვნების, დარწმუნების სტრატეგიების გამოყენების უნარების განვითარებას (სხვადასხვა აუდიტორიისათვის გამიზნული სარეკლამო ტექსტების შექმნის გზით). აქტივობა განავითარებს წიგნიერებისა და მედიაწიგნიერების უნარებს. აქტივობა გამიზნულია წერის წინა და წერის შემდგომი ეტაპებისათვის. აქტივობა ტარდება 3 ეტაპად.

#### **აქტივობის მიზნები:**

- ანალიზის უნარების განვითარება;
- დარწმუნების სტრატეგიების გამოყენების უნარების განვითარება;
- კონკრეტული აუდიტორიის შესაბამისი ფუნქციური/მიზნობრივი ტექსტის შედგენის უნარების განვითარება;
- წიგნიერებისა და მედიაწიგნიერების უნარების განვითარება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** ერთობლივი სამუშაო (I ეტაპი); წყვილური (III ეტაპი).

**რესურსები:** წინასწარ შერჩეული სარეკლამო ტექსტები, საწერი ბარათები, დაფა, ცარცი/მარკერი, საწერი კალამი, რვეული.

## აქტივობის აღწერა:

აქტივობის დაწყებამდე მასწავლებელი შეახსენებს სტუდენტებს დარწმუნების სამ სტრატეგიას, სარეკლამო ტექსტის ძირითად მახასიათებლებს და შესთავაზებს მათ, გადააკეთონ უკვე ნაცნობი ტექსტი კბილის პასტა „ალუბილიკოზე“ პატარებისთვის (იხ. ზემოთ, აქტივობა # 4).

### I ეტაპი

მასწავლებელი დაფის ზედა ნაწილში გამოსახავს დარწმუნების სამ სტრატეგიას, შემდეგ დაფის თავისუფალ არეს გაყოფს ორ ნაწილად. მარცხენა სვეტში დაწერს: „ბავშვები“, მარჯვენა სვეტში - „უფროსები“. გონებრივი იერიშის გზით, სტუდენტებისთანამონაწილეობით, დაიწყება მუშაობა სვეტების შევსებაზე. მარცხენა სვეტში ჩაიწერება, რა არის მნიშვნელოვანი ბავშვებისათვის/რა უყვართ ბავშვებს (მაგ., გართობა, თამაში, არდადეგები, სპორტი, ნაყინი, ტკბილი წვენი, სასუნავი, მისთ.), მარჯვენა სვეტში - რა არის მნიშვნელოვანი უფროსებისათვის /რა უყვართ უფროსებს (ჯანმრთელი კვება, ჯანმრთელობის დაცვა, გემრიელი საკვები, პრესტიჟულობა, გარეგნული სილამაზე, მისთ.).

გონებრივი იერიშის დასრულების შემდეგ მასწავლებელი შეაჯამებს შედეგებს. სავარაუდოდ, აღმოჩნდება, რომ სვეტებში არის როგორც საერთო, ისე განსხვავებული სიტყვები (მაგ., ჯანმრთელობის დაცვა, ნატურალური პროდუქტების გამოყენება, ზაფხულის არდადეგები, მისთ.). დარწმუნების სტრატეგიების თვალსაზრისით კი გამოიკვეთება, რომ ბავშვებისათვის წამყვანია ემოციები, უფროსებისთვის კი - სარწმუნოება და ლოგიკა.

მასწავლებელი გააცნობიერებინებს სტუდენტებს, რომ სარეკლამო ტექსტის დაწერისას მათ უნდა გაითვალისწინონ მიღებული შედეგები. ბავშვებისათვის გამიზნულ სარეკლამო ტექსტში ყურადღება უნდა მიექცეს ემოციურ მხარეს, უფროსებისათვის გამიზნულ ტექსტში კი - სარწმუნოებასა და ლოგიკას.

### II ეტაპი

იწყება სარეკლამო ტექსტის შეთავაზებული ვარიანტის გაანალიზება. მასწავლებელი დაურიგებს სტუდენტებს ტექსტს კბილის პასტა „ალუბლიკოზე“ (ამობეჭდილი სახით) და შესთავაზებს მათ, შეუდარონ მასში ასახული ინფორმაცია სვეტების მონაცემებს.

მუშაობა უნდა დაიწყოს „უფროსების“ სვეტით. ტექსტისა და სვეტის მონაცემების ურთიერთშედარების გზით გაირკვევა, რომ აღნიშნული სარეკლამო ტექსტი, ძირითადად, აკმაყოფილებს „უფროსების“ სვეტის მოთხოვნებს (სარწმუნოობა, სანდოობა, სოციალური პრესტიჟი, გარეგნული მხარე). ამდენად, მასწავლებელი სტუდენტების თანამონაწილეობით, დაასკვნის, რომ აღნიშნული სარეკლამო ტექსტი უფროსებზეა გათვლილი.

### III ეტაპი

მუშაობა გრძელდება იმ მიზნით, რომ ტექსტი გადაკეთდეს ბავშვებისათვის. ნიმუშის საჩვენებლად მასწავლებელს შეუძლია მართული პრაქტიკის გამოყენებით (მართული პრაქტიკის გამოყენებით) დაფაზე დაწეროს ტექსტი ბავშვებისათვის (გადააკეთებს ბავშვებისათვის სამუშაო ტექსტს) - გააძლიერებს „ემოციის“ მხარეს. მუშაობა მიმდინარეობს მართული პრაქტიკის გამოყენებით. ეს დაეხმარება სტუდენტებს, შემდგომში დამოუკიდებლად შეადგინონ ამ ტიპის ტექსტები.

### ნიმუში. ტექსტი ბავშვებისათვის:

„გიყვარს გართობა? გინდა, რომ კბილების მოსაბეზრებელი გამოხეხვა ნამდვილ თამაშად გადაიქცეს? მაშინ გამოიყენე „ალუბლიკო“ - ახალი კბილის პასტა ბავშვებისათვის. აქაფებული „ალუბლიკოს“ პაწაწინა ფერად-ფერადი ბუმტები გაგახსენებს მხიარულ გართობას საპნის ბუმტებით, ალუბლის სასიამოვნო გემო კი - შენს საყვარელ ზაფხულის არდადეგებს. კომპანია „ABC“ - გავერთოთ ერთად!“

(გამოყენებულია მარცხენა სვეტის სიტყვები: გართობა, მხიარულება, არდადეგები, გემრიელი საკვები).

ტექსტების შედარებითი ანალიზისთვის შეიძლება მასწავლებელმა გამოიყენოს ცხრილი, რომელიც თვალნათლივ წარმოაჩენს განსხვავებას განსხვავებული სამიზნე ჯგუფებისთვის შექმნილ ვარიანტებს შორის (მეორე სვეტში შევსებულია მხოლოდ მესამე მწკრივი - „ემოცია“).

ცხრილი.

დარწმუნების	სამიზნე ჯგუფები	
ხერხები	უფროსები	ბავშვები
სანდოობა	შექმნილია უნიკალური ტექნოლოგიით - ბუნებრივი პროდუქტის გამოყენებით; ალუბლის ნატურალურ წვენიდან დამზადებული; მოწონებულია საქართველოს სტომატოლოგთა კავშირის მიერ	
ლოგიკა	მდიდარია C და A ვიტამინებით. ვიტამინები საიმედოდ იცავს ღრძილებს სისხლნაკლებობისაგან.	
ემოცია,	გაგრძობინებთ ალუბლის -	გართობა, ნამდვილ თამაშად

<b>განცდა</b>	ამ უგემრიელესი ხილის სასიამოვნო არომატსა და გემოს; დატკბებით ზაფხულის არომატით; გაიღიმებთ ყოველთვის თამამად.	გადაიქცეს, პაწაწინა ფერად-ფერადი ბუმტები გაგახსენებს მხიარულ გართობას საპნის ბუმტებით, სასიამოვნო გემო, საყვარელ ზაფხულის არდადეგებს, გავერთოთ ერთად
---------------	--	--

მასწავლებელმა საგანგებოდ უნდა გაამახვილოს ყურადღება განსხვავებულ ენობრივ-გამომსახველობით საშუალებებზე, რომლებიც გამოყენებულია 2 სარეკლამო ტექსტში. პატარების რეკლამა (შეთავაზებული ნიმუში) დაწერილია უშუალო სტილით, ენერგიული რიტმით (დიალოგური მეტყველება, შეკითხვების დასმა, მხოლოდობით რიცხვის ზმნური ფორმების გამოყენება); უფროსების რეკლამა - საინფორმაციო ტექსტის სტილის დაცვით. ბავშვებისათვის შექმნილ ტექსტში ამოღებულია მთელი რიგი სიტყვები/ფრაზები საწყისი ტექსტიდან. ესენია: ცნობილი საერთაშორისო კომპანია, ვიტამინები, თამამი ღიმილი (ვიზუალური ეფექტი), ჯანმრთელობის დაცვა, საქართველოს სტომატოლოგთა კავშირი, რადგან ეს ინფორმაცია ბავშვისათვის ნაკლებად საინტერესოა. აქცენტი გაკეთებულია გართობაზე, მხიარულებაზე, თვით პროდუქციის მწარმოებელი კომპანიაც კი ტექსტში ჩნდება თანატოლის/მეგობრის სახით, რომელიც ბავშვებს ერთად გართობას სთავაზობს. პასტა კი მოწოდებულია, როგორც „კბილის პასტა ბავშვებისათვის“.

#### IV ეტაპი

სარეკლამო ტექსტების შედგენამართული პრაქტიკის გამოყენებით

სტუდენტები დაიყოფიან წყვილებად და ზემოთ შესწავლილი სარეკლამო ტექსტის - ალუბლიკოს -საფუძველზე შეადგენენ მსგავს ორ ტექსტს - ერთს უფროსებისათვის, მეორეს - უმცროსებისათვის.



სარეკლამო ტექსტის დაწერა შესაძლებელია კბილის პასტა „თაფლაზე“. მუშაობის დაწყებამდე მასწავლებელი გაამახვილებს სტუდენტების ყურადღებას შემდეგზე: სარეკლამო პროდუქციის ახალი სახელწოდება - „თაფლა“ - ცვლის სარეკლამო ტექსტის შინაარსს: სტუდენტებმა თაფლსა და მის თვისებებს უნდა დაუკავშირონ ყველა მონაცემი და შეარჩიონ; რომელი მონაცემები მიაწოდონ (და რა სახით) უფროსებსა თუ პატარებს.

ნიმუშის სახით, გთავაზობთ სარეკლამო ტექსტების ორ ვარიანტს.

### ტექსტი 1

ცნობილი ფარმაცევტული კომპანია „მედიკალი“ წარმოგიდგენთ ნამდვილ სენსაციას სტომატოლოგიაში - კბილის პასტა „თაფლას“!

„თაფლა“ შექმნილია უნიკალური ტექნოლოგიით - საუკეთესო გამაჯანსაღებელი ბუნებრივი პროდუქტის გამოყენებით. ნატურალურ თაფლზე დამზადებული კბილის პასტა გაგრძნობინებთ ყვავილების ნექტრის სასიამოვნო არომატს, ხოლო თაფლში შემავალი უნიკალური ანტიმიკრობული ფერმენტებისაიმიედოდ დაიცავს თქვენს პირის ღრუს ანთებებისგან.

გამოიყენეთ „თაფლა“, რათა ისიამოვნოთ ბუნების გასაოცარი საჩუქრით და გაიღიმოთ მუდამ თამამად.

კბილის პასტა „თაფლა“ - მოწონებულია მსოფლიოს სტომატოლოგთა ასოციაციის მიერ.

საერთაშორისო ფარმაცევტული კომპანია „მედიკალი“

### ტექსტი 2.

გიყვარს გართობა? გინდა, რომ კბილების მოსაბეზრებელი გამოხეხვა ნამდვილ თამაშად გადაიქცეს? მაშინ დროს ნულარ დაკარგავ, დაუმეგობრდიკბილის პასტა „თაფლას“ და შეუდექი გართობას. აქაფებული „თაფლა“-პასტას

პაწაწინა ფერადი ბუშტები გაგახსენებსასაცილო გართობას საპნის ბუშტებით, თაფლის უგემრიელესი გემო კი - შენს საყვარელ საახალწლო გოზინაყს და მხიარულ ზამთრის არდადეგებს.

კომპანია *მედიკალი* - გავერთოთ ერთად!

V ეტაპი

სტუდენტები გაეცნობიან გზამკვლევში შემოთავაზებულ ორსავე ვარიანტს სარეკლამო ტექსტისას („კბილის პასტა „თაფლა“) და შეასრულებენ სამუშაო ფურცელში მოცემულ დავალებებს (იხ.დანართი).

**იდეები დამატებითი აქტივობებისათვის**

- მასწავლებელი დაურიგებს მათ ბარათებს წინასწარ მომზადებული მოკლე სარეკლამო ტექსტით, რომელიც დიდებისთვის ან პატარებისთვისაა გამიზნული. მეწყვილეებმა უნდა გადააკეთონ ტექსტი, შესაბამისად, უფროსი ან უმცროსი ასაკის აუდიტორიისათვის. მუშაობის დასრულების შემდეგ სტუდენტები წარადგენენ თავიანთ ნამუშევრებს. მასწავლებელი შეაფასებს მათ ნამუშევრებს პოზიტიური მხარეების გამოკვეთით. წარდგენას შეიძლება მიეცეს ერთგვარი შეჯიბრის სახეც, რომლის შედეგად გამოვლინდება საუკეთესო ნამუშევარი/ნამუშევრები. (შენიშვნა: აქტივობა უნდა ჩატარდეს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც სტუდენტები კარგად გააცნობიერებენ დარწმუნების სტრატეგიებს; ექნებათ გარკვეული გამოცდილება სარეკლამო ტექსტების შეთხზვისა ე.წ. რიტორიკულისამკუთხედის გამოყენებით.).
- სარეკლამო ტექსტების შედგენა: 2 რეკლამა ერთსა და იმავე პროდუქციაზე/თემაზე - ერთი დიდებისათვის, მეორე პატარებისათვის. სარეკლამო ტექსტის მომზადებისას სტუდენტებმა არ უნდა დაივიწყონ სარეკლამო ტექსტის შემქმნელის/ავტორის (კომპანიის, ორგანიზაციის, მისთ.) მითითებაც. დამოუკიდებელი მუშაობის

დროს სტუდენტებს რეკლამის გასაფორმებლად შეუძლიათ გამოიყენონ სურათები, ფოტოები, მოამზადონ ნახატები, დახატონ „სარეკლამო პროდუქციის“ მწარმოებელი კომპანიის ლოგო; შეარჩიონ მუსიკა, რომლის თანხლებითაც წაიკითხავენ ტექსტს და მისთ.

- საინფორმაციო-სარეკლამო ბუკლეტების (/ტრიპლეტების) მომზადება პროფესიული სასწავლებლის შესახებ (სტუდენტების მოზიდვის, პროფესიული სასწავლებლის რეკლამირების მიზნით)

ბუკლეტები გათვლილი იქნება ორი აუდიტორიისთვის: მშობლებისთვის და მომავალი სტუდენტებისთვის (ცხრაკლასდამთავრებულებისთვის). შესაძლებელია შეირჩეს ერთი რომელიმე აუდიტორია, შეიძლება შეიქმნას ორივე აუდიტორიისთვის ცალ-ცალკე (ბუკლეტების შესაქმნელად შესაძლებელია ბუკლეტების ელექტრონული შაბლონების გამოყენება (იხ. free booklete templates, რომელთა შერჩევა შეიძლება „გუგლის“ საძიებო სისტემის გამოყენებით). ეს საშუალებას მისცემს სტუდენტებს, გააფორმონ ბუკლეტები ფოტოებით, დიზაინის ელემენტებით და ა.შ. დამატებითი კონსულტაციისთვის შესაძლებელია კონსულტაციების გავლა ისტ-ის მასწავლებელთან.

- საინფორმაციო-სარეკლამო ბუკლეტების (/ტრიპლეტების) მომზადება თავიანთი საწარმოს შესახებ სტუდენტები მოამზადებენ რეკლამას თავიანთი მომავალი საწარმოს შესახებ (პროფესიული დარგის შესაბამისად). ტექსტში უნდა იყოს ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე: მონაცემები, სახელწოდება, ლოგო, დაარსების წელი, ძირითადი საქმიანობა და მიღწევები, საკონტაქტო ინფორმაცია.

#### IV. საჯარო გამოსვლა

ივანე ჯავახიშვილის გამოსვლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1938 წელს (ხანგრძლივობა: 3. 42 წთ.)

მასწავლებელი სტუდენტებს აჩვენებს მასალას და შესთავაზებს ნაწიხი მასალის საკომუნიკაციო სიტუაციის ამოცნობას.

სტუდენტებმა წყვილებში უნდა შეავსონ ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი. ცხრილში მოყვანილია რუბრიკები, რომლებიც უკავშირდება საკომუნიკაციო სიტუაციას, გამომსვლელის მეტყველებასა და სხეულის ენას(ქვემოთ ნიმუშის სახით გთავაზობთ ცხრილს შევსებული სახით). მასწავლებელი გამოკვეთს, რომ მესამე სვეტში სტუდენტებს შეუძლიათ ჩაწერონ კონკრეტული ფაქტები თუ დეტალები, რომლებსაც შეამჩნევენ გამოსვლის ყურების დროს; საკუთარი ვარაუდები/მოსაზრებები, რომლებიც გაუჩნდებათ ფაქტებზე დაყრდნობით.

სამუშაო ფურცელი (შევსებული ცხრილი).

1. საკომუნიკაციო სიტუაცია		
კითხვა	პასუხი	კომენტარები
გამოსვლის მიზანი	მადლობის გადახდა	ან იუბილე უნდა იყოს, ან პრემიის გადაცემა. ზოგადად, ძალიან საზეიმო ხასიათი აქვს ამ ღონისძიებას: გამომსვლელს მქუხარე ტაშით ეგებებიან, მართმევენ თაიგულს. გადასცემენ ყვავილებს. უფრო იუბილეა, რადგან კონკრეტულად არ აღნიშნავს პრემიის მიღების ფაქტს.
გამოსვლის თემა	საკუთარი საქმიანობის შეფასება	ძალიან მოკრძალებულია: ამბობს, რომ თანამშრომლების დახმარების გარეშე ვერაფერს შეძლებდა,

		პატივისცემას მიიჩნევს ქართული გულუხვობის გამოხატულებად.
აუდიტორია	სხვადასხვა ასაკის ადამიანები - არიან პატარა ბავშვები, ახალგაზრდები, საშუალო ასაკის ადამიანები, მოხუცებულები.	მსმენელები განსხვავებული ასაკის ადამიანები არიან, ყველა დამაბული ყურადღებით უსმენს; ჩანს, რომ მოსაუბრეს დიდ პატივს სცემენ.
დრო	ერთ გოგონას აცვია საბჭოთა სასკოლო ფორმა (ყელსახვევით), ყველას საზეიმოდ აცვია - კაცებს კოსტიუმები, ქალებს კაბები, შლაპები, ერთი მოხუცებული ქალი ქართული ეროვნულ სამოსშია - ჩიხტიკოპი ახურავს.	საბჭოთა პერიოდია. შეიძლება მე-20 საუკუნის 20-იანი წლები იყოს, რადგან ერთ მოხუცს ქართული ეროვნული კაბა აცვია.
ადგილი	დიდი დარბაზია.	უნივერსიტეტს ახსენებს. შეიძლება უნივერსიტეტშია ეს ღონისძიება.
<b>2. ენობრივი საშუალებები</b>		
სიტყვები, ლექსიკა	თავაზიანად მეტყველებს („პატივისცემა ინებეთ“), კარგი ქართულით მეტყველებს.	თავაზიანი და განათლებული ადამიანია.
რიტორიკული	შედარებები: ჭიანჭველასთან, ფუტკრის ნაშრომის და	უნდა, რომ კარგად გააგებინოს მსმენელებს. მსმენელები

ხერხები	ფუტკრების სკის ნაშრომის შედარება;  ქართულ ხალხურ ლექსს ამზობს.	სხვადასხვა ასაკის არიან, ამიტომ მოჰყავს ისეთი შედარებები, რომლებიც გასაგებია იქნება ბავშვებისთვისაც კი. ხალხური ლექსიც ძალიან მარტივია და ყველასთვის ადვილი გასაგებია.
<b>3. სხეულის ენა</b>		
მხედველობითი კონტაქტი	მუდმივად აქვს	აკვირდება მსმენელებს, გასაგებია თუ არა მისი ნათქვამი
მკაფიო მეტყველება	აქვს	ზრუნავს, რომ ყველას ესმოდეს თითოეული სიტყვა.
ხმის აწევ-დაწევა	შიგადაშიგ მახვილებს სვამს ხაზგასასმელად, მნიშვნელოვანი სიტყვების გამოსაკვეთად (ქართული <u>გულუხვობის</u> ; <u>საუკეთესო</u> მუშაკები და ა.შ.)	უნდა გამოყოს, რაც მნიშვნელოვანია.
გამომეტყველების ცვლილება	არ იცვლის	გარეგნული ეფექტები არ აინტერესებს
ჟესტები	არ იყენებს	გარეგნული ეფექტები არ აინტერესებს

### დასკვნა

ესაა განათლებული, მაღალი კულტურის ადამიანი. კარგად ლაპარაკობს, მიჩვეულია ზეპირ გამოსვლებს, რადგან უპრობლემოდ მეტყველებს გაბმულად. ის აღიარებული ავტორიტეტია, ძალიან ცნობილია - ბავშვებიც ჰყავთ მოყვანილი მის მოსასმენად. გამომსვლელი არ ზრუნავს სხეულის ენაზე და გარეგნულ ეფექტებზე - მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია სიტყვები. ალბათ, თვლის, რომ აზრი, ძირითადად, სიტყვებით გადაიცემა.

მეტყველებს, როგორც მასწავლებელი - მოჰყავს მაგალითები, რადგან მისთვის მნიშვნელოვანია, ყველას კარგად გააგებინოს ნათქვამი.

მაგალითისთვის ასახელებს ყველასათვის კარგად ცნობილ ფაქტებს (ჭიანჭველა, ფუტკარი). ალბათ, იმიტომ, რომ ყველამ (მათ შორის დამსწრე ბავშვებმაც) გაიგოს ნათქვამი.

სავარუდოდ, ეს უნდა იყოს უნივერსიტეტის მასწავლებელი/პროფესორი.

ცხრილის შესავსებად სტუდენტებს მიეცემათ 15-20 წთ. ცხრილის შევსების შემდეგ სტუდენტები წარადგენენ ნამუშევრებს. იმართება მსჯელობა/აზრთა გაცვლა-გამოცვლა (გამოსვლის შინაარსზე საუბრისას მასწავლებელი სტუდენტებს გაამახვილებინებს გამომსვლელის ზნეობრივ ფასეულობებზე).

### მეთოდური მითითებები

- მუშაობის მთავარი მიზანი არ არის გამომსვლელის ვინაობის ამოცნობა (მეტიც, რომელიმე სტუდენტმა შეიძლება ამოიცნოს კიდევ გამომსვლელი, ვთქვათ, ნანახი ფოტოს საფუძველზე). მთავარია, სტუდენტებმა კრიტიკული ანალიზის ჩატარების გზით ამოიცნონ საკომუნიკაციო სიტუაცია, კონტექსტი, იმსჯელონ გამომსვლელის მიერ გამოყენებულ ხერხებზე, ზნეობრივ ღირებულებებზე და ა.შ.

- მასალის ჩვენება შესაძლებელია 2-3-ჯერ (საჭიროების შემთხვევაში მეტჯერაც). განხილვისას მასწავლებელს შეუძლია გააჩეროს კადრი (მაგ., აუდიტორიაზე დასაკვირვებლად), განმეორებით აჩვენოს კონკრეტული ფრაგმენტი და ა.შ.
- ნიმუშის საჩვენებლად მასწავლებელს შეუძლია შეავსოს ცხრილი 1-2 მწკრივი (სტუდენტების თანამონაწილეობით).

### იდეები დამატებითი მდინარე აქტივობებისთვის

ვიდეომასალაზე მუშაობის დასრულების შემდეგ მასწავლებელს შეუძლია სტუდენტებს შესთავაზოს სიმულაციური თამაშები კონკრეტული საკომუნიკაციო სიტუაციის ფარგლებში. მაგ., სიტუაცია 20 წლის შემდეგ:

ა) სტუდენტი, რომელიც განასახიერებს წარმატებულ და ყველასთვის ცნობილ მეწარმეს, მოწვეულია მშობლიურ პროფესიულ სასწავლებელში. იგი ხვდება თავის მასწავლებელს (მაგ., კომუნიკაციის მოდულის მასწავლებელს) და 20 წლით უმცროს სტუდენტებს. „მეწარმე“ ესაუბრება შეხვედრის მონაწილეებს, იხსენებს კომუნიკაციის გაკვეთილებს, თანაჯგუფელებს და აფასებს სწავლების წლებს (რა მისცა პროფესიულ სასწავლებელში სწავლებამ); საუბრობს იმაზე, თუ რა გზა გაიარა/როგორ მიაღწია წარმატებას. თანაჯგუფელები, რომლებიც განასახიერებენ 20 წლით უმცროს სტუდენტებს, შეკითხვებს უსვამენ „მოწვეულ სტუმარს“. აქტივობის დასრულების შემდეგ გაიმართება მსჯელობა, რომლის დროსაც მასწავლებელი და სტუდენტები შეაფასებენ „ვიზიტის“ მსვლელობას.

ბ) ერთ-ერთი სტუდენტი განასახიერებს მეწარმეს, რომელიც ნომინირებულია წლის საუკეთესო ბიზნესმენის წოდებაზე. „მეწარმემ“ უნდა წარმოთქვას სამადლობელო სიტყვა. 1) ლოკალური კონტექსტი: ბიზნესმენს წარადგენს და სიგელს გადასცემს ქვეყნის „პრეზიდენტი“ (მეორე სტუდენტი), ღონისძიება ტარდება საქართველოს პარლამენტის შენობაში (დანარჩენი სტუდენტები განასახიერებენ პარლამენტის „დეპუტატებს“); 2) საერთაშორისო კონტექსტი: ღონისძიება ტარდება ევროპის ან აშშ-ს ერთ-ერთ ქალაქში. „მეწარმეს“ სიგელს გადასცემს ბიზნესმენთა საერთაშორისო ასოციაციის „პრეზიდენტი“ (მეორე



სტუდენტი), რომელიც დამსწრეთა წინაშე წარადგენს „მეწარმეს“ (დანარჩენი სტუდენტები არიან ასოციაციის წევრი მსხვილი ბიზნესმენები სხვადასხვა ქვეყნიდან).

ნომინირებულ „მეწარმეს“ ქვეყნის პარლამენტის „წევრებმა“ თუ „ასოციაციის წევრებმა“ შესაძლებელია დაუსვანშეკითხვები აქტივობის დასრულების შემდეგ გაიმართება მსჯელობა, რომლის დროსაც მასწავლებელი და სტუდენტები შეაფასებენ „ნომინაციის“ მსვლელობას.

**გ)** ერთ-ერთი სტუდენტი განასახიერებს მსხვილ „მეწარმეს“ - ბიზნეს-ელიტის წარმომადგენელს. მასსაპატიო სიგელს გადასცემს რომელიმე ცნობილი საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი იმ ფინანსური დახმარების სანაცვლოდ, რომელიც „ბიზნესმენმა“ გაუწია ფონდს. ეს შეიძლება იყოს მაგ., ეკოლოგიური კატასტროფებისგან დაზარალებულთა დახმარების, სმენადაქვეითებული ბავშვების დახმარების, სოციალურად დაუცველი მოხუცების დახმარების, ნარკოტიკების გავრცელების საწინააღმდეგო, ლტოლვილთა დახმარების ფონდები და ა.შ. (სტუდენტებს შეუძლიათ თავად აირჩიონ ის მიმართულება, რომელიც მათ ყველაზე საჭიროდ მიაჩნიათ). „ფონდის პრეზიდენტი“ (ერთ-ერთი სტუდენტი) აუდიტორიის წინაშე წარადგენს „ბიზნესმენს“. „პრეზიდენტი“ აღნიშნავს, კონკრეტულად, რა მნიშვნელოვანი დახმარება აღმოუჩინა ფონდს „ბიზნესმენმა“; ეს უკანასკნელი კი წარმოთქვამს საპასუხო სამადლობელო სიტყვას. სხვა სტუდენტები განასახიერებენ აუდიტორიას, რომელსაც შეადგენენ ფონდის „წევრები“, ასევე მიზნობრივი ჯგუფის წარმომადგენლები - შერჩეული მიმართულების მიხედვით (მაგ., ლტოლვილები, მოხუცები და ა.შ., რომელთაც დაეხმარა ბიზნესმენი). ფონდის წევრები და მიზნობრივი ჯგუფის წარმომადგენლები წარმოთქვამენ მოკლე სიტყვებს, რომლებშიც აფასებენ „ბიზნესმენის“ საქმიანობას, მადლობას უხდებიან მას და ა.შ.

ნომინაციის მსვლელობას აკვირდებიან „ექსპერტები“ (სტუდენტთა 3-კაციანი ჯგუფი), რომლებიც აქტივობის დასრულების შემდეგ არგუმენტირებულად შეაფასებენ ნომინაციის მონაწილეებს.

## **აქტივობა 6. ფაქტები და მოსაზრებები (განვივითაროთ კრიტიკულიაზროვნება)**

**აქტივობისშესახებ:** აქტივობა ემსახურება სტუდენტების კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას - ფაქტებისადამოსაზრებების ერთმანეთის განგამიჯვნის უნარი კრიტიკული აზროვნების საფუძველს წარმოადგენს. აქტივობა ხელს შეუწყობს აგრეთვე არგუმენტირების, საკუთარი მოსაზრების დასაბუთების უნარების განვითარებას.

მნიშვნელოვანია, რომ აქტივობასასწავლომასალადიყენებსვიზუალურმასალას (ფოტოებს, სურათებს, პოსტერებს, სხვ.) დაარა ტრადიციულ წერილობით ტექსტს. ამგვარად, სტუდენტებს ფაქტი წარმოუდგებათ კონკრეტული მტკიცებულების - ვიზუალურისურათ-ხატისსახით, რაც ეფექტიანი იქნება იმისგათვალისწინებით, რომ აქტივობის შესრულება შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტული აზროვნების საფუძველზე.

აქტივობის შედეგად სტუდენტები გააცნობიერებენ, რომ: 1. ფაქტი არის, რასაც გააჩნია კონკრეტული მტკიცებულება - ვიზუალურისურათ-ხატი/რასაც ვხედავთ, რაც თვალისთვის ხილულია (მოძრაობა, ჟესტი, სახის გამომეტყველება, დრო, ადგილმდებარეობა, ჩაცმულობა, ანტურაჟი, სხვ.); 2. მოსაზრება არის, რასაც არ გააჩნია ამგვარი კონკრეტული ვიზუალურისურათ-ხატი, თუმცა იგი უნდა ეფუძნებოდეს ფაქტს (იმისათვის, რომ სარწმუნოდ მივიჩნიოთ).

### **აქტივობის მიზნები:**

- არავერბალური საშუალებით (ვიზუალური მასალით) გადმოცემული ინფორმაციის გააზრებისა და ინტერპრეტირების უნარის განვითარება;
- კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარება;
- არგუმენტირების უნარების განვითარება.

**რესურსები:** ვიზუალური მასალა (დანართში მოცემული ფოტოსურათი), დაფა/დიდი ფორმატის ქაღალდი, ცარცი/მარკერი, სამუშაო ფურცელი 1, სამუშაო ფურცელი 2.

აქტივობის ორგანიზების ფორმა:წყვილებში ან ჯგუფებში.

აქტივობის აღწერა:

ნიმუშის ჩვენება - მასწავლებელი გაესაუბრება სტუდენტებს შესასრულებელი აქტივობის მიზანზე, არსზე. პროექტორით აჩვენებს შერჩეულ სურათს. შემდეგ სტუდენტებს დაურიგებს სამუშაო ფურცლებს და აუხსნის, როგორ უნდა შეავსონ ცხრილი. ნიმუშის საჩვენებლად ცხრილის ერთ-ორ მონაცემს მასწავლებელი თავად შეავსებს (დაწერს დაფაზე).

ნიმუში. ფოტო



სამუშაო ფურცელი 1. ცხრილი (შევსებული სახით)

შევსებული ცხრილის ნიმუში

ფოტო	ფაქტი	მოსაზრება
ადგილი	ადამიანები ქვიშაში არიან მოკალათებული, აგებენ ქვიშის კოშკებს, ხელმარცხნივ, ფონზე, გაშლილი სივრცე მოჩანს	სანაპიროა (შეიძლება იყოს ტბის, ზღვის, მდინარის სანაპირო).
დრო / ეპოქა	მზე ანათებს. კაცსა და ბიჭს აცვიათ მოკლესახელოებიანი მაისურები, ქალსა და გოგონას- საცურაო კოსტიუმები.	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ ზაფხულის მშვენიერი დღეა. (ქალისა და გოგონას ჩაცმულობა დამატებითი ფაქტორია ადგილის დასაზუსტებლად - ესაა ზღვის სანაპირო). ჩვენი თანამედროვე ეპოქაა, ის ტანსაცმელია, რომელსაც თანამედროვე ადამიანების ხმარობენ.</li> <li>➤ თანამედროვე ეპოქა უნდა იყოს - ტანსაცმლის მო</li> </ul>
გამოსახული პირები	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ ახალგაზრდა ქალი და მამაკაცი, ორი პატარა ბავშვი. ბავშვები ჰგვანან უფროსებს (გოგონა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ ეს ერთი ოჯახი უნდა იყოს (ბავშვებისა და უფროსების მსგავსება, ერთ მჭიდრო ჯგუფად</li> </ul>

	<p>ჰგავს კაცს, ბიჭი - ქალს). კაცი ქვიშაზეა წამოწოლილი, ქალი, გოგონა და ბიჭი ქვიშაზე სხედან.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ბავშვები და უფროსები ერთ მჭიდრო ჯგუფს ქმნიან</li> <li>➤ კაცი გოგონას ქვიშის კოშკის აგებაში ეხმარება, გოგონას გვერდით პატარა ფრანია მიწაში ჩარჭობილი; ბიჭს ხელში პატარა სათამაშო ნიჩაბი უჭირავს და გოგონას უყურებს, ქალს პატარა ფრანი აქვს მიხუტებული და ქვიშით სავსე პატარა ვედროზე წაუვლია ხელი</li> </ul>	<p>ყოფნა/ახლო კონტაქტი)</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ბიჭი და გოგო 6-7 წლისანი იქნებიან, ალბათ, სკოლის მოსწავლეები არიან (შეიძლება ზაფხულის არდადეგები აქვთ?)</li> <li>➤ შეიძლება მთელი ოჯახი ზღვაზე წასული დასასვენებლად (დედ-მამას ზაფხულის შვებულება აქვს, ალბათ)</li> <li>➤ კარგად ერთობიან, მთელ დროს ერთად თამაშში ატარებენ</li> </ul>
<p>დამოკიდებულებები/ფასეულობები, ემოციები/განწყობა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ ყველანი მხიარულად იცინიან</li> <li>➤ კაცი გოგონაზე ზრუნავს</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ მნიშვნელოვანია ოჯახი</li> <li>➤ უყვართ ერთმანეთი</li> <li>➤ ბედნიერი არიან</li> <li>➤ უხარიათ ერთად ყოფნა (შეიძლება ხშირად ვერ არიან</li> </ul>

		ერთად?)
--	--	---------

მასწავლებელი სთხოვს სტუდენტებს, დაასათაურონ ფოტო. სტუდენტები წარმოადგენენ თავიანთ ვარიანტებს. გაიმართება აზრების გაცვლა-გამოცვლა იმასთან დაკავშირებით, რას ეყრდნობა ესა თუ ის სახელწოდება - ფაქტებს თუ მოსაზრებებს (მაგ., სახელწოდება: „ზაფხულის მხიარული არდადეგები“ ეფუძნება მოსაზრებებს).

**მეთოდური მითითება**

შესაძლებელია მასწავლებელმა სტუდენტებს სთხოვოს, თავად შეარჩიონ ფოტოები, სურათები და სხვა ვიზუალური მასალა, რომლებსაც აქტივობის დროს გამოიყენებენ მათი თანაჯგუფელები. აუცილებელია, შერჩეული ვიზუალური მასალა გადანაწილდეს იმგვარად, რომ ყველა ჯგუფს/წყვილს უცნობი მასალა შეხვდეს გასაანალიზებლად.

**რეკომენდაციები შეფასებისათვის:** იხ. შედეგი III, კრიტერიუმები: 1, 2, 3; შედეგი VI, კრიტერიუმები 2, 5, 7.

**აქტივობა 7. ტესტი**

მასწავლებელი სტუდენტებს დაურიგებს სამუშაო ფუცლებს (სამუშაო ფურცელი 2). სტუდენტები დამოუკიდებლად ან წყვილებში შეასრულებენ სამუშაოს. მუშაობის დასრულებისას სტუდენტები გააცნობიერებენ, რომ ფაქტია ის, რაც შეიძლება შევამოწმოთ (შევამოწმოთ, მოხდა თუ არა, ან შეესატყვისება თუ არა სინამდვილეს).

**I ვარიანტი**

**წაიკითხეთ წინადადებები და მიუთითეთ, რა არის მასში მოცემული: ფაქტი თუ მოსაზრება (შემოხაზეთ შესაბამისი სიტყვა).**

1. თბილისი საქართველოს დედაქალაქია.

ფაქტი მოსაზრება

2. დავით აღმაშენებელი უძლიერესი მეფეა საქართველოს ისტორიაში.

ფაქტი მოსაზრება

3. მეცნიერები მგელს ძაღლისებრთა ოჯახს მიაკუთვნებენ.

ფაქტი მოსაზრება

4. საახალწლო სუფრაზე ყველაზე გემრიელი ნუგბარი გოზინაყია.

ფაქტი მოსაზრება

5. ფაქტია, რომ კლონირება მეცნიერების უმაღლეს მიღწევას წარმოადგენს.

ფაქტი მოსაზრება

*შენიშვნა: მიუხედავად იმისა, რომ გამოყენებულია სიტყვა „ფაქტი“, წინადადებაში თვალსაზრისი - მოსაზრებაა გადმოცემული.*

6. ქართული ლეგენდის თანახმად, ამირანი კავკასიონის ერთ მთაზეა მიჯაჭვული.

ფაქტი მოსაზრება

*შენიშვნა: ფაქტია, რომ ეს ლეგენდა არსებობს (ლეგენდა ჩაწერილია, გამოქვეყნებულია).*

7. ვაჟა-ფშაველას მრავალი ლექსი და პოემა აქვს დაწერილი.

ფაქტი მოსაზრება

8. სიმამაცე დაგაბედულებაარის უპირველესი დირსებაყველასათვის.

ფაქტი მოსაზრება

9. ილია ჭავჭავაძე რომ არ მოეკლათ, ჩვენი ქვეყნის ისტორია სხვაგვარი იქნებოდა.



ფაქტი მოსაზრება

10. საქართველოს უმაღლესი მწვერვალია შხარა.

ფაქტი მოსაზრება

11. ზოგიერთი მშობელი თვლის, რომ ბავშვებს სკოლაში ფორმა უნდა ეცვათ.

ფაქტი მოსაზრება

12. მამაკაცებმა უკეთესი მეგობრობა იციან, ვიდრე ქალებმა.

ფაქტი მოსაზრება

13. ამ ცნობილ საერთაშორისო კონკურსში წელს ქართველმა მომღერალმა გაიმარჯვა.

ფაქტი მოსაზრება

14. ფაქტია, რომ საქართველოში ბოლო ათი წლის განმავლობაში მკვეთრად შემცირდა ადრეული ქორწინებების რიცხვი

ფაქტი მოსაზრება

## II ვარიანტი

წაიკითხეთ წინადადებები და მიუთითეთ, რა არის მასში მოცემული: ფაქტი თუ მოსაზრება (შემოხაზეთ შესაბამისი სიტყვა).

1. შარშან გაზაფხულზე საშინელი წყალდიდობა იყო.  
ფაქტი მოსაზრება
2. ზაფხულში საქართველოში საშუალო ტემპერატურაა 22 გრადუსი.  
ფაქტი მოსაზრება
3. ინგლისური უფრო ადვილი ენაა, ვიდრე გერმანული.

ფაქტი მოსაზრება

4. პროფესიულ სასწავლებლებში დღეს უფრო მეტი სტუდენტი სწავლობს, ვიდრე 10 წლის წინ.

ფაქტი მოსაზრება

5. დიდმა ქართველმა პედაგოგმა იაკობ გოგებაშვილმა პატარებისთვის შექმნა საანბანო წიგნი „დედა ენა“.

ფაქტი მოსაზრება

6. მრავალი დიეტოლოგი ფიქრობს, რომ ცილოვანი საჭმელი ყველაზე სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის.

ფაქტი მოსაზრება

7. ყოველწლიურად ათასობით ადამიანი კვდება ნარკოტიკების გამოყენების გამო.

ფაქტი მოსაზრება

8. მობილური ტელეფონების სკოლებში გამოყენება უნდა აიკრძალოს.

ფაქტი მოსაზრება

9. ფაქტია, რომ რაგბი ერთ-ერთი ყველაზე ძალადობრივი სპორტია.

ფაქტი მოსაზრება

*შენიშვნა: მიუხედავად იმისა, რომ გამოყენებულია სიტყვა „ფაქტი“, წინადადებაში დამოკიდებულება - მოსაზრებაა გადმოცემული.*

10. „ფეისბუქის“ გამოყენებით ბევრად უფრო გაერთობი, ვიდრე ტელევიზორის ყურებით.

ფაქტი მოსაზრება

11. ექიმები ქალები უფრო ყურადღებიანი არიან, ვიდრე ექიმი მამაკაცები.

ფაქტი მოსაზრება

12. ავტოავარიების უმეტესობა ნასვამი მძღოლების მიზეზით ხდება.

ფაქტი მოსაზრება

13. ფარიკაობა ერთ-ერთი ყველაზე სანახაობრივი სპორტია.

ფაქტი მოსაზრება

14. თუკი ქართველი მოჭიდავეები ასე გააგრძელებენ, მომავალ ჩემპიონატზე ისევ ოქროს მედლებს მოიპოვებენ.

ფაქტი მოსაზრება

## V. თ. ფერაძე, „დასაშვებია თუ არა მობილური სკოლებში?“

კითხვის სესიის დაწყებამდემასწავლებელი გაესაუბრება სტუდენტებს იმაზე, რომ ტექსტის კრიტიკულად გააზრებისთვის აუცილებელია ერთმანეთისგან ფაქტებისა და მოსაზრებების გამოჯვნა. ეს მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ არ მოხდეს მკითხველი/მსმენელი არ აღმოჩნდეს ცრუ ზეგავლენის ქვეშ (არ მოხდეს მისით მანიპულირება). მასწავლებელი დაურიგებს სტუდენტებს სამუშაო ფურცლებს და ნიმუშის საჩვენებლად მოახდენს ფაქტისა და მოსაზრების იდენტიფიცირებას, მაგ., პირველ აბზაცში. სამუშაოს დასრულების შემდეგ მასწავლებელი ისმენს მუშაობის შედეგებს, ამყარებს უკუკავშირს (აკეთებს კომენტარებს, სვამს კითხვებს).

ტექსტი.

წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი და შეასრულეთ შემდეგი სამუშაოები:

1. გამიჯნეთ ერთმანეთისგან ფაქტები და მოსაზრებები (ფაქტებს გაუსვით სწორი ხაზი, მოსაზრებებს - კლაკნილი ხაზი).
2. შეაფასეთ ტექსტი (სტატიის საერთო ტონი, რესპონდენტისა და ჟურნალისტის დამოკიდებულებები, სტატიის სანდოობა).

ნიმუში. ფაქტები დაფერილია ნაცრისფერი ფონით, მოსაზრებები ხაზგასმულია.

მობილური ტელეფონების სკოლებში გამოყენება მიზანშეწონილი არ არის

მობილურ ტელეფონებს ადამიანები ყველგან იყენებენ, თვით სკოლაშიც კი, თუმცა ზოგიერთ სკოლაში გაკვეთილების დროს მათი გამოყენება აკრძალულია.

- მობილური ტელეფონები არ ეხმარება მოსწავლეებს სწავლაში. უფრო მეტიც, ისინი სწავლის ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს - გვესაუბრება ქალაქ ქუთაისის „იმედის სკოლის“ დირექტორი თამარ გრძელიძე, რომელსაც სამუშაო ადგილზე ვეწვიეთ, - ამგვარი ფაქტორები ისედაც მრავლადაა და სულაც არაა საჭირო ახლის დამატება.

დიახ, მობილურმა ტელეფონებმა გააუმჯობესა ჩვენი ცხოვრება, წარმატებით გადაჭრა კომუნიკაციის პრობლემა, მაგრამ ეს კავშირი მხოლოდ სიტყვებს ეფუძნება, არასიტყვიერი ინფორმაციის გადაცემა მობილური ტელეფონებით შეუძლებელია. ზოგიერთებს მიაჩნიათ, რომ სახის გამომეტყველება, მიმიკა და ქესტები ისევე მნიშვნელოვანია აზრის გადაცემისთვის, როგორც სიტყვები. ასე რომ თუკი ბავშვები კომუნიკაციის მიზნით უმეტესწილად მობილურებს გამოიყენებენ, ისინი ვერ შეძლებენ არავერბალური კომუნიკაციის დაუფლებას.

თანამედროვე მობილურ ტელეფონებში ეკრანი ძალზე აქტიურად გამოიყენება. ეს საფრთხის შემცველი, საგანგაშო ფაქტია - თუკი ტელეფონთან გატარებულ დროს მივუმატებთ კომპიუტერთან გატარებულ დროს, გამოდის, რომ ყოველდღიურად ბავშვები ეკრანის წინ მრავალ საათს ატარებენ, რაც ზღუდავს ფიზიკურ აქტივობებს. განათლების სპეციალისტები კი გვირჩევენ, რომ ბავშვები ჩავართოთ ფიზიკურ აქტივობებში, იმგვარ თამაშებში, რომლებიც ავითარებს მოსწავლის სოციალურ თუ შემოქმედებით უნარებს. ამგვარად, აუცილებელია შეიზღუდოს მოსწავლეთა „საკვრანო დრო“ და დაწესდეს მისი უმკაცრესი ლიმიტი.

ქალბატონ თამარ გრძელიძეს მიაჩნია, რომ მობილური ტელეფონების ქონამ შეიძლება ხელი შეუწყოს მოსწავლეებში არაჯანსაღი დამოკიდებულებების წარმოქმნას, სოციალური უთანასწორობის გაღრმავებას, რის გამოც სკოლებში მათი გამოყენება უნდა აიკრძალოს (ზოგს შეიძლება ჰქონდეს მობილური, ზოგს - არა, ან ვიღაცას უფრო თანამედროვე ძვირადღირებული მოდელი ჰქონდეს, სხვას - მოძველებული იაფფასიანი).

- მცდარია ზოგიერთი მშობლის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მობილური ტელეფონის სკოლებში გამოყენება აუცილებელია ბავშვის უსაფრთხოებისთვის - აცხადებს ქალბატონი თამარი. მისი სიტყვებით, სკოლა საკმარისად დაცული ადგილია, საგანგებო სიტუაციები - იშვიათი, რაიმე რისკის წარმოქმნის შემთხვევაში კი მათი სკოლის საგანგებოდ დატრენინგებული პერსონალი წარმატებით შეძლებს პროცესების მართვას.

1. რა არის ტექსტის მიზანი? (დაარწმუნოს მკითხველი იმაში, რომ მობილური ტელეფონების სკოლებში გამოყენება არასასურველია).
2. თქვენი აზრით, ვინ არის ტექსტის ავტორი? (შემოხაზეთ სწორი ვარიანტი).

ა) „იმედის სკოლის“ პედაგოგი

ბ) ჟურნალისტი

გ) „იმედის სკოლის“ დირექტორი

დ) ტრენერი

პასუხი: ჟურნალისტი (ის იკვლევს მობილური ტელეფონების სკოლებში გამოყენების საკითხს და ამ მიზნით ინტერვიუ ჩამოართვა „იმედის სკოლის“ დირექტორს).

**3. გამიჯნეთ ერთმანეთისგან ფაქტები და მოსაზრებები (ფაქტებს გაუსვით ერთი ხაზი, მოსაზრებებს - კლაკნილი ხაზი).**

**4. რა დამოკიდებულება აქვს ავტორს საკითხის მიმართ? საიდან ვიგებთ ამის შესახებ? (ტონი - ნეგატიური, რომელიც ვლინდება უარყოფითი მნიშვნელობის სიტყვებში).**

**5. ამოიწერეთ ტექსტიდან უარყოფითი და დადებითი მნიშვნელობის სიტყვები და მათზე დაყრდნობით განსაზღვრეთ, როგორია ავტორის დამოკიდებულება საკითხის მიმართ.**

**უარყოფითი:** აკრძალულია, არ ეხმარება,

.....  
.....  
.....  
.....

**დადებითი:** წარმატებით,

.....

.....  
.....  
.....

**ავტორის დამოკიდებულება:**

**ნეგატიური**

ა) ტონი - ნეგატიური, უხვადაა გამოყენებული ნეგატიური მნიშვნელობის შემცველი სიტყვები/ფრაზები: აკრძალულია, არ ეხმარება, ხელისშემშლელი, ვერ შეძლებენ, საფრთხის შემცველი, საგანგაშო, ზღუდავს, შეიზღუდოს, უმკაცრესი ლიმიტი, არაჯანსაღი, უთანასწორობა, აიკრძალოს, მცდარია

პოზიტიური - წარმატებით,

წარმატებით გადაჭრა, წარმატებით შეძლებს

ბ) ავტორი - გ) ფასეულობები/დამოკიდებულებები - სკოლის დირექტორს აქვს ნეგატიური დამოკიდებულება, რომელიც შესაძლებელია ეფუძნებოდეს პრაქტიკულ გამოცდილებას (თუმცა არ მოყავს არანაირი არგუმენტი ან მაგალითი).

ჟურნალისტი - აქვს წინასწარ შემუშავებული თვალსაზრისი, ამასთან წარმოგვიდგენს ინტერვიუს მხოლოდ ერთ ადამიანთან (ნეგატიური მიმართების მქონესთან).

დასკვნა: სტატია ცალმხრივია, მოცემული მხოლოდ ერთი პერსპექტივა, რადგანაც ავტორს წინასწარ შემუშავებული თვალსაზრისის საფუძველზე აქვს დაწერილი (ამ მოსაზრების შესაბამისად ჰყავს მოძებნილი პირი, რომელსაც ინტერვიუს ართმევს). სტატია საკითხის შესწავლისთვის საკმარისი არ არის - აუცილებელია განსხვავებული თვალსაზრისების მოძიება.

**რეკომენდაციები შეფასებისათვის:** ზემოთ წარმოდგენილი აქტივობები ემსახურება III, IV, V შედეგებით გათვალისწინებული უნარების განვითარებას.

### **აქტივობა 8. გამოცხატოთ ჩვენი თვალსაზრისი**

**აქტივობის შესახებ:** მასწავლებელი შესთავაზებს სტუდენტებს, დაწერონ ტექსტი, რომელშიც დასაბუთებული იქნება ზოოპარკის საჭიროება (მაგ., „საჭიროა თუ არა დღეს ზოოპარკი?“ „თანამედროვე ზოოპარკები და ადამიანები“). აქტივობა მიმართულია იქითკენ, რომ სტუდენტებმა შეძლონ საკუთარი თვალსაზრისის წერილობით გადმოცემა და დასაბუთება.

აქტივობა ტარდება 3 ეტაპად. იგი კომპლექსური სახისაა და ფარავს მოდულის რამდენიმე შედეგს. აქტივობა გამოიყენება წერის წინა ეტაპზე.

#### **აქტივობის მიზნები:**

- ინფორმაციის დახარისხების უნარის განვითარება;
- კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარება;
- ზეპირმეტყველებითი უნარების განვითარება (საკუთარი თვალსაზრისის გამოთქმა და დასაბუთება);
- წერითი მეტყველების განვითარება (საკუთარი თვალსაზრისის წერილობით გადმოცემა და დასაბუთება).

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** მთელი ჯგუფის მონაწილეობით.

**რესურსები:** დაფა, ცარცი/მარკერი, საწერი კალმები, რვეულები.

## აქტივობის აღწერა:

მასწავლებელი გაესაუბრება სტუდენტებს იმაზე, თუ რა მნიშვნელოვანია საკუთარი თვალსაზრისის დასაბუთებულად ჩამოყალიბება; შესთავაზებს, დაწერონ დამარწმუნებელი/არგუმენტირებული ტექსტი ნაცნობ თემაზე „ზოოპარკი“. მაპროვოცირებელი შეკითხვების დასმით სტუდენტები დაფიქრდებიან იმაზე, თუ რა ფუნქციას ასრულებენ ზოოპარკები თანამედროვე ეპოქაში (როგორ ფიქრობთ, საჭიროა თუ არა ზოოპარკები თანამედროვე ეპოქაში?, საჭიროა თუ არა ზოოპარკები თანამედროვე ეპოქაში? - ტელევიზორის, ინტერნეტრესურსებისან DVD-დისკების მეშვეობით ადამიანებს დღეს ხომ ძალზე ადვილად შეუძლია თინების მიერიგარეული ცხოველის ნახვა ბუნებრივ საცხოვრებელ გარემოში. ხომ არ არღვევს ზოოპარკების არსებობა ცხოველთა უფლებებს? - ცხოველთა დამცველი ორგანიზაციების აცხადებენ, რომ ზოოპარკში ცხოველების მოთავსება ცხოველებისადმი სასტიკი მოპყრობის გამოვლინებაა, სხვ.). შემდეგ მასწავლებელი სტუდენტებს შესთავაზებს დაასაბუთონ, რომ ზოოპარკები დღესაც საჭირო და მნიშვნელოვანია. ამისთვის კი აუცილებელია იმის გააზრება, თუ რა ადგილი უკავია ზოოპარკს თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში.

I ეტაპი - გონებრივი იერიშის გზით სტუდენტები წამოაყენებენ იდეებს, რომელთაც მასწავლებელი დაწერს დაფის მარცხენა ნაწილში/დაფის მარცხენა ფრთაზე. დავუშვათ, რომ საბოლოოდ ჩამონათვალმა ამგვარი სახე მიიღო.

ნიმუში. ჩამონათვალი:

- ✓ ადამიანები ნახულობენ ეგზოტიკურ ცხოველებს
- ✓ მხოლოდ ზოოპარკში შეიძლება მტაცებელი ცხოველების ნახვა
- ✓ ბავშვები ათვალთვლებენ და ეცნობიან გარეულ ცხოველებს
- ✓ ზოოპარკებში კვლევითი ლაბორატორიებია, რომლებშიც ნებისმიერ ექსპერიმენტის ჩატარება შეიძლება
- ✓ ადამიანები ეცნობიან სხვადასხვა სახეობის ცხოველებს
- ✓ ბავშვები კარგად ერთობიან



- ✓ უფროსები დადიან სასეირნოდ
- ✓ ბავშვები სწავლობენ ცხოველების სიყვარულს
- ✓ მეცნიერები სწავლობენ ცხოველებს
- ✓ ყოველდღე შეუძლიათ ექსპერიმენტების ჩატარება ცხოველებზე
- ✓ ცხოველები უსაფრთხოდ არიან
- ✓ ყველა ცხოველი დაცულია
- ✓ ცხოველები სიცოცხლეს ინარჩუნებენ
- ✓ ცხოველები ცალ-ცალკე სხედან და ერთმანეთს თავს არ ესხმიან
- ✓ ცხოველებს აქვთ საკმარისი საკვები და წყალი
- ✓ დაავადებულ ცხოველებს ზოოპარკებში მკურნალობენ

II ეტაპი - მასწავლებელი, სტუდენტების აქტიური თანამონაწილეობით, მუშაობს ჩამონათვალში წარმოდგენილი იდეების დახარისხებაზე. სამუშაოს გასაადვილებლად მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს გრაფიკული მათემატიკური „ობობას ქსელი“. დაფის მარჯვენა ნაწილში მასწავლებელი დაწერს სიტყვას „ზოოპარკი“ და შემოაჩარჩოებს მას რგოლისებური ხაზით. ამის შემდეგ მასწავლებელი, სტუდენტების ჩართულობით, განსაზღვრავს ჩამონათვლის ცალკეული იდეის შესაბამის კატეგორიას. საწყის ეტაპზე, სასურველია, ჩამონათვიდან შეირჩეს ერთი და იმავე კატეგორიის ორი იდეა: მაგ., „ცხოველებს აქვთ საკმარისი საკვები და წყალი“ და „დაავადებულ ცხოველებს ზოოპარკებში მკურნალობენ“, რომლებიც გაერთიანდება კატეგორიაში „ცხოველების დაცულობა“ (ამ გზით სტუდენტები უკეთ გააცნობიერებენ შესასრულებელი სამუშაოს არსს). კატეგორიზაციის პროცესი გრძელდება - ჩამონათვალში წარმოდგენილი ყველა იდეა სათანადო ადგილს დაიკავებს სქემაზე - დაუკავშირდება შესაბამის კატეგორიას. ობობისებური სქემა ნაბიჯ-ნაბიჯ იტოტება. საბოლოოდ ჩამონათვლის გადამუშავებული ვერსია - ობობისებური სქემა - ამგვარ სახე მიიღებს.

**აღზრდა-განათლება:**

- ✓ ადამიანები ნახულობენ ეგზოტიკურ ცხოველებს
- ✓ მხოლოდ ზოოპარკში შეიძლება მტაცებელი ცხოველების ნახვა
- ✓ ბავშვები ათვალთვლებენ და ეცნობიან გარეულ ცხოველებს
- ✓ ადამიანები ეცნობიან სხვადასხვა სახეობის ცხოველებს
- ✓ ბავშვები სწავლობენ ცხოველების სიყვარულს

#### გართობა, დასვენება:

- ✓ ბავშვები კარგად ერთობიან
- ✓ უფროსები დადიან სასეირნოდ

#### მეცნიერების განვითარება:

- ✓ მეცნიერები სწავლობენ ცხოველებს
- ✓ ყოველდღიური ექსპერიმენტები ზოოპარკებში კვლევითი ლაბორატორიებია

#### ცხოველების დაცულობა:

- ✓ ცხოველებს აქვთ საკმარისი საკვები და წყალი
- ✓ დაავადებულ ცხოველებს ზოოპარკებში მკურნალობენ
- ✓ ყველა ცხოველი დაცულია
- ✓ ცხოველები ცალ-ცალკე სხედან და ერთმანეთს თავს არ ესხმიან
- ✓ ცხოველები სიცოცხლეს ინარჩუნებენ
- ✓ ცხოველები უსაფრთხოდ არიან

III ეტაპი - ინფორმაციის დახარისხება დასრულებულია. მასწავლებლის ხელმძღვანელობით სტუდენტები საბოლოოდ შეაჯამებენ ახალმიღებულ ინფორმაციასა და ჩატარებული სამუშაოს შედეგებს.

დამოუკიდებელი სამუშაოს სახითმასწავლებელი სტუდენტებსშესთავაზებს, დაწერონ არგუმენტირებული ტექსტი ზოოპარკების საჭიროების თემაზე. სტუდენტებს კარგად უნდა ჰქონდეთ გაცნობიერებული, რომ ობობის ქსელისებური სქემა (რომელიც მათ ერთობლივად შეადგინეს მასწავლებლის ხელმძღვანელობით), ფაქტობრივად, იგივეა, რაც ნაშრომის გეგმა: დახარისხების შედეგად მიღებული თითოეული პუნქტი შეესატყვისება მომავალი ნაშრომის ერთ რომელიმე საკითხს.

### **მეთოდური მითითება**

- აქტივობის ჩატარების მეთორე ეტაპზე (მუშაობა კატეგორიზაციაზე) შეიძლება საჭირო გახდეს ხანმოკლე, კონკრეტულ საკითხებზე ფოკუსირებული დისკუსიის, კითხვა-პასუხის, აზრთა გაცვლა-გამოცვლის ხანმოკლე სესიების ჩატარება.

### **რეკომენდაციები შეფასებისათვის:**

აქტივობა ხელს უწყობს წერილობითი ტექსტის შედგენისათვის აუცილებელი სტრატეგიების (იდებების გენერირება, ინფორმაციის დახარისხება, გეგმის შედგენა) დაუფლებას, და საყრდენების მიხედვით არგუმენტირებული ესეს შედგენას. ამ აქტივობის შესაფასებლად VI შედეგის ყველა ინდიკატორის გამოყენებაა შესაძლებელი.

### **იდებები დამატებითი აქტივობებისთვის:**

ტექსტის შედგენა სტუდენტებისთვის ნაცნობ თემაზე/საკითხზე.

### აქტივობა 9. საკითხი–როლი–აუდიტორია

**აქტივობის შესახებ:** აქტივობის გამოსაყვებლად უნდა შეირჩეს თემა/საკითხი, რომელიც კარგად ნაცნობია სტუდენტებისთვის. ეს მათ მისცემს საშუალებას, მთლიანად იყვნენ კონცენტრირებული იმაზე, რომ გაითვალისწინონ აუდიტორიის/მსმენელის სპეციფიკა და ისაუბრონ მისი გათვალისწინებით. ამას გარდა, აქტივობა დაეხმარება სტუდენტებს, აქტიურად გამოიყენონ მათთვის ნაცნობი ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციები და სხეულის ენა.

#### **აქტივობის მიზნები:**

- საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი სამეტყველო ქცევის განვითარება;
- შემოქმედებითი უნარების განვითარება;
- თანამშრომლობის უნარების განვითარება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** მთელი ჯგუფის მონაწილეობით (პირველი ნაწილი), წყვილური (მეორე ნაწილი).

**რესურსები:** დაფა, ცარცი/მარკერი, რვეული, კალამი.

**აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი დაფაზე ხაზავს ოთხსვეტიან ცხრილს:

ნიმუში.

საკითხი	მოსაუბრე	აუდიტორია	ტექსტის ტიპი
/თემა			

გაკვეთილის გაცდენა	<ul style="list-style-type: none"> <li>• სტუდენტი, რომელმაც გააცდინა გაკვეთილი</li> <li>• სტუდენტის მეგობარი</li> <li>• დირექციის წარმომადგენელი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სასწავლებლის დირექტორი</li> <li>• სტუდენტი</li> <li>• სასწავლებლის სტუდენტები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• განცხადება</li> <li>• წერილი</li> <li>• ზეპირი მონოლოგი</li> </ul>
გმირობა	<ul style="list-style-type: none"> <li>• გმირი</li> <li>• თვითმხილველი</li> <li>• ისტორიკოსი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ჟურნალისტი</li> <li>• მეგობარი</li> <li>• სტუდენტები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ინტერვიუ (წერილობითი)</li> <li>• წერილი</li> <li>• პრეზენტაცია - ზეპირი მოხსენება</li> </ul>

მასწავლებლის დახმარებით, სტუდენტები ერთობლივად ავსებენ მასშესაძლო ვარიანტებით (მასწავლებელი ავსებს პირველ სვეტს „საკითხი/თემა“, შემდეგ, სტუდენტების თანამონაწილეობით, ივსება მეორე-მესამე სვეტები).

ცხრილში მოცემული ჩამონათვალის ყოველი კომპონენტი ზეპირ მეტყველების დონეზე უნდა დამუშავდეს წყვილებში ან ჯგუფებში მსჯელობის/განხილვის გზით.

განხილვის შემდეგ მასწავლებელი სტუდენტებს შესათავაზებს, აირჩიონ ერთ-ერთი თემა და შექმნან ამბავი 3 კომპონენტის (მწერლის, აუდიტორიისა და ტექსტის ტიპის გათვალისწინებით, ზემოქმედების ამა თუ იმ ხერხის

შერჩევით) გამოყენებით. ქვემოთ, მაგალითის სახით, წარმოდგენილია თემები და საკომუნიკაციო სიტუაციები. სტუდენტებმა ამა თუ იმ როლის მორგებით უნდა შეასრულონ აქტივობები სხვადასხვა საკომუნიკაციო სიტუაციისთვის ამა თუ იმ თემაზე:

თემა: გაკვეთილის გაცდენა

- სტუდენტი მიმართავს სასწავლებლის დირექტორს ახსნა-განმარტებითი ბარათით/განცხადებით, ასახელებს გაცდენის მიზეზს და თხოვს, საპატიოდ ჩათვალოს გაცდენა;
- სტუდენტი წერილს წერს თავის თანაჯგუფელს გაცდენასთან დაკავშირებით (მაგ., უყვება, რა რეაქცია მოყვა გაცდენას, რა შედეგი შეიძლება მოყვეს, აძლევს რჩევას, როგორ იმოქმედოს და ა.შ.);
- „დირექციის წარმომადგენლის“ ზეპირი მონოლოგი სტუდენტების მიმართ გაცდენის თემაზე.

თემა „გმირობა“

- „ჟურნალისტი“ ინტერვიუს ართმევს „გმირობის ჩამდენს“ (მაგ., ადამიანს, რომელმაც ცეცხლწაკიდებული სახლიდან გამოიყვანა ბავშვი);
- „თვითმხილველი“ აღწერს თავის წერილში (მაგ., ზღვაზე დასასვენებლად წასული სტუდენტი მეგობარს სწერს წერილს, რომელშიც უყვება, როგორ გადაარჩინა პატარაგოგონა დახრჩობას ერთ-ერთმა დამსვენებელმა).
- „ისტორიკოსი“ უყვება სტუდენტებს (ისტორიკოსის როლის მორგებით ერთ-ერთი სტუდენტი უყვება თანაჯგუფელებს მისთვის ცნობილი ისტორიული გმირის ამბავს - მაგ., ცოტნე დადიანის ამბავი, სამასი არაგველის ამბავი და ა.შ.).

**რეკომენდაციები შეფასებისათვის**

აქტივობის შესრულება სტუდენტს განუვითარებს ისეთ მნიშვნელოვან უნარებს, როგორებიცაა საკომუნიკაციო მიზნისა და სიტუაციის შესაბამისი ტექსტის ტიპის, სტილისა და ლექსიკის შერჩევა, დარწმუნების სტრატეგიის გამოყენებას, ასევე პირველი და მეექვსე შედეგებით გათვალისწინებულ უნარებს.

იდეები დამატებითი აქტივობებისთვის:

წერილობითი ტექსტის შედგენა ამა თუ იმ საკითხზე კონკრეტული აუდიტორიისთვის (რომელიმე როლის მორგებით).

### **აქტივობა 10. რადიოინტერვიუ**

**რესურსი:** რადიოგადაცემების აუდიოჩანაწერი, ხმის ჩამწერი აპარატურა (მაგ., მობილური ტელეფონი).

**აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი სთავაზობს სტუდენტებს წარმოიდგინონ, რომ არიან ერთ-ერთი რადიოს ჟურნალისტები და ამზადებენ საინფორმაციო გადაცემას. მასწავლებელი ჯერ ასმენინებს მათ მსგავსი გადაცემის ჩანაწერს, შემდეგ სთავაზობს მათ თემატიკას და აძლევს არჩევანის შესაძლებლობას. თემები შეიძლება იყოს: *სწავლება პროფესიულ სასწავლებელში, მეცნიერების ახალი გამოგონება (მაგ., მეცნიერების ახალი მიღწევა, რომელიც ძალიან აადვილებს შრომას სტუდენტების პროფესიულ დარგში: მაგ., ნანოტექნოლოგიების გამოყენებით შექმნილი მოსაწველი აპარატი (ამ აპარატის ვიზუალური და სხვა მახასიათებლები, ეფექტურობა); ხილის დამყნობის ახალი ლაზერული აპარატი (მისი ვიზუალური და სხვა მახასიათებლები, ეფექტურობა და ა.შ.).* ერთ-ერთმა სტუდენტმა შეიძლება მოირგოს რადიოწამყვანის როლი, დანარჩენი სტუდენტები იქნებიან მაგ., სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები, ახალი ტექნოლოგიების გამოფენის ორგანიზატორები, ფერმერები და ა.შ. სტუდენტები მოამზადებენ ინტერვიუს ტექსტს და წარმოადგენენ ჯგუფის წინაშე. მათ უნდა გაითვალისწინონ მიზანი (მსმენელის ინფორმირება) და აუდიტორია, რომლისთვისაც საინფორმაციო გადაცემა მზადდება.

### **რეკომენდაციები შეფასებისათვის:**

#### **შეფასდება:**

- ახერხებს თუ არა ტექსტის შედგენას მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით;

➤ იყენებს თუ არა ეფექტიანად დარწმუნების (ზეგავლენის მოხდენის) საშუალებებს.

**მეთოდური მითითება:** მას შემდეგ, რაც სტუდენტები გაიწაფებიან ამ ტიპის რადიოგადაცემების მომზადებასა და ზეპირად წარმოდგენაში, შესაძლებელია გადაცემის გამრავალფეროვნება სხვადასხვა რუბრიკით. მაგალითად, *რეკლამის ხუთი წუთი, სენსაციები, ეს საინტერესოა, იცით თუ არა, რომ...* და ა. შ.

**იდეები დამატებითი აქტივობისთვის: მულტიმედიური რესურსის განხილვა-დისკუსია**

მულტიმედიური რესურსი: მხატვრული ფილმი „ქალის სურნელი“: ეპიზოდი (17. 00 წთ.)

ქვეყანა: აშშ, რეჟისორი: მარტინ ბრესტი, 1992 წ.

ფილმის ეპიზოდის ჩვენებამდე მასწავლებელი სტუდენტებს ზეპირად აწვდის ინფორმაციას, რომელიც მათ დაეხმარება ნანახის გაგება-გააზრებაში. ინფორმაციის მიწოდებისას მასწავლებელი იყენებს ინტერაქტიულ მიდგომას - გზადაგზა უსვამს სტუდენტებს შეკითხვებს ვარაუდების გამოსათქმელად.

*სიტყვას შეუძლია გადაწყვიტოს ადამიანის ბედი. შერჩეულ ეპიზოდში საჯარო სიტყვას წარმოთქვამს ამერიკის არმიის პოლკოვნიკი. მისი გამოსვლის შემდეგ სტუდენტი, რომელსაც გარიცხვა ემუქრებოდა, ზნეობრივ გმირად იქცა სხვებისთვის.*

ფილმის მთავარი გმირი, ჩარლი სიმპსი ბეარდის სკოლაში სწავლობს. ესაა ამერიკის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟული და ძვირადღირებული კერძო კოლეჯი, რომელიც ამაყობს მდიდარი ტრადიციებითა და სახელოვანი ისტორიით.

ერთ საღამოს ჩარლი სიმპსმა და მისმა თანასკოლელმა, ჯორჯ უილისმა, შემთხვევით დაინახეს სამი სტუდენტი, რომლებმაც გარე განათების ბოძზე საღებავით სავსე უზარმაზარი საჰაერო ბურთი დაამაგრეს. მეორე დილით გაირკვა, რომ ეს სკოლის დირექტორისთვის ოინის მოსაწყობად იყო გამოიზნული: ბურთის გახეთქვის შედეგად გადმოღვრილმა საღებავმა მთლიანად დასვარა დირექტორიც და მისი ძვირადღირებული მანქანაც.



სკოლის დირექტორი სკოლიდან გარიცხვით ემუქრება ჩარლისა და ჯორჯს, თუკი არ დაასახელებენ დამნაშავეთა ვინაობას. ჩარლისა და ჯორჯს უჭირთ ამ ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ, მეორე მხრივ, სკოლიდან გარიცხვაც კატასტროფა იქნება მათი მომავალი კარიერისთვის.

შემთხვევის განსახილველად სკოლის დიდ დარბაზში ტარდება ღია კრება. სკოლის დისციპლინარულმა კომიტეტმა უნდა განიხილოს ეს შემთხვევა, გამოავლინოს დამნაშავეები და გადაწყვიტოს, როგორ უნდა დაისაჯონ ისინი. კრებას უძღვება დირექტორი. მაყურებელთა სავარძლებში სხედან სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები, სცენაზე დადგმულ სკამებზე ზის დისციპლინარული კომიტეტის 7 წევრი. სცენაზე სხედან ასევე ჯორჯ უილისი და ჩარლი სიმპსი. ჯორჯის გვერდით ზის მამამისი (ჯორჯ უილისი-უფროსი), რომელიც იცავს შვილის ინტერესებს და ეხმარება მას კითხვებზე პასუხის გაცემაში. ჩარლი სიმპსი მარტოდმარტო ზის - არავინ ჰყავს დამხმარედ.

დირექტორი შესავალ სიტყვას წარმოთქვამს. ამ დროს დარბაზში შემოჰყავთ უსინათლო ფრენკ სლეიდი, ამერიკის არმიის გადამდგარი პოლკოვნიკი, რომელიც ჩარლის მეგობარია.

სტუდენტები უყურებენ ეპიზოდს ფილმიდან. ჩვენების შემდეგ გაიმართება დისკუსია ნანახის საფუძველზე.

### **კითხვები დისკუსიის წარსამართავად:**

- რომელი ვარაუდები დადასტურდა?
- დარწმუნების რა ხერხს იყენებს სლეიდი? რატომ მოჰყავს მაგალითები ომის სფეროდან?

*სლეიდი მეომარია, მისი ცოდნა და გამოცდილება ამ სფეროში ეჭვს არ იწვევს. ასე რომ ამით ის თავისი ნათქვამის სარწმუნოობას გამოკვეთს. სკოლის ცხოვრების მაგალითი მას „გადააქვს“ ბრძოლის ველზე, ანუ სიტუაციაში, სადაც გადამწყვეტია ერთგულება და სიმამაცე (მოიხსენიებს ჩარლის, როგორც „დიდებულ ქვეით მეომარს“). მეტიც, სლეიდი, როგორც ჭეშმარიტი მეომარი, თავად ამ დისკუსიასაც ბრძოლად აღიქვამს. თავისი გამოსვლის შემდეგ კითხვება ჩარლის: „როგორი ბრძოლა იყო?“ . სლეიდი მეტყველებს ძალიან ემოციურად მეტყველებს, მოჰყავს მაგალითები, რომლებიც ძლიერ ემოციებს იწვევს მაყურებელში.*

- ეთანხმებით თუ არა დისციპლინარული კომიტეტის გადაწყვეტილებას? რატომ?

- როგორ ფიქრობთ, არის თუ არა გამართლებული ყველა სიტუაციაში ამ მიდგომის (დამნაშავის დაუსახელებლობა) გამოყენება? რატომ?

*სტუდენტების გამოწვევისთვის მასწავლებელმა მათ შეიძლება შესთავაზოს მაგალითები ყოველდღიური ცხოვრებიდან (მაგ., თქვენ ავარიას შეესწარით. ავარიის შედეგად მძიმედ დაზარალდა ბავშვი, დამნაშავე მძლოლი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. საპატრულო პოლიცია ავარიის თვითმხილველებს ჩვენებას ართმევს. თქვენ გახსოვთ მანქანის ნომერი. რას მოიმოქმედებდით და რატომ?)*

- კონკრეტულად, რამ მოახდინა თქვენზე ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება და რატომ?

აზრების გაცვლა-გამოცვლის დასრულების შემდეგ მასწავლებელი შეაჯამებს დისკუსიას.

## **იდეები შემაჯამებელი დავალებებისათვის:**

### **1. სარეკლამო ტექსტების შედგენა**

მასწავლებელი სთხოვს სტუდენტებს, მოამზადონ სარეკლამო ტექსტი რიტორიკულ სამკუთხედზე გამოსახული სამი ხერხის გამოყენებით. „სარეკლამო პროდუქცია“ სტუდენტებმა შეიძლება ჯგუფში შეარჩიონ ზეპირი გზით (მასწავლებლის ხელმძღვანელობით). შეიძლება შეირჩეს სამი-ოთხი ან მეტი სახის „პროდუქცია“, რათა სტუდენტებს მეტი საშუალება ჰქონდეთ ასარჩევად. სარეკლამო პროდუქციას არჩევენ თავად სტუდენტები (შესაძლებელი მათი პროფესიული საქმიანობის შესაბამისად - მაგ., მეცხოველეობის შემსწავლელმა სტუდენტებმა შესაძლებელია რეკლამა გაუწიონ ამა თუ იმ ფერმაში წარმოებულ ხორცს, რძეს; მეხილეობის შემსწავლელმა სტუდენტებმა - ამა თუ იმ მეურნეობაში (/რეგიონში) მოყვანილ ხილს ან ხილის ჯემს და ა.შ.). სარეკლამო ტექსტის მომზადებისას სტუდენტებმა არ უნდა დაივიწყონ სარეკლამო ტექსტის შემქმნელის/ავტორის (კომპანიის, ორგანიზაციის, მისთ.) აღნიშვნა.

დაწერილი სარეკლამო ტექსტის გასაფორმებლად სტუდენტებს შეუძლიათ შეარჩიონ სურათები, ფოტოები, მოამზადონ ნახატები, დახატონ „სარეკლამო პროდუქციის“ მწარმოებელი კომპანიის ლოგო.

**გაზიარება:** სტუდენტები წარადგენენ მომზადებულ რეკლამებს. გაზიარების შემდეგ გაიმართება აზრთა გაცვლა-გამოცვლა: მასწავლებელი, სტუდენტების აქტიური თანამონაწილეობით, შეაფასებს რეკლამების ეფექტურობასა და ეფექტიანობას (მიზნობრივი აუდიტორიის სპეციფიკის გათვალისწინებით, რამდენად ადეკვატურია გამოყენებული დარწმუნების ხერხები, სტილი, ლექსიკა, სხვ.). საჭიროების შემთხვევაში რეკლამის ავტორები იძლევიან დამატებით ახსნა-განმარტებებს.

შეფასების სქემა

კრიტერიუმები	ქულები
<b>ვერბალური კომუნიკაცია</b>	
1. იცავს პირობასთან შესაბამისობას	0 - 0.5 - 1
2. აუდიტორიის სპეციფიკის გათვალისწინებით, ადეკვატურად იყენებს დარწმუნების ხერხებს	0 - 0.5 - 1 - 1,5 - 2
3. მკაფიოდ აყალიბებს ძირითად გზავნილს (მესიჯს)	0 - 0.5 - 1 - 1,5 - 2
4. მოჰყავს ძირითადი ინფორმაცია რეკლამის მიმწოდებელზე	0 - 0.5 - 1
5. იყენებს სათანადო ლექსიკას, ლაკონიურ	0 - 0.5 - 1

სტილს	
6. იცავს ენობრივ-გრამატიკულ ნორმებს	0 - 0.5 - 1
7. იცავს მართლწერისა და პუნქტუაციის წესებს	0 - 0.5 - 1
<b>არავერბალური კომუნიკაცია</b>	
8. გამოყენებული თვალსაჩინოებები შეესაბამება მიზანს, აძლიერებს მკითხველზე ზემოქმედებას.	0 - 0.5 - 1
ჯამური ქულა (ჯამური ქულა დამრგვალებდა მოსწავლის სასარგებლოდ)	

## 2. არგუმენტირებული ტექსტის შედგენა ნაცნობ თემაზე/საკითხზე

შედგენა არგუმენტირებული ტექსტისა, რომელიც ფოკუსირებული იქნება შემდეგ თვალსაზრისზე: ზოოპარკები უნდა გაუქმდეს, რადგან ცხოველების დამწყვდევა სისასტიკეა.

*შენიშვნა: სტუდენტებს უკვე დამუშავებული აქვთ ტექსტი, რომელშიც ზოოპარკების არსებობის მიმართ დადებითი დამოკიდებულებაა გამოხატული (იხ. თავი 3, აქტივობა # 9. დამატებით იხ. ასევე თავი 2, აქტივობა # 3. დისკუსია). მუშაობა ზოოპარკების გაუქმების მხარდამჭერი არგუმენტების შემუშავებაზე შესაძლებელია წარმართოს აღნიშნულ აქტივობაში აღწერილი გზით (ეს არგუმენტები იხ. ქვემოთ, რუბრიკაში „დისკუსია ნაცნობ თემაზე/საკითხზე“).*

შეფასების სქემა

კრიტერიუმები	ქულები
<b>შინაარსობრივი მხარე</b>	
9. იცავს პირობასთან შესაბამისობას	0 - 0.5 - 1
10. წამოაყენებს მოსაზრებებს	0 - 0.5 - 1
11. ასაბუთებს მოსაზრებებს სათანადო არგუმენტებით (მაგალითებით, ფაქტებით)	0 - 0.5 - 1
12. აყალიბებს სათქმელს გასაგებად და თანამიმდევრულად	0 - 0.5 - 1
13. იცავს აზრობრივ შესაბამისობას	0 - 0.5 - 1
<b>სტრუქტურა</b>	
14. იცავს ტექსტის სტრუქტურირების პრინციპს (შესავალი, ძირითადი ნაწილი,	0 - 0.5 - 1

დასკვნა)	
15. გამოყოფს აზრებს	0 - 0.5 - 1
<b>ლექსიკა, სტილი</b>	
16. შეარჩევს სათანადო სტილს, ლექსიკას	0 - 0.5 - 1
17. იცავს ენობრივ-გრამატიკულ ნორმებს	0 - 0.5 - 1
18. იცავს მართლწერისა და პუნქტუაციის წესებს	0 - 0.5 - 1
ჯამური ქულა (ჯამური ქულა დამრგვალებდა მოსწავლის სასარგებლოდ)	

### 3. დისკუსია/დებატებინაცნობ თემაზე/საკითხზე

ორგანიზება დისკუსიის/დებატებისა, რომელზედაც განხილული იქნება ნაცნობი თემა (მაგ., ზოოპარკების არსებობის მიზანშეწონილება). დისკუსიის/დებატების დროს ორივე მხარემ უნდა დაასაბუთოს საკუთარი პოზიცია ლოგიკური არგუმენტების მოყვანის გზით (იხ. ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი, რომელშიც მოყვანილია ამგვარი

არგუმენტების ნიმუშები). თითოეული არგუმენტის დამადასტურებელი კონკრეტული მაგალითები სტუდენტებმა უნდა მოიძიონ დისკუსიის/დებატების მოსამზადებელ ეტაპზე.

ზოოპარკების საწინააღმდეგო	ზოოპარკების მხარდამჭერი
<p>1. ცხოველებს აქვთ უფლებები, ისევე, როგორც ადამიანებს. ისინი მათ ბუნებისგან აქვთ მინიჭებული - თითოეული ცხოველი განუყოფლად მიეკუთვნება თავის ბუნებრივ გარემოს, რომელშიც, ცხოვრობს, იზრდება და შოულობს საკვებს. უზნეობაა (ამორალურია), რომ ცხოველთა ნების საწინააღმდეგოდ, ისინი ძალადობრივად გამოვაცალკევოთ მათი ბუნებრივი გარემოსგან.</p>	<p>1. ცხოველთა უფლებები ადამიანების მიერაა მოგონილი - როგორც ცხოველთა ნება, ამის გაგება შეუძლებელია. ადამიანი არის ყველაზე ძლიერი ცოცხალი არსება. ბუნების კანონი კი ისაა, რომ უფრო ძლიერი სახეობა ბატონობს შედარებით სუსტ სახეობაზე. ამიტომ ადამიანის ნებაა, როგორ მოექცევა ის ცხოველს.</p> <p>ადამიანებს შეუძლიათ გამოიყენონ ცხოველები საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად (გასართობად, თანხლებისთვის, გადასადგილებლად, ტვირთის გადასაზიდად, საკვებად გამოსაყენებლად; სამეცნიერო ექსპერიმენტებისთვის, რომლებიც ხელს უწყობს პროგრესს), თუმცა გაუმართლებელი სისასტიკე, ცხადია, მისაღები არ არის.</p> <p><i>შენიშვნა: მოსაძიებელია კონკრეტული მაგალითები - მაგ., ცხოველებზე</i></p>

	<p><i>ჩატარებული სამეცნიერო ექსპერიმენტებისა, რომლებმაც გააფართოვა ჩვენი ცოდნა ბუნებაზე, ხელი შეუწყო რომელიმე დაავადებასთან ბრძოლას და ა.შ.</i></p>
<p>2. ცხოველთა უფლებები მართლაც ადამიანების მიერაა შექმნილი, რადგან ჩვენ - ადამიანებს, როგორც დედამიწაზე გაბატონებულ ცოცხალ არსებებს - უნდა გვქონდეს პასუხისმგებლობა, რომ ჰუმანურად მოვექცეთ ცხოველებს. ამას ეფუძნება ცხოველთა უფლებების დეკლარაცია.</p> <p>მართალია, ადამიანებს შეუძლიათ გაზარდონ ცხოველები საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, მაგრამ მათი ვალდებულებაა, არ მოეპყრან ცხოველებს სასტიკად, არ მიაყენონ გაუმართლებელი ტანჯვა. თუკი ამას გავითვალისწინებთ, ზოოპარკების არსებობა ორი მიზეზის გამოა დაუშვებელი: ა) ცხოველები ხშირად იტანჯებიან შეუფერებელ პირობებში ყოფნისგან, სასტიკიან უკადრისი მოპყრობისგან, უყურადღებობისგან; უჭირთ შეგუება უცხო გარემოსთან, ზოოპარკის</p>	<p>2. ცხოველთა უფლებების დეკლარაციაში არაფერია ნათქვამი ზოოპარკების აკრძალვაზე.</p> <p>ზოოპარკებში ცხოველთა მიერ სასტიკის მოპყრობის ან შეუფერებელ გარემოში ყოფნის მაგალითები გამონაკლისებია. სინამდვილეში ზოოპარკების უმრავლესობაში ცხოველები ძალიან კარგ პირობებში იმყოფებიან. მათ მუდმივად აქვთ სათანადო საკვები, წყალი; შექმნილი აქვთ ისეთი პირობები, რომლებიც ბუნებრივია თითოეული სახეობისთვის; ვეტერინარები ზრუნავენ ველური ცხოველების ჯანმრთელობაზე, რისი გაკეთებაც შეუძლებელია ბუნებრივ პირობებში. როგორც წესი, ზოოპარკში ველურ ცხოველებს უკეთესი პირობები აქვთ გადარჩენისთვის, ვიდრე ბუნებრივ გარემოში.</p> <p>ზოოპარკების თანამშრომლებს, ისევე როგორც დამთვალეირებლებს, კანონი</p>



<p>დამთავალიერებლეთან, მათ მეზობლად მოთავსებულ სხვა ცხოველეთან, რის გამოც მოიწყენენ ან აგრესიული ხდებიან. ბ) ზოოპარკის დამთავალიერებლებს ექმნებათ მცდარი წარმოდგენა, რომ ცხოველთა დატყვევებისთვის ადამიანს პასუხისმგებლობა არ ეკისრება.</p> <p><i>შენიშვნა: მოსაძიებელია კონკრეტული მაგალითი/მაგალითები ზოოპარკებში სასტიკი მოპყრობის, შეუფერებელ გარემოში ყოფნის და ა.შ.</i></p>	<p>ავალდებულებს, არ მოეპყრან სასტიკად ცხოველებს (ის, ვინც სასტიკად ეპყრობა, კანონით ისჯება).</p> <p>ზოოპარკების დამთავალიერებლები სწავლობენ იმას, რომ ყველა ცხოველი არის საინტერესო, უნიკალური და მნიშვნელოვანი.</p>
<p>3. სინამდვილეში არცთუ ისე ბევრი ზოოპარკი აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს. ზოგიერთ ზოოპარკში კი საერთოდ, ცხოველები იმისთვის ჰყავთ, რომ ხალხი მოიზიდონ სხვა მომსახურებისთვის - მაგ., ატრაქციონებზე, რესტორანში, სასტუმროში და ა.შ. ამდენად, ამ ზოოპარკებს აქვთ კომერციული და არა საგანმანათლებლო მიზნები.</p> <p><i>შენიშვნა: შესაძლებელია ამ ტიპის ზოოპარკების დასახელება.</i></p>	<p>3. გაუმართლებელია ყველა ზოოპარკის აკრძალვა იმის გამო, რომ არსებობს მოძველებული სტანდარტების ან არასწორად ორგანიზებული ზოოპარკები.</p> <p>მთავრობამ/ქალაქის მერიამ, სხვა შესაბამისმა უწყებებმა და ორგანიზაციებმა უნდა იზრუნოს იმისთვის, რომ ამგვარი ზოოპარკები თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოიყვანოს.</p>
<p>4. ზოოპარკების საგანმანათლებლო ფუნქციაზე ლაპარაკი გადაჭარბებულია.</p>	<p>4. ზოოპარკები სასარგებლოა როგორც საგანმანათლებლო მიზნებისთვის, ისე</p>

<p>დამთვალეირებლები 3-5 წუთით თუ ჩერდებიან ამა თუ იმ ცხოველებთან, ისიც გასართობად და არა შესასწავლად/გასაცნობად.</p> <p>სამეცნიერო-კვლევები: ზოოპარკებში იმას იკვლევენ, თუ როგორ უნდა შევინარჩუნოთ ველური ცხოველები ტყვეობაში (გაზრდა, გამრავლება, კვება). თუკი ზოოპარკები არ იარსებებს, მაშინ ასეთი კვლევებიც აღარ იქნება საჭირო.</p>	<p>კვლევისათვის. დამთვალეირებლები ახლოდან ეცნობიან ცხოველებს, რომლებსაც ისინი სხვაგვარად ვერ ნახავდნენ; იძენენ ცოდნას ცხოველთა სამყაროზე, ბუნებრივ მრავალფეროვნებაზე.</p> <p>მეცნიერებს აქვთ კარგი საშუალება, დააკვირდნენ ცხოველებს, შეისწავლონ ისინი და გამოიტანონ დასკვნები, როგორ უნდა შევუწყოთ ხელი მათ გადარჩენას ბუნებრივ პირობებში.</p>
<p>5. ზოოპარკების მთავარი ამოცანაა, მიიზიდონ რაც შეიძლება ბევრი დამთვალეირებელი, ამიტომ ზოოპარკებში მყოფი ცხოველების უმრავლესობა გავრცელებულ სახეობებს წარმოადგენს - გადაშენების პირას მყოფი ცხოველები შეიძლება სულაც არ იყოს მიმზიდველი დამთვალეირებლებისთვის.</p> <p><i>შენიშვნა: შესაძლებელია კონკრეტული მაგალითების მოყვანა - დასახლება ზოოპარკებში მოთავსებული ყველაზე პოპულარული ცხოველებისა, რომლებიც ფართოდაა გავრცელებული.</i></p>	<p>5. ზოოპარკებში ყოფნას შეუძლია გადაარჩინოს გადაშენების პირას მყოფი ცხოველები.</p> <p><i>შენიშვნა: შესაძლებელია კონკრეტული მაგალითების მოყვანა - დასახლება გადარჩენილი ცხოველთა სახეობებისა.</i></p>

სხვ.	სხვ.

დისკუსიის შეფასების სქემა

კრიტერიუმები	ქულები	სტუდენტი ო 1	სტუდენტი 2	სტუდენტი ო 3
დისკუსიაში მონაწილეობდა და აზრს გამოთქვამდა.	0-0, 5-1			
პოზიციის დასასაბუთებლად მოჰყავდა სათანადო არგუმენტები	0-0, 5-1-1, 5-2			
სვამდა შეკითხვებს ოპონენტის აზრის დასაზუსტებლად, კონკრეტული ინფორმაციის მოსაპოვებლად (დეტალების დასაზუსტებლად)	0-0, 5-1-1, 5-2			
ამყარებდა რელევანტურ უკუკავშირს გამოთქმულ მოსაზრებებზე	0-0, 5-1-1, 5-2			
იყო კორექტული, იცავდა სამეტყველო ეტიკეტს, მეტყველებდა	0-0, 5-1			

სათანადო ძალის ხმით				
არ გასცილებია სადისკუსიო თემას	0-0, 5-1			
იყენებდა ადეკვატურ ლექსიკას, სამეტყველო სტილს	0-0, 5-1			
სულ:				

4. პრეზენტაცია - 2 ყველაზე ეფექტური და ეფექტიანი რეკლამა

კრიტერიუმები	ქულები
<b>შინაარსი, სტრუქტურა</b>	
1. წარმოადგენს ორ რეკლამას და ხსნის, რით მოახდინეს მათ განსაკუთრებული შთაბეჭდილება	0 - 0.5 - 1 - 1,5 - 2
2. გამოკვეთს და განმარტავს პირველი რეკლამის ძლიერ მხარეებს (დარწმუნების ხერხების გამოყენება)	0 - 0.5 - 1
3. გამოკვეთს და განმარტავს პირველი რეკლამის ძლიერ მხარეებს (დარწმუნების ხერხების გამოყენება)	0 - 0.5 - 1
<b>ენა, კომუნიკაცია</b>	
4. გასაგებად და თანამიმდევრულად გადმოსცემს სათქმელს	0 - 1 - 2
5. სათანადოდ იყენებს არავერბალური მეტყველების ელემენტებს (ხმა, მკაფიო მეტყველება, ჟესტები, პოზა, გამომეტყველება)	0 - 0.5 - 1
6. იყენებს ადეკვატურ ენობრივ-გრამატიკულ	

ფორმებსა და სინტაქსურ კონსტრუქციებს, იცავს მართლმეტყველების ნორმებს	0 – 0.5 – 1
7. იყენებს ადეკვატურ ლექსიკასა და სტილს	0 – 0.5 – 1
<b>ვიზუალური საშუალებები</b>	
8. აღქმის გასაადვილებლად იყენებს თვალსაჩინოებებს.	0 – 0.5 – 1
ჯამური ქულა (ჯამური ქულა დამრგვალებდა მოსწავლის სასარგებლოდ)	

თავი 4. ამბავი სიყვარულისა

ძირითადი სასწავლო რესურსები

აქტივობები

ბეჭდური ტექსტები

მულტიმედიური ტექსტები

## მხატვრული

1. გოდერძი ჩოხელი, „ცხრა შეკითხვა სიყვარულზე“;
2. „შემომეყარა ყივჩაღი“ (ხალხური);
3. გიორგი ლეონიძე, „ყივჩაღის პაემანი“;
4. ო'ჰენრი, „მოგვთა საჩუქრები“ (შემოკლებული, ადაპტირებული ვერსია)

1. მოკლემეტრაჟიანი ქართული მხატვრული ფილმი „ქორწილი“

2. „ყივჩაღის პაემანი“- ლექსის 2 აუდიოჩანაწერი (გიორგი ლეონიძისა და თანამედროვე ქართველი მსახიობის წაკითხვით).

აქტივობა 1. აზრაცები

აქტივობა 2. ვწერთ აზრაცის დამხმარე წინადადებებს

აქტივობა 3. დავწერთ აზრაცი

აქტივობა 4. ქვიზი

აქტივობა 5. ქვიზი

აქტივობა 6. ვიცნობთ თუ არა საკუთარ თავს?

აქტივობა 7. დავიცვით დროითი თანამიმდევრობა

აქტივობა 8. თხრობა უსიტყვოდ

აქტივობა 9. ემოციური კომენტარი

## **თემატური საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები**

- როგორ შეიძლება ამოვიცნოთ ნამდვილი სიყვარული? (/როგორ და რაში გამოიხატება ნამდვილი სიყვარული?)
- რამდენად უპასუხებს ტექსტები კითხვებს, რომლებიც მაქვს სიყვარულთან დაკავშირებით?
- რამდენად მეხმარება მწერლის/ლირიკული გმირის ემოციების, სულიერი გამოცდილების გაცნობა?
- რა მიზნით და რამდენად ეფექტურად იყენებს ავტორი ენობრივ საშუალებებს სიყვარულის გრძნობის გამოსახატავად?
- რატომ წერენ მწერლები სიყვარულზე / რატომაა სიყვარული ერთ-ერთი უმთავრესი თემა ყველა დროისა და კულტურის ლიტერატურასა და ხელოვნებაში?

### შემაჯამებელი კომპლექსური დავალება

- შემაჯამებელი განმსაზღვრელი შეფასება შეიძლება შემოიფარგლოს შემდეგი სამი აქტივობით:
  - საკითხავი დავალებები: ა) „ყივჩალის პაემანი“, ნაბიჯი 3. კითხვის შემდეგ (17, 18, 19, 20); ბ) „შემომეყარა ყივჩალი“, ნაბიჯი 2, კითხვის დროს (1, 2, 3, 4, 5, 6, 7 8, 9)
  - თავის ბოლოს შეთავაზებული შემაჯამებელი აქტივობებიდან ნებისმიერი ერთი წერითი აქტივობა (სტუდენტის არჩევანის მიხედვით);
  - თავის ბოლოს შეთავაზებული შემაჯამებელი აქტივობებიდან ნებისმიერი ერთი ზეპირი აქტივობა (სტუდენტის არჩევანის მიხედვით).

მოდულის შედეგები	სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები	საკითხები
<p>პროფესიული სასწავლებლის სტუდენტმა უნდა შეძლოს:</p> <p>1. ტექსტის გაანალიზება ჟანრული და კომპოზიციური მახასიათებლების</p>	<p style="text-align: center;"><i>ტექსტის ჟანრი</i></p> <p>ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო მახასიათებლები</p> <p style="text-align: center;"><i>ტექსტის კომპოზიცია</i></p> <p>▪ ნაწარმოების მთლიანობას ქმნის კომპოზიციურ-ლიტერატურული ელემენტების ერთობლიობა.</p>	<p>ჟანრი: მოთხრობა, ინტერვიუ; ლექსი თემა, იდეა, პერსონაჟი, კონფლიქტი, რიტმი, სტროფი, მოქმედების დრო და ადგილი, ხედვის</p>

<p>გათვალისწინებით.</p> <p>2. ტექსტის გაანალიზება ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და სტრუქტურულ-ორგანიზაციული მახასიათებლების მიხედვით.</p> <p>3. ტექსტის გააზრება-გაანალიზება კონტექსტური ფაქტორების გათვალისწინებით.</p> <p>4. ტექსტების შედარება, ინტერტექსტობრივი მიმართებების გამოვლენა.</p> <p>5. ტექსტის ინტერპრეტირება, მის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა-დასაბუთება.</p> <p>6. სხვადასხვა ტიპის ზეპირი და წერილობითი ტექსტების შედგენა-გაზიარება საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინებით.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ კომპოზიციურ-ლიტერატურული ელემენტების ცოდნის გამოყენება დამეხმარება ტექსტების სიღრმისეულად გააზრებაში, მიზნის შესაბამისი ტექსტების შედგენაში. <i>ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება</i></li> <li>▪ სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნის გამოყენება დამეხმარება ტექსტების სიღრმისეულად გააზრებაში, მიზნის შესაბამისი ტექსტების შედგენაში.</li> <li>▪ მკაფიო სტრუქტურა და ლოგიკურად ორგანიზებამეხმარება ტექსტის შინაარსის უკეთ გაგებაში. <i>ტექსტის ენა, სტილი</i></li> <li>▪ ტექსტში გამოყენებული ენობრივ-გამომსახველობითი ფორმები და სიტყვები გავლენას ახდენს ტექსტისმნიშვნელობაზე/ფასეულობაზე.</li> <li>▪ ავტორები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ-გამომსახველობით საშუალებას იმისათვის, რომ უკეთ გადმოსცენ სათქმელი, მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი.</li> <li>▪ ენობრივისაშუალებებისცოდნადამეხმარებატექსტებისგაგება-გააზრებაში, მიზნის შესაბამისი ტექსტების შედგენაში. <i>საკომუნიკაციო სიტუაცია</i></li> <li>▪ საკომუნიკაციო სიტუაციის ცოდნის გამოყენება დამეხმარება ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარებაში. <i>კონტექსტი</i></li> </ul> <p>კონტექსტის ცოდნა მეხმარება ტექსტის სიღრმისეულად, მრავალმხრივად გაგება-გააზრებაში. <i>ინტერტექსტულობა</i></p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ ინტერტექსტობრივი მიმართებების აღმოჩენა შესაძლებელია წინარე ცოდნა-გამოცდილების გამოყენებით.</li> </ul>	<p>კუთხე/პერსპექტივა, ფაქტობრივი ინფორმაცია;</p> <p>ფასეულობები/დამოკიდებულებები</p> <p>ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები:</p> <p>ლექსიკა - დიალექტიზმი, ჟარგონი, ტროპები;</p> <p>წინადადებათა აზრობრივი გადაბმის ტიპები: ჯაჭვური, პარალელური, შერეული;</p> <p><u>ტექსტის სტრუქტურა:</u> სათაუ აზრად;</p> <p>კონტექსტური ფაქტორები: ტექსტის შექმნის ეპოქა, ადგილი, სოციოკულტურული გარემო; ისტორიული ეპოქის ფასეულობები, ღირებულებები, ცოდნის დონე;</p> <p>ინტერტექსტუალური მიმართებები: ალუზია, ციტირება რიცხვითი სახელების მართლწერა; სასვენი ნიშნები პირდაპირ ნათქვამთან; მძიმე მიგებით ნაწილაკებსა და</p>
--	---	---



<p>7.წარმატებული კომუნიკაციის სტრატეგიების გააზრებულად გამოყენება.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ ინტერტექსტობრივი მიმართებების დადგენის შედეგად უფრო ღრმად/მრავალმხრივად გავიაზრებ ტექსტის მნიშვნელობას, იდეებს, თემებსა და პერსპექტივებს. <i>ინტერპრეტაცია</i></li> <li>▪ ტექსტის მნიშვნელობის ასახსნელად, ახალი კუთხით/ფორმით წარმოსაჩენად შემიძლია გამოვიყენო პირადი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ლიტერატურის, ცნებებისა და საკითხების ცოდნა. <i>ტექსტის გაგება</i></li> <li>▪ ტექსტის გაგება არის პროცესი, რომელიც ეტაპებისგან შედგება.</li> <li>▪ ტექსტის გაგების ხელშესაწყობად უნდა შევარჩიო და გამოვიყენო ცალკეული კონკრეტული ეტაპის შესაბამისი სტრატეგია. <i>ტექსტის შედგენა-გაზიარება</i></li> <li>▪ ტექსტის შედგენა-გაზიარება არის კომპლექსური პროცესი, რომელიც ეტაპებისგან შედგება.</li> <li>▪ ტექსტის შედგენა-გაზიარებისას უნდა: <ul style="list-style-type: none"> <li>○ გამოვიყენო ჟანრობრივი მახასიათებლებისა და ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა;</li> <li>○ შევარჩიო და გამოვიყენო კონკრეტული ეტაპის შესაბამისი სტრატეგია.</li> </ul> </li> </ul>	<p>შორისდებულებთან; მძიმე მიმართვასთან; ზმნის დროები (წარსულის, აწმყოსა და მომავლის გამომხატველი ზმნური ფორმები); ზმნის პირის ნიშნებთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები; ქვემდებარისა და შემასმენლის შეთანხმება რიცხვში.</p>
--	--	---

შენიშვნები:

- საკითხების ჩამონათვალში მითითებული ენობრივ-გრამატიკული საკითხების ცოდნის გასააქტიურებლად და სტუდენტების ენობრივი უნარების გასავითარებლად მასწავლებელს შეუძლია შეარჩიოს სავარჯიშოები, რომლებიც მოცემულია დამხმარე რესურსში (იხ. დ. თვალთვაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ქართული მართლწერის წესები და სავარჯიშოები, თბილისი, 2013, გვ. 48-59; 104-113; 216-225; 303-305; 333-336). ცალკეულ ენობრივ საკითხებთან დაკავშირებული კონკრეტული სავარჯიშოების რაობა და რაოდენობა უნდა შეირჩეს სტუდენტთა საჭიროებების გათვალისწინებით.
- ზეპირი ან წერითი შემაჯამებელი დავალებების მიცემისას მასწავლებელმა სტუდენტებს წინასწარ უნდა გააცნოს შეფასების სქემები.

## საკითხავი მასალა 1.

თემასთან დაკავშირებული წარმოდგენების გამოვლენა

მასწავლებელი დაურიგებს სტუდენტებს ბარათებს, რომლებზეც წერია გამონათქვამები სიყვარულის შესახებ. სტუდენტები შემოხაზავენ მათთვის მისაღებ პასუხს.

სამუშაოს დასრულების შემდეგ მოეწყობა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

1. სიყვარული ნებისმიერ ქმედებას ამართლებს.

დიახ

არა

2. ერთი ნახვით შეყვარება შესაძლებელია.

დიახ

არა

3. სიყვარული ჭეშმარიტად უნდა მივიჩნიოთ მხოლოდ მაშინ, როცა შეყვარებულები ყველაფერს სწირავენ ამ გრძნობას.  
დიახ არა

5. გიყვარს მხოლოდ მაშინ, როდესაც საკუთარ ინტერესებზე მაღლა სხვა ადამიანის ინტერესებს აყენებ.  
დიახ არა

6. სიყვარული? - ის არ არსებობს. შეყვარებულებს აერთიანებს არა სიყვარული, არამედ ვნება, ეგოიზმი, შიში ან სიბრყვე.  
დიახ არა

*პასუხების გაზიარება, აზრების გაცვლა-გამოცვლა.*

*თემატური ერთეულის დასრულების შემდეგ მასწავლებელს შეუძლია ჰკითხოს სტუდენტებს, შეეცვალოთ თუ არა წარმოდგენები. ცვლილების შემთხვევაში, სთხოვს ისაუბრონ, კონკრეტულად, რომელი წარმოდგენა შეეცვალათ და რატომ (/რამ მოახდინა ზეგავლენა).*

9 შეკითხვა სიყვარულის შესახებ

1

- უკაცრავად. თქვენისახელი?

- გოჩა.

- გვარი?

- ჩიფიკაშვილი.

- რამდენიწლისახარ, გოჩა?

- თექვსმეტის.

- შეყვარებულითუგყავს?

- შეყვარებული?

- ჰო, რაიყო, რაზეგეცინება?

- რავიბაა!

- რაჰქვია?

- ვის?

- შენსშეყვარებულს.

- არვიცი.

- როგორ, სახელიარიცი?

- არა, მხოლოდერთხელმყავსნანახიდაისიცშორიდან.

- როგორფიქრობ, რაარისსიყვარული?

- რავიბაა! მემგონი, მარადიულიმონატრებაა. . .

2

- მართაპირველი.

- ოჰო! რალამაზისახელიდაგვარიგაქვთ!

- მართლაა!

- ძალიანმომწონს.

- უი, დიდმაღლობა.

- მართა, შეიძლებასიყვარულისშესახებრამდენიმეკითხვამოგცეთ?ხომარგაბრაზდებით?

- უი, როგორგეკადრებათ, პირიქით, მეძალიანმიყვარსამთემაზესაუბარი.

- რახანასეა, მაშინგულახდილადმითხარით, გიყვართვინმე?

- არა, მეგათხოვილივარ!

3

- თქვენისახელი?

- ჩემი?!

- დიახ.

- კოლა, ნიკოლოზი, ისენიკიფორესმეძახიან.

- თქვენრომელიგრჩენიათ?

- მეე, ნიკო.

- რაგვარიბრძანდებით?

- ჩუქურთმიშვილი, ნიკიფორეჩუქურთმიშვილი.

- ცოლ-შვილიგყავთ?

- პირველიცოლისგანერთიბიჭი, ახლაჯარშია, წერილსველოდები, მეორისაგანქალ-ბიჭნი, უმცროსიმერვეშია, უფროსი - მეათეში.გოგოსჯობიასწავლითა, ბიჭიყალთაბანდობს, არაუშავრაკია. . . ბიჭიეგეთისჯობია, გამაიჯეკეზაყველასაქმეშია, მეცეგრეარვიყავი, რო? მესამეცოლიკიდეუშვილოგამამადგა, მაგრამრასიზამ, ვერგააგდებდავერაფერი, ისეთიმეზებიჰყავ, რომაკაციმჭამლები.

- რასიტყვით, რაარისსიყვარული?

- არგაგიგონიაა, შიშიშაიქმსსიყვარულსაო, ასპროცენტიაწიეგრეა; რავექნა, უშვილოგამამადგა, მაგრამისეთიმეზებიჰყავა, როპირდაპირკაციმჭამლები. მიყორს, მარავექნა, თავზეითრომალაალარარის, რასიზამ?

- შვილებისსიყვარულზერასიტყვით?

- აი, იმათენაცვალოთმამა, აგრეე!

- ხომნახულობ?

- არა, ალიმენტუგზავნი.

4

- რომელკლასშიხარ,ლადო?

- მეოთხეშიგადავდივარ.

- რანიშნებიგყავს?

- რავიი!

- შენმაკლასელმაგოგომითხრა,ორებსლებულობსო, მართლა?

- ორებსკიარა, ისაა.

- მაშ, რანიშნებიგყავს?

- ხუთები, ოთხებიდაალაგ-ალაგსამები.



- რაგვარიხარ?

- წიკლაური.

- შეყვარებულისომეყავს?

- შეყვარებულთარა, ისაა!

- მერომითხრეს, ჰყავსო?

- არაფერიც.

- შენიკლასელია?

- ვინა?

- ისგოგო, შენრომეყვარს.

- არავინცარმიყვარს.

- მერომითხრეს?

- რაგითხრეს?

- ლადოსისგოგოუყვარს, კლასშიმისუკანრომზისო.

- უკანკიარა, წინზის-წამოსცდალადოსდასირცხვილისაგანაწითლებულმათავიდახარა.

5

.....

- მერაუნდაგითხრათსიყვარულზე, ეგასაკიუკვეგავიარე.

- რასაკი.

- აი, კაცსრომჰგონია, სიყვარულიმართლარომარსებობს.

- თქვენგინდათთქვათ,რომ. . .

- დიახ, დიახ, ადრეცმეგონა, რომარსებობდა, მაგრამთურმესყველაფერიბავშვობისილუზიებიიყო.

- მერეროგორმიხვდით, რომარარსებობს?

- სულუბრალოდ. სკოლარომდავამთავრეთ, დავშორდით. მეინსტიტუტშიგავაგრძელესწავლა, ისჯარშიწავიდა.

- მერე?

- მერეჩემსთანაკურსელზეგავთხოვდი.
- რატომ, არგიყვარდათ?
- ჰმ, შენრაჩემიქმარივითლაპარაკობ?
- მაინც?
- გიყვარს, არგიყვარს, გიყვარვარ, არგიყვარვარ, რაშუაშიააქსიტყვები, მთავარიელემენტარულიგაგება, ხომ?
- მაინცრაშიგამოიხატებაესელემენტარულიგაგება?
- მემგონი,ბევრრამეში.თუნდაციმაში, რომარუნდამთხოვდესანგარიშებს, სადვიყავი, რატომდავიგვიანე. ესხომწვრილმანია, არა?
- გააჩნია, რაშემთხვევაში.
- ხომგითხარი?
- რამითხარით?
- ჩემიყოფილიქმარივითლაპარაკობთ-მეთქი.
- შერიგებასარაპირებთ?

- ვისთან, იმასთან?!

- უკაცრავად.

- არაფერზე.

- დაკიდევერთიკითხვა: ისბიჭირომშეგხვედესდაძველისიყვარულისგახლებამშემოგთავაზოთ, რასიზამთ?

- ვისზეამბობთ?

- თქვენსთანაკლასელზე, მემგონი,აქამდეჩამოვიდოდაჯარიდან.

- ააა, გოჩაზეამბობთ? ისშემხვდაკიდევ.რომგაიგო,ქმართანგაცილებულივიყავი, ასეო, ისეო, უშენოდარშემიძლიაო.

- მერე, რაუთხარით?

- ვიფიქრებ-მეთქი. იმდღესიანვრისოცდაცხრარიცხვიყო. დავთქვით, თებერვლისოცდაცხრაშიშეგხვედროდითერთმანეთსდამაშინვეტყოდიჩემსპასუხს. მისამართიგანგებარმივეცი, იმანძველიმისამართიიცოდა, ჩვენვისაცხოვრებლადსხვაგანგადავედით. მოკლედ,თუკვირმესაერთონაცნობიგყავდადაჩემიახალიმისამართიიცოდა, ყველაგავაფრთხილე, არეთქვათმისთვისჩემიახალიმისამართი.

- რატომ?

- იმიტომ, რომ მაინტერესებდა, ადრემართლამიყვარდათუ არა. თუმართლამიყვარდა, ხომ ვერ გავძლებდი და თებერვლის ოცდაცხრაში დათქმულადგილზე შევხვდებოდი. არ მინდოდა შევხვედროდი მანამდე, გაიგე? ჩემს თავს ვამოწმებდი.

- მერე რა გააკვირეთ?

- თებერვალი ოცდაცხრითკიარა, ოცდარვითიყო.

- და ველარ შეხვდით?

- მე ოცდარვაში ცმივე დიდაპირველმარტსაც.

- არ მოვიდა?

- ამასწინათ ისევ შემთხვევით შემხვდა და იცი, რამითხრა? მაპატიე, ოცდაცხრათებერვალს ისეთისაქმემქონდა, ვერაფრით ვერ მოვახერხე მოსვლაო. მაშინ მივხვდი, რომ ეს ყველაფერი ბავშვობა იყო.

- და აღარ გჯერათ?

- არავითარ შემთხვევაში.

- დამაინტროგორს იყვარულს ის ურევბდით?

- რაღა თქმაუნდა, ურთიერთგაგებარომიყოს, ისეთს.

6

- ბებო?

- რაო, შვილო?

- სიყვარულირაარის?

- სიყვარულიარახარ, მარახარ, ბებოგენაცვალოს!

7

- ჩემისახელიაპოლონი.

- გვარი?

- მღებრიშვილი.

- სადმუშაობთ?

- იქ.

- სადიქ?

- ნუ, რასაჭიროა?

- შემთხვევაროიყოს, სიყვარულისგულისათვისთუდასთმობდითსიცოცხლეს?

- ვინა? მეეე? ქალისგულისათვის, კაცო?! სიყვარულირადარის, რომმისიგულისათვისსიცოცხლეგაწიროსკაცმა.

8

- ეხლანდელებიქაა?! ეხლანდელებიადარცსირცხვილსდაგიდევენდააღარცნამუსა, გვიყვარსო!  
აეტუზებიანერთმანეთსადაჰპროშნიან. ზედაცარიყურებენ, გინდაყოფილხარიქა, გინდაარა.გვიყვარსო! მერეექაა?!  
ეხლანდელიცოლ-ქმარიროდადიან, ეგრედავდიოდითჩვენა? ჩვენკიარგვიყვარდაერთმანეთი?! თუმაგათსწავლარომაქ,  
სხვანაირისიყვარულიციან? ჩემქმარსოდავინახავდი, იგრეშამაზრიალებდატანში, როგორცრორა? მაგრამარასშავიმჩნევდი,  
სახელირაარის, სახელითაცვერმევმართავდიხალხშია, მრცხვენოდა. ისრეწავიდაშავმიწაშია,  
მეიმისთვითვალარგამიყრიათვალშია. ახლანდელები? ლამისარის, თვალებითდაჭამონერთმანეთი.

არა, ქაა! მემგნაირისიყვარულიარმწამს.

არმწამსდამამკალ, აჰა!

9

მეცხრედაბოლოკითხვა, თუმცაბოლოორატომ? განაწინაპასუხებიდანრამეგაირკვა?  
სიყვარულისრაობისათვისხოშიმდენივეკითხვაშიძლებადისვას, რამდენიადამიანიცარისქვეყანაზე. ალბათ,

ყველაპასუხი მართალი იქნება შეკითხვაზე, თურა არის სიყვარული. მართალი იქნება იმიტომ, რომ ყველა თავისებურად ხედავს მას, მაგრამ საბოლოოდ მაინც გაურკვეველი დარჩება, რადგან თვითონ ცვალებადი და გაურკვეველი ბუნებისაა სიყვარული.

ასე არ არის, მკითხველო?

სცადეთ, ყველამსაკუთარი პასუხი გასცეთ ამ შეკითხვას:

- მაინც არის სიყვარული, როგორ ბუნებისაა იგი და ის ურევბდით თურა არსებობს მის გარეშე?

ამით მარადიულად გაგრძელდება ჩვენ იმ მოთხრობა, რომელიც ვერასოდეს ჩასწვდება მის ბუნებას.

და თუ ვინმე მაინც გუტად შემოგიბრუნებთ კითხვას:

- დამიმტკიცეთ, რომ არსებობს სიყვარული.

ამაზე მხოლოდ ერთი პასუხი არსებობს: სიყვარული ისეთი ბუნებისაა, დამტკიცებას არსაჭიროებს, იგი თვითონ მტკიცდება იქ, სადაც ვხვდებით და ადგამს!

### ტექსტის დამუშავება აქტიური კითხვის სტრატეგიების გამოყენებით

ნაბიჯი 1. ტექსტის წაკითხვამდე – ვარაუდის გამოთქმა სათაურსა და სტრუქტურაზე დაყრდნობით (10 წუთი)



მასწავლებელი სტუდენტებს პროექტორზე აჩვენებს ტექსტს (ან დაურიგებს სამუშაო ფურცლებზე ამობეჭდილი სახით) და სთხოვს, გამოთქვან ვარაუდები ტექსტის რაობისა და შინაარსის შესახებ<sup>21</sup>. აუცილებელია იმის ხაზგასმა, რომ ვარაუდების გამოსათქმელად მათ უნდა გამოიყენონ მხოლოდ სათაური და ტექსტის სტრუქტურა - ამ ეტაპზე ტექსტი მათ არ უნდა წაიკითხონ.

*მასწავლებლის შეკითხვები (ზეპირი კითხვა-პასუხი):*

- რა მიმართებაა ტექსტის სათაურსა და სტრუქტურას შორის? (სათაურში დასახელებულია 9 შეკითხვა. ამის შესაბამისად, ტექსტი დაყოფილია 9 ნაწილად).
- სათაურსა და სტრუქტურაზე დაყრდნობით, როგორი შეიძლება იყოს ტექსტის შინაარსი? (შესაძლოა გამოიკვეთოს ორი შესაძლო ალტერნატივა 1. ესაა ცხრა სხვადასხვა შეკითხვა სიყვარულზე, რომელთაც პასუხობს ერთი ადამიანი; 2. ესაა ცხრა ადამიანის (რესპონდენტის) პასუხები ერთსა და იმავე შეკითხვაზე ან შეკითხვებზე. მისაღებია ნებისმიერი პასუხი, რომელიც სათანადოდ ახსნილი/დასაბუთებული იქნება).

*კითხვა-პასუხის დამთავრებისას მასწავლებელი შესთავაზებს სტუდენტებს, გაეცნონ ტექსტს და დაადგინონ, რომელი ვარაუდი გამართლდება.*

**რეკომენდაციები შეფასებისათვის:**

*აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია მოდულის შემდეგი შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:*

- I შედეგი, 1
- II შედეგი, 2
- V შედეგი, 3

---

<sup>21</sup>სასურველია, აქტიური კითხვის ამ ეტაპზე მასწავლებელს ჰქონდეს ტექსტის ელექტრონული ვერსია, ჩაწერილი dvd-დისკზე, რომელსაც პროექტორით აჩვენებს სტუდენტებს. ეს მას საშუალებას მისცემს, მოახდინოს გაცნობითი კითხვის მოდელის - ტექსტის ჩათვალისწინების - დემონსტრირება. ამას გარდა, ყველა სტუდენტისთვის თვალნათლივ აჩვენოს ტექსტიდან ის კონკრეტული მონაკვეთები, რომლებზეც კითხვებს დაუსვამს სტუდენტებს.

## ნაბიჯი 2. კითხვის სესია

კითხვის სესიის დაწყებამდე მასწავლებელმა მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბოს კითხვის მიზნები (რაზე უნდა გაამახვილონ სტუდენტებმა ყურადღება კითხვის დროს)

*კითხვის მიზნები:*

- სიყვარულზე განსხვავებული წარმოდგენების ამოცნობა;
- მოპასუხეების პიროვნული მახასიათებლების განსაზღვრა.

### კითხვები წაკითხულის გააზრებისთვის

#### 1. მოკლედ ჩამოაყალიბეთ ტექსტის რაობა(რას წარმოადგენს ტექსტი).

*ტექსტი მთლიანად კითხვა-პასუხებისგან შედგება. მწერალი რვა სხვადასხვა ადამიანს უსვამს კითხვებს სიყვარულთან დაკავშირებით. მეცხრე ადამიანი, რომელსაც ავტორი შეკითხვით მიმართავს, არის ტექსტის მკითხველი.*

#### 2. რა პერსონალური ინფორმაციაა მოცემული მოპასუხეების შესახებ?

1-ლი მოპასუხე - გოჩა ჩიფიკაშვილი, 16 წლის; მე-2 მოპასუხე - მართა პირველი (ასაკი და საქმიანობა მითითებული არ არის); მე-3 მოპასუხე - ნიკიფორე ჩუქურთმიშვილი, რომელსაც ჰყავს შვილები ორი ცოლისგან - 2 ვაჟი და 1 გოგონა; ამჟამად დაქორწინებულია მესამე ცოლზე (ასაკი და საქმიანობა მითითებული არ არის); მე-4 მოპასუხე - ლადო წიკლაური, მესამეკლასელი; მე-5 მოპასუხე: ქმარს გაცილებული ქალი (ასაკი და საქმიანობა მითითებული არ არის); მე-6 მოპასუხე - ბებო (სხვა ინფორმაცია არ არის); მე-7 მოპასუხე - აპოლონ მღებრიშვილი, დასაქმებული (სამუშაო ადგილის დასახელებას გაურბის); მე-8 მოპასუხე - ქვრივი ქალი (სხვა ინფორმაცია მოცემული არ არის).

#### 3. რა შეკითხვებს უსვამს მწერალი მოპასუხეებს სიყვარულის შესახებ?

შეყვარებულითუგყავს? როგორ ფიქრობ, რა არის სიყვარული? (# 1; # 6), გიყვართვინმე? (# 2), რასიტყვით, რა არის სიყვარული? (# 3), შეყვარებული ხომ გყავს? (# 4); როგორ მიხვდით, რომ არარსებობს [სიყვარული]? (# 5), როგორ სიყვარულს ისურვებდით? (# 5).  
სიყვარულის გულისათვის თუ დასთმობდით სიცოცხლეს? (# 7)

*მასწავლებელმა შეიძლება სტუდენტებს შესთავაზოს, ხაზი გაუსვან/მარკერით გამოყოფონ შეკითხვები. სტუდენტებმა უნდა გაიაზრონ, რომ აქ იგულისხმება მხოლოდ სიყვარულთან დაკავშირებული შეკითხვები (და არა კითხვები ასაკთან, საქმიანობასთან და ა.შ. დაკავშირებით).*

#### **4. რა მიზნით უსვამს მწერალი დამატებით შეკითხვებს მოპასუხეებს?**

პერსონალური ინფორმაციის მისაღებად (მოპასუხეების სახელი, გვარი, ოჯახური მდგომარეობა, საქმიანობა, სხვ.), ნათქვამის დასაზუსტებლად (# 5), მოპასუხესთან უშუალო კონტაქტის დასამყარებლად (# 4).

#### **5. თქვენი აზრით, რატომ უსვამს ავტორი მოპასუხეებს განსხვავებულ შეკითხვებს სიყვარულთან დაკავშირებით?**

ავტორი ითვალისწინებს, რომ მოპასუხეები სხვადასხვა ასაკისა და გამოცდილების ადამიანები არიან - ითვალისწინებს მოსაუბრის თავისებურებებს/მახასიათებლებს.

*ყველაზე უმცროსია მესამეკლასელი ლადო, ყველაზე უფროსი - შესაძლებელია, ბებო. ზოგადი კითხვა, როგორიცაა „რა არის სიყვარული?“, ალბათ, დააბნევს მესამეკლასელს - პასუხის გასაგებად ჩამოყალიბებას ის ვერ მოახერხებს. ამ კითხვას მოზრდილი ან ზრდასრული ადამიანი თუ უპასუხებს).*

#### **6. განსხვავდება თუ არა მწერლის დამოკიდებულება მოპასუხეების მიმართ? თქვენი აზრით, რატომ?**

ლადოს მწერალი ხუმრობით ელაპარაკება, ალბათ, ფიქრობს, რომ სიყვარულის თემაზე მესამეკლასელთან სერიოზულად ლაპარაკი შეუძლებელია; მართა პირველისგან ჯერ ნებართვას იღებს: სავარაუდოდ, ფიქრობს, რომ ამ თემაზე საუბრისას ქალთან მორიდებაა საჭირო - შეიძლება უხეშ ფლირტში ჩამოგართვას, გული ეტკინოს/შეურაცხყოფილი დარჩეს, სხვ. ნიკიფორესთან კონკრეტულ ცხოვრებისეულ დეტალებზე ამახვილებს ყურადღებას, რადგან თავად მოპასუხეც ძირითადად კონკრეტულ საკითხებზე საუბრობს.

#### **7. ისაუბრეთ, ვის პასუხში/რომელ ნაწილში ვხვდებით მოულოდნელ ან წინააღმდეგობრივ პასუხებს. რა ეფექტს ახდენენ ისინი მკითხველზე?**

##### მოულოდნელობები

# 2. მართა პირველის პასუხი - „გიყვართვინმე? - არა, მეგათხოვილივარ!“, რაც კომიკურ ეფექტს ახდენს (არ შეიძლება, ქმარი გიყვარდეს?).

##### წინააღმდეგობები

# 3. ნიკიფორეს ჩუქურთმიშვილის პასუხი - წინააღმდეგობა მოპასუხის სიტყვებსა და ქმედებებს შორის: „შვილებისსიყვარულზერასიტყვით?- აი, იმათენაცვალოთმამა, აგრეე!- ხომნახულობ?-არა, ალიმენტუგზავნი“. ეს მკითხველზე უსიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს (აშკარაა, რომ მოპასუხე ეგოისტია - გულგრილია შვილების მიმართ, თუმცა კი საალერსო სიტყვებს მათთვის არ იშურებს). მოულოდნელია ასევე რუსთაველის ტაეპის - „შიში შეიქმს სიყვარულსა“ - ნიკიფორესეული ახსნა-გაგება (ამით ამართლებს ცოლისძმების მიმართ შიშს და იმას, რომ მესამე ცოლს ვერ გაშორდება).

# 4. ლადო წიკლაურის პასუხი - მორცხვობს და აცხადებს, რომ არავინ უყვარს, თუმცა წამოსცდება, რომ უყვარს კლასში მის წინ მჯდომი გოგონა. ეს კომიკურ ეფექტს ახდენს.

# 5. ქმართან გაცილებული ქალის პასუხი - აცხადებს, რომ სიყვარული ბავშვობის ილუზიაა და არავითარ შემთხვევაში აღარ სჯერა სიყვარულის. ამისდა მიუხედავად, ირკვევა, რომ მაინც აქვს სიყვარულის სურვილი და, ამდენად, მოლოდინიც: ბოლო შეკითხვაზე („დამინცროგორსიყვარულსისურვებდით?) პასუხობს, რომ ურთიერთგაგებაზე დამყარებულ სიყვარულს ისურვებდა. ეს მკითხველში მოპასუხისადმი სიბრაღის/თანაგრძნობის განცდას იწვევს: აშკარაა, რომ ქალს სულიერი ტრავმები აქვს მიღებული (გაცილებულია ქმართან, ორჯერ მივიდა ძველ შეყვარებულთან პაემანზე, ის კი არ მოვიდა) და გულგატეხილია, მაგრამ მაინც მზადაა სიყვარულისთვის.

### **8. წაიკითხეთ მეხუთე მოპასუხის პირველი ფრაზა და აღადგინეთ გამოტოვებული შეკითხვა.**

შეკითხვის ვარიანტები: რას იტყვით სიყვარულზე? რა არის სიყვარული? და მისთ.

### **9. წაიკითხეთ მერვე შეკითხვა. თქვენი აზრით, რა შეკითხვა უნდა დაესვა ავტორს ამგვარი პასუხის მისაღებად? დაასაბუთეთ თქვენი აზრი ინტერვიუს ტექსტზე დაყრდნობით.**

შეკითხვის ვარიანტები:

- როგორ ფიქრობთ, როდის უფრო უყვარდათ ნამდვილი სიყვარულით - ძველად თუ ახლა?
- რას ფიქრობთ სიყვარულის გამოხატვის თანამედროვე ფორმებზე?
- რა განსხვავებაა სიყვარულის გამოხატვის ძველ და თანამედროვე ფორმებს შორის? და მისთ.

*დასაბუთება უნდა ეყრდნობოდეს შემდეგს: მოპასუხე ერთმანეთს ადარებს თავისი თაობის („ჩვენ“) და თანამედროვე ახალგაზრდების („ახლანდელის“) ქცევას: ტრადიციულ, წარსულ დროში მიღებულ ფორმას (თავდაჭერილობა, თავშეკავება, გრძნობის სახალხოდ გამოხატვის სირცხვილი) უპირისპირებს თანამედროვე ეპოქისთვის დამახასიათებელ ფორმას (გრძნობის ღიად გამოხატვა). დასაშვებად მიაჩნია მხოლოდ თავისი თაობის ქცევა, აკრიტიკებს თანამედროვე ახალგაზრდების ქცევას.*

### **10. ზოგიერთი მოპასუხისსაუბარში ვხვდებით სასაუბრო მეტყველების ფორმებს („არა, ქაა!“, „რავიი!“). თქვენი აზრით, რატომ არ ერიდება მწერალი სალიტერატურო ქართულის ნორმების დარღვევას პასუხების მოყვანის დროს?**

მწერალს სურს, რომ მკითხველმა მაქსიმალურად სრული ინფორმაცია მიიღოს თითოეულ მოპასუხეზე, როგორც რეალურ ადამიანზე; ცხადად, შელამაზების გარეშე წარმოიდგინოს თითოეული მათგანი - ადამიანის მეტყველებით შეიძლება ამოვიცნოთ, რა სწავლა-განათლება აქვს მას მიღებული, რა სოციალური წარმომავლობისაა, რა პროფესია აქვს და ა.შ.

## 11. თხზულება

### რეკომენდაციები შეფასებისათვის:

აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია მოდულის შემდეგი შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:

- I შედეგი, 1, 2, 3, 7
- II შედეგი, 1
- III შედეგები, 1,3, 4;
- V შედეგი, 2, 3.

მასწავლებელი სასწავლო პრიორიტეტების და სტუდენტების საჭიროებების მიხედვით განმავითარებელი შეფასებისათვის იხელმძღვანელებს დასახელებული შედეგების შესრულების კრიტერიუმებით.

### ნაბიჯი 3. კითხვის შემდეგ

11. რამდენად მისაღებია თქვენთვის მერვე მოპასუხის თვალსაზრისი? (ახსენით და დაასაბუთეთ თქვენი პირადი პოზიცია ამ ცვლილებასთან დაკავშირებით).

პასუხები შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. მისაღები იქნება ნებისმიერი პასუხი, რომელიც სათანადოდ იქნება ახსნილი და განმარტებული.

12. რით ასაბუთებენ მოპასუხეები თავიანთ მოსაზრებებს სიყვარულთან დაკავშირებით?

პირადი გამოცდილებიდან მოყვანილი მაგალითებით.

13. ყველაზე ნაკლებად რომელი პასუხი მოგეწონათ და რატომ?

პასუხები შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. მისაღები იქნება ნებისმიერი პასუხი, რომელიც სათანადოდ იქნება ახსნილი და განმარტებული.

14. შეარჩიეთ მოპასუხე, რომელმაც ყველაზე მეტად დაგაინტერესათ. რა დამატებით შეკითხვას დაუსვამდით მას და რატომ?

პასუხები შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. მისაღები იქნება ნებისმიერი პასუხი, რომელიც სათანადოდ იქნება ახსნილი და განმარტებული.

15. დაასახელეთ ის ადამიანი, რომლის პასუხები არ იყო თქვენთვის უზვეულო ან მოულოდნელი. ყურადღებით გადაიკითხეთ მისი პასუხები და შეეცადეთ, აღწეროთ მოპასუხის გარეგნობა, ჩაცმულობა, საყვარელი საქმიანობა.

პასუხები შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. მისაღები იქნება ნებისმიერი პასუხი, რომელიც სათანადოდ იქნება ახსნილი და განმარტებული

*ნაკლები მოულოდნელობა გულისხმობს, რომ სტუდენტი მეტ-ნაკლებად იცნობს მოპასუხის ტიპის ადამიანს და, ამდენად, უკეთ შეძლებს დაკავშირების სტრატეგიის გამოყენებას - ცხადია, აქ არ იგულისხმება კონკრეტული ადამიანის დასახელება და მასზე საუბარი (ნიმუშის საჩვენებლად მასწავლებელს შეუძლია შეარჩიოს ერთი მოპასუხე და დაიწყოს მისი აღწერა. სტუდენტები გააგრძელებენ მის აღწერას ან აღწერენ სხვა მოპასუხეს).*

16. „მეოცნებე“, „იმედგაცრუებული“, „გულცივი“ - რომელ მოპასუხეს ახასიათებს ეს სიტყვები ყველაზე უკეთ? (მიუსადაგეთ თითოეულ სიტყვას თითო მოპასუხე და დაასაბუთეთ პასუხი ტექსტზე დაყრდნობით)

მეოცნებე - 1-ლი მოპასუხე (გოჩა ჩიფიკაშვილი); იმედგაცრუებული - # 5 (ქმარს გაცილებული ქალი); გულცივი - # 3 (ნიკოფორე ჩუქურთმიშვილი)

17. პირადად თქვენ როგორ უპასუხებდით მწერლის შეკითხვას სიყვარულთან დაკავშირებით? პასუხები შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. მისაღები იქნება ნებისმიერი პასუხი, რომელიც სათანადოდ იქნება ახსნილი და განმარტებული.

18. ტექსტის მეცხრე ნაწილში მწერალი სიყვარულზე წერს: *„ყველათავისებურადხედავს, მაგრამსაბოლოოდმაინცგაურკვეველიდარჩება, რადგანთვითონცვალებადიდაგაურკვეველიბუნებისასსიყვარული“*. როგორია თქვენი პირადი პოზიცია მწერლის ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით? (პასუხი დაასაბუთეთ).

პასუხები შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. მისაღები იქნება ნებისმიერი პასუხი, რომელიც სათანადოდ იქნება ახსნილი/დასაბუთებული.

### რეკომენდაციები შეფასებისათვის:

აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია მოდულის შემდეგი შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:

- I შედეგი, 4, 5, 6, 7, 8
- III შედეგი, 1, 2, 3, 4, 6;

➤ V შედეგი, 1, 2, 3

მასწავლებელი სასწავლო პრიორიტეტების და სტუდენტების საჭიროებების მიხედვით განმავითარებელი შეფასებისათვის იხელმძღვანელებს დასახელებული შედეგების შესრულების კრიტერიუმებით.

*პრეზენტაცია ჩატარებული სამუშაოს შედეგების წარმოდგენით:* სტუდენტების მცირე ჯგუფები/წყვილები ჩატარებენ ინტერვიუს 5-6 სხვადასხვა ასაკის ადამიანთან სიყვარულის თემაზე; გააანალიზებენ მიღებულ პასუხებს იმაზე ფოკუსირებით, თუ რა მსგავსება-განსხვავებებია თანამედროვე რეალური რესპონდენტების პასუხებსა და გოდერძი ჩოხელის მოთხრობისეული რესპონდენტების პასუხებს შორის; დასასრულ, წარმოადგენენ ჩატარებული სამუშაოს შედეგებს პრეზენტაციის სახით (პრეზენტაციის შეფასებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას პრეზენტაციის შეფასების სქემა.

კრიტერიუმები	ქულები
გამოკვეთს პრეზენტაციის მიზანს	0 – 0, 5 – 1
მოჰყავს ძირითადი ინფორმაცია ჩატარებული სამუშაოს შესახებ (დრო, რესპონდენტების სქესი, ასაკი, განათლება, მათი შერჩევის პრინციპი და მისთ.)	0 – 0, 5 – 1
გამოკვეთს მსგავსებებს და ხსნის, რითია ისინი განპირობებული;	0 – 0, 5 – 1 – 1, 5 - 2
გამოკვეთს განსხვავებებს და ხსნის, რითია ისინი განპირობებული (მაგ., თანამედროვე ეპოქის სპეციფიკით)	0 – 0, 5 – 1 – 1, 5 - 2
წარმოადგენს დასკვნას, რომელშიც შეაჯამებს სამუშაოს	0 – 0, 5 – 1

შეარჩევს სათანადო ლექსიკას, იცავს მართლმეტყველების წესებს.	0 – 0, 5 – 1
მეტყველებს სათანადო ძალის ხმით, ინარჩუნებს აუდიტორიასთან კონტაქტს,	0 – 0, 5 – 1
იცავს დროის ლიმიტს.	0 – 0, 5 – 1
ჯამური ქულა	

## საკითხავი მასალა 2. მოგვთა საჩუქრები

ამერიკელი მწერლის, ო'ჰენრის მოთხრობა გადმოგვცემს ახალგაზრდა ცოლ-ქმრის - ჯიმისა და დელას - ამბავს. შობის წინა დღეა. დელასადა ჯიმის საშობაო საჩუქრის შეძენა სურთ ერთმანეთისთვის, მაგრამ საკმარისი ფული არ აქვთ. საჩუქრისთვის საჭირო თანხის საშოვნელად ორივე მეუღლე გაყიდის ყველაზე ძვირფასს, რაც მათ გააჩნიათ: დელა შეიჭრის უმშვენიერეს გრძელ თმას და გაყიდისთმის პარიკების დამზადების სალონში, ხოლო ჯიმი გაყიდის პაპის მიერ დანატოვარ ჯიბის ოქროს საათს. სადამოს, როცა მეუღლეები შეხვდებიან ერთმანეთს, აღმოჩნდება, რომ ვერცერთი ვერ გამოიყენებდა მოძღვნილ საჩუქრებს: ჯიმის დელასთვის თმის სავარცხლების კომპლექტი ჰქონდა ნაყიდი, დელას კი - ოქროს ძეწკვი ჯიმის ჯიბის საათისთვის.

წყარო: <https://www.facebook.com/notes/>

გზამკვლევეში მოთხრობის ტექსტი წარმოდგენილია შემოკლებული და ადაპტირებული სახით.

**ნაბიჯი 1. კითხვის დაწყებამდე - ვარაუდის გამოთქმა სათაურსა და პირველ წინადადებაზე დაყრდნობით**



მასწავლებელი მონიტორზე გამოაჩენს სათაურს და სტუდენტებს სთხოვს, გამოთქვან ვარაუდები ტექსტის შინაარსის შესახებ. აუცილებელია იმის ხაზგასმა, რომ ამ ეტაპზე ისინი ტექსტს არ კითხულობენ - ვარაუდების გამოსათქმელად მათ უნდა გამოიყენონ მხოლოდ სათაური და პირველი წინადადება შემდეგი თანამიმდევრობით: ჯერ სათაური, შემდეგ პირველი წინადადება.

*მასწავლებლის შეკითხვები (ზეპირი კითხვა-პასუხი):*

- ვის აღნიშნავს სიტყვა მოგვი? სათაურზე დაყრდნობით, რაზე შეიძლება მოგვითხრობდეს ტექსტი?

თუკი სტუდენტებს არ გაახსენდებათ სახარებისეული ამბავი, მასწავლებელი მოკლედ მიაწვიდ შემდეგ ინფორმაციას: სათაურში მოხსენიებული მოგვები შეგვახსენებს მათეს სახარებაში მოთხრობილ ამბავს: მოგვები იყვნენ აღმოსავლელი ბრძენები, რომლებიც განსწავლული იყვნენ მრავალ მეცნიერებაში, მათ შორის ასტრონომიაში. მაცხოვრის შობის შემდეგ ყრმა იესო ქრისტეს ეახლა 3 ბრძენი მოგვი, რომლებმაც მისი დაბადება ვარსკვლავის გამოჩენით შეიტყვეს. მოგვებმა თაყვანი სცეს ყრმა იესოს და საჩუქრად მართვეს უძვირფასესი ძღვენი - ოქრო, გუნდრუკი და მირონი (მათე, 2: 1-12). მასწავლებელს შეუძლია ასევე მონიტორზე აჩვენოს სტუდენტებს მოგვთა თაყვანისცემის ეპიზოდის ამსახველი ხელოვნების ნიმუშები (მაგ, რენესანსის პერიოდის იტალიელ მხატვრის, სანდრო ბოტიჩელის ფერწერული ნამუშევარი „მოგვთა თაყვანისცემა“).

სანდრო ბოტიჩელი (1445-1510 წწ.)

მოგვთა თაყვანისცემა



დასკვნა: სათაურზე დაყრდნობით - მოთხრობა შეიძლება მოგვითხრობდეს ბიბლიურ ამბავს (მაგ., გოგებაშვილის ბიბლიური მოთხრობების მსგავსად)

- პირველ წინადადებაზე დაყრდნობით, რაზე შეიძლება იყოს ტექსტი? როგორ უკავშირდება იგი სათაურს?

ვარაუდების გამოთქმა: მოულოდნელობის დაფიქსირება - არ ჩანს აზრობრივი კავშირი სათაურსა და პირველ წინადადებას შორის)

### რეკომენდაციები შეფასებისათვის:

*აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია მოდულის შემდეგი შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:*

- *I შედეგი, 3;*
- *V შედეგი, 1.*

ნაბიჯი 2. კითხვის სესია

მოგვთა საჩუქრები

ერთიდოლარიდაოთხმოცდაშვიდიცენტი. სულესიყო.

აქედანსამოციცენტირუდუნებითშეგროვილიერთპენიანიმონეტებისგანშემდგარიწვრილიფულიიყო.

დელამსამჯერგადათვალესფული - ერთიდოლარიდაოთხმოცდაშვიდიცენტი.

მეორედლესკიქრისტემობისდღესასწაულიიყო. ამფულითიგივერაფერსიყიდდა.

დელათავისდანჯღრეულტახტზედაეგდოდამწარედაქვითინდა ...

ოთახიმასავეჯთანერთადჰქონდადაქირავებულირვადოლარადთვეში.ოთახიარიყომათხოვრულიამსიტყვისზუსტიგაგებით, მაგრამდიდადაცარგანსხვავდებოდა. ქვემოთ, ვესტიზულშიშემოსასვლელკარზედამაგრებულიიყოსაფოსტოყუთი. დილაკსადასაფოსტოყუთსშორისკიმიკრულიიყოდაფაჩარჩერით: „მ-რჯემსდელინგენიუნგი“

... როგაკიდელინგენიუნგისახლშიბრუნდებოდა, ოთახშიშესვლისასმასეგებებოდამეუღლე - დელა - შემახილით „ჯიმ“ დანაზადმოხვევდახოლმემკლავებსკისერზე.

დელამტირილითგულიიჯერადაცრემლიანილოყებიჩვრითშეიმშრალა.

იგიფანჯარასთანიდგადაუაზროდმეჰყურებდნაცრისფერკატას, ეზოშინაცრისფერკედელთანრომსეირნობდა.

ხვალქრისტემობისდღეიყო, მასკიმხოლოდერთიდოლარიდაოთხმოცდაშვიდიცენტიჰქონდაჯიმისთვისსაჩუქრისსაყიდლად.

ისყოველთვიურადზოგავდაფულსდამხოლოდამთანხისდაგროვებამოახერხა, რადგანრეალურიფასებიყოველთვისუფროდიდიიყო, ვიდრეისანგარიშობდა. ჯიმისთვისკიაუცილებლადუნდაეყიდასაჩუქარი.

ჯიმი - მისიჯიმი. ადრერამდენისასიამოვნოწუთებიგაუტარებიაიმაზეფიქრით, როგორისაჩუქარიეყიდამისთვის. საჩუქარილამაზი, გამორჩეულიდაჯიმისშესაფერისიუნდაყოფილიყო.

უცებდელამოსცილდაფანჯარასდაგაჩერდასარკისწინ ... თვალეზიგაუბრწყინდა,

სახეგაუფითრდადასწრაფადჩამოუშვათმა.ახლისნათლადხედავდა, რომმისოჯახშიორიძვირფასინივთიიყო, ერთი - ჯიმისოქროსსაათი, რომელიცადრემისიმამის, უფროადრეკიპაპისსაკუთრებაიყო, მეორეკი - მისითმა.

დელასჩამოშვებულიტალღისებურითმაწაბლისფერჩანჩქერსმოგაგონებდათ.

თმამუხლებსქვემოთმთავრდებოდადათითქმისმთლიანადფარავდამისსხეულს. დელამსწრაფადაიკვცათმა.

იგიერთხანსყოყმანობდადაგაუნძრევლადიდა.

რამდენიმეკუპრცხალიმისიცრემლისაგაცვეთილწითელხალიჩასდაეცა.ბოლოსდელამ,

რომელსაც ვალეზეცრემლები ჯერ არ შემორობოდა, ჩაიცვათავისი ძველი ყავისფერი ჟაკეტი, დაიხურა ძველი ყავისფერი ქუდი, ხელის წრაფი მოძრაობით გაისწორა ქვედა ტანის მაქმანი, გაიჯახუნაკარი, ჩაირბინაკიბეები და ქუჩაში გავიდა.

იგიერთ შენობასთან გაჩერდა და წაიკითხა წარწერა:

„მადამ სოფრონი. თმისაგან დამზადებული ნაკეთობანი“. იმწამსვე ავარდა ზემოსართულზე, ძლივს დაიცხრომდელ ვარებად აოთახში შევიდა.

მისწინსქელი,

მეტისმეტად თეთრი,

ცივი დამკაცრი გამომეტყველების ქალბატონის ოფრონი იდგა.

- ხომ არ შეისყიდით ჩემს თმას? - შეეკითხა დელა.

- შევისყიდი. - მიუგო ქალბატონმა, - მოიხადეთ ქუდი დამაჩვენეთ!

დელამ მოიხადა ქუდი... დაწაბლისფერი ჩანჩქერი გადმოიფრქვა ქვემოთ.

- ოცდოლარად ვიყიდი. - თქვა ქალბატონმა და გამოცდილი ხელით ასწია თმა.

- მომეცით ახლავე. - უთხრა მას დელამ.

მომდევნო ორმასათამაზად ისფერი ფრთები თვალი ფრინა...

დელა დაეხეტებოდა მაღაზიებში ჯიშისათვის საჩუქრის საყიდლად. ბოლოს, როგორც ყოველთვის, მიაგნო.

საჩუქარი ხედგამოჭრილი იყო ჯიშისათვის,

თითქოს სპეციალურად მისთვის დაემზადებინათ.

სხვა მაღაზიებში მსგავსი რამვერაღმოაჩინა.

ეს იყო პლატინისგან დამზადებული,

სადა დამკაცრის ტილით შესრულებული ჯიშისათვის ძველი... ისეთივე მაღალი ხარისხისა,

როგორც ჯიშისათვის.

დელამ როგორც კი ესმეწკვიდა ინახა, გაიფიქრა, ეს მხოლოდ ჯიშისუნდა ეკუთვნოდესო. მეწკვირა ღაცნაირად ჯიშის ჰგავდა, რადგან მასშიც, ისევე როგორც ჯიშისში, შერწყმული იყო ღირსება და უბრალოება.

დელამ მეწკვიში ოცდაერთი დოლარი გადაიხადა და სახლში მხოლოდ თხმეც და შვიდი ცენტით ბრუნდებოდა.

დელა შინ დამშვიდებული და ბრუნდა... დიდხანს კრიტიკულად და გულმოდგინედ აკვირდებოდა თავის თავს სარკეში.

„როგორც კი შემომხედავს, ჯიშის მთავრებს, ან მეტყვის, გუნდის მომღერალ გოგონას ჰგავხარო. მაგრამ რა უნდა მექნა ერთი დოლარი თბილისში ოცდაშვიდი ცენტით?“ - ფიქრობდა იგი.

შვიდისათვის თავის მასყავა უკვე მოდული ჰქონდა, გახედავს უნებურად იტაფაკი მზადი ყოველ კატეგორიების შესწავლად. ჯიშის არასდროს იგვიანებდა.

დელამ ხელში დაიკავა ნაყიდი მეწკვი და დაჯდამა გიდის კუთხეში,

შემოსასვლელ კართან ახლოს.

ერთი წუთის შემდეგ მასკიბეები და ნაბიჯების ხმამოესმა.

იგი გაფითრდა.

დელას ჩვეულებად ჰქონდა უხმოდ გასაუბრებოდა თავის თავს უბრალო,

ყოველდღიურისაკითხების გამოცემა.

ახლა კი ჩურჩულით წარმოთქვა: „ღმერთო, შთააგონემას, რომ წინანდებურად ღამაზი ვარ“.

კარიგაიღო და ოთახში ჯიშის შემოვიდა.

იგი იმედგაცრუებული და დაღონებული ჩანდა.

საბრალო ჭაბუკი!

მხოლოდ ოცდაორი წლისა იყო და უკვე ოჯახის რჩენის სიმძიმე აწვაკისერზე. არ ჰქონდა ხელთათმანები, პალტოც საკმაოდ ძველი იყო.

ჯიმიუმრავადიდგა. ისეთიგამომეტყველებითმიჩერდადელას, რომქალმავერშეძლომისიამოკითხვა. ესგამომეტყველებაარგამოხატავდაარცგაბრაზებას, არცგანცვიფრებას, არცგაკიცხვას, არცთავზარდაცემასდაარცსხვარამისეთს, რაცასეთვითარებაშიშეიძლებადაეუფლოსკაცს. იგიდაჟინებითმისჩერებოდაცოლსამრალაცგანსაკუთრებული, გამოუცნობიგამომეტყველებით.

დელასასწრაფოდმოსცილდამაგიდასდამასთანმივიდა.

- ჯიმ, ძვირფასო, - უთხრამასტირილით, -ასენუმიყურებ! თმაშევიჭერი დაგავყიდეიმიტომ, რომარშემემლოშენთვისსაშობაოსაჩუქარიარმომერთმია. თმისეგვამეზრდება, განაასეარაა?! ვალდებულებიყავი, ესგამეკეთებინა. მომილოცეშობა, ჯიმ! მოდი, ბედნიერადგავატაროთესდღე. შენარცკიცი, რალამაზი, რადიდებულისაჩუქარიმოგიმზადე.

-ესეიგი,თმაშეიჭერი, არა? -იკითხაჯიმიმისეთიგამომეტყველებით, თითქოსვერადავერშეეძლოდაეჯერებინაესამბავი,

- შევიჭერიდაგავყიდე.განაალარმოგწონვარისე, როგორცყოველთვისმოგწონდი? მეხომისევისდელავარ.

ჯიმიმაცნაურადმოავლოთვალიოთახს.

- ესეიგიშენითმაალარარსებობს? \_ უაზროდიკითხამან.

- ნუკითხულობთმას, ხომგითხარი, შევიჭერიდაგავყიდე-მეთქი. დღესშობისწინადღეა! ესხომშენიგულისათვის გავაკეთე. იქნებთმისდათვლაცკიშეიძლებოდეს, -განაგრძომანსერიოზულიდანაზიტონით, - მაგრამვერავინწარმოიდგენს, როგორმიყვარხარ. ესსიყვარულიუსაზღვროა. ჯიმ, დავაწყოკატლეთებიტაფაზე?

ჯიმიუცებგამოფხიზლდადაგადაეხვიადელას. მერე ამოილოშეკრულაპალტოსჯიბიდანდამაგიდაზედააგდო.

-სწორადგამიგე, დელა, -თქვამან, -ვერცთმისშეჭრა, შეკრეჭადავერცსხვარამვერშეასუსტებსჩემსსიყვარულსშენდამი, მაგრამგახსენიესშეკრულადამიხვდები, რატომმოვიქეციასეუცნაურად.

დელამხელებისმსუბუქიმოდრაობითსწრაფადშემოხსნა შეკრულასაზონარიდა...

აღტაცებისშემახილიაღმობდა, შემდეგისინანულისამოკვნესადაქვითინი. მაგიდაზეიდომვირფასისავარცხლებისკომპლექტი - სავარცხლებიგვერდზედაუკანგადავარცხნილთმაზედასამაგრებლად. ესსავარცხლებიდელასადრენანახიჰქონდაბროდვეისერთ-ერთიმალაზიისვიტრინაშიდადიდხანსტკბებოდამათიციქერით. სავარცხლებილამაზიიყო,

დამზადებულიიყონატურალურიკუსჯავშნისგანდამვირფასითვლებითიყოშემკული.

ისინიძალიანმოუხდებოდადელასნაწნავებს.

დელამიცოდა,

რომსავარცხლებიძალიანძვირიღირდა.

როგორუნდოდამისიყოფილიყოდაგულიეტანჯებოდა, რომესაუსრულებელიოცნებაიყო.

დააიხლა,

როცაესსავარცხლებიმიისიიყო,

ალარარსებობდანაწნავები,

სავარცხლებსრომუნდადაემშვენებინა.მაგრამმანმანცგულშიჩაიკრასავარცხლები. ბოლოს,

როგორციყო,

ცრემლიანი

თვალებითამოიხედამალადათქვა:

-თმასწრაფადმეზრდება, ჯიმ!

შემდეგდელადამანთულკატასავითსწრაფადწამოხტაადგილიდანდამოიკვნესა:

- ოჰ, ღმერთოჩემო!

ჯიმის ხომჯერარენახამისისაჩუქარი.

დელამსწრაფადგაუწოდამუჭამიჩაბლუჯულისაჩუქარიდაგამალა,

რომჯიმისხელისგულზემოქცეულიდაენახა.

მქრქალიძვირფასილითონიდელასუსაზღვროდმოსიყვარულესულისანარეკლიუნდაყოფილიყო.

-ხომშესანიშნავია, ჯიმ. მთელიქალაქიმოვიარემისსაპოვნელად. მომეციშენისაათი. მინდავენახო, როგორმოუხდება.

იმისნაცვლად, რომშეესრულებინაესთხოვნა, ჯიმიმოწყვეტიდაემვატახტზე, ხელებითავსუკანშემოიწყოდაგაიღიმა.

-დელა, - თქვამან.-მოდი, შევინახოთჩვენისაშობაოსაჩუქრები. ისინიმეტისმეტადძვირფასიაჩვენთვის. მესაათიგავყიდე, რომშენთვისესსავარცხლებიმეყიდა. ახლავიდააწყევკატლეტებიშესაწვავად.

მოგვები, რომლებმაცახლადშობილქრისტესაჩუქრებიუძღვნეს, ბრძენიადამიანებიიყვნენ.

სწორედმათდაუდესსათავესაჩუქრისმიძღვნისჩვეულებასქრისტეშობისდღეს. დარადგანისინიბრძენიიყვნენ,

მათსაჩუქრებსაცბრძნულიშინაარსიჰქონდა: ადამიანმათავისახლობელსსაჩუქარიუნდაუძღვნასარაიმშიზნით,

რომიგიგამდიდროსდათვითონაცმდიდარიდარჩეს. საჩუქრისარსისულსხვაა.

იმისგასარკვევად, თუროგორიუნდაიყოსსაჩუქარი, მეთქვენგიაშბეთგამოგონილითავგადასავალიახალგაზრდაცოლქმრისა, რომლებმაცმსხვერპლადგაიღესყველაზესაუკეთესო, რაცკიგააჩნდათ.

ჭეშმარიტადბრძენიყველას, ვინცასეგაცემსდაღებულობსსაჩუქრებს. ისინიმოგვებიარიან.

### სიტყვების განმარტება

პენი - ფულის უმცირესი ერთეული აშშ-ში.

ყოყმანობდა - მერყეობდა, ვერ გადაეწყვიტა.

სათავე დაუდეს - საფუძველი ჩაუყარეს

### კითხვები ტექსტის გააზრებისათვის

#### 1. რატომ ტიროდა დელა?

მოგროვილი ძალიან მცირე თანხით საჩუქარს ვერ იყიდდა.

#### 2. რა ინფორმაციას ვხვდებით დელასა და ჯიმისმატერიალური გაჭირვების შესახებ?

- დელას ქმედებები: სამჯერ ითვლის ძალიან მცირე თანხას, თმებს გაყიდის
- ჯიმის ქმედებები: გაყიდის ოქროს საათს, რათა ცოლს საჩუქარი უყიდოს.
- საცხოვრებელი გარემო, ჩაცმულობა: ოთახი თითქმის მათხოვრულია, ტახტი დანჯღრეული, ოთახს ავეჯიანად ქირაობს თვეში 8 დოლარად - ანუ ძალიან ღარიბული და მოუწყობელი ოთახი უნდა იყოს; დელას აცვია ძველი ყავისფერი ჟაკეტი; ჯიმის არ აქვს ხელთათმანები, აცვია ძველი პალტო

### 3. საიდან ვიგებთ, რა დამოკიდებულება აქვთ დელასა და ჯიმს ერთმანეთთან? (მიუთითეთ სიტყვები, ქმედებები, აზრები)

- დელას ქმედებები: ყოველ საღამოს სიხარულით ეგებება ქმარს; დიდი ხნით ადრე დაიწყო მზადება ჯიმისთვის საჩუქრის საყიდლად - აგროვებდა ფულს; არ დაინანა თმა ჯიმისთვის საჩუქრის საყიდლად, დაბრუნებისთანავე შეუდგა ჯიმისთვის ვახშმის მომზადებას; გაყიდა თმა, რათა ჯიმისთვის საჩუქარი ეყიდა
- ჯიმის ქმედებები: არასდროს აგვიანებს სახლში მოსვლას (მიუხარია სახლში), გაყიდა პაპის დანატოვარი ოქროს საათი, რათა ცოლისთვის საჩუქარი ეყიდა
- დელას აზრები/დამოკიდებულებები: თვლის, რომ ჯიმის მხოლოდ ლამაზი და ძვირფასი საჩუქარი შეეფერება; ჯიმიში ხედავს ღირსებასა და უბრალოებას.
- ჯიმის აზრები/დამოკიდებულებები: თვლის, რომ ეს საშობაო საჩუქრები უნდა შეინახონ, რადგან ისინი მეტისმეტად ძვირფასია.
- დელას სიტყვები, ჯიმის სიტყვები (ბოლო სცენაში). ორივე ღიად ლაპარაკობს თავის სიყვარულზე.

### 4. ნაწარმოებში ვკითხულობთ: „დელამმოიხადაქუდი... დაწაბლისფერიჩანჩქერიგადმოიფრქვაქვემოთ“. რომელი მხატვრული ხერხია გამოყენებული ამ წინადადებაში?

ა) მეტაფორა;

ბ) შედარება;

გ) გაპიროვნება;

დ) ჰიპერობლა.

**5. დელა ჯიმისთვის საჩუქარს ეძებს. საჩუქრის საყიდლად დახარჯული დროის შესახებ მწერალი**

**წერს: „მომდევნო ორმასათმავარდის ფერი ფრთები თვალიდან“.** ძირითადად, რისი ხაზგასმა სურს ამით მწერალს?

- ა) დელას ძალიან ეჩქარებოდა სახლში დაბრუნება;
- ბ) დელა არ იცოდა, რა ეყიდა ჯიმისთვის საჩუქრად;
- გ) დელას არ ეჩქარებოდა სახლში დაბრუნება;

**დ) დელა ბედნიერი იყო იმით, რომ ჯიმისთვის არჩევდა საჩუქარს.**

**6. როგორი რეაქცია ჰქონდა ჯიმს თმაშეჭრილი დელას ნახვაზე? როგორ ფიქრობთ, რატომ?**

ჯიმმა უცნაური გამომეტყველება მიიღო და ორჯერ მოითხოვა დელასგან იმის დადასტურება, რომ მან ნამდვილად შეიჭრა თმები („ესეიგი, თმაშეიჭერი, არა?“, „ესეიგიშენი თმა აღარ არსებობს?“) - თითქოს თვალებს არ უჯერებდა. ასეთი მძაფრი რეაქცია ჯიმს იმიტომ ჰქონდა, რომ მას დელასთვის საჩუქრად სავარცხლების კომპლექტი ჰქონდა ნაყიდი.

**7. თქვენი აზრით, რატომ ელიმება ჯიმის? რატომ თვლის იგი, რომ ეს საშობაო საჩუქრები მეტისმეტად ძვირფასია?**

ღიმილი შეიძლება ორი მიზეზით აიხსნას: ილიმება, რადგან ორივენი სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ უსარგებლო საჩუქრების ჩუქების გამო; დარწმუნდა, რომ ორივეს ნამდვილი სიყვარულით უყვარს ერთმანეთი. საჩუქრები მეტისმეტად ძვირფასია იმიტომ, რომ ნაყიდია დიდი მსხვერპლის გაღების ფასად - ორივე მათგანი შეეღობა თავისთვის ძვირფას რაღაცას.

**8. რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ საჩუქრის არსის შესახებ ზოლო სამი აბზაციდან?**

*ნამდვილი საჩუქარი ისაა, რომელიც:*

**ა) მსხვერპლის გაღებას მოითხოვს;**

ბ) გაამდიდრებს საჩუქრის მიმღებს;



გ) არ გააღარიბებს საჩუქრის მიმცემს;

დ) მსხვერპლის გაღებას არ მოითხოვს.

### **რეკომენდაციები შეფასებისათვის:**

*აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია მოდულის შემდეგი შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:*

- I შედეგი, 2, 3, 4, 5, 6.
- II შედეგი, 1;
- III შედეგი, 2, 3, 4;
- V შედეგი, 1, 2,

### **ნაბიჯი 3. კითხვის შემდეგ**

**9. რა განსხვავება იქნებოდა, მწერალს რომ ჯიმის თვალთახედვიდან მოეთხორო იგივე ამბავი? (ახსენით თქვენი მოსაზრება)**

პასუხები შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. მისაღები იქნება ნებისმიერი პასუხი, რომელიც სათანადოდ იქნება ახსნილი/დასაბუთებული.

შესაძლო ვარიანტი: არ იქნებოდა მნიშვნელოვანი განსხვავება. ეს კიდევ ერთხელ მიგვითითებს, რომ ჯიმისა და დელას ნამდვილი სიყვარულით უყვართ ერთმანეთი - ისინი თითქოს ერთ მთლიანობად არიან ქცეული.

**10. თქვენი აზრით, რატომ გვიამბო მწერალმა ეს ისტორია ქალზე დაკვირვების გზით?**

პასუხები შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. მისაღები იქნება ნებისმიერი პასუხი, რომელიც სათანადოდ იქნება ახსნილი/დასაბუთებული.

შესაძლო პასუხი: დელაზე დაკვირვება უფრო საინტერესოა, რადგან მან, ალბათ, უფრო გრძელი გზა გაიარა გადაწყვეტილების მიღებამდე - ჯერ დიდხანს ითვლიდა წვალებით შეგროვებულ მცირე ფულს, მერე დიდხანს მიდიოდა გადაწყვეტილების მიღებამდე: ტიროდა, გახევებული იდგა ფანჯარასთან, კიდევ ერთხელ დააკვირდა თმას (თითქოს გამოემშვიდობა); დიდხანს არჩევდა ჯიმისთვის საჩუქარს. ამასთან, საჩუქრის საყიდლად დელამ უარი თქვა თმაზე (=შეიჭრა თმა), რომელიც მას განსაკუთრებით ლამაზი ჰქონდა. გარეგნულ ხიზლზე უარის თქმა კი ქალისგან დიდი მსხვერპლის გაღებაა. ცხადია, ჯიმისაც ძალიან გაუჭირდებოდა საათის გაყიდვა, მაგრამ ემოციების ღიად გამოხატვას და ტირილს, სავარაუდოდ, არ დაიწყებდა (მამაკაცის ქცევის ტრადიციული მოდელიდან გამომდინარე).

**11. რამდენად რეალისტურადაა დახატული გამოგონილი პერსონაჟების ურთიერთობა? გვხვდება თუ არა მსგავსი მაგალითები რეალურ ცხოვრებაში?**

პასუხები შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. მისაღები იქნება ნებისმიერი პასუხი, რომელიც სათანადოდ იქნება ახსნილი/დასაბუთებული.

**12. მოულოდნელი იყო თუ არა თქვენთვის მოთხრობის დასასრული? რატომ?**

პასუხები შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს.

**13. როგორ ფიქრობთ, ჯიმმა უფრო მეტი მსხვერპლი გაიღო თუ დელამ?**

პასუხები შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. მისაღები იქნება ნებისმიერი პასუხი, რომელიც სათანადოდ იქნება ახსნილი/დასაბუთებული.

შესაძლო ვარიანტი: ჯიმმა. დელას თმები ისევ გაეზრდება, ჯიმი კი ველარასდროს დაიბრუნებს საათს, ვერ აინაზღაურებს ამ დანაკლისს.

**14. თქვენი აზრით, რა ემოციები უნდა განეცადათ დელასა და ჯიმს საჩუქრის მიღების დროს?**

პასუხები შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. მისაღები იქნება ნებისმიერი პასუხი, რომელიც სათანადოდ იქნება ახსნილი.

სასურველია, პასუხებში ჩანდეს, რომ მათ უნდა ჰქონოდათ არაერთგვაროვანი ემოციები - სიხარული/ბედნიერება - იმის გამო, რომ დარწმუნდნენ მეორე ადამიანის სიყვარულში, ასევე სინანული/იმედგაცრუება - იმის გამო, რომ გაღებულ მსხვერპლი უსარგებლო აღმოჩნდა (ჯიმის საათი აღარ აქვს, დელას - თმები), ჯიმის მხრიდან ამას დაემატა ღიმილიც, რადგან სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდა ორივე.

### **15. როგორ ფიქრობთ, ბედნიერია თუ არა მოთხოვნის დასასრული? რატომ ფიქრობთ ასე?**

პასუხები შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. მისაღები იქნება ნებისმიერი პასუხი, რომელიც სათანადოდ იქნება ახსნილი/დასაბუთებული.

შესაძლო ვარიანტი: დიახ, ბედნიერია. არ შეიძლება ითქვას, რომ დანაკარგი უაზრო იყო, რადგან ორივე დარწმუნდა ერთმანეთის სიყვარულში. მათი სიყვარული კიდევ უფრო განმტკიცდა: თითოეულმა მათგანმა დაინახა, რამდენად ძვირფასია მეორესთვის - საყვარელი ადამიანის სიამოვნებისთვის ორივემ დაივიწყა საკუთარი ინტერესები და დათმო (მსხვერპლად გაიღო) ყველაზე ძვირფასი, რაც გააჩნდა: ჯიმმა საათი დათმო, დელამ - თმები. ამდენად, საშობაო საჩუქრის უმთავრესი მიზანი - საყვარელი ადამიანის გაბედნიერება სიყვარულისა და მზრუნველობის გამოჩენით - სრულად იქნა მიღწეული.

### **16. თქვენი აზრით, რა კავშირია სათაურში ნახსენებ მოგვებსა და ახალგაზრდა ცოლ-ქმარს შორის?**

მოგვებმაც და ცოლ-ქმარმაც გაიღეს ყველაზე ძვირფასი, რაც გააჩნდათ. მართალია, ჯიმისა და დელას მიერ გაღებული მსხვერპლი (ჯიბის საათი და თმები) ბევრად უფრო მცირე იყო, ვიდრე მოგვების მიერ გაღებული ოქრო, გუნდრუკი და მირონი, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს - ეს იყო ყველაზე ძვირფასი, რაც ჰქონდათ ჯიმისა და დელას, მაქსიმუმ, რისი გაღებაც მათ შეეძლოთ. ასეთ შემთხვევაში საჩუქრის მატერიალურ ღირებულებას მნიშვნელობა არ აქვს.

### **17. მწერლის თვალთახედვით, ნამდვილი სიყვარული მსხვერპლის გაღებას, საყვარელი ადამიანის ინტერესების საკუთარ ინტერესებზე მაღლა დაყენებას გულისხმობს. რამდენად მისაღებია თქვენთვის ეს პოზიცია? რატომ?**

პასუხები შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. მისაღები იქნება ნებისმიერი პასუხი, რომელიც სათანადოდ იქნება ახსნილი/დასაბუთებული.

18. თქვენი აზრით, როგორ გაგრძელდებოდა დელასა და ჯიმის ურთიერთობა? ისაუბრეთ, როგორ წარმოგიდგენიათ დელასა და ჯიმის ცხოვრება თუ ურთიერთდამოკიდებულება 20 წლის შემდეგ (ახსენით, რატომ ფიქრობთ ასე).

პასუხები შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. მისაღები იქნება ნებისმიერი პასუხი, რომელიც სათანადოდ იქნება ახსნილი/დასაბუთებული.

### რეკომენდაციები შეფასებისათვის:

აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია მოდულის შემდეგი შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:

- I შედეგი, 5, 6, 7
- IV შედეგი, 2, 3
- V შედეგი, 1, 2, 3, 4, 5

სასწავლო პრიორიტეტებისა და სტუდენტების საჭიროებების მიხედვით, მასწავლებელი განმავითარებელი შეფასებისათვის იხელმძღვანელებს დასახელებული შედეგების შესრულების კრიტერიუმებით.

### საკითხავი მასალა 4. „შემომეყარა ყივჩაღი“ (ხალხური)

ნაბიჯი 1. კითხვის დაწყებამდე - ვარაუდის გამოთქმა ლექსის სათაურსა და დასაწყისზე დაყრდნობით (10 წუთი)

მასწავლებელი სტუდენტებს პროექტორზე აჩვენებს ტექსტს (ან დაურიგებს სამუშაო ფურცლებზე ამობეჭდილი სახით) და სთხოვს, გამოთქვან ვარაუდები ტექსტის რაობისა და შინაარსის შესახებ. აუცილებელია იმის ხაზგასმა, რომ ვარაუდების გამოსათქმელად მათ უნდა გამოიყენონ მხოლოდ სათაური და პირველი ორი ტაეპი - ამ ეტაპზე ტექსტი მათ არ უნდა წაიკითხონ.

*მასწავლებლის შეკითხვები (ზეპირი კითხვა-პასუხი):*

- რაზე უნდა იყოს ტექსტი? („შემომეყარა“ მიგვითითებს, რომ გადმოცემული იქნება ლექსის მთქმელისა და ყივჩაღის შეხვედრის ამბავი; შესაძლებელია ეს იყოს მოულოდნელი შეხვედრა)
- ვინ არის (/ვის აღნიშნავს) სიტყვა „ყივჩაღი“?  
თუკი სტუდენტებს საქართველოს ისტორიიდან არ გაახსენდებათ ყივჩაღების გადმოსახლების ამბავი, მასწავლებელი მოკლედ შეახსენებს (მე-12 საუკუნეში მეფე დავით აღმაშენებელმა საქართველოში გადმოსახლა ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ყივჩაღების ტომის ნაწილი. ყივჩაღები ცნობილი იყვნენ თავიანთი მეომრული თვისებებით. გადმოსახლებული ყივჩაღები დავითმა თავის სამსახურში ჩააყენა და ბრძოლებში დასუსტებული ქართული ლაშქრის გასაძლიერებლად გამოიყენა. დავით აღმაშენებელმა ყივჩაღების გამოყენებით შეძლო სპარსელების დამარცხება და სხვა გამარჯვებების მოპოვება.
- სად ხდება მოქმედება? (მუხრანის გზასთან. ფრჩხილებში ჩასმული „მუხრანული“ შეიძლება მიგვითითებდეს ადგილზე, სადაც ხდება მოქმედება, ასევე იმაზეც, რომ ლექსი მუხრანშია შექმნილი. ანალოგია: „მუხრანული ღვინო“)
- თქვენი აზრით, როგორ გაგრძელდება ტექსტი? (შესაძლო ვარიანტები: გადმოცემული იქნება ამ შეხვედრის დეტალები; რაღაცით გამორჩეული შეხვედრა უნდა იყოს: ან დამეგობრდებიან, ან შეეტაკებიან ერთმანეთს და ბრძოლის ამბავი იქნება აღწერილი, სხვ.).

*კითხვა-პასუხის დამთავრებისას მასწავლებელი შესთავაზებს სტუდენტებს, გაეცნონ ტექსტს და დაადგინონ, რომელი ვარაუდი გამართლდება. სთხოვს იმ სტუდენტებს, რომელთა ვარაუდებიც სწორი (/ყველაზე ახლოს იქნება აღმოჩნდება*

**რეკომენდაციები შეფასებისათვის:**

აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია მოდულის შემდეგი შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:

- I შედეგი, 3;
- V შედეგი, 1.

## ნაბიჯი 2. კითხვის სესია

კითხვის სესიის დაწყებამდე მასწავლებელმა მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბოს კითხვის მიზნები (რაზე უნდა გაამახვილონ სტუდენტებმა ყურადღება კითხვის დროს)

*კითხვის მიზნები:*

- ლექსის გმირების მახასიათებლების, მათი ქცევის მოტივის ამოცნობა;

## შემომეყარა ყივჩალი (მუხრანული)

შემომეყარაყივჩალი  
სამზღვარსამუხრანისასა.  
პურიმთხოვადავაჭმიე,  
ვურჩევდითავთუხისასა.  
ხორციმთხოვადავაჭმიე,  
ვურჩევდიხოხობისასა,  
ღვინომთხოვადავასმიე,  
ვურჩევდიბადაგისასა,

ცოლიმთხოვადავერმივეც,  
მიმყავდასიდედრისასა,  
ანკიცოლსროგორმისცემდი -  
შვილსაგაზრდილსასხვისასა.  
ხელიმოჰხვია, აკოცა,  
მოზიდნანაწნავსთმისასა,  
შესტირასაბრალოქალმა:  
“ვაი, ცოლსცუდისყმისასა”.  
მეცგულმავეღარგამიძლო,  
მოვზიდნევადასხმლისასა,  
უმაღვეიმანდამასწრო,  
ელვასაჰგვანდაცისასა,  
ახლამეშემოვუქნიე,  
ვენდვემადლსლაშრისჯვრისასა.  
გავჭერიცხენიდაკაცი,  
წვერიცვუწვდინექვიშასა,  
არიყოღირსი, მოშორდა  
ცქერასნათელიმზისასა.  
ცოლი სიდედრსა მივგვარე,  
ის კი იქა სჭამს მიწასა.  
**ხალხური**

### სიტყვათა განმარტება

ლაშარის ჯვარი - ფშავის მთავარი სალოცავი.

კითხვები ტექსტის გაგება-გააზრებისთვის

1. დაალაგეთ ყივჩაღთან შეხვედრის ეპიზოდები თანამიმდევრობის მიხედვით.

- ა) ორთაბრძოლა;
- ბ) გამასპინძლება
- გ) შეხვედრა;
- დ) სიდედროთან მისვლა

.....

**2. რომელია ყველაზე დაძაბული ადგილი ლექსში?**

ორთაბრძოლის სცენა

**3. ვინ ჰყვება ამბავს?**

ქმარი

**4. რას გულისხმობს ფრაზა: „მოშორდა ცქერას ნათელი მზისასა“**

მოკვდა

**5. თქვენი აზრით, რატომ არ მიაჩნია ლექსის მთქმელს ყივჩაღის ცოცხლის ღირსად? მოძალადეა, დაარღვია სტუმარ-მასპინძლობის წესი, სიკეთეზე ბოროტებით უპასუხა.**

**6. შეტევაზე გადასული ყივჩაღის შესახებ ლექსის მთქმელი ამბობს: „უმალვეიმანდამასწრო, / ელვასაჰგვანდაცისასა“.**

- **თქვენი აზრით, რატომ მოაგონა ყივჩაღმა ელვა ლექსის მთქმელს - რა საერთო მახასიათებლები შეიძლება ჰქონოდათ ელვას და მეზობელ ყივჩაღს?**

პასუხები შეიძლება განსხვავებული იყოს. მისაღები იქნება ნებისმიერი პასუხი, რომელიც სათანადოდ იქნება ახსნილი და დასაბუთებული.

შესაძლო ვარიანტები: სისწრაფე და მოულოდნელობა (ყივჩაღმა დაასწრო ლექსის მთქმელს, თავდაპირველად მან შეუტია ქალის ქმარს), ელვის ხსენება შეიძლება არაპირდაპირ მიგვითითებდეს ყივჩაღის ხმლის პრიალზეც (ლითონის ნაკეთობა მზის შუქზე პრიალებს) - შეიძლება ქმარს თვალი მოსჭრა ხმლის ლაპლაპლმა.

- **როგორ ახასიათებს ეს სიტყვები ყივჩაღს?**

ყივჩაღი კარგი მეომარია.

- **როგორ ახასიათებს ეს სიტყვები ლექსის მთქმელს?**

ქმარი გულწრფელი ადამიანია, რომელსაც შეუძლია მოწინააღმდეგის ობიექტური შეფასება: იგი არ მალავს ყივჩაღის ძლიერ მხარეს - მის შესანიშნავ მეომრულ თვისებებს (ზოგადად, რაც უფრო ძლიერი მოწინააღმდეგე, მით უფრო ფასეულია მასზე გამარჯვება)



7. ყივჩაღის ძალადობაზე ქმარს თითქოს მყისიერი რეაქცია არ აქვს - ლექსში ჯერ ქალის ტირილით ნათქვამი სიტყვებია მოყვანილი, რის შემდეგაც ქმარი ხმაღს იზიშვლებს ცოლის დასაცავად. თქვენი აზრით, რატომ შეიძლება ჰქონოდა ქმარს ნაგვიანევი რეაქცია?

პასუხები შეიძლება განსხვავებული იყოს. მისაღები იქნება ნებისმიერი პასუხი, რომელიც სათანადოდ იქნება ახსნილი და დასაბუთებული.

შესაძლო ვარიანტები:ქმრისთვის იმდენად წარმოუდგენელი იყო ასეთი თავხედობა და ძალადობა/სტუმარ-მასპინძლობის წესების დარღვევა), რომ თავდაპირველად დაიბნა, ცოლის ტირილმა გამოაფხიზლა.

8. როგორ დაახასიათებდით ქმარს ამ ლექსის საფუძველზე?

მეგობრული, ხელგაშლილი ადამიანი; არ არის აგრესიული, მაგრამ შეუძლია თავის დაცვა/საკუთარ ოჯახს არავის დააჩაგვრინებს.

9. წაკითხეთ ქვემოთ მოყვანილი 5 -წინადადებიანი ტექსტი და უპასუხეთ კითხვას.

#### ყივჩაღების გადმოსახლება საქართველოში

1. დავით აღმაშენებელი დაულაღავად იბრძოდა საქართველოს გაერთიანებისთვის. 2. 1116 წელს მას უკვე შემოერთებული ჰქონდა კახეთი, სამშვილდე, რუსთავი და სხვა ქალაქები. 3. 1118 წელს დავით მეფემ ბრძოლებში დასუსტებული ქართული ჯარის გასამლიერებლად ჩრდილოეთ კავკასიიდან ყივჩაღები გადმოსახლა. 4. მათ გადმოსახლებას ხელი იმანაც შეუწყო, რომ მეფეს ნათესაური კავშირი ჰქონდა ყივჩაღებთან - მისი მეორე ცოლი გურანდუხტი ყივჩაღთა მთავრის ასული იყო. 5. XIV საუკუნის დასაწყისიდან ყივჩაღთა ხსენება ქრება - ისინი გაქრისტიანდნენ და ადგილობრივ მოსახლეობას შეერივნენ“.

რა პერიოდში უნდა იყოს ხალხური ლექსი შექმნილი? მიუთითეთ, რომელ წინადადებებს ეყრდნობით ლექსის დათარიღებისას.

- ა) 1116 წელი - XIV საუკუნის დასაწყისი
- ბ) 1118 წელი - XIV საუკუნის დასაწყისი
- გ) 1118 წელი
- დ) XIV საუკუნის დასაწყისი

სწორი პასუხია ბ. საყრდენი წინადადებები: 3, 5.

10. გადმოეცით ლექსის შინაარსი საკუთარი სიტყვებით.

რეკომენდაციები შეფასებისათვის: ზემოთ წარმოდგენილი აქტივობები ემსახურება III, IV, V შედეგებით გათვალისწინებული უნარების განვითარებას.

### ნაბიჯი 3. კითხვის შემდეგ

11. წერილობით გადმოეცით ლექსის შინაარსი.

#### რეკომენდაციები შეფასებისათვის:

აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია მოდულის შემდეგი შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:

- III შედეგი, 1, 2, 3, 5, 6;
- V შედეგი, 1, 2, 6

მასწავლებელი სასწავლო პრიორიტეტების და სტუდენტების საჭიროებების მიხედვით განმავითარებელი შეფასებისათვის იხელმძღვანელებს დასახელებული შედეგების შესრულების კრიტერიუმებით.

### საკითხავი მასალა 3. ყივჩაღის პაემანი

ნაბიჯი 1. კითხვის დაწყებამდე - ვარაუდის გამოთქმა ლექსის სათაურსა და დასასრულზე დაყრდნობით (10 წუთი)

მასწავლებელი სტუდენტებს აჩვენებს ტექსტს პროექტორზე (ან დაურიგებს სამუშაო ფურცლებზე ამობეჭდილი სახით) და სთხოვს, გამოთქვან ვარაუდები ტექსტის შინაარსის შესახებ. აუცილებელია იმის ხაზგასმა, რომ ვარაუდების გამოსათქმელად მათ უნდა გამოიყენონ მხოლოდ სათაური და ბოლო ორი ტაეპი - ამ ეტაპზე ტექსტი სრულად მათ არ უნდა წაიკითხონ.

მასწავლებლის შეკითხვები (ზეპირი კითხვა-პასუხი):

- რაზე შეიძლება იყოს ტექსტი?  
ვარიანტები სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. მისაღები იქნება ნებისმიერი პასუხი, რომელიც სათანადოდ ახსნილი და დასაბუთებული იქნება.  
შესაძლო ვარიანტები: პაემანი ესაა ორი ადამიანის (უფრო შეყვარებულების) წინასწარ დათქმული შეხვედრა. სათაური მიგვითითებს, რომ ყივჩაღს აქვს წინასწარ დათქმული შეხვედრა ვიღაცასთან, ალბათ, შეყვარებულთან. ბოლო ორი ტაეპი მიგვითითებს, რომ ყივჩაღს ადრეც ჰქონია პაემანი ამ ადამიანთან, ანუ ესაა განმეორებითი პაემანი. ეს მიგვითითებს, რომ ყივჩაღის სიყვარული ცალმხრივი არაა (ყივჩაღის სიყვარულს მისი შეყვარებულის სიყვარულით პასუხობს), სხვა შემთხვევაში განმეორებითი პაემანი ხომ აღარ ექნებოდათ?
- როდის ხდება მოქმედება? (ვარდის ფურცლობის, ანუ ყვავილობის დროს. ვარდი გაზაფხულზე იშლება, ანუ მოქმედება ხდება გაზაფხულზე).
- თქვენი აზრით, რაზეა ტექსტი/რა არის ტექსტში გადმოცემული? (შესაძლო ვარიანტები: აღწერილი იქნება პაემანი, ყივჩაღის გრძნობები, სიყვარულის ისტორია, წინა პაემანი, შეყვარებულის სილამაზე, სხვ.)
- წინარე ცოდნის გახსენება: ხალხური ლექსი „შემომეყარა ყივჩაღი“, რომელშიც ლაპარაკია ყივჩაღთან ტრაგიკულ შეხვედრაზე. ვარაუდი: ეს ტექსტი შეიძლება რაღაცით უკავშირდებოდეს ხალხურ ლექსს (ამაზე მიგვითითებს ის, რომ ორივე ტექსტში ყივჩაღზეა ლაპარაკი).

### **რეკომენდაციები შეფასებისათვის:**

*აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია მოდულის შემდეგი შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:*

- III შედეგები, 2, 6;

### **ნაბიჯი 2. კითხვის სესია**

კითხვის სესიის დაწყებამდე მასწავლებელმა მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბოს კითხვის მიზნები (რაზე უნდა გაამახვილონ სტუდენტებმა ყურადღება კითხვის დროს)

*კითხვის მიზნები:*

- ყივჩაღის მახასიათებლების, მისი ქცევის მოტივის გააზრება;
- მწერლის ძირითადი სათქმელის ამოცნობა;
- ინტერტექსტუალური მიმართებების დადგენა (2 ტექსტის ურთიერთმიმართების დადგენა-გააზრება)

### ყივჩაღის პაემანი

გიორგი ლეონიძე

ყურღანებიდანგნოლიაფრინდა,  
 ყაზარდოსველიგადაიარა,  
 ისევადვსდექი!  
 მუხრანისბოლოს  
 ჩასაფრებულისინჯავიარაღს.

ქსანზედ, არაგვზედისევჰყვავიან  
 ხოდაბუნებითავთუხებისა,  
 შენიტუჩებიცისეტკბილია,  
 როგორცბადაგიდადუღებისას.

ხოხობასგნახე, მიწურვილიყო  
 როცაზაფხულირუსთაველისა,  
 ნეტამცბადაგიარდამელია  
 დაიმდღესხმალიარამელესა!

ტრამალდა ტრამალგამოგედევნე,  
შემოვამტვერე გზები ტიალი,  
მცხეთას ვუმტვრიეს აკეტურები,  
ვლენე ტაძრები კელაპტრიანი!

მაგრამ თვითონაც დაილეწება,  
დაბადებულა ვინც კი ივჩაღად,  
მუზარადიან შენს ქმარს შემოვხვდი,  
თავი შუაზე გადამიჩეხა!

მოდო, მომხვიე ხელი ჭრილობას,  
ვეღარა გხედავ, სისხლი თვიცლები...  
როგორც სამროხე ქვაბს ოშხივარი,  
ქართლის ხეობებს ასდის ნისლები...

მოდო! გემახია თასწლისმერე,  
დამნაცროს ელვამ შენი ტანისა;  
ვარდის ფურცლობისნი მანიარის  
დადროახალი პაემანისა!..

### სიტყვათა განმარტება

ყურღანი, ყორღანი - სამარხი  
გნოლი - მცირე ზომის გარეული ფრინველი (ქათმისნაირთა რიგისა).

ყაბარდოს ველი - ადგილი ჩრდილოეთ კავკასიაში  
ვსინჯავ - ვამოწმებ  
ხოხობა - ხოხბებზე ნადირობის დრო  
ხოდაბუნი - დიდი ყანა  
თავთუხი - ხორბლის ქართული ჯიში.  
მიწურვილ იყო - სრულდებოდა, დასასრულს იყო მოახლოებული  
საკეტური - საკეტი  
ვარდის ფურცლობა - ვარდის გაშლა

### კითხვები ტექსტის გასააზრებლად

#### 1. რა ინფორმაციაა მოცემული 1-ლ სტროფში?

მკვდარი ყივჩაღი ცოცხლდება/აღსდგება და იარაღმომარჯვებული მუხრანთან ჩასაფრდება.

#### 2. რა არის პირველი ორი ტაეპის დანიშნულება?

პირველი ორი ტაეპი - სამარხიდან გნოლის აფრენა - წინასწარ გვამზადებს მე-3 ტაეპისთვის, მკვდარი ყივჩაღის აღდგომისთვის (გნოლის მიწიდან ცაში აფრენა - ყივჩაღის ამოსვლა მიწიდან: მოძრაობა ქვემოდან ზემოთ).

ამას გარდა, გნოლის მიერ ყაბარდოს ველის გადმოფრენა ერთგვარად წინასწარი მინიშნებაა ყივჩაღის მიერ ტრამალების გადალახვაზე („ტრამალ და ტრამალ გამოგედევნე“).

#### 3. ვინ არის ლექსის მთხრობელი?

ყივჩაღი

#### 4. სად ხდება მოქმედება? (მიუთითეთ სტროფი, რომელშიც დაკონკრეტებულია ადგილი)

მუხრანთან. 1-ლი სტროფი („...მუხრანის ბოლოს/ ჩასაფრებული ვსინჯავ იარაღს“)

#### 5. თქვენი აზრით, რა მიზანი აქვს ყაბარდოს ველის მოხსენიებას პირველ სტროფში?

ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარე ყაბარდოს ველის ხსენება შეგვახსენებს, რომ ყივჩაღების ისტორიული სამშობლოა ჩრდილოეთი კავკასია.

6. რა მრავალგზისი ქმედებებია მოხსენიებული პირველ და მეორე სტროფებში? თქვენი აზრით, როგორ უკავშირდება ეს ქმედებები ერთმანეთს?

1-ლი სტროფი: ყივჩაღის აღდგომა („ღსევ აღვსდექი“), მე-2 სტროფი: თავთუხის აყვავება („ღსევ ჰყვავიან“). თავთუხის ყანა ყოველ წელს ისევ ჰყვავის, მკვდარი ყივჩაღიც ყოველ წელს ისევ ცოცხლდება.

7. მე-2 სტროფში ვკითხულობთ:

„შენი ტუჩები ისე ტკბილია,  
როგორც ბადაგი დადუღებისას“

რომელ მხატვრულ ხერხს იყენებს პოეტი?

- ა) გაპიროვნებას;
- ბ) მეტაფორას;
- გ) ჰიპერბოლას;
- დ) შედარებას.

შედარება გამოყენებულია ასევე მე-6 სტროფში (როგორცსამროხექვასომშივიარი, ქართლისხეობებსასდისნისლები...).

8. ლექსის მე-3 სტროფში პოეტი რუსთაველს ახსენებს. წაიკითხეთ სამი ფრაგმენტი რუსთაველის პოემიდან და მიუთითეთ, რომელ მათგანს უკავშირდება ლეონიძის ლექსი.

- ა) „ბედითი ბნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია?  
სჯობს, საყვარელსა უჩვენნე საქმენი საგმირონია!“
- ბ) „მოწურვილიყოზაფხული, ქვეყნითამოსლვამწვანისა,  
ვარდისფურცლობისნიშანი, დრომათისპაემანისა“
- გ) „მაგრავარდსაუშეობაგაახმობსდაფერსააკლებს,  
ჩვენვერ-ჭვერეტასაყვარლისაჭირსამველსაგაგვიახლებს“

სწორი პასუხი ბ.

პასუხების შემოწმებისას მასწავლებელს შეუძლია სტუდენტებს დამატებით მიაწოდოს მოკლე ინფორმაცია: ა) სტროფის კონტექსტის შესახებ: ქალაქ გულანშაროდან წამოსული ავთანდილი ტარიელთან შესახვედრად მიიჩქარის. მათი შეხვედრის დრო წინასწარაა დათქმული, ანუ პაემანია; ბ) სიტყვა „პაემნის“ ორი მნიშვნელობის შესახებ (პაემანი ესაა: 1. შეყვარებულთა წინასწარ დათქმული შეხვედრა; 2. ზოგადად, ორი ან მეტი პირის წინასწარ დათქმული შეხვედრა). ლეონიძის ლექსში „პაემანი“ პირველი მნიშვნელობითაა გამოყენებული, რუსთველის პოემაში - მეორე, უფრო ზოგადი, მნიშვნელობით.

### 9. ყივჩაღის როგორი სულიერი განცდაა გამოხატული მე-3 სტროფის სიტყვებში:

„ნეტამცბადაგიარდამელია  
დაიმდღესხმალიარამელესა!“

ა) მრისხანება;

ბ) მონატრება;

გ) სინანული;

დ) გაღიზიანება.

### 10. საყვარელ ქალთან შესახვედრად ყივჩაღი არ ერიდება სიწმინდეების შებღალვას - ლეწავს მცხეთის წმინდა ტაძრებს. რისი თქმა სურს ამით პოეტს?

ყივჩაღი სიყვარულისგან გაშმაგებულია: მისი გრძნობა იმდენად ძლიერია, რომ სიყვარულის მოსაპოვებლად არაფერზე დაიხვეს უკან, არაფერს მოერიდება - სიწმინდეების შებღალვასაც კი.

### 11. მე-5 სტროფში ყივჩაღი ამბობს:

„მაგრამთვითონაცდაილეწება,



დაბადებულავინცკივივჩალად“.

**თქვენი აზრით, ვინ იგულისხმება სიტყვებში „ვივჩალად დაბადებული“?**

შესაძლო ვარიანტები: ყველა ადამიანი, ვისაც აქვს უძლიერესი ემოციები და თამამად, თავისუფლად გამოხატავს მათ; ვინც არაფერს მოერიდება სიყვარულის მოსაპოვებლად, სხვ.

**12.რა შეაჩერებს ყივჩაღის გაშმაგებულ ლტოლვას სატრფოსკენ?**

შეხვედრა სატრფოს ქმართან, რომელიც სასიკვდილოდ დაჭრის ყივჩაღს.

**13. დააკვირდით, რომელი ბგერა მეორდება ჭარბად მე-4 სტროფში. თქვენი აზრით, რა ეფექტს ახდენს ამგვარი გამეორება?**

ბგერა „ტ“. ამით ლექსის ენა უფრო მუსიკალური ხდება

**14.როდის ხდება მოქმედება? (მიუთითეთ სტროფები, რომლებშიც დაკონკრეტებულია დრო)**

გაზაფხულზე. მე-2 სტროფი (ისევ ჰყვავიან / ხოდაბუნები თავთუხებისა); მე-7 სტროფი (ვარდისფურცლობისნიშანიარის) სატრფოს ნახვის დრო - ხობობა: მე-3 სტროფი (ხობობასგნახე, მიწურვილიყო / როცაზაფხულირუსთაველისა),

**15.რისი ხაზგასმა სურს პოეტს შემდეგი მეტაფორით: „დამნაცროს ელვამ შენი ტანისა“?**

ყივჩაღის გრძნობის ძალის (სატრფოს ტანის მოძრაობა/სილამაზე ყივჩაღს ცეცხლად ედება და წვავს, ნაცრად აქცევს).

**16. შემოხაზეთ ვარიანტი, რომელიც ყველაზე უკეთ გამოხატავს ლექსის ავტორის მთავარ სათქმელს.**

**ა) სიყვარული უკვდავია;**

ბ) სიყვარულს ძალადობით ვერ მოიპოვებ;

გ) ერთი ნახვით შეყვარება შესაძლებელია;

დ) შეყვარებული დაბრკოლებებს არ შეუშინდება.

**17. ლექსში არ ჩანს ქალის დამოკიდებულება ყივჩაღის მიმართ. თქვენი აზრით, რატომ?**

პასუხები სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. მისაღები იქნება ნებისმიერი პასუხი, რომელსაც ექნება სათანადო ახსნა.

**18. გაიხსენეთ ხალხური ლექსი, რომელშიც ამბის მთხრობელია ქმარი. ისაუბრეთ, რას ცვლის მთხრობელის შეცვლა?**

თვითონ ამბავი არ იცვლება, მაგრამ თუკი ხალხურ მუხრანულში ყივჩაღი, უბრალოდ, უხეში მოძალადეა, ყივჩაღის მონათხრობში მისი აგრესიის მიზეზია წინ წამოწეული - ესაა ყივჩაღის გაშმაგებული სიყვარული. ეს თითქოს ამართლებს ყივჩაღს, თანაგრძნობას იწვევს მკითხველში.

**19. იმსჯელეთ, რა ურთიერთმიმართებაა ხალხურ მუხრანულ ლექსსა და გიორგი ლეონიძის ლექსს შორის.**

გიორგი ლეონიძეხალხურ ლექსს ეყრდნობა. ამბავი აღებულია ხალხური ლექსიდან. პოეტი თვითონაც ხაზს უსვამს ამ კავშირს - იყენებს სიტყვებს, რომლებიც ხალხურ ლექსში გვხვდება: „თავთუხი“, „ბადაგი“; ან მიგვანიშნებს მათზე: „ხოხობას გნახე“ არის მინიშნება ხოხობზე, რომლითაც ქალის ქმარი გაუმასპინძლდა ყივჩაღს. მეტიც, ლეონიძე თავის ლექსს იწყებს იქიდან, სადაც ხალხურის მთქმელმა დაასრულა ამბავი: ხალხური ლექსის ბოლოში ნახსენები მიწიდან („ის კი იქა სჭამს მიწასა“) ლეონიძის ლექსის დასაწყისში ზედაპირზე ამოდის მკვდრეთით აღმდგარი ყივჩაღი.

მსგავსებების მიუხედავად, გიორგი ლეონიძის ლექსში ეს ამბავი გადასხვაფერებულია: მთავარი აქცენტი გადატანილია სიყვარულის დაუოკებელ ძალაზე - ყივჩაღის ქმედებების შინაგან მიზეზზე. ყივჩაღი აგრესიული მოძალადიდან სიყვარულისთვის თავგანწირულ ადამიანადაა ქცეული. ყივჩაღის მკვდრეთით აღდგომა („ისევ აღვსდექი“) სიყვარულის უკვდავებაზე მიგვანიშნებს. ლექსში ლეონიძე გამოხატავს თავის დამოკიდებულებას სიყვარულის მიმართ - მისთვის სიყვარულის გრძნობა უკვდავია და მარადიული.

**რეკომენდაციები შეფასებისათვის:**

*აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია მოდულის შემდეგი შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:*

- *I შედეგი, 2, 4, 5, 6, 8*
- *III შედეგი, 3, 4, 6;*
- *IV შედეგი, 1, 2, 3, 4*
- *V შედეგი, 1, 2, 3*

*მასწავლებელი სასწავლო პრიორიტეტების და სტუდენტების საჭიროებების მიხედვით განმავითარებელი შეფასებისათვის იხელმძღვანელებს დასახელებული შედეგების შესრულების კრიტერიუმებით.*

### **ნაბიჯი 3. კითხვის შემდეგ**

**17. როგორ ფიქრობთ, რამდენად სწორი გზა აირჩია ყივჩაღმა სიყვარულის გამოსახატავად? თქვენი აზრით, შეიძლება თუ არა სიყვარულით გავამართლოთ ნებისმიერი ქმედება?**

პასუხები სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. მისაღები იქნება ნებისმიერი პასუხი, რომელსაც ექნება სათანადო ახსნა.

**18. თქვენი აზრით, როგორია ლეონიძის დამოკიდებულება ყივჩაღის მიმართ? შემოხაზეთ სწორი ვარიანტი და ახსენით, რატომ ფიქრობთ ასე.**

ა) ავტორს მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება აქვს გმირის მიმართ;

ბ) ავტორში გმირი თანაგრძნობას იწვევს.

გ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

შესაძლო ვარიანტი: თანაგრძნობას იწვევს. ამ ლექსში ამბის მთხრობელია ყივჩაღი და ყურადღება მისი ქცევის მოტივზე - სიყვარულზეა გადატანილი. სწორედ ყივჩაღია მთავარი იდეის - სიყვარულის მარადიულობის - გამომხატველი.

**19. ისაუბრეთ, რა განწყობას იწვევს თქვენში ლექსი (სევდიანს, ოპტიმისტურს, შშფოთვარეს). რატომ?**

პასუხები სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. მისაღები იქნება ნებისმიერი პასუხი, რომელსაც ექნება სათანადო ახსნა.

**20. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ გთხოვს ლექსის ილუსტრაციების შექმნა. რომელ სცენას შეარჩევდით დასახატად და რატომ? აღწერეთ სიტყვიერად თქვენ მიერ „შექმნილი“ სურათი.**

პასუხები სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. მისაღები იქნება ნებისმიერი პასუხი, რომელსაც ექნება სათანადო ახსნა.

უნდა შეირჩეს და სიტყვიერად აღწეროს ერთი წარმოსახვითი სცენა. აღწერისას უნდა დასახელდეს: ვინ იქნებიან გამოსახული, როგორი იქნება ფიგურების განლაგება (ცენტრში, მარჯვნივ, რა იქნება გამოსახული ფონზე და ა.შ.), რა ფერები იქნება გამოყენებული.

გმირების გარეგნობის აღწერის შემთხვევაში შესაძლებელია დასახელდეს ესა თუ ის ქართველი თუ უცხოელი მსახიობი, როგორც ტიპაჟი; კონკრეტული ფერების შერჩევასა ყურადღება უნდა მიექცეს ლექსში დასახელებულ ფერებს: კერძოდ, ოქროსფერი - აყვავებული ხოდაბუნების ფერი, თეთრი - საძროხე ქვაბს ადენილი ოხშივარისა და ნისლის ფერები, გაფურჩქნილი ვარდების ფერი (შეიძლება დასახელდეს სხვადასხვა ფერის ვარდი - მაგ., სისხლისფერი, როგორც მძაფრი გრძნობის გამომხატველი, თეთრი - როგორც წმინდა გრძნობის გამომხატველი და ა.შ.).

*ნიმუშის საჩვენებლად მასწავლებელს შეუძლია თავად აღწეროს ერთ-ერთი სცენა და დაასახელოს სხვა სცენა, რომელსაც სტუდენტები აღწერენ (სტუდენტებმა შესაძლებელია აღწერონ იგივე სცენა, თუკი განსხვავებული ხედვა ექნებათ).*

**21. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ გთხოვს ლექსის მუსიკალური გაფორმება. როგორ მუსიკას (მღელვარეს, სევდიანს, ნაზს, მზიარულს) შეურჩევდით ლექსს და რატომ?**

პასუხები სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. მისაღები იქნება ნებისმიერი პასუხი, რომელსაც ექნება სათანადო ახსნა. შესაძლებელია დასახელდეს ამა თუ იმ კინოფილმის საუნდტრეკიც (მუსიკალური გაფორმება).

*ნიმუშის საჩვენებლად მასწავლებელს შეუძლია თავად დაასახელოს მუსიკა (მაგ., ფართოდ ცნობილი ფილმიდან) და სთხოვოს სტუდენტებს, წამოაყენონ თავიანთი იდეები მუსიკასთან დაკავშირებით.*

**22. შემოქმედებითი წერა: ლექსის დაწერა ჩარჩო-სქემაზე დაყრდნობით**

თქვენ უკვე იცნობთ ხალხურ მუხრანულ ლექსსა და გიორგი ლეონიძის „ყივჩაღის პაემანს“, რომლებშიც ასახულია ერთი და იგივე ამბავი სხვადასხვა ხედვის კუთხიდან: ხალხურ ლექსში ამბის მთხრობელია ქალის ქმარი, ლეონიძესთან - ყივჩაღი.

ორივე ტექსტში ძალიან მცირეა ინფორმაცია ქალთან დაკავშირებით. ლეონიძესთან არაფერია ნათქვამი ქალის განცდებსა და ემოციებზე, ხოლო ხალხურ ლექსში ვხვდებით ქალის მიერ ტირილით ნათქვამ ერთადერთ ფრაზას.

ა) ისაუბრეთ, თქვენი აზრით, რა გრძნობა, ემოციები ექნებოდა ქალს (თქვენი თვალსაზრისი ახსენით ტექსტის მონაცემებზე დაყრდნობით).

ბ) გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული „ლექსის ჩარჩო“ და დაწერეთ ხუთსტრიქონიანი გაურითმავი ლექსი, რომელშიც ასახული იქნება ქალის თვალთახედვა, ფიქრები და ემოციები.

### ვარიანტი 1. ლექსის ჩარჩო

	ვინ ან რა?	
როგორი?		როგორი?
რას აკეთებს?	რას აკეთებს?	რას აკეთებს?

4-5-სიტყვიანი წინადადება

-----

ვინ ან რა?

## ვარიანტი 2. ლექსის ჩარჩო

-----

ვინ ან რა?

-----

როგორი?

-----

როგორი?

რას აკეთებს?	რას აკეთებს?	რას აკეთებს?
4-5-სიტყვიანი წინადადება		
რას აკეთებს?	რას აკეთებს?	რას აკეთებს?
როგორი?	როგორი?	

ვინ ან რა?

**ინფორმაცია მასწავლებელთათვის: როგორ შევავსოთ „ლეუსის ჩარჩო“?**

I ვარიანტი

„ჩარჩოს“ პირველ ხაზზე იწერება საკვანძო თემის/საკითხის შესაბამისი სიტყვა - არსებითი სახელი (ვინ ან რა?);

მეორე ხაზზე იწერება ორი ზედსართავი სახელი, რომლებიც აღწერს პირველ ხაზზე დაწერილ სიტყვას (არსებით სახელს);

მესამე ხაზზე იწერება სამი ზმნა, რომლებიც გამოხატავს პირველ ხაზზე დაწერილი საკვანძო არსებითი სახელის 3 მოქმედებას;

მეოთხე ხაზზე იწერება 4-5-სიტყვიანი წინადადება, რომლებიც გამოხატავს ასოციაციას, დამოკიდებულებას, შეხედულებას საკვანძო საკითხის მიმართ.

მეხუთე ხაზზე იწერება პირველ ხაზზე დაწერილი არსებითი სახელის სინონიმი, ან საკვანძო თემის/საკითხის დედააზრი.

II ვარიანტი

ესაა „ჩარჩოს“ შედარებით გართულებული ვარიანტი.

„ჩარჩოს“ პირველ ხაზზე იწერება საკვანძო თემის/საკითხის შესაბამისი სიტყვა - არსებითი სახელი (ვინ ან რა?);

ბოლო ხაზზე იწერება პირველ ხაზზე დაწერილი საკვანძო სიტყვის შემცვლელი სიტყვა - არსებითი სახელი (ვინ ან რა?);

მეორე ხაზზე იწერება ორი ზედსართავი სახელი, რომლებიც აღწერს პირველ ხაზზე დაწერილ სიტყვას (არსებით სახელს);

მესამე ხაზზე იწერება სამი ზმნა, რომლებიც გამოხატავს პირველ ხაზზე დაწერილი საკვანძო არსებითი სახელის 3 მოქმედებას.

ანალოგიურად, **ქვემოდან მესამე** ხაზზე იწერება ორი ზედსართავი სახელი, რომლებიც აღწერს ბოლო ხაზზე დაწერილ შემცვლელ სიტყვას/არსებით სახელს;

**ქვემოდან მეორე** ხაზზე იწერება სამი ზმნა, რომლებიც გამოხატავს ბოლო ხაზზე დაწერილი შემცვლელი სიტყვის/არსებითი სახელის მოქმედებებს.



ცენტრალურ, მეოთხე სტრიქონზე იწერება 4-5-სიტყვიანი წინადადება, რომლებიც გამოხატავს ასოციაციას, დამოკიდებულებას, შეხედულებას საკვანძო საკითხის მიმართ.

### რეკომენდაციები კომპლექსურ დავალებასთან დაკავშირებით

1. თავდაპირველად მასწავლებელმა სტუდენტებს თავად უნდა აჩვენოს ნიმუში და გზადაგზა მკაფიოდ განუმარტოს, თუ სად, რას და რატომ წერს. ამას გარდა, ნიმუშის საჩვენებლად შესაძლებელია წარუდგინოს „ჩარჩოს“ შევსებული ფორმაც.

ამის შემდეგ სტუდენტები, მასწავლებლის დახმარებით ან დამოუკიდებლად, თავად შეარჩევენ და შეავსებენ „ლექსის ჩარჩოს“ სასურველ ვარიანტს და ამით „აღადგენენ სამართლიანობას“ - საბოლოო ჯამში, შეიქმნება ლექსი ამბის მესამე მონაწილის - ქალის ხედვის კუთხიდანაც. მასში წარმოდგენილი იქნება სტუდენტების შეხედულება იმაზე, თუ მათი აზრით, რას გრძნობდა, ფიქრობდა, განიცდიდა ქალი (იხ. ქვემოთ, ლექსის „ჩარჩოს“ შევსებული ორი ნიმუში).


2. საჭიროებებიდან გამომდინარე, სტუდენტებს შეუძლიათ შემოიფარგლონ მხოლოდ საუბრით ქალის გრძნობებთან, ემოციებსა თუ თვალთახედვასთან დაკავშირებით. აღნიშნული საუბრის საფუძველზე მასწავლებელს შეუძლია სტუდენტებს შესთავაზოს პირადი მოსაზრების გამომხატველი წერილობითი ნამუშევრის დაწერაც.

3. შევსებული „ლექსის ჩარჩოს“ ნიმუშები.

ვარიანტებში განსხვავებული სუბიექტური პოზიციებია წარმოდგენილი - 1-ლ ვარიანტში ქალი ყივჩაღში მხოლოდ მოძალადეს ხედავს, მეორე ვარიანტის თანახმად კი ყივჩაღის თავდადება ქალში ერთგვარ თანაგრძნობას იწვევს.

ვარიანტი 1.

--შეყრა--
ვინ ან რა?



ვარიანტი 2.

--სიყვარული--

*ვინ ან რა?*

--უცაბედი--

*როგორი?*

--მზუნებარე--

*როგორი?*

--გაბნევის--

*რას აკეთებს?*

--გიზიდავს--

*რას აკეთებს?*

--გაშფოთებს--

*რას აკეთებს?*

\_\_\_\_\_ნამდვილი გრძნობა გულგრილს ვერ დაგტოვებს\_\_\_\_\_

*4-5-სიტყვიანი წინადადება*

--აგიტაცებს--

*რას აკეთებს?*

--აგამაღლებს--

*რას აკეთებს?*

--დაგანარცხებს--

*რას აკეთებს?*



**აზნაცი** - ყველა წერიტი ნამუშევარი აზნაციებისაგან შედგება. ამდენად, კარგად სტრუქტურირებული, გააზრებული წერიტი ნამუშევრის დასაწერად აუცილებელია, რომ სტუდენტებმა კარგად გაიაზრონ აზნაციის - წერიტი ნამუშევრის ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრუქტურული ერთეულის - რაობა, სახეები და აგებულება.

**აზნაციის რაობა**- აზნაცი არის ერთობლიობა წინადადებებისა, რომლებიც გაერთიანებულია ორი ნიშნით. ესენია: ა) თემის ერთიანობა; ბ) აზრობრივი შესაბამისობა. ამდენად, აზნაცში წარმოდგენილია წინადადებები, რომლებიც უკავშირდება ერთსა და იმავე თემას და აზრობრივად შეესაბამება ერთმანეთს. ტექსტში აზნაცი ვიზუალურად გამოყოფილია შეწეული სტრიქონით.

ფუნქციური თვალსაზრისით განარჩევენ აზნაციის ორ სახეს - დამოუკიდებელსა და დამხმარეს. დამოუკიდებელი აზნაციის ფუნქციაა, მიაწოდოს მკითხველს ფაქტობრივი ან კონცეპტუალური ინფორმაცია. დამხმარე აზნაცი შეაჯამებს ტექსტის ცალკეულ ნაწილებს, ამზადებს მკითხველს მომდევნო ნაწილზე გადასასვლელად.<sup>22</sup>

**აზნაციის სტრუქტურა** აზნაცი შედგება სამი ნაწილისაგან. ესენია: 1. თემატური წინადადება - იგი გადმოგვცემს, რა თემაზე იქნება ლაპარაკი; 2. რამდენიმე დამხმარე წინადადება - მათში გადმოცემულია თემასთან დაკავშირებული დეტალები; 3. დასკვნითი წინადადება - იგი შეაჯამებს ძირითად აზრს ან სხვა სიტყვებით გადმოგვცემს თემატურ წინადადებაში გამოთქმულ აზრს. კლასიკური, ტრადიციული აგებულების მქონე აზნაციის გრაფიკულ სქემას, მისი გარეგნული იერსახის გამო, „სენდვიჩს“ უწოდებენ. სქემატურად აზნაციის სტრუქტურა ამგვარად შეიძლება გამოისახოს:

---

<sup>22</sup>აქ განვიხილავთ მხოლოდ დამოუკიდებელ აზნაცის.



სქემის ზედა და ქვედა ნაწილები - „სენდვიჩის“ პურის ნაჭრები - ესაა თემატური წინადადება და დასკვნითი წინადადება, რომელთა შუაში „მოთავსებულია“ დამხმარე წინადადებები. განვიხილოთ თითოეული კომპონენტი ცალ-ცალკე.

## I. თემატური წინადადება

თემატური წინადადება აბზაცის უმნიშვნელოვანესი ერთეულია. იგი მკითხველს წარმოადგენს უქმნის თემის შესახებ, უადვილებს მას ნაწერის აღქმასა და გაგებას. ადეკვატური თემატური წინადადების მიზანია, გააცნოს მკითხველს თემა ისე, რომ არ გამოიყენოს არცერთი დეტალი.

ტრადიციულად, თემატური წინადადება აბზაცის პირველ ადგილზე დგას, თუმცა იგი შეიძლება აბზაცის ბოლოშიც შეგვხვდეს.<sup>23</sup> თემატური წინადადება არ უნდა იყოს არც მეტისმეტად ზოგადი, არც მეტისმეტად კონკრეტული. სათანადოდ შედგენილი თემატური წინადადება მკითხველს აცნობს აბზაცის შინაარსს, მაგრამ არ სთავაზობს დეტალებს.

მოვიყვანთ თემატური წინადადების ნიმუშებს.

## 1. სათაური: „როდის გაქვთ ქორწილი? ანუ ქორწინება ქართულად“

ძალზე ზოგადი თემატური წინადადება: „ქორწინება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ადამიანის ცხოვრებაში“

წინადადება მეტისმეტად ზოგადია - ჭირს აზრის შემოსაზღვრა: მკითხველი ვერ შეიქმნის წარმოდგენას იმის შესახებ, კონკრეტულად, რაზე იქნება აბზაცში ლაპარაკი. ერთადერთი დასკვნა, რომელსაც მკითხველი გამოიტანს, არის ის, რომ ადამიანები ქორწინდებიან.

ძალზე კონკრეტული თემატური წინადადება: „საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობა 20-25 წლის ასაკში ქორწინდება“

წინადადებაში ლაპარაკია კონკრეტულ დეტალზე, რომელიც, წესით, შემდეგში (აბზაცის შუა ნაწილში) უნდა იყოს მოყვანილი.

ადეკვატური თემატური წინადადება: „საქართველოს მოქალაქეთა საშუალო საქორწინო ასაკი მკვეთრად გაიზარდა ბოლო ათი წლის მანძილზე“

წინადადება მკითხველს აცნობს, ერთი მხრივ, თემას (ქორწინება, საქორწინო ასაკი), მეორე მხრივ, წარმოდგენას უქმნის იმაზე, თუ კონკრეტულად, როგორ განვითარდება თემატური წინადადება - რაზე იქნება ლაპარაკი აბზაცში (საშუალო საქორწინო ასაკის ცვლილებაზე).

## 2. სათაური: „ნამდვილი მეგობარი“

ძალზე ზოგადი თემატური წინადადება: „მეგობრობა არის უდიდესი ნიჭი, რომელიც ადამიანის გულს სითბოთი ავსებს“ –

---

<sup>23</sup>აქ შემოვიფარგლებით აბზაცებით, რომლებშიც ექსპლიციტურად მოცემული თემატური წინადადება პირველ ადგილზე დგას (იწყებს აბზაცს).

წინადადება ბუნდოვანია, ვერ უქმნის მკითხველს წარმოდგენას იმის შესახებ, თუ, კონკრეტულად, რაზე იქნება აბზაცში ლაპარაკი.

ძალზე კონკრეტული თემატური წინადადება: „ნამდვილი მეგობრის პოვნა ძალიან ძნელია“ - წინადადებაში ლაპარაკია კონკრეტულ პრობლემაზე, რომელზეც, წესით, შეიძლება ლაპარაკი იყოს აბზაცის შუა ნაწილში.

ადეკვატური თემატური წინადადება: „ნამდვილ მეგობარს სამი თვისება გამოარჩევს“

წინადადება მკითხველს აცნობს თემას; ამასთან, წარმოდგენას უქმნის იმის შესახებ, თუ როგორ იქნება აგებული აბზაცი - მასში, ლაპარაკი უნდა იყოს ნამდვილი მეგობრის დამახასიათებელ სამ თვისებაზე<sup>24</sup>.

## II. დამხმარე წინადადებები

აბზაცის შუა ნაწილის წინადადებებში მოყვანილია დამატებითი ინფორმაცია თემატურ წინადადებაში ასახული მთავარი იდეის შესახებ: მაგალითები, ფაქტები მონაცემები, დეტალები, რომლებიც ადასტურებს თემატურ წინადადებაში გამოთქმულ აზრს. მაგ., ზემოთ მოცემული თემატური წინადადებისათვის დამატებით ინფორმაციად შეიძლება გამოვიყენოთ სტატისტიკური მონაცემები, კონკრეტული დამატებითი ინფორმაცია და მისთ.

ადეკვატური დამხმარე წინადადებების დასაწერად თემატურ წინადადებას უნდა დავუსვათ შეკითხვა. ესაა ერთ-ერთი ყველაზე მარტივი გზა თემატური წინადადების დამხმარე წინადადებების დასაწერად. მაგ.: ა) თემატური წინადადება: „საქართველოს მოქალაქეთა საშუალო საქორწინო ასაკი მკვეთრად გაიზარდა ბოლო ათი წლის მანძილზე“. შეკითხვები: რის საფუძველზე ვასკვნით ამას? რა მონაცემებს ვყვრდნობით? როგორია საშუალო საქორწინო ასაკი დღეისათვის? როგორი იყო საშუალო საქორწინო ასაკი ათი წლის წინათ? მისთ.; ბ) თემატური წინადადება: „ნამდვილ მეგობარს სამი თვისება გამოარჩევს“. შეკითხვები: კერძოდ, რა თვისებებზეა ლაპარაკი? რომელია პირველი, მეორე ან მესამე თვისება?, მისთ.

*ნიმუში.* აბზაცის შუა ნაწილი: დამხმარე წინადადებები - დამატებითი ინფორმაცია.

❖ სათაური: „როდის გაქვთ ქორწილი? ანუ ქორწინება ქართულად“

<sup>24</sup>აქვე შევნიშნავთ, რომ ზოგჯერ აბზაცი შეიძლება შედგენილი იყოს თემატური წინადადების გარეშე. ამგვარ შემთხვევებში აბზაცი, უბრალოდ, აგრძელებს წინა აბზაცის თემას. ჩვენ ამგვარ შემთხვევებს აქ არ განვიხილავთ.



თემატური წინადადება: „საქართველოს მოქალაქეთა საშუალო საქორწინო ასაკი მკვეთრად გაიზარდა ბოლო ათი წლის მანძილზე“

დამხმარე წინადადებები: „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2012 წელს დაქორწინებული მოქალაქეების საშუალო ასაკი 25 წელს შეადგენდა. ეს მაჩვენებელი 5 წლით აღემატება ათი წლის წინანდელ მონაცემს - ამავე სამსახურის ინფორმაციით, 2002 წელს დაქორწინებულთა საშუალო ასაკი 20 წელს არ აღემატებოდა“.

❖ სათაური: „ნამდვილი მეგობარი“.

თემატური წინადადება: „ნამდვილ მეგობარს სამი თვისება გამოარჩევს“

დამხმარე წინადადებები

1-ლი თვისება (მაგ., შეუძლია საიდუმლოს შენახვა)

მე-2 თვისება (მაგ., არის ერთგული)

მე-3 თვისება (მაგ., ყოველთვის დაგეხმარება პრობლემების გადაჭრაში)

### III. დასკვნითი წინადადება

ტრადიციულად, დასკვნითი წინადადება წარმოდგენილია აბზაცის ბოლოში. დასკვნითი წინადადებამკითხველს შეახსენებს აბზაცის ძირითად იდეას - ამ მიზნით დასკვნით წინადადებაში გამოორებულია თემატურ წინადადებაში გამოთქმული აზრი სხვა (თემატური წინადადებისაგან განსხვავებული) სიტყვების გამოყენებით. ხშირ შემთხვევებში, ბოლო წინადადებაში ვხვდებით სიტყვებს ან შესიტყვებებს, რომლებიც გამოყენებულია აბზაცში გატარებული აზრის შესაჯამებლად: „ამგვარად“, „ამდენად“, „აქედან ჩანს, რომ...“ „ნათელია, რომ...“ „ეს მაგალითები გვიჩვენებს, რომ...“, „ასე რომ“

*ნიმუში.* აბზაცის დასკვნითი წინადადება.

- ❖ სათაური: „როდის გაქვთ ქორწილი? ანუ ქორწინება ქართულად“.
- ❖ თემატური წინადადება: „საქართველოს მოქალაქეთა საშუალო საქორწინო ასაკი მკვეთრად გაიზარდა ბოლო ათი წლის მანძილზე“
- ❖ დამხმარე წინადადებები: „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2012 წელს დაქორწინებული მოქალაქეების საშუალო ასაკი 25 წელს შეადგენდა. ეს მაჩვენებელი 5 წლით აღემატება ათი წლის წინანდელ მონაცემს - ამავე სამსახურის ინფორმაციით, 2002 წელს დაქორწინებულთა საშუალო ასაკი 20 წელს არ აღემატებოდა“.

აზვაცის დასკვნითი წინადადება. „ამდენად, სრულიად აშკარაა, რომ უკანასკნელ ათწლეულში საშუალო საქორწინო ასაკი ჩვენს ქვეყანაში მატების ტენდენციას ამჟღავნებს“.

- ❖ სათაური: „ნამდვილი მეგობარი“.
- ❖ თემატური წინადადება: „ნამდვილ მეგობარს სამი თვისება გამოარჩევს“
- ❖ დამხმარე წინადადებები
- ❖ 1-ლი თვისება (მაგ., შეუძლია საიდუმლოს შენახვა)
- ❖ მე-2 თვისება (მაგ., არის ერთგული)
- ❖ მე-3 თვისება (მაგ., ყოველთვის დაგეხმარება პრობლემების გადაჭრაში)

დასკვნითი წინადადება: „ეს ის ძირითადი თვისებებია, რომლებიც ნამდვილ მეგობარს განასხვავებს ცრუ მეგობრისაგან“.

## აქტივობები

### აქტივობა1. აზვაცები

**1. წაკითხეთ არეული რიგით მოწოდებული აზრების ნაწილები და აღადგინეთ ტექსტის თავდაპირველი მიმდევრობა.**

- I. ამდენად, მიზეზების გაცნობა გვარწმუნებს, რომ ეს ბავშვები მძიმე პირობებშია აიძულა, ეცხოვრათ ქუჩის სასტიკი ცხოვრებით.
- II. მართლაც, ზოგიერთ ბავშვს ურჩევნია, იცხოვროს ქუჩაში, ვიდრე ლოთ ან აგრესიულ მშობლებთან, რომლებიც ეჩხუბებიან და სცემენ შვილებს. ლატაკი ოჯახების შვილები ან ბავშვები, რომლებსაც მშობლები არ ჰყავთ, თვითონ იწყებენ ზრუნვას საკვების შოვნაზე და ქუჩაში გადიან - სხვანაირად მათ ხომ შიმშილით სიკვდილი ელოდებათ; უბინაოდ დარჩენილებს კი, უბრალოდ, არსად აქვთ წასასვლელი და ქუჩა ხდება მათი სახლი.
- III. ქუჩის ბავშვები თანამედროვეობის ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა, რომელსაც განაპირობებს სამი ძირითადი მიზეზი: მძიმე ოჯახური პირობები, მატერიალური გაჭირვება და უბინაობა.

**როგორია ტექსტის თავდაპირველი მიმდევრობა? (შემოხაზეთ სწორი პასუხი)**

- ა) III, I, II
- ბ) I, III, II
- გ) **III, II, I**
- დ) II, I, III

**აღდგენილი ტექსტი**

*ქუჩის ბავშვები თანამედროვეობის ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა, რომელსაც განაპირობებს სამი ძირითადი მიზეზი: მძიმე ოჯახური პირობები, მატერიალური გაჭირვება და უბინაობა. მართლაც, ზოგიერთ ბავშვს ურჩევნია, იცხოვროს ქუჩაში, ვიდრე ლოთ ან აგრესიულ მშობლებთან, რომლებიც ეჩხუბებიან და სცემენ შვილებს. ლატაკი ოჯახების შვილები ან ბავშვები, რომლებსაც მშობლები არ ჰყავთ, თვითონ იწყებენ ზრუნვას საკვების შოვნაზე და ქუჩაში გადიან - სხვანაირად მათ ხომ შიმშილით სიკვდილი ელოდებათ; უბინაოდ დარჩენილებს კი, უბრალოდ, არსად აქვთ წასასვლელი და ქუჩა ხდება მათი სახლი. ამდენად, მიზეზების გაცნობა გვარწმუნებს, რომ ეს ბავშვები მძიმე პირობებშია აიძულა, ეცხოვრათ ქუჩის სასტიკი ცხოვრებით.*

**2. წაკითხეთ არეული რიგით მოწოდებული აზრების ნაწილები და აღადგინეთ ტექსტის თავდაპირველი მიმდევრობა.**

I. საკვების შოვნას ქუჩის ბავშვები სხვადასხვაგვარად ცდილობენ: უმრავლესობა მათხოვრობს, ზოგი შემთხვევითი სამუშაოებით ახერხებს ცოტაოდენი ფულის შოვნას, ნაწილი კი ხანდახან იძულებულია, მოიპაროს კიდეც. განსაკუთრებით მძიმეა უბინაო ბავშვების ყოფა. ღამის გასათევად ისინი იყენებენ მიტოვებულ სახლებს, სარდაფებს, სხვენებს, თუმცა ბევრს ღამის გათენება უწევს ღია ცისქვეშაც: სკვერებში, პარკებში ან პირდაპირ ქუჩის ტროტუარზე. ამ მძიმე პირობების გამო ბევრი ბავშვი სერიოზულადაა დავადებული, თუმცა მკურნალობაზე მათოცნებაც კი არ შეუძლიათ.

II. ქუჩის ბავშვების ცხოვრება ყოველდღიური ბრძოლაა თავის გადარჩენისთვის, რომელშიც მთავარია, იშოვო საკვები და მონახო თუნდაც დროებითი თავშესაფარი.

III. საკვებისა და გასათენებელი ადგილის ძებნით აღსავსე ქუჩის სასტიკი ცხოვრება არის მომავლის გარეშეცხოვრება, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია მხოლოდ ერთი სიტყვა - "დღეს" (რა ვჭამო დღეს? სად გავათენო დღეს?).

**როგორია ტექსტის თავდაპირველი მიმდევრობა? (შემოხაზეთ სწორი პასუხი)**

ა) III, I, II

ბ) I, III, II

გ) III, II, I

**დ) II, I, III**

*აღდგენილი ტექსტი*

ქუჩის ბავშვების ცხოვრება ყოველდღიური ბრძოლაა თავის გადარჩენისთვის, რომელშიც მთავარია, იშოვო საკვები და მონახო თუნდაც დროებითი თავშესაფარი. საკვების შოვნას ქუჩის ბავშვები სხვადასხვაგვარად ცდილობენ: უმრავლესობა მათხოვრობს, ზოგი შემთხვევითი სამუშაოებით ახერხებს ცოტაოდენი ფულის შოვნას, ნაწილი კი ხანდახან იძულებულია, მოიპაროს კიდეც. განსაკუთრებით მძიმეა უბინაო ბავშვების ყოფა. ღამის გასათევად ისინი იყენებენ მიტოვებულ სახლებს, სარდაფებს, სხვენებს, თუმცა ბევრს ღამის გათენება უწევს ღია ცისქვეშაც: სკვერებში, პარკებში ან პირდაპირ ქუჩის ტროტუარზე. ამ მძიმე პირობების გამო ბევრი ბავშვი სერიოზულადაა დავადებული, თუმცა მკურნალობაზე მათოცნებაც კი არ შეუძლიათ. საკვებისა და

გასათენებელი ადგილის ძეხვით აღსავსე ქუჩის სასტიკი ცხოვრება არის მომავლის გარეშეცხოვრება, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია მხოლოდ ერთი სიტყვა - "დღეს" (რა ვჭამო დღეს? სად გავათენო დღეს?).

## აქტივობა 2. ვწერთ აბზაცის დამხმარე წინადადებებს

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა კომპლექსური სახისაა და ხელს უწყობს კითხვისა და წერის უნარების განვითარებას.

### აქტივობის მიზნები:

- კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარება;
- კითხვისა და წერითი მეტყველების უნარ-ჩვევების განვითარება;
- თანამშრომლობის უნარის განვითარება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** მთელი ჯგუფის მონაწილეობით (I-II ეტაპები), წყვილური (III ეტაპი).

**რესურსები:** დაფა (/პროექტორი), ცარცი/მარკერი, რვეულები, კალმები, წინასწარ მომზადებული ცხრილები წყვილებში სამუშაოდ.

### აქტივობის აღწერა:

1. მასწავლებელი დაურიგებს სტუდენტებს სტრუქტურირებული აბზაცის წინასწარ შერჩეულ ნიმუშს.

სტრუქტურირებული აბზაცის ნიმუში.

*საქართველოს მოქალაქეთა საშუალო საქორწინო ასაკი მკვეთრად გაიზარდა ბოლო ათი წლის განმავლობაში. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2012 წელს დაქორწინებული მოქალაქეების საშუალო ასაკი 25 წელს შეადგენდა. ეს მაჩვენებელი 5 წლით აღემატება ათი წლის წინანდელ მონაცემს - ამავე სამსახურის ინფორმაციით, 2002*

*წელს დაქორწინებულთა საშუალო ასაკი 20 წელს არ აღემატებოდა. ამდენად, სრულიად აშკარაა, რომ უკანასკნელ ათწლეულში საშუალო საქორწინო ასაკი ჩვენს ქვეყანაში მატების აშკარა ტენდენციას ამჟღავნებს.*

მასწავლებელი სტუდენტების ყურადღებას გაამახვილებს აბზაცის სამნაწილიან სტრუქტურაზე (თემატური წინადადება, დამხმარე წინადადებები, დასკვნა). სტუდენტებმა უნდა გააცნობიერონ, რომ: შეთავაზებული აბზაცის დასაწყისში მოყვანილია თემატური წინადადება; დამხმარე წინადადებებში მოყვანილია დამატებითი დამაზუსტებელი ინფორმაცია თემატურ წინადადებაში გამოხატული აზრის შესახებ; დასკვნა იმეორებს თემატურ წინადადებაში გამოხატულ აზრს სხვა სიტყვების გამოყენებით.

2. მასწავლებელი გააცნობს სტუდენტებს დამხმარე წინადადებების დაწერის ერთ-ერთი ყველაზე მარტივ ხერხს - ესაა დამხმარე წინადადებების დაწერა თემატური წინადადებისათვის შეკითხვების დასმის გზით.

ნიმუშის საჩვენებლად მასწავლებელი დაფაზე დაწერს წინასწარ შერჩეულ თემატურ წინადადებას.

თემატური წინადადების ნიმუში

*სკოლის ბუფეტი შესვენებაზე ფუტკრების სკას მოგვავაგონებს.*

ამის შემდეგ მასწავლებელი, სტუდენტების აქტიური თანამონაწილეობით, დაუსვამს შეკითხვებს თემატურ წინადადებას (რატომ/რის საფუძველზე ვამბობ ამას? რა მონაცემებს ვეყრდნობი? რა მაგალითები მაქვს ამისათვის?). აზრთა გაცვლა-გამოცვლა იმაზე, თუ კონკრეტულად, რა დამხმარე წინადადების შედგენაა შესაძლებელი შეთავაზებული თემატური წინადადების საფუძველზე. მასწავლებელი, სტუდენტების აქტიური მონაწილეობით, წერს დამხმარე წინადადებებს, რომლებიც აგრძელებს თემატურ წინადადებას და პასუხობს დასმულ კითხვებს.

დამხმარე წინადადებების ნიმუში

*ეს ადგილი, სადაც გაკვეთილების დროს საოცარი სიმშვიდეა, ზარის დარეკვისთანავე ივსება შესვენებაზე გამოსული მოსწავლეებით. აქ არავინაა უმოძრაოდ - ყველანი ერთდროულად ლაპარაკობენ, იცინიან, მიირთმევენ საჭმელს.*

დასასრულ, მასწავლებელი დაყოფს სტუდენტებს წყვილებად, დაურიგებს მათ სამუშაო ფურცლებს (იხ. სამუშაო ფურცელი # 2) და სთხოვს, შეასრულონ შეთავაზებული დავალებები. სამუშაოს დასრულების შემდეგ სტუდენტები წარადგენენ ნამუშევრებს, იმართება მსჯელობა შესრულებულ სამუშაოზე, მასწავლებელი აკეთებს კომენტარებს.

### **აქტივობა 3. დავწეროთ აბზაცი**

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა სტიმულს მისცემს სტუდენტთა ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარების, ასევე შემოქმედებითი უნარების განვითარების პროცესს.

#### **აქტივობის მიზნები:**

- ზეპირი და წერილი კომუნიკაციის უნარების განვითარება;
- მოსმენის უნარების განვითარება;
- არგუმენტირების უნარების განვითარება;
- შემოქმედებითი უნარების განვითარება;
- თანამშრომლობის უნარებს განვითარება.

**რესურსები:** ორი სხვადასხვა ფირმის შოკოლადის ნაწარმი (შესაძლებელია ერთი ადგილობრივი წარმოების, მეორე – უცხოური).

#### **ორგანიზების ფორმა: ჯგუფური**

**აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი სტუდენტებს გაყოფს ორ ჯგუფად. თითოეული ჯგუფის წევრები სხდებიან ერთად, გარკვეული დისტანციით მეორე ჯგუფისგან. ყოველი ჯგუფის წინ მასწავლებელი დადებს შოკოლადის ერთ რომელიმე პროდუქციას. თითოეულმა ჯგუფმა უნდა დაასაბუთოს, რომ „მათი“ პროდუქტი ესაა კაცობრიობისთვის საუკეთესო მონაპოვარი, ყველაზე დიდი ფასეულობა.

მასწავლებელი შესთავაზებს სტუდენტებს, რომ თითოეულმა ჯგუფმა იფიქროს შემდეგ კითხვაზე: „რატომაა ეს პროდუქცია კაცობრიობის უდიდესი ფასეულობა?“. თითოეულმა ჯგუფმა უნდა დაასახელოს, სულ მცირე, 5 მიზეზი. მას შემდეგ, რაც ჯგუფის წევრები მოიფიქრებენ მიზეზებს, თითოეული ჯგუფიდან შეირჩევა თითო წარმომადგენელი.

თითოეული წარმომადგენელი დაფის ნახევარზე ჩამოწერს თავისი ჯგუფის მოფიქრებულ მიზეზებს (დაფა ორადაა გაყოფილი ვერტიკალური ხაზით). ამის შემდეგ მასწავლებელი შესთავაზებს ორივე ჯგუფის წევრებს, რომ თავიანთი მიზეზებიდან შეარჩიონ სამი საუკეთესო. შერჩევის შემდეგ მასწავლებელი წაშლის სხვა დანარჩენ პუნქტებს და სთხოვს თითოეული ჯგუფის წევრებს, ინდივიდუალურად/წყვილებში დაწერონ ერთაზნაობის ტექსტი თავიანთ პროდუქციაზე დაფაზე ჩამოწერილი მიზეზების გამოყენებით (სტუდენტებმა დამატებით უნდა მოიფიქრონ თემატური წინადადება და დასკვნითი წინადადება).

### მეთოდური მითითებები:

- კამათის საგნის (შოკოლადის პროდუქცია) და საძიებო კითხვის გამო, აქტივობას თითქოსდა სახუმარო იერი აქვს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მას შეუძლია სერიოზულად წვლილი შეიტანოს დასაბუთებული მსჯელობის უნარების განვითარებაში. მეტიც, ამგვარ ირონიულ განწყობას შეუძლია პოზიტიური როლი შეასრულოს: დებატების ჩატარებას წინასწარი მომზადება არ სჭირდება, სტუდენტები მეტ სილაღეს გრძნობენ, უფრო ხალისით, თამამად მონაწილეობენ აქტივობაში, რაც მათ ბიძგს მისცემს, გამოავლინონ იუმორის გრძნობა და შემოქმედებითობა.
- მასწავლებელს შეუძლია შეარჩიოს სხვა რესურსებიც. მაგ., ორი ბოთლი, საცხე მინერალური წყლითა და წყაროს წყლით და ა.შ.
- აქტივობის დასრულების შემდეგ მასწავლებელი გაუმასპინძლდება მთელ ჯგუფს კამათისთვის გამოყენებული პროდუქციით.

### რეკომენდაციები შეფასებისათვის:

*აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია მოდულის შემდეგი შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:*

- II შედეგი, 1, 2, 3



➤ VI შედეგები, 1, 2, 3, 4, 6;

მასწავლებელი სასწავლო პრიორიტეტების და სტუდენტების საჭიროებების მიხედვით განმავითარებელი შეფასებისათვის იხელმძღვანელებს დასახელებული შედეგების შესრულების კრიტერიუმებით.

**ფუნქციური კომუნიკაცია 2. წინადადებების გადაბმა**

**ზოგადი ინფორმაცია მასწავლებელთათვის (## 4-5 აქტივობებისთვის)**

აზვაცში გაერთიანებული წინადადებები აზრობრივად უნდა შეესაბამებოდეს ერთმანეთს. არსებობსწინადადებების გადაბმის ორი სახე: ჯაჭვური და პარალელური.

ჯაჭვური გადაბმის დროს ყოველი მომდევნო წინადადება აგრძელებს, ავითარებს ან განმარტავს წინამავალ წინადადებაში გამოთქმულ აზრს.

აზრის თანამიმდევრული განვითარებისთვის აუცილებელია ორი წესის დაცვა. ესენია: 1. ინფორმაციის განმეორებადობა (გარკვეული ინფორმაცია უნდა გადადიოდეს წინადადებიდან წინადადებაში); 2. მატება (ყოველ მომდევნო წინადადებაში უნდა ჩნდებოდეს ახალი ინფორმაცია).

მაგ., „გუშინ სპექტაკლი ვნახეთ. იგი ყველას ძალიან მოგვეწონა“.

მოყვანილ წინადადებებში ლაპარაკია ერთსა და იმავე საგანზე - სპექტაკლზე. ტავტოლოგიის თავიდან ასაცილებლად მეორე წინადადებაში საერთო საგნის აღმნიშვნელი სიტყვა შეიძლება ჩანაცვლდეს სინონიმით ან ნაცვალსახელით. მაგ.,

- „გუშინ სპექტაკლი ვნახეთ. იგი ყველას ძალიან მოგვეწონა“.
- „გუშინ სპექტაკლი ვნახეთ. წარმოდგენა ყველას ძალიან მოგვეწონა“.

**დარღვევის მაგალითები:**

ა) ნიკა და დათო გუშინ სპექტაკლზე იყვნენ. ნიკას უმცროსი და ჰყავს. (აქ დარღვეულია განმეორების წესი, რის გამოც გაუგებარია ამ წინადადებათა აზრობრივი კავშირი)

ბ) ნიკა და დათო გუშინ სპექტაკლზე იყვნენ. ისინი წავიდნენ სპექტაკლზე (აქ დარღვეულია მატების წესი).

პარალელური გადაბმის შემთხვევაში წინადადებები ერთმანეთთან თემატურადაა დაკავშირებული. გადაბმის ეს სახეობა ხშირად გამოიყენება აღწერით ტექსტებში. მაგალითად: „მზე ნელ-ნელა ძალას იკრებს. გაღმა ფერდობზე ცხვრის ფარა მოჩანს. სადღაც შორიდან მდინარის ხმა ისმის“.

შესაძლებელია წინადადებების გადაბმის ამ ორი სახის **კომბინირებაც**, როდესაც ავტორი, საჭიროებიდან გამომდინარე, ერთი აზნაცის ფარგლებში იყენებს როგორც ჯაჭვურ, ისე პარალელურ გადაბმას (მაგ., ჯაჭვური გადაბმის მქონე თხრობით ტექსტში „ჩართავს“ მოკლე აღწერას, რომელშიც გამოყენებულია პარალელური გადაბმა).

## აქტივობები

### აქტივობა 4. ქვიზი

I. ქვემოთ მოყვანილია ტექსტი, რომელშიც დარღვეულია ამბის თანმიმდევრობა.

წაიკითხეთ ტექსტი და გაეცანით ქვემოთ მოცემულ კითხვებს. მიუთითეთ, რომელზე შეიძლება პასუხის გაცემა, რომელზე – არა.

*ავლაბარში ავარიამოხდა: თეთრი და შავი მანქანა დაეჯახა ერთმანეთს. მძღოლმა გონება დაკარგა. ის გადმოვიდამანქანიდან, ეძებდამობილურსა და სიგარეტს. იქვე გამვლელოი დგა. სთხოვამას. გამვლელომამისცა, დარეკასასწრაფოშიც დაპოლიციამიც. მაშინვე მოვიდა.*

### კითხვები:

1. რამოხდა ავლაბარში? -----
2. რა დაეჯახა შავი ავტომობილს? -----
3. რომელმამძღოლმა დაკარგა გონება? -----

- 4. რომელიმდლოლიგადმოვიდამანქანიდან?-----
- 5. რასეებდამდლოლი? -----
- 6. რა სთხოვგამვლელს?-----
- 7. რამისცაგამვლელმა?-----
- 8. ვინდარეკა? -----
- 9. ვინმოვიდა, პოლიციათუსასწრაფო? -----

2. შეავსეთტექსტიქვემოთმოცემულისიტყვებითისე, რომ: ა) ამზავითანმიმდევრულიგახდეს; ბ) ყველაკითხვასთავისიპასუხიჰქონდეს.

*მეორეთეთორიმანქანის მობილურითვითონკი*

*მას საშველადსასწრაფოში      მობილური პოლიციაჩამოჯდომა*

*ავლაბარშიავარიამოხდა: თეთრიდაშავიმანქანადაეჯახაერთმანეთს. თეთრი მანქანისმდლოლმაგონებადაკარგა. მეორემდლოლი მანქანიდანგადმოვიდა. ეძებდამობილურს, რომ სასწრაფოშიდაერეკა საშველად. იქვეგამვლელიიდგა. მდლოლმა მას მობილური სთხოვა.გამვლელმამას ჩამოჯდომა შესთავაზა, თვითონ კიდარეკასასწრაფოშიცდაპოლიციაშიც. პოლიციამაშინვემოვიდა.*

## II. იპოვეთ, რით არის „პილოტები“ ჩანაცვლებული.

1. სანამჩვენსკებსვალაგებდით, პილოტებიმოშორებითისხდნენდაჩვენკენიყურებოდნენ. 2. როცასაქმედავასრულეთ, მამამპილოტებსდაუძახა. 3. ისინიარწამოვიდნენ. 4. გაირკვა, რომმფრინავებიალარაპირებდნენგზისგაგრძელებას, ფუტკრებისეშინოდათ. 5. გამოუვალმდგომარეობაშიაღმოვჩნდით. 6. ბოლოს, დიდიხვეწნა-მუდარით, ძლივსდავითანხმეთისინი. 7. ჩვენიპირბადეებიგავუკეთეთდამათკაბინასცელოფანიავაკარით.

### პილოტები :

წინადადება 2. -----პილოტები (ლექსიკური განმეორება. ჩანაცვლებული არ არის)-----

წინადადება 3. -----ისინი----- (ნაცვალსახელი)-----

წინადადება 4. -----მფრინავეები (სინონიმი)-----

წინადადება 6. -----ისინი (ნაცვალსახელი)-----

წინადადება 7. -----მათ (ნაცვალსახელი)-----

III. წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტი, რომელშიც ხშირად მეორდება სიტყვა "ნიკა". გადაწერეთ ტექსტი და, საჭიროებისამებრ, ჩაანაცვლეთ "ნიკა" სხვასიტყვებით (მაგ. საწყალი, ის)

ნიკა ამხანაგებთან ერთად წავიდა ლაშქრობაში. ნიკა ლაშქრობაში პირველად იყო. ნიკა ძალიან დაიღალა. ნიკას მძიმე ზურგანთაჰქონდა. გიორგიმ ნიკას თავისი ჩანთა გაუცვალა. მდინარეზე გადასვლისას ნიკა ჩანთიანად წყალში ჩავარდა და გიორგის ჩანთას უღდას ველა.

---

---

### იდეები დამატებითი აქტივობებისთვის

- მასწავლებელმა სტუდენტებს შეიძლება შესთავაზოს დაწერონ ერთაზნაგისანი ტექსტი, რომელშიც დაახასიათებენ გოდერძი ჩოხელის პირველ რეპონდენტს.

მითითება: გადაიკითხეთ გოდერძი ჩოხელის ტექსტის პირველი მოსაუბრის პასუხები. დაწერეთ ერთაზნაგისანი ტექსტი, რომელშიც დაახასიათებთ ამ მოპასუხეს ტექსტზე დაყრდნობით.

*შესაძლო ვარიანტი: 16 წლის გოჩა ჩიფიკაშვილი მეოცნებეა (რომანტიკული ბუნებისა) და გაუბედავი/მორცხვი. მას უყვარს ადამიანი, რომელიც მხოლოდ ერთხელ ჰყავს შორიდან ნანახი. შეყვარებულზე ლაპარაკის დროს იცინის, რადგან ერიდება/მორცხვობს და ამით ცდილობს მისთვის უხერხული მდგომარეობიდან გამოსვლას. უხერხულობის გასაფანტავად; მიუხედავად იმისა, რომ მუდმივად ენატრება შეყვარებული, გოჩა არ ცდილობს მის გაცნობას (არ დგამს კონკრეტულ ნაბიჯებს მის გასაცნობად), კმაყოფილდება მასზე ფიქრითა და ოცნებით; ალბათ, საკუთარი თავის რწმენა არ აქვს, ან იმის ეშინია, რომ შეყვარებულის ახლოს გაცნობა წარმოადგენებს დაუმსხვრევს. ამდენად, ესაა ადამიანი, რომელსაც აშინებს რეალობა (დისტანცირებულია რეალობისგან, ან არ ენდობა რეალურ სამყაროს, ან გაურბის რეალურ სამყაროს) და ამდღებელი ოცნებების სამყაროში ცხოვრობს.*

### მეთოდური კომენტარები

- სამუშაოს გაადვილების მიზნით, შემაჯამებელი დავალების საბოლოო ვერსიის დასაწერად მასწავლებელს შეუძლია სტუდენტებს შესთავაზოს:

ა) აზხაცის საწყისი (თემატური) წინადადების ჩარჩო: „16 წლის გოჩა ჩიფიკაშვილი ..... ადამიანია“ (მრავალწერტილის ნაცვლად სტუდენტებმა უნდა ჩაწერონ რესპონდენტის დამახასიათებელი ზედსართავი);

ბ) თვითშეფასების/ურთიერთშეფასების სქემა, რომლის საფუძველზე სტუდენტები გადაამუშავებენ ტექსტის პირველად ვერსიას. მისი შევსება შესაძლებელია როგორც ინდივიდუალურად, ისე წყვილებში (ამ შემთხვევაში სტუდენტები კითხულობენ მეწყვილეთა ნამუშევრებს). სქემის შესავსებად სტუდენტებმა ცხრილის მეორე სვეტში უნდა შემოხაზონ კრიტერიუმის შესრულების დონის აღმნიშვნელი ერთ-ერთი სიტყვა.

აზხაცის სტრუქტურა. თვითშეფასების/ურთიერთშეფასების სქემის ნიმუში

თვითშეფასების/ურთიერთშეფასების სქემა	
კრიტერიუმი	შესრულების დონე
1. აზხაცი შედგება სამი ნაწილისგან	დიახ არა
3. თემატურ წინადადებაში გამოხატულია აზხაცის მთავარი იდეა/აზრი	დიახ არა
2. აზრი თანამიმდევრულად ვითარდება (დაცულია განმეორებადობისა და მატების წესი)	დიახ არა
4. დამხმარე წინადადებებში მოყვანილია თემატურ წინადადებასთან დაკავშირებული კონკრეტული ინფორმაცია	დიახ არა
5. დასკვნა სხვა სიტყვებით იმეორებს თემატურ წინადადებაში გამოხატულ აზრს <i>ან</i> შეაჯამებს აზხაცს	დიახ არა

**რეკომენდაციები შეფასებისათვის:**

აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია მოდულის შემდეგი შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:

- II შედეგი, 1, 2, 3
- VI შედეგი, 1, 2, 3, 4, 6.

მასწავლებელი სასწავლო პრიორიტეტების და სტუდენტების საჭიროებების მიხედვით განმავითარებელი შეფასებისათვის იხელმძღვანელებს დასახელებული შედეგების შესრულების კრიტერიუმებით.

**ფუნქციური კომუნიკაცია 3. აღწერითი აბზაცი (ადამიანის აღწერა-დახასიათება)**

**ზოგადი ინფორმაცია მასწავლებელთათვის (# 6 აქტივობისთვის)**

აღწერითი აბზაცი აღწერს ვინმეს ან რაიმეს - მოვლენას, საგანს, ადგილს, გამოცდილებას (რეალურს ან მოგონილს), სხვ. იგი გადმოგვცემს, კერძოდ, აღსაწერი ობიექტის გარეგნულ იერსახეს, ფერს, სურნელს, ხმიანობას, ქცევას, ხასიათის თვისებებსა და სხვ. ამ ტიპის ტექსტების მიზანია, მკითხველმა ცხადად, თვალნათლივ წარმოიდგინოს აღსაწერი ობიექტი. ამიტომ, რომ აღწერით ტექსტებს *სიტყვიერ სურათებსაც* უწოდებენ.

**აღწერითი აბზაცის თემატური წინადადება.** თემატურ წინადადებაში უნდა დასახელდეს თემა და მოცემული იყოს ზოგადი შთაბეჭდილება აღსაწერ ობიექტზე.

ნიმუში:

- „სახლი ნამდვილი თავშესაფარია გარე სამყაროსაგან“.
- „ავტობუსით მგზავრობა პიკის საათებში მძიმე გამოცდაა ადამიანის ნერვული სისტემისათვის“.
- „ჩვენი სკოლის ბუფეტი შესვენებაზე ფუტკრების სკას წააგავს“.

**აღწერითი აბზაცის დამხმარე წინადადებები.** ისინი გადმოგვცემენ დეტალებს, რაც გულისხმობს აღსაწერი ობიექტის/ობიექტების გარეგნული ნიშნების, თვისებების, სხვ. აღწერას კონკრეტული დეტალის/დეტალების ჩვენებით. დეტალები ეხმარება მკითხველს, უფრო ნათლად წარმოიდგინოს აღსაწერი ობიექტი, საჭიროების შემთხვევაში კი დაარწმუნოს მკითხველი ტექსტში ასახული მოვლენის უტყუარობაში. სრულყოფილი აღწერისას გამოყენებული დეტალები უნდა

მიემართებოდეს ადამიანის ხუთ გრძობას (სმენას, მხედველობას, შეხებას, ყნოსვას, გემოს). მკითხველმა უნდა წარმოიდგინოს, როგორ გამოიყურება აღსაწერი ობიექტი, როგორი სურნელი, ხმიანობა თუ გემო აქვს მას.

გასათვალისწინებელია შემდეგი: მართალია, დეტალები ამდიდრებს ტექსტს შინაარსობრივად და უფრო საინტერესოს ხდის მას, მაგრამ მათმა გადმოცემამ მეტისმეტად არ უნდა გაგვიტაცოს, რათა თემას არ გადავუხვიოთ. საჭიროა გვახსოვდეს, რომ ტექსტის ერთ-ერთ აუცილებელ მახასიათებელს მისი მთლიანობა წარმოადგენს. ეს კი ნიშნავს, რომ ტექსტის თითოეული წინადადება ძირითად თემას უნდა უკავშირდებოდეს. აღწერითი ტიპის ტექსტებისთვის, ზოგადად, ზედსართავების ჭარბი გამოყენებაა დამახასიათებელი.

**ადამიანის აღწერა-დახასიათება** - ადამიანის აღწერა-დახასიათების დროს ყურადღება შეიძლება გამახვილდეს შემდეგ ძირითად კრიტერიუმებზე: სქესი, ასაკი, სოციალური წარმომავლობა, გარეგნული მონაცემები, ჩაცმულობის სტილი (დაუდევრად, მოდურად, გემოვნებით/უგემოვნოდ), მეტყველების სტილი/განათლება, პიროვნული მახასიათებლები (მაგ., მხიარული, სერიოზული, ოპტიმისტური, გულჩახვეული, ზარმაცი, ეგოისტი, მორცხვი, მამაცი, გულწრფელი), (დამოკიდებულება სხვა ადამიანებთან (მეგობრული, უყურადღებო, ყურადღებიანი, თავაზიანი, აგრესიული), ქცევები და ქმედებები, გარემო, რომელშიც ის ცხოვრობს. ცხადია, ყველა ამ კრიტერიუმის ერთდროულად გამოყენება აუცილებელი არ არის.

**პერსონაჟის პირდაპირი და არაპირდაპირი დახასიათება:** მასწავლებელი გაესაუბრება სტუდენტებს რეალური ადამიანებისა და მხატვრული პერსონაჟების დახასიათების გზებზე - *როგორ ახასიათებენ ადამიანები თავიანთ თავს? როგორ ახასიათებს ერთი ადამიანი მეორეს?* - შეიძლება ვილაპარაკოთ გარეგნობაზე ან იმაზე, რა გვიყვარს თუ არ გვიყვარს; ნაცნობ ადამიანზე შეიძლება მოვყვეთ ისტორიები იმაზე, თუ რა გაუკეთებია მას კარგი თუ ცუდი ჩვენთვის ან სხვებისთვის. ადამიანის თვისებების ამოსაცნობად შეიძლება დავაკვირდეთ მის ქმედებებს კონკრეტულ სიტუაციებში და მათზე დაყრდნობით დავასკვნათ, რომ ის გამბედავია, მატყუარაა, გულწრფელია, ეგოისტია, კარიერისტია და ა.შ. ყოველდღიურ ცხოვრებაში ამას ადამიანის გაცნობას/შეცნობას ეძახიან.

ამდენად, ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანის გაცნობის ორი გზა არსებობს: პირდაპირი და არაპირდაპირი. ასევეა მხატვრულ ლიტერატურაშიც - პერსონაჟის პირდაპირი დახასიათება გულისხმობს, რომ ნაწარმოებისავტორი, მთხრობელი ან სხვა პერსონაჟი პირდაპირგვაწვდის ინფორმაციასპერსონაჟზე: გარეგნობაზე, ხასიათის თვისებებზე, შეხედულებებზე. არაპირდაპირი დახასიათება კი გულისხმობს, რომ პერსონაჟის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებზე დასკვნას ვაკეთებთ მისი მეტყველების, აზრების, ქმედებების, გარეგნული იერის (მაგ., ჩაცმულობის, ჟესტების)მიხედვით.



ამის შემდეგ მასწავლებელი შესთავაზებს სტუდენტებს, იმუშაონ სამუშაო ფურცლებზე (სამუშაო ფურცელი # 3). ნიმუშის საჩვენებლად მასწავლებელი თავად შეასრულებს პირველ ტესტურ დავალებას „ხმამაღლა ფიქრის“ ფორმატში (ანუ იმის თქმით, თუ რატომაა სწორი/არასწორი ესა თუ ის ვარიანტი).

## აქტივობები

### აქტივობა 5. ქვიზი

1. წაიკითხეთ ფრაგმენტები ორი მხატვრული ნაწარმოებიდან და უპასუხეთ მოცემულ კითხვებს.

1. „დილა იყო ადრიანი, მეორე დღეს რომ პლატონმა ძალზე გამხდარი, ზურგდაშავებული ცხენი გადმოიყვანა ეზოში...პლატონმა რომ ცხენს უნაგირი შეადგა, ცხენმა სულ კანკალი დაიწყო.

- ამაზე შეჯდომა რავა შეგიძლია? - უთხრა მელანომ...

- ფეხ-ფეხა მივყვები, ბატონო, ფეხ-ფეხა მივყვები!.. სირცხვილისათვის მიმყავს, თვარა რა!.. შენ ეგ მოსართავი მომეცი და ამის ჯავრი ნუ გაქვს!” (დავით კლდიაშვილი, „სამანიშვილის დედინაცვალი“)

➤ მიუთითეთ, რა სახის ინფორმაციაა მოყვანილი ამ ფრაგმენტში.

**ა) ინფორმაცია პერსონაჟის ქმედებაზე:**

ბ) ინფორმაცია საცხოვრებელ ადგილზე;

გ) ავტორისეული დახასიათება;

დ) პერსონაჟის გარეგნული პორტრეტი.

➤ ტექსტზე დაყრდნობით, შეურჩიეთ პლატონს შესაფერისი დამახასიათებელი სიტყვა.

პლატონი:

ა) მორიდებულია;

ბ) კუდაბზიკაა;

გ) სასტიკია;

დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

➤ პერსონაჟის დახასიათების რომელი გზაა გამოყენებული ტექსტში?

არაპირდაპირი დახასიათება

2. „დახლთანპატარარგიიდგა. ჩვენცდავდექითდადაველოდეთ...ამდროსდარბაზშიშაფათავასცოლიშემოცქრიალდა. მასწავლებელიშაფათავა ახალგაზრდა კაცია, ცოლიც ახალგაზრდა, ლამაზი ჰყავს, მაგრამ ცოტა ცანცარაა. შემოცქრიალდა და პირდაპირ ჩვენი დახლისკენ წამოვიდა. ხალხი საკმაოდ მოურიდებლად გასწი-გამოსწია. დათას მოადგა ... ეჯაჯგურებოდა, დაჟინებით ცდილობდა, დათა როგორმე გზიდან ჩამოეცილებინა, ... მაგრამ არაფერი გამოუდიოდა, დათას დამვრას მამაკაცის ღონე სჭირდებოდა. შაფათავას ლამაზი ცოლი მაინც არ ცხრებოდა“ (ჭაბუა ამირეჯიბი, „დათა თუთაშხია“)

➤ მიუთითეთ, რა სახის ინფორმაციაა მოყვანილი ამ ფრაგმენტში.

ა) ინფორმაცია პერსონაჟის ქმედებაზე;

ბ) ინფორმაცია საცხოვრებელ ადგილზე;

გ) ავტორისეული დახასიათება;

დ) პერსონაჟის გარეგნული პორტრეტი.

➤ შაფათავასცოლისრომელი თვისებებიჩანსტექსტში?

ა) თავმდაბლობა და მოუთმენლობა;

ბ) სიჯიუტე და მოკრძალება;

გ) შეუპოვრობადათავხედობა;

დ) უძლურება და თავაზიანობა.

➤ პერსონაჟის დახასიათების რომელი ხერხია გამოყენებული ტექსტში?

არაპირდაპირი დახასიათება

2. წაიკითხეთ ფრაგმენტები სამი მხატვრული ნაწარმოებიდან და უპასუხეთ მოცემულ კითხვებს.

1. „მთელ ევროპაში ვერ ნახავდით ამისთანა ბაღს! ერთი ხე არ იდგა, ყვავილი რა არის, ყვავილს ვერ იპოვიდით, რომ აქაური ყოფილიყო; სულ შორეული ქვეყნებიდან მოტანილი მცენარეებით იყო აყვავებული ეს ბაღი და რა გინდა, სულო და გულო, რომ იქ არ გენახათ: ეს ბამბაო, ეს ბაობაბიო, ნოპალი, კაქტუსი, ალჟირული ლეღვი...

რა თქმა უნდა, ამ მცენარეებს ბუნება ეცვალათ: ბამბა სტაფილოს სიმადლე იყო და ბაობაბი - ეს გიგანტური ხე - იის მოსაყვანად დამზადებულ თიხის ქოთანში მოთავსებულიყო“ (ალფონს დოდე, „ტარტარენ ტარასკონელი“)

➤ მიუთითეთ, რა სახის ინფორმაციაა მოყვანილი ამ ფრაგმენტში.

ა) ინფორმაცია პერსონაჟის ქმედებაზე;

**ბ) ინფორმაცია საცხოვრებელ ადგილზე;**

გ) ავტორისეული დახასიათება;

დ) პერსონაჟის გარეგნული პორტრეტი.

➤ რა შეიძლება დავასვენათ ბაღის მეპატრონეზე?

ა) ბაღის მეპატრონე უცხოელია და ბაღში თავისი მშობლიური ქვეყნის მცენარეები აქვს დარგული;  
არ არის სწორი, რადგან ჩამოთვლილი მცენარეები წარმოშობით სხვადასხვა ქვეყნიდანაა.

**ბ) ბაღის მეპატრონე გატაცებულია შორეული ქვეყნებით და ეგზოტიკა იზიდავს;**

გ) ბაღის მეპატრონე ფერმერია, რომელსაც სურს, ევროპაში წამოიწყოს ეგზოტიკური მცენარეებით ვაჭრობის ბიზნესი.  
არ არის სწორი, რადგან ტექსტიდან ჩანს, რომ მცენარეებს იერი შეცვლილი აქვთ და, ამდენად, გაყიდვის პოტენციალი არ ექნებათ  
- არავინ მოისურვებს ასეთი გადაგვარებული მცენარეების ყიდვას.

დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

სწორია ბ ვარიანტი.

➤ პერსონაჟის დახასიათების რომელი ხერხია გამოყენებული ტექსტში?

არაპირდაპირი დახასიათება

2. „ოთარაანთ ქვრივის შვილი გიორგი ოცდაერთი წლის ბიჭი იყო...თვალადობით მეტად სანდომიანი და მარილიანი იყო... იშვიათად იცოდა ღიმილი, მაგრამ როცა კი გაიღიმებდა, თვალი ზედ დაგრჩებოდათ, ისე უხდებოდა ღიმილი. ტანადაც ერთი ბრგე კაცი იყო, მარჯვედ მოყვანილი და კარგად ჩასხმული. კოხტად და ფაქიზად ჩაცმა-დახურვა უყვარდა. იმისი ჭრელი წინდები და ფეხზე ლამაზად გაწყობილი ქალამანი რომ გენახათ, მაშინ დაიჯერებდით, რომ ჩვენებურ გლეხის ფეხსაცმელსაც თავისი სილამაზე აქვს. ბაზარში რომ გაივლიდა, იტყოდნენ ხოლმე: ერთი დოინჯის შემოყრაღა აკლია, თორემ თავადიშვილია და თავადიშვილიო“ (ილია ჭავჭავაძე, „ოთარაანთ ქვრივი“)

➤ მიუთითეთ, რა სახის ინფორმაციაა მოყვანილი ამ ფრაგმენტში.

ა) ინფორმაცია პერსონაჟის ქმედებაზე;

ბ) ინფორმაცია საცხოვრებელ ადგილზე;

გ) ავტორისეული დახასიათება;

დ) პერსონაჟის გარეგნული პორტრეტი.

➤ გიორგის დამახასიათებელი რომელი თვისება არ ჩანს ტექსტში?

ა) სერიოზულობა;

ბ) სიკობტავე;

გ) გარეგნული მიმზიდველობა;

დ) მხიარულება.

➤ პერსონაჟის დახასიათების რომელი ხერხია გამოყენებული ტექსტში?

პირდაპირი დახასიათება

**მეთოდური მითითებები:**

- აქტივობების შესრულების მეშვეობით სტუდენტებმა უნდა გააცნობიერონ, რომ პერსონაჟის შინაგანი სამყაროს, მისი დამახასიათებელი ნიშან-თვისებების ამოცნობა შესაძლებელია გარეგნული პორტრეტით (გარეგნობის რაიმე სახასიათო დეტალით) საცხოვრებელი ადგილით, ქმედებით.
- საჭიროებისამებრ, მასწავლებელს შეუძლია გასაანალიზებლად სხვა მაგალითებიც შესთავაზოს სტუდენტებს.

იდეები დამატებითი აქტივობებისთვის

ა) პერსონაჟის დახასიათება

დაწერეთო'ჰენრის მოთხრობის პერსონაჟის - დელას დახასიათება ნაწარმოებში გამოყენებულ პირდაპირ და არაპირდაპირ ხერხებზე დაკვირვებით.

დახასიათება

შეფასების სქემა	
კრიტერიუმი	ქულა
შინაარსი	
მკაფიოდაა გამოკვეთილი პერსონაჟის დამახასიათებელი კონკრეტული ნიშან-თვისებები, დადასტურებული სათანადო მაგალითებით ტექსტიდან	0-0, 5-1-1, 5 - 2
ტექსტის ცალკეული ნაწილებს შორის დაცულია აზრობრივი შესაბამისობა	0-0, 5-1-1, 5 - 2
ორგანიზება, სტრუქტურა	
დაცულია ტექსტის აბზაცებად დაყოფის პრინციპი	0 -0, 5-1
აბზაცის ფარგლებში დაცულია განვითარებისა და მატების პრინციპი	0 -0, 5-1
ენა	
შეარჩევს სათანადო სტილს	0 -0, 5-1
შარჩევს სათანადო ლექსიკას; მიზნის შესაბამისად, იყენებს მწერლისეულს	0 -0, 5-1
იცავს ენობრივ-გრამატიკულ ნორმებს	0 -0, 5-1
იცავს მართლწერის ნორმებს, პუნქტუაციის წესებს	0 -0, 5-1

**რეკომენდაციები შეფასებისათვის:**

აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია მოდულის შემდეგი შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:

- II შედეგი, 1, 2, 3
- VI შედეგი, 1, 2, 3, 4, 6.

**ბ) სამოტივაციო წერილი**

წარმოიდგინეთ, რომ გამოცხადდა კონკურსი თქვენი პროფესიის შესაბამის ვაკანსიაზე. კონკურსში მონაწილეობისთვის დაწერეთ სამოტივაციო წერილი, რომელშიც პოზიტიურად დაახასიათებთ საკუთარ თავს ვაკანსიის შესაბამისი უნარების, ცოდნის, გამოცდილებისა და პირადი თვისებების წარმოჩენით.

კრიტერიუმები	ქულები
<b>შინაარსი</b>	
ასახელებს პოზიციას	0 -0, 5-1
ასახელებს ინფორმაციის წყაროს	0 -0, 5-1
ადეკვატურად იყენებს პირდაპირი და არაპირდაპირი დახასიათების ხერხებს (პირადი თვისებების, გამოცდილების, უნარებისა და ცოდნის დასახელებისას)	0 -0, 5- 1 – 1, 5 – 2
ითვალისწინებს ვაკანსიის სპეციფიკას	0 -0, 5-1
<b>ორგანიზება, სტრუქტურა</b>	
იცავს სათანადო სტრუქტურას, აბზაცებად დაყოფის პრინციპს	0 -0, 5-1

იცავს აბზაცში აზრის თანამიმდევრულად განვითარების პრინციპს	0 -0, 5-1
<b>ენა</b>	
შეარჩევს სათანადო სტილს, ლექსიკას	0 -0, 5-1
იცავს ენობრივ-გრამატიკულ ნორმებს	0 -0, 5-1
იცავს მართლწერის ნორმებს, პუნქტუაციის წესებს	0 -0, 5-1

#### ფუნქციური კომუნიკაცია 4. მსგავსება-განსხვავების ამსახველი აბზაცი

##### ზოგადი ინფორმაცია მასწავლებელთათვის

მსგავსება-განსხვავების დასადგენად აუცილებელია შედარების პროცესი. შედარების შედეგად ხდება საგნებსა და მოვლენებს შორის იგივეობის, მსგავსებისა და განსხვავების დადგენა.

მსგავსება-განსხვავების ამსახველი აბზაცი იწერება ორი ან მეტი საგნის, მოვლენის, ფაქტის, პიროვნების შედარების საფუძველზე. შესაძლებელია, ამ ტიპის ტექსტი ფოკუსირებული იყოს ორი ან მეტი საგნის მსგავსებაზე ან განსხვავებაზე; შესაძლებელია, ერთდროულად იყოს საუბარი მსგავსებაზეც და განსხვავებაზეც.

სასურველია, რომ სტუდენტებმა კარგად გააცნობიერონ შედარების სტრატეგიების მნიშვნელობა - შეიძლება ითქვას, რომ სამყაროს ადამიანი ძირითადად შეიმეცნებს საგნებს, მოვლენებს, ფაქტებს შორის მსგავსება-განსხვავებების დადგენის გზით. ყოველდღიურ ცხოვრებაშიც, აწონ-დაწონილი, ოპტიმალური გადაწყვეტილებების მისაღებად ჩვენ აუცილებლად უნდა



გავითვალისწინოთ ალტერნატივები და ერთმანეთს შევუდაროთ ყველა შესაძლო ვარიანტი. *სად უნდა ჩავაბარო, ბიზნესის მენეჯმენტის ფაკულტეტზე თუ იურიდიულზე? რომელ პროფესიულ სასწავლებელშია უკეთესი პირობები განათლების მისაღებად? რომელი სპეციალობა მომცემს უკეთესი სამუშაოს შოვნის შესაძლებლობას? რომელი სადაზღვევო კომპანიის შემოთავაზებაა ჩემთვის ყველაზე მისაღები?* რომელი ამ და მსგავს შეკითხვებზე პასუხების გასაცემად სტუდენტებს აუცილებლად მოუწევთ ალტერნატიული ვარიანტების ერთმანეთთან შედარება.

ამა თუ იმ საგნის, ფაქტის ან მოვლენის ახსნის დროს საკმაოდ ხშირად გამოიყენება მსგავსების სპეციფიკური ფორმა, რომელსაც *ანალოგია* ეწოდება. ანალოგიის გამოყენების დროს ნაკლებად ცნობილი საგნის, ობიექტის ან მოვლენის ასახსნელად მას უდარებენ სხვა, უფრო კარგად ცნობილ საგანს, ფაქტს ან მოვლენას.

მსგავსება-განსხვავების ამსახველი ტექსტის შედგენისას თავდაპირველად აუცილებელია იმაში დარწმუნება, რომ შედარებისათვის არსებობს საკმარისი საფუძველი, ანუ შესადარებელ საგნებს, ფაქტებს, მოვლენებს რაღაც გარკვეული საერთო აქვთ. მაგ., ძალი და კატა ძალზე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მათ აქვთ მნიშვნელოვანი საერთო მახასიათებლები: ორივენი არიან ხერხემლიანები, ძუძუმწოვრები; აქვთ ოთხი თათი; მიეკუთვნებიან შინაური ცხოველების ჯგუფს და ა.შ. რომ არა ეს საერთო მახასიათებლები, არ გვექნებოდა საკმარისი საფუძველი მათ შესადარებლად, რაც ნიშნავს, რომ ბევრი არაფერი იქნებოდა განსახილველი. რაც უფრო დაცილებულია ორი შესადარებელი ობიექტი ერთმანეთისაგან, მით უფრო აზრსმოკლებულია მათი ერთმანეთთან შედარება. მართლაც, განა რა შეიძლება ითქვას იმ შემთხვევაში, თუკი ერთმანეთს შევუდარებთ მაგ., ელვასა და მალვიძარას? საერთო მათ არაფერი აქვთ, განსხვავებები კი იმდენია, რომ მათი ჩამონათვალი თითქმის უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ ორი საგნის - ელვისა და მალვიძარას ერთმანეთთან შედარებას აზრი არ აქვს.

მსგავსება-განსხვავების დადგენაზე ფოკუსირებული ტექსტების შედგენისას, ძირითადად, გამოიყენება სამი ორგანიზაციული ყალიბი:

- I. მთელი მთელთან მიმართებით - მოცემულია ერთი საგნის, მოვლენის, ადამიანის აღწერა-დახასიათება, შემდეგ მეორესი.
- II. მსგავსება-განსხვავების ბლოკები - ცალკე ჯგუფდება განსხვავებები, ცალკე-მსგავსებები.
- III. კატეგორიების მიხედვით შედარება - კატეგორიების შერჩევა ავტორის ნებაზეა დამოკიდებული.

დავუშვათ, საჭიროა დადგინდეს, რა მსგავსება-განსხვავებებია ორ საკონდიტრო ფირმას შორის. პირველი საორგანიზაციო ყალიბის გამოყენების შემთხვევაში ჯერ საუბარი იქნება პირველ ფირმაზე, მერე მეორეზე.

მეორე ყალიბის გამოყენების დროს ორივე ფირმის ყველა მსგავსი მახასიათებელი დაჯგუფდება ერთად და ერთი მთლიანი ბლოკის - „მსგავსებების ბლოკის“ - სახით აისახება ტექსტში; შემდეგ ერთად დაჯგუფდება ფირმების ყველა განმასხვავებელი ნიშანი და იქმნება „განსხვავებათა“ ბლოკი.

მესამე ყალიბის გამოყენების შემთხვევაში წინასწარ უნდა განისაზღვროს კატეგორიები (შესადარებელი ობიექტების ცალკეული მახასიათებლები). შემდეგ ამ კატეგორიათა მიხედვით დაჯგუფდება მსგავსებები და განსხვავებები. მაგ., ზემონახსენები საკონდიტრო ფირმების შედარების შემთხვევაში, შეიძლება გამოიყოს ისეთი კატეგორიები, როგორებიცაა: პროდუქციის საშუალო ღირებულება, პროდუქციის ხარისხი, მომსახურების ხარისხი და სხვ. შემდეგ კი აღიწეროს, რა მსგავსება-განსხვავებაა ამ კატეგორიების მიხედვით. სქემატურად აღნიშნული ყალიბები შემდეგნაირად შეიძლება გამოისახოს.

*ნიმუში.* მსგავსება-განსხვავების აბზაცის ორგანიზაციული ყალიბები

I.

- |   |
|---|
| <ul style="list-style-type: none"><li>▪ პირველი ფირმის საქმიანობის აღწერა-დახასიათება</li><li>▪ მეორე ფირმის საქმიანობის აღწერა-დახასიათება</li></ul> |
|---|

II.

- |   |
|---|
| <ul style="list-style-type: none"><li>▪ მსგავსებათა ბლოკი</li><li>▪ განსხვავებათა ბლოკი</li></ul> |
|---|

III.

- კატეგორია: პროდუქციის საშუალო ღირებულება (მსგავსებები, განსხვავებები)
- კატეგორია: პროდუქციის ხარისხი (მსგავსებები, განსხვავებები)
- კატეგორია: მომსახურების ხარისხი (მსგავსებები, განსხვავებები)

მსგავსება-განსხვავების ამსახველი აზრების თემატური წინადადება უნდა ასახელებდეს თემას, აგრეთვე, მიგვითითებდეს მსგავსება-განსხვავების კრიტერიუმებზე. მაგალითად: „საკონდიტრო ფირმის ნაწარმის ყიდვის დროს გასათვალისწინებელია 3 ძირითადი ფაქტორი“. დასკვნითი წინადადება შეიძლება აჯამებდეს შედარების შედეგებს, მაგალითად, „ამდენად, პირველი საკონდიტრო ფირმა ორი ძირითადი ფაქტორით - პროდუქციის ხარისხითა და მომსახურების ხარისხით ბევრად აღემატება მეორეს“. შესაძლებელია, დასკვნით წინადადებას ჰქონდეს ერთგვარი რეკომენდაციის სახეც: „ამდენად, ვფიქრობ, უკეთესი იქნება, თუკი მომხმარებლები შეიძენენ პირველი საკონდიტრო ფირმის ნაწარმს“.

ორი ან მეტი საგნის, მოვლენის, პერსონაჟის მსგავსი და განსხვავებული ნიშან-თვისებების დადგენაზე მუშაობისთვის, ტრადიციულად, გამოიყენება გრაფიკული მათემატიკური „ვენის დიაგრამა“ (იხ. გზამკვლევი, თავი 2, აქტივობა # 4, პერსონაჟების დახასიათება).

**სამი ყალიბი:**

მსგავსება-განსხვავების აზრების ორგანიზაციული ყალიბები

I.

- პირველი ფირმის საქმიანობის აღწერა-დახასიათება
- მეორე ფირმის საქმიანობის აღწერა-დახასიათება

II.

- მსგავსებათა ბლოკი
- განსხვავებათა ბლოკი

III.

- კრიტერიუმი: პროდუქციის საშუალო ღირებულება (მსგავსებები, განსხვავებები)
- კრიტერიუმი: პროდუქციის ხარისხი (მსგავსებები, განსხვავებები)
- კრიტერიუმი: მომსახურების ხარისხი (მსგავსებები, განსხვავებები)

*ენობრივი ფორმულები, რომლებიც გამოიყენება ორი ან მეტი საგნის შესადარებლად, მსგავსება-განსხვავების აღსანიშნავად:*

❖ ...-სთან შედარებით

- ❖ უფრო
- ❖ ნაკლებად
- ❖ ვიდრე
- ❖ უფრო მეტად
- ❖ უფრო ... ვიდრე
- ❖ ისეთივეა/ისეთივე ....., როგორც
- ❖ ნაკლებად .... ვიდრე
- ❖ ბევრად
- ❖ ბევრად უფრო
- ❖ ...-ის მსგავსად,
- ❖ მსგავსად ...-ისა,
- ❖ ...-ისგან განსხვავებით

*მსგავსება-განსხვავების ამსახველ ტექსტების შედგენისთვის მასწავლებელმა სტუდენტებს უნდა გააცნოს აღნიშნული ენობრივი ფორმულები. უშუალოდ ტექსტების შედგენის დროს, სამუშაოს გასაადვილებლად, მასწავლებელმა შესაძლებელია მოამზადოს თვალსაჩინოება - დიდი ზომის ფორმატი, რომელზეც დაწერილი იქნება მსგავსება-შედარების ენობრივი ფორმულები (ან დაფაზე ჩამოწეროს ისინი).*

#### იდეები დამატებითი აქტივობებისთვის:

- მსგავსება-განსხვავების ამსახველი აზრების შედგენა: მასწავლებელს შეუძლია სთხოვოს სტუდენტებს, თავიანთი პროფესიული საქმიანობის სფეროდან შეარჩიონ და ერთმანეთს შეადარონ ორი საწარმოს (/ ორგანიზაციის, ფირმის) მიერ წარმოებული ერთი და იგივე პროდუქცია ან ერთი და იგივე სერვისი. შედარებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას II ორგანიზაციული ყალიბი (მსგავსებათა და განსხვავებათა ბლოკების).

➤ მსგავსება-განსხვავების ამსახველი აზრების შედგენა გოდერძი ჩოხელის ტექსტზე დაყრდნობით.

მითითება: გადაიკითხეთ მე-6 და მე-8 რესპონდენტების პასუხები გოდერძი ჩოხელის ტექსტიდან. დაწერეთ ერთაზრებიანი ტექსტი, რომელშიც შეადარებთ ამ მოპასუხეებს საერთო და განსხვავებული მახასიათებლების აღნიშვნით (კატეგორიები: სქესი, ასაკი, განათლება/მეტყველება, დამოკიდებულება სიყვარულის გამოხატვის ფორმების მიმართ, პიროვნული თვისებები).

საერთო მახასიათებლები:

- ❖ სქესი (ორივე მოპასუხე ქალია),
  - ❖ ასაკი (მოპასუხეების ასაკი მითითებული არ არის, მაგრამ ტექსტიდან ჩანს, რომ ორივე მათგანი ხანდაზმულია. პირველ შემთხვევაში ამაზე მიგვითითებს მიმართვა: „ბებო“, მეორე შემთხვევაში - წარსულში დარჩენილი ახალგაზრდობის წლების გახსენება და დისტანცირება თანამედროვე ეპოქისგან),
  - ❖ სოციალური წარმომავლობა/განათლება (ორივე მოპასუხე აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტზე მეტყველებს. ეს მიგვითითებს, რომ მათ სწავლა-განათლება მიღებული არ აქვთ. მე-8 რესპონდენტის პასუხში ამაზე პირდაპირ მინიშნებასაც ვხვდებით: „თუმცა თსწავლარომაქ, სხვანაირისიყვარულიციან?“. ამ სიტყვებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თავად მოპასუხეს განათლება მიღებული არ აქვს. მოპასუხეების საუბარში დიალექტური ფორმების სიჭარბე მიგვითითებს, რომ ისინიშესაძლებელია ცხოვრობენსოფელში (კონკრეტულად, აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებში).
  - ❖ დამოკიდებულება სიყვარულის გამოხატვის ფორმის მიმართ (ორივე მოპასუხისთვის მიუღებელია სიყვარულის საჯაროდ გამოხატვა. პირველ შემთხვევაში ამაზე მეტყველებს ის, რომ ბებო საერთოდ არ ახსენებს ქმარს/საყვარელ ადამიანს, გადააქვს ლაპარაკი შვილიშვილზე და სიყვარულს ღიად მხოლოდ მის მიმართ გამოხატავს; მეორე შემთხვევაში კი მოპასუხე ღიად აკრიტიკებს სიყვარულის საჯაროდ გამოხატვის ფორმას).
- განსხვავებული მახასიათებლები:
- ❖ პიროვნული თვისებები: მე-6 მოპასუხე (ბებო) ალერსიანი ბუნების, პოზიტიური, თუმცა საკმაოდ გულჩახვეული ადამიანია. მე-8 მოპასუხე მკაცრი ბუნების, პირდაპირი ადამიანია: მოურიდებლად გამოხატავს თავის შეურიგებლობას, არ ერიდება სხვებთან დაპირისპირებას, გამართლებულად მხოლოდ თავისი პოზიცია მიაჩნია, არ ცდილობს სხვა ადამიანების გაგებას.

**მსგავსება-განსხვავების ამსახველი აზრები**

შეფასების სქემა	
კრიტერიუმი	ქულა

ორგანიზება და შინაარსი	
თემატურ წინადადებაში გამოხატულია აბზაცის მთავარი იდეა/აზრი	0-0, 5 - 1
დაცულია განმეორებადობისა და მატების წესი	0-0, 5-1, 1, 5-2
დაცულია ერთიანი ორგანიზაციული ყალიბი	0-0, 5-1, 1, 5-2
დამხმარე წინადადებებში მოყვანილია თემატურ წინადადებასთან დაკავშირებული კონკრეტული ინფორმაცია	0-0, 5 - 1
დასკვნა სხვა სიტყვებით იმეორებს თემატურ წინადადებაში გამოხატულ აზრს <i>ან</i> შეაჯამებს აბზაცს	0-0, 5 - 1
ენა	
გამოყენებულია სათანადო ლექსიკა, სტილი	0-0, 5 - 1
გამოყენებულია ადეკვატური ენობრივ-გრამატიკული ფორმები, სინტაქსური კონსტრუქციები	0-0, 5 - 1
დაცულია მართლწერისა და პუნქტუაციის წესები	0-0, 5 - 1

**რეკომენდაციები შეფასებისათვის:**

აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია მოდულის შემდეგი შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:

- I შედეგი, 5
- II შედეგი, 1, 2, 3
- VI შედეგი, 1, 2, 3, 4, 6.

მასწავლებელი სასწავლო პრიორიტეტების და სტუდენტების საჭიროებების მიხედვით განმავითარებელი შეფასებისათვის იხელმძღვანელებს დასახელებული შედეგების შესრულების კრიტერიუმებით.

#### ფუნქციური კომუნიკაცია 4. თხრობითი აზნაცი

##### ზოგადი ინფორმაცია მასწავლებლისათვის

ტრადიციულად, თხრობით აზნაცში მოვლენები აღწერილია დროითი თანამიმდევრობის დაცვით - პირველად მოხსენებულია ფაქტი ან მოვლენა, რომელიც მოხდა თხრობის დასაწყისში, მეორე ადგილზეა ფაქტი ან მოვლენა, რომელიც მოჰყვა მას და ა.შ. თხრობით ტექსტს სხვაგვარად ნარატიულ ტექსტსაც უწოდებენ (ლათ. სიტყვიდან narratio - თხრობა).

მოვლენათა დროითი თანამიმდევრობის გადმოსაცემად ამ ტიპის აზნაცებში გამოიყენება შემდეგი სიტყვები და/ან ფრაზები: *ჯერ, თავდაპირველად/პირველად, თავიდან/სულ თავიდან; დასაწყისში, მოგვიანებით, შემდეგ, ცოტა ხანში/ცოტა ხნის შემდეგ, მერე, მალე; ახლა, ამასობაში, შემდეგ; ბოლოს/სულ ბოლოს, დასასრულ, დიდ ხანს არ გაუვლია, ამის შემდეგ, ...-(ი)ს დაწყებამდე, პირველ დღეს, მეორე დღეს, მისთ.* თხრობითი ტექსტის აზნაცები დროითი თანამიმდევრობის შესაბამისად შეიძლება იყოს ორგანიზებული.

#### აქტივობები

##### აქტივობა 7. დავიცვათ დროითი თანამიმდევრობა: ვწერთ თხრობით ტექსტს

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა ემსახურება ფუნქციურიწერისუნარ-ჩვევებისგანვითარებას; ხელს უწყობს ლოგიკური აზროვნების, ინფორმაციის ქრონოლოგიური ნიშნით დახარისხების უნარ-ჩვევების განვითარებას, წერითი მეტყველების უნარ-ჩვევების



განვითარებას. აქტივობა განავითარებს სემიოტიკური წიგნიერების უნარ-ჩვევებს (გრაფიკული მარგანიზებლის გამოყენების გზით). აქტივობა გამიზნულია წერის წინა და წერის შემდგომი ეტაპებისათვის.

#### **აქტივობის მიზნები:**

- ფუნქციურიკომუნიკაციისუნარებისგანვითარება;
- ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარების განვითარება.

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** მთელი ჯგუფის მონაწილეობით (I ეტაპი), ინდივიდუალური (II ეტაპი).

**რესურსები:** წინასწარ შერჩეული თხრობითი ტექსტი, დაფა, ცარცი/მარკერი, საწერი კალამი, რვეული.

#### **აქტივობის აღწერა:**

მასწავლებელი გაესაუბრება სტუდენტებს თხრობით ხასიათის ტექსტებზე. ისინი გადმოგვცემს ავტორისათვის მნიშვნელოვან ამბავს, მოვლენას/ფაქტს. მკითხველზე შთაბეჭდილების მოსახდენად ტექსტი უნდა შეიცავდეს დეტალებს, რომლებიც შეესატყვისება 6 კითხვას: ვინ? რა? სად? რატომ? როგორ? როდის? (ვინ მონაწილეობდა, რა მოხდა, სად მოხდა, რატომ მოხდა, როგორ მოხდა, როდის მოხდა).

სტუდენტებისთვის ნაცნობი/ნასწავლი თხრობითი ტექსტების შეხსენების შემდეგ მასწავლებელი სტუდენტების ყურადღებას გაამახვილებს ამ სახის ტექსტების ერთ-ერთ ძირითად მახასიათებელზე. ესაა ფაქტების/მოვლენების გადმოცემა დროითი თანამიმდევრობის დაცვით - პირველად მოხსენებულია ფაქტი/მოვლენა, რომელიც მოხდა თხრობის დასაწყისში, მეორე ადგილზეა მოვლენა/ფაქტი, რომელიც მოჰყვა მას და ა.შ.; შეახსენებს აგრეთვე თხრობითი ტექსტის სამნაწილიან სტრუქტურას (შესავალი, შუა ნაწილი, დასასრული).

ამის შემდეგ მასწავლებელი შესთავაზებს სტუდენტებს, დაწერონ თხრობითი ტექსტი „ექსკურსიაზე“ (უახლოეს წარსულში ორგანიზებულ ექსკურსიაზე, რომელიც სტუდენტებს კარგად ემახსოვრებათ).

მასწავლებელი შესთავაზებს სტუდენტებს, ერთად გაიხსენონ ექსკურსიის დღე და დაფაზე გამოსახავს დროითი თანამიმდევრობის გრაფიკულ მარგანიზებელს - ე.წ. „დროის ისარს“. „დროის ისარი“ შეივსება ზეპირი გზით, მთელი ჯგუფის მონაწილეობით (შესავსებად მასწავლებელმა შეიძლება დაფასთან გამოიყვანოს სტუდენტები). მუშაობის დროს მასწავლებელი კითხვებს უსვამს სტუდენტებს, ქრონოლოგიური თანამიმდევრობის გამოსახატავად იყენებს დროის ზმნიზედებს:

თავდაპირველად, ჯერ, მერე, ამის შემდეგ, ბოლოს და მისთ. (პირველად რა მოხდა? ამის შემდეგ რა მოხდა? ამ დროს რა მოხდა? და მისთ.

დროის ისრის პირველი პუნქტზე წარმოდგენილი უნდა იყოს 5 ძირითადი კითხვა (ვინ? რა? სად? რატომ? როგორ?), რომელიც დაკავშირებული იქნება პუნქტთან „შესავალი“.



**მუშაობა დეტალებზე.** „დროის ისრის“ შევსების შემდეგ მასწავლებელი შეარჩევს ერთ-ერთ პუნქტს, გამოსახულს დროით ისარზე (მაგ., „საუზმე“) და ჰკითხავს სტუდენტებს, ხომ არ ახსოვთ, მოხდა თუ არა რაიმე საინტერესო, უჩვეულო/სასაცილო ამ დროს; ან რამ მოახდინა მათზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება. გამოკითხვა გაგრძელდება მანამდე, სანამდე სტუდენტები არ გაიხსენებენ ერთ-ორ დეტალს, რომლებსაც მასწავლებელი სანიმუშოდ დაიტანს „დროით ისარზე“, შესაბამის პუნქტთან. შემდეგ აუხსნის სტუდენტებს ამ დეტალების (საინტერესო ფაქტი/ფაქტები, უჩვეულო/სასაცილო შემთხვევა, ძლიერი პირადი შთაბეჭდილება, ემოცია, სხვ.) მნიშვნელობას - მათ გარეშე თხრობა გამოვა მშრალი, უინტერესო, თანაც ყველა სტუდენტის ნაწერი შეიძლება ძალიან დაემსგავსოს ერთმანეთს. სტუდენტებმა კარგად უნდა გააცნობიერონ, რომ წერიტი ნამუშევრის შედგენისას მათი ამოცანაა, შეძლებისდაგვარად გაამდიდრონ დროის ისარზე გამოსახული თითოეული პუნქტი სხვადასხვა დეტალებით. სტუდენტებმა უნდა გააცნობიერონ, რომ სწორედ დეტალებშია იქნება ჩამალული მათი ინდივიდუალობა, რადგან ერთი ადამიანი ერთ ფაქტს მიექცევს ყურადღებას, მეორე ადამიანი - სხვას და ა.შ.

ამის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს სტუდენტებს, დაწერონ თხრობითი ტექსტი. გააფრთხილებს მათ, რომ წერისას მათ უნდა:

1. სრულად გამოიყენონ „დროის ისარზე“ ასახული ინფორმაცია;
2. დაიცვან დროითი თანამიმდევრობა - გაყვანენ „დროის ისარს“;
3. „დროის ისარის“ პირველი პუნქტის მითითებები (ვინ? რა? სად? რატომ? როგორ?) გამოიყენონ ტექსტის შესავალი ნაწილის დასაწერად (მაგ., „14 ოქტომბერს მთელი ჩვენი ჯგუფი ავტობუსით გაემგზავრა ექსკურსიაზე მცხეთაში. წინ გრძელი გზა გველოდა/გვქონდა, ამიტომ ყველანი დილის 7 საათზე შევიკრიბეთ სადგურზე/ავტობუსის გაჩერებაზე, ჩავსხედით ავტობუსში და გავემართეთ მცხეთისაკენ“).
4. გამოიყენონ დროითი თანამიმდევრობის აღმნიშვნელი სიტყვები (ჯერ, მერე, სულ ბოლოს, მისთ.);
5. დაამატონ რაც შეიძლება მეტი დეტალი (პირადი შთაბეჭდილება, ემოცია, კონკრეტული ფაქტი, სხვ.) „დროის ისარზე“ გამოსახულ თითოეულ პუნქტს.

სამუშაოს შესრულების შემდეგ სტუდენტები წარადგენენ თავიანთ ნამუშევრებს. მასწავლებელი შეაფასებს მათ ნამუშევრებს პოზიტიური მხარეების გამოკვეთით; საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტებს აძლევს დამატებით მითითებებსა და რჩევებს.

#### მეთოდური მითითებები:

- აღნიშნული აქტივობის შესრულება შესაძლებელია ტექსტზე („შემომეყარა ყივჩაღი“) დაყრდნობით. როგორც ცნობილია, ბალადა სიუჟეტურ ლექსს წარმოადგენს (ანუ იგი რაღაც ამბავს მოგვითხრობს), ასე რომ ბალადის შესწავლის გარდა, მასწავლებელს შეუძლია იმუშაოს ფუნქციური კომუნიკაციის უნარების განვითარებაზეც - კერძოდ, გააცნოს სტუდენტებს თხრობითი ტექსტების შედგენის ძირითადი პრინციპები და გაავარჯიშოს მათ გამოყენებაში (ფუნქციური წერის ფორმატში).
- წერის სესიის დაწყებამდე მასწავლებელს შეუძლია დაფაზე ჩამოწეროს დროითი თანამიმდევრობის გამომხატველი ენობრივი ფორმულები, **ან** დაფაზე/კედელზე გააკრას დიდი ფორმატის ფუცელი, რომელზედაც აღნიშნული ენობრივი ფორმულები იქნება ჩამოწერილი.

**იდეები დამატებითი აქტივობებისთვის:**

ზეპირი თხრობის უნარების გასავითარებლად მასწავლებელს შეუძლია მოაწყოს „ამბების დღე“: შესთავაზოს სტუდენტებს, გაიხსენონ ამბავი პირადი გამოცდილებიდან, როდესაც რაღაცის შეეშინდათ (მაგ., ბავშვობაში), რაღაცამ ძალიან გააოცათ, შეემთხვათ ისეთი რამ, რასაც ლოგიკურ ახსნას ვერ უძებნიან (მისტიკური ამბავი).

**კომპლექსური დავალება 1. დაწერეთ მცირე ზომის თხრობითი ტექსტის შედგენა (მაგ., „ერთი უჩვეულო დღე“).<sup>25</sup>**

კრიტერიუმები	ქულები
<b>შინაარსი</b>	
იცავს თემასთან შესაბამისობას	0 -0, 5-1
გამოკვეთს მთავარ ამბავს/მოვლენას	0 -0, 5-1
იცავს აზრობრივ შესაბამისობას ტექსტის ცალკეულ ნაწილებს შორის	0 -0, 5-1
მიზნის შესაბამისად იყენებს აღწერით ან სხვა სახის სახასიათო დეტალ(ებ)ს	0 -0, 5-1
<b>ორგანიზება, სტრუქტურა</b>	
იცავს ერთიან ორგანიზაციულ ყალიბს (მაგ., დროით თანამიმდევრობას)	0 -0, 5-1
ადეკვატურად იყენებს აბზაცებად დაყოფის	0 -0, 5-1

<sup>25</sup>სტუდენტთა საჭიროებების გათვალისწინებით, მასწავლებელს შეუძლია თავად შეარჩიოს თხრობითი ნამუშევრის თემა.

პრინციპს	
აზნაცის ფარგლებში თანამიმდევრულად ავითრებს აზრს	0 -0, 5-1
<b>ენა</b>	
შეარჩევს სათანადო სტილს, ლექსიკას,	0 -0, 5-1
მართებულად იყენებს დროითი თანამიმდევრულობის გამომხატველ ენობრივ საშუალებებს,	0 -0, 5-1
იყენებს მართებულ ენობრივ-გრამატიკულ ფორმებს, იცავს მართლწერის ნორმებს, პუნქტუაციის წესებს	0 -0, 5-1

**რეკომენდაციები შეფასებისათვის:**

აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია მოდულის შემდეგი შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:

- VI შედეგი, 1, 2, 3, 4, 6.

**აქტივობა 8. თხრობა უსიტყვოდ**

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა დაეხმარება სტუდენტებს, განივითარონ ანალიზისა და კომუნიკაციისთვის საჭირო უნარები.

**აქტივობის მიზნები:**

- არავერბალური ენის ელემენტების ადეკვატურად აღქმა-გააზრების უნარების განვითარება;
- თხრობის, ამბის გადმოცემის უნარის განვითარება;
- მულტიმედიური წიგნიერების უნარების განვითარება;
- ზეპირი კომუნიკაციის უნარების განვითარება;
- წერითი მეტყველების უნარების განვითარება.

**რესურსები:** მოკლემეტრაჟიანი ქართული მხატვრული ფილმი „ქორწილი“.

**აქტივობის აღწერა:**

მასწავლებელი სტუდენტებს აჩვენებს მოკლემეტრაჟიან ქართულ მხატვრულ ფილმ „ქორწილს“ და სთხოვს მათ, საკუთარი სიტყვებით გადმოსცენ ფილმის შინაარსი. სტუდენტები ერთმანეთს ენაცვლებიან ფილმის შინაარსის გადმოცემისას (თხრობა გაგრძელებით).

კითხვები: როგორ დაახასიათებდით აფთიაქარს? (ოპტიმისტი, ქარაფშუტა - სერიოზული გრძნობის განცდა არ შეუძლია, სხვ.), როგორ დაახასიათებდით გოგონას დედას? (ნერვული, აფექტური, უხეში, შვილზე მზრუნველი, სხვ.). რატომ ფიქრობთ ასე? (რით დაასაბუთებთ ნათქვამს?)

მუშაობის დასრულების შემდეგ მასწავლებელი შესთავაზებს სტუდენტებს, დაწერონ ფილმის მოკლე შინაარსი.

*ფილმის შინაარსი (ნიმუში)*

*ახალგაზრდა აფთიაქარ ვაჟს ავტობუსში ნანახი გოგონა მოეწონა, აედევნა მას და გოგონას გაცნობა მოახერხა. გოგონა თავაზიანად ექცეოდა ვაჟს. ამის გამო შეყვარებულ აფთიაქარს მოეჩვენა, რომ გოგონასაც მოეწონა იგი. ვაჟმა გადაწყვიტა, სახლში მისულიყო გოგონასთან და თავისი გრძნობა გაემხილა. ყვავილების თაიგულით ხელდამშვენებული აფთიაქარი ენერგიული ნაბიჯებით გაემართა შეყვარებულის სახლისკენ. სადარბაზოში შესულს მხიარული მაყრიონი წამოეწია. სვეტს ამოფარებულმა*

დანაღვლიანებულმა აფთიაქარმა დაინახა საქორწინო კაბაში გამოწყობილი შეყვარებული, რომელსაც გვერდით ახლად შერთული ქმარი ედგა, უკან კი მოხეიბე მეგობრები მოჰყვებოდნენ. ნეფე-პატარძალი და მაცრიონი გოგონას ბინაში შევიდნენ, სადაც საქორწილო სუფრა ელოდებოდათ.

ვაჟი სადარბაზოდან გამოვიდა და „თაიგულით ხელში, ისევ ენერგიული ნაბიჯებით გაუყვა ქუჩას.

დამატებით მასწავლებელს შეუძლიაშეარჩიოს ნანახი ფილმიდან ერთ-ერთ ეპიზოდი და სთხოვოს სტუდენტებს, გადმოსცენ ფილმის გმირებს შორის წარმართული დიალოგების შინაარსი (მაგ., ფილმ „ქორწილიდან“ შეიძლება შეირჩეს: სცენა ავტობუსში, რომლის მონაწილეები არიან: აფთიაქარი, პატარა ბიჭი და მგზავრი ხელბარგით; დიალოგი ქუჩაში აფთიაქარსა და გოგონას შორის და სხვ.).

#### მეთოდური მითითებები:

- სამუშაოს შესასრულებლად სტუდენტები ყურადღებით უნდა დააკვირდნენ პერსონაჟების მიმიკას, სახის გამომეტყველებას, შესტებსა და მიხვრა-მოხვრას.
- შესაძლებელია სტუდენტების მიერ შერჩეული დიალოგ(ებ)ის ტექსტის წერილობითი ვერსიის მომზადებაც.
- დიალოგების წერის დროს სტუდენტებმა უნდა გაიაქტიურონ დიალოგების მართლწერის საკითხების ცოდნა.
- საკუთარი მოსაზრებების ან ვარაუდების გამოთქმისას აუცილებელია, რომ სტუდენტებმა ფილმის მონაცემებზე დაყრდნობით დაასაბუთონ, რატომ ფიქრობენ ასე.

#### რეკომენდაციები შეფასებისათვის:

აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია მოდულის შემდეგი შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:

- I შედეგი, 1
- II შედეგი, 1, 2, 3
- VI შედეგი, 1, 2, 3, 4, 6.

## დამატებითი ცნობები მულტიმედია რესურსთან დაკავშირებით

ა) მოკლემეტრაჟიანი ქართული მხატვრული ფილმი „ქორწილი“

გადაღების თარიღი: 1964 წ.

სცენარის ავტორი, რეჟისორი, მუსიკალური გაფორმების ავტორი: მიხეილ კობახიძე (დაიბ. 1939 წ.).

მონაწილეობენ: გიორგი ქავთარაძე (მთავარი გმირი), ნანა ქავთარაძე (გოგონა), ეკატერინე ვერულაშვილი (გოგონას დედა), ბაადურ წულაძე (გამვლელი).

ფილმის ხანგრძლივობა: 20. 16 წუთი.

ფილმი წარმოადგენს რეჟისორის სადიპლომო ნამუშევარს, მიღებული აქვს ობერჰაუსენის მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალის 3 პრიზი (ფესტივალის მთავარი პრიზი, კინოჟურნალისტთა ასოციაციის პრიზი, საერთაშორისო ევანგელისტური კინოცენტრის პრიზი).

წყარო: <https://www.youtube.com/watch?v=bmWAAFbOqM8&t=49s>

### აქტივობა 9. ემოციური კომენტარი

**აქტივობის შესახებ:** აქტივობა ხელს უწყობს გააზრებული კითხვის, კრიტიკული მოსმენის, წაკითხულის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვისა და წარმოსახვის უნარების განვითარებას.

**აქტივობის მიზნები:**

- შემოქმედებითი მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარება;
- ესთეტიკური კითხვისა და შეფასების უნარ-ჩვევების განვითარება;
- აზრის ფორმულირებისა და დასაბუთების უნარების განვითარება.
- თვითგამოხატვა.



**რესურსები:** ლექსების აუდიოჩანაწერები,

**აქტივობის ორგანიზების ფორმა:** ინდივიდუალური.

**აქტივობის აღწერა:** ლექსის „ყივჩალის პაემანი“ წაკითხვისა და დამუშავების შემდეგ მასწავლებელი სტუდენტებს მოასმენინებს ორ აუდიოჩანაწერს ამ ლექსის ორი წაკითხვით: ა) კითხულობს ავტორი, გიორგი ლეონიძე, 2) კითხულობს ლევან ხურცია.<sup>26</sup>

მასწავლებელი გაესაუბრება სტუდენტებს იმაზე, თუ რას უნდა მიაქციონ მათ ყურადღება. ეს შეიძლება იყოს:

- რა სიტყვებზე/ფრაზებზე აკეთებს აქცენტს ლექსის მკითხველი? თქვენი აზრით, რატომ?
- ცვლის თუ არა ლექსის მკითხველი კითხვის ტემპს? თქვენი აზრით, რატომ?
- ცვლის თუ არა ლექსის მკითხველი ხმის ძალას (ხმას უწევს ან პირიქით, უდაბლებს)? თქვენი აზრით, რატომ?
- რამდენად შეესატყვისება ლექსის მკითხველის ტონი ლექსში ასახულ განწყობას? (ახსენით)
- რამდენად გვეხმარება მოსმენილი ლექსის უკეთ გააზრებაში? (ახსენით)
- რა ემოციები დაგებადათ ლექსის მოსმენისას? რატომ?
- რამდენად შეესატყვისება მუსიკალური ფონი ლექსის განწყობას? (ახსენით)
- ვისი ინტერპრეტაციაა თქვენთვის უფრო მისაღები და რატომ?

დასასრულ, მასწავლებელს შეუძლია სტუდენტებს შესთავაზოს, თავად წაიკითონ ლექსი გამომსახველობითი კითხვით.

შესაძლებელია მცირე კონკურსის ორგანიზებაც, თუკი 2-3 მსურველი აღმოჩნდება. დანარჩენი მსმენელები შეაფასებენ და გამოავლენენ გამარჯვებულს (კონკურსში მონაწილეობისთვის სტუდენტებს შეუძლიათ წინასწარ შეარჩიონ თანმხლები მუსიკა და ვიზუალური კადრები, რომელთაც გამოიყენებენ ლექსის წაკითხვისას).

### **რეკომენდაციები შეფასებისათვის:**

*აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია მოდულის შემდეგი შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:*

<sup>26</sup>CDდისკზე არის ამავე ლექსის კიდევ ერთი ჩანაწერი ნიკო გომელაურის წაკითხვით. მიზანშეწონილებიდან გამომდინარე, მასწავლებელს შეუძლია თავად განსაზღვროს, რომელი მათგანი ს მოასმენინოს სტუდენტებს.

- I შედეგი, 4, 7;
- VII შედეგი, 1, 2

**შემაჯამებელი დავალება 1. ლექსის პრეზენტაცია.**

წაიკითხეთ გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „ქარი ქრის“. მოამზადეთ ლექსის პრეზენტაცია. რომლის დროსაც გამომსახველობითი კითხვით წაიკითხავთ ამ ლექსს. პრეზენტაციისთვის შეარჩიეთ შესაბამისი ვიზუალური მასალა (ფოტოები, სლაიდები) და თანმხლები მუსიკა.

კრიტერიუმები	ქულები
ავლენს ტექსტის გააზრებულ ცოდნას	0 -0, 5-1 – 1, 5 - 2
ავლენს შემოქმედებით მიდგომას	0 -0, 5-1
ვიზუალური მასალა ხელს უწყობს ლექსის აღქმა-გააზრებას	0 -0, 5-1
მუსიკალური გაფორმება ხელს უწყობს ლექსის აღქმა-გააზრებას	0 -0, 5- 1
ადეკვატურად იყენებს სხეულის ენას (ქესტები, მიმიკა, სახის გამომეტყველება, მხედველობითი კონტაქტი)	0 -0, 5-1
კითხულობს სათანადო ძალის ხმითა და რიტმით	0 -0, 5-1

## შემაჯამებელი დავალება 2. კვლევითი პროექტის შედეგების პრეზენტაცია

კვლევითი პროექტი: სოციოლოგიური გამოკითხვა : როგორ ფიქრობთ, როდის უფრო უყვარდათ ნამდვილი სიყვარულით - ძველად თუ ახლა?

სტუდენტებმა უნდა ჩაატარონ სოციოლოგიური გამოკითხვა და გამოიკვლიონ უფროს და უმცროს თაობის მოსაზრებები შემდეგ საკითხზე:

რა არის სიყვარული? როგორ ფიქრობთ, როდის უფრო უყვარდათ ნამდვილი სიყვარულით - ძველად თუ ახლა?

მასწავლებელი განუმარტავს სტუდენტებს, რომ პროექტის შესრულება გულისხმობს თანამიმდევრული ქმედებების განხორციელებას. ეს ქმედებები მასწავლებელს შეუძლია წარმოადგინოს ეტაპების სახით.

**ეტაპი 1.** გამოკითხვის ჩატარება მომზადებული კითხვარის საფუძველზე

**ეტაპი 2.** გამოკითხვის შედეგების გაანალიზება და შეჯამება;

**ეტაპი 4.** გამოკითხვის შედეგების გაანალიზება/შეჯამების საფუძველზე დასკვნითი ტექსტის დაწერა მოდელის მიხედვით ;

**ეტაპი 6.** კვლევითი პროექტის შედეგების პრეზენტაცია.

ინდივიდუალური კითხვარების შევსების შემდეგ სტუდენტი გაანალიზებს გამოკითხვის შედეგებს, დააჯგუფებს და დაახარისხებს მიღებულ ინფორმაციას; დაწერს დასკვნით ტექსტს ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე (მოდელის მიხედვით).

### **ნიმუში. დასკვნითი ტექსტი (ინდივიდუალური სამუშაოსთვის)**

მე, ----- (ქალაქი/დაბა/სოფელი) ----- პროფესიული სასწავლებლის სტუდენტმა -----(სახელი გვარი) ----- 201---  
წლის ----- (თვე) ----- ჩავატარე გამოკითხვა თემაზე „სიყვარული“. გამოკითხვა თანატოლების X რაოდენობა, და უფროსი  
თაობის Y რაოდენობა - X ქალი და X მამაკაცი. გამოკითხვამ აჩვენა, რომ -----.

## შემაჯამებელი დავალება 3. - პრეზენტაცია - „ყველაზე შთამბეჭდავი სიყვარულის ისტორია“

სტუდენტები შეარჩევენ მხატვრულ ნაწარმოებს, ან: ფილმს, რომელიც, მათი აზრით, გამოირჩევა სიყვარულის თემაზე შექმნილი სხვა ტექსტებისგან ამა თუ იმ კუთხით (მაგ., ახდენს უდიდეს ემოციურ ზეგავლენას, გამოკვეთს მნიშვნელოვან პრობლემებს/საკითხებს; წარმოაჩენს თემას ორიგინალური/ახალი კუთხით; ყველაზე დამაჯერებლად ასახავს რეალობას და ა.შ.).

შერჩეული ტექსტის ან ფილმის საფუძველზე სტუდენტები მოამზადებენ 8-10-წუთიან პრეზენტაციას. პრეზენტაციისთვის სტუდენტებმა უნდა შექმნან ორიგინალური ვიზუალური მასალა: წიგნი ყდა/პოსტერი, ან: ფილმის პოსტერი.

ა) პრეზენტაცია მხატვრულ ნაწარმოებზე

ინსტრუქცია:

შეარჩიეთ მხატვრული ნაწარმოები, რომელშიც, თქვენი აზრით, ყველაზე შთამბეჭდავადია წარმოდგენილი სიყვარულის ისტორია. მოამზადეთ 8-10-წუთიანი პრეზენტაცია შერჩეული ნაწარმოების საფუძველზე.

პრეზენტაციაში:

- წარმოადგინეთ ინფორმაცია წიგნზე (სახელწოდება, ავტორი)
- წარმოადგინეთ ინფორმაცია მთავარ პერსონაჟებზე, სიუჟეტზე;
- ახსენით, რითია ეს ტექსტი გამორჩეული (მაგ., ახდენს უდიდეს ემოციურ ზეგავლენას, გამოკვეთს მნიშვნელოვან პრობლემებს/საკითხებს; წარმოაჩენს თემას ორიგინალური/ახალი კუთხით; ყველაზე დამაჯერებლად ასახავს რეალობას და ა.შ.).
- დაასახელეთ ადგილი/ეპიზოდი, რომელიც თქვენ ყველაზე მეტად მოგწონთ (ახსენით, რატომ)
- შექმენით და წარმოადგინეთ წიგნის პოსტერი, რომელზედაც მოწოდებული იქნება შემდეგი ინფორმაცია: ავტორის სახელი, გვარი, ტექსტის სახელწოდება; მოკლე წერილობითი ტექსტი მკითხველების მიმართ (რატომ უნდა წაიკითხოთ ეს ტექსტი, რითაის საინტერესო მათთვის). მოიფიქრეთ ორიგინალური დიზაინი: შეარჩიეთ სათანადო ზომის, ფერის ასოები, მოიფიქრეთ, როგორ განალაგებთ სიტყვებს. შეგიძლიათ გამოიყენოთ რაიმე ნახატი, ფოტო, სხვ. (ტექსტის თემისა და შინაარსის გათვალისწინებით).

პრეზენტაციის შეფასების სქემა

კრიტერიუმები	ქულები
--------------	--------

ასახელებს ტექსტის სათაურს, ავტორს.	0-0, 5
მოჰყავს ინფორმაცია ძირითად პერსონაჟებზე, მათ მახასიათებლებზე (გარეგნობა, ხასიათი), ურთიერთობაზე მათ შორის.	0 – 0, 5 – 1
ავლენს ტექსტის ცოდნას: მოჰყავს ძირითადი ინფორმაცია სიუჟეტზე (მთავარი კონფლიქტი, კულმინაცია, დასასრული).	0 – 0, 5 – 1 – 1, 5 - 2
ხსნის, რითია ტექსტი გამორჩეული;	0 – 0, 5 – 1
ასახელებს მისთვის ყველაზე მიმზიდველ ადგილს და ხსნის მიზეზს (რითია მიმზიდველი), მოჰყავს შერჩეული ციტატა.	0 – 0, 5 – 1
შეარჩევს სათანადო ლექსიკას, იცავს მართლმეტყველების წესებს.	0 – 0, 5 – 1
ყდაზე/პოსტერზე წარმოადგენს საჭირო ინფორმაციას, იყენებს მიმზიდველ დიზაინს.	0 – 0, 5 – 1
მეტყველებს სათანადო ძალის ხმით, ინარჩუნებს აუდიტორიასთან კონტაქტს,	0 – 0, 5 – 1
იცავს პირობასთან შესაბამისობას.	0-0, 5 -1

იცავს დროის ლიმიტს.	0-0,5
ჯამური ქულა	

ბ) პრეზენტაცია მხატვრულ ფილმზე

შეარჩიეთ მხატვრული ფილმი, რომელშიც, თქვენი აზრით, ყველაზე შთამბეჭდავადაა წარმოდგენილი სიყვარულის ისტორია. მოამზადეთ 8-10-წუთიანი პრეზენტაციაშერჩეული ფილმის საფუძველზე.

პრეზენტაციაში:

- წარმოადგინეთ ძირითადი ინფორმაცია ფილმზე (სათაური, ჟანრი, ქვეყანა, გადაღების წელი, რეჟისორი, მთავარი როლების შემსრულებლები)
- წარმოადგინეთ ინფორმაცია მთავარ გმირებზე, სიუჟეტზე;
- ახსენით, რითია ეს ფილმი შთამბეჭდავი; დაასახელეთ ადგილი/ეპიზოდი, რომელიც თქვენ ყველაზე მეტად მოგწონთ (ახსენით, რატომ)
- შექმენით და წარმოადგინეთ ფილმის პოსტერი, რომელზედაც აღნიშნული იქნება: ფილმის სახელწოდება; ჟანრი, რეჟისორის, მსახიობების ვინაობა, მოკლე ტექსტი მაცურებლების მიმართ (რითაა ეს ფილმი საინტერესო, გამორჩეული). პოსტერისთვის მოიფიქრეთ ორიგინალური დიზაინი: შეარჩიეთ სათანადო ზომის, ფერის ასოები, მოიფიქრეთ, როგორ განალაგებთ სიტყვებს. გასაფორმებლად გამოიყენეთ კადრი ფილმიდან, რომელიც ყველაზე ეფექტურია და მიიზიდავს მაცურებელს.

პრეზენტაციის შეფასების სქემა

კრიტერიუმები	ქულები
მოჰყავს ძირითადი ინფორმაცია ფილმზე	0-0, 5
მოჰყავს ინფორმაცია მთავარ გმირებზე, მათ მახასიათებლებზე (გარეგნობა, ხასიათი), ურთიერთობაზე მათ შორის.	0 – 0, 5 – 1
მოჰყავს ძირითადი ინფორმაცია სიუჟეტზე (მთავარი კონფლიქტი, კულმინაცია, დასასრული).	0 – 0, 5 – 1 – 1, 5 - 2
ხსნის, რითია ფილმი შთამბეჭდავი/გამორჩეული	0 – 0, 5 – 1
ასახელებს მისთვის ყველაზე მიმზიდველ ადგილს და ხსნის მიზეზს (რითია/რატომაა მიმზიდველი);	0 – 0, 5 – 1
<b>არავერბალური კომუნიკაცია</b>	0 – 0, 5 – 1
ყდაზე/პოსტერზე წარმოდგენილია საჭირო ინფორმაცია, გამოყენებულია მიმზიდველი დიზაინი.	0 – 0, 5 – 1
შეარჩევს სათანადო ლექსიკას, იცავს მართლმეტყველების წესებს.	0 – 0, 5 – 1
მეტყველებს სათანადო ძალის ხმით,	0-0, 5 -1

ინარჩუნებს აუდიტორიასთან კონტაქტს,	
იცავს პირობასთან შესაბამისობას.	0-0, 5
იცავს დროის ლიმიტს.	0-0, 5
ჯამური ქულა	

შემაჯამებელი დავალება 4. ორი ტექსტის შედარება - ხალხური მუხრანული ლექსისა და გ. ლეონიძის ლექსის შედარებითი ანალიზი.

შეფასების სქემა

კრიტერიუმი	ქულები
<b>შინაარსობრივი მხარე</b>	
ნაშრომი შეესაბამება მიზანს.	0-0, 5-1
გამოთქმული მოსაზრებები ფოკუსირებულია მსგავსება-განსხვავებებზე და ასახავს გააზრებული კითხვის შედეგებს.	0-0, 5-1 – 1, 5 - 2
მოსაზრებათა დასადასტურებლად (/შედარების საილუსტრაციოდ) მოყვანილია კონკრეტული ადგილები/მტკიცებულებები ტექსტებიდან.	0-0, 5-1
დაცულია ლოგიკური შესაბამისობა ცალკეულ ნაწილებს შორის.	0-0, 5-1



<b>ორგანიზება</b>	
ტექსტი დაყოფილია აზრობრივად შეკრულ აბზაცებად.	0-0, 5-1
დაცულია ერთიანი ორგანიზაციული ყალიბი (მაგ., მთელი მთელი, <i>ან</i> : მსგავსებები - განსხვავებები, <i>ან</i> : მახასიათებელი - მახასიათებელი).	0-0, 5-1
<b>ენა, სტილი</b>	
გამოყენებულია მიზნის შესაბამისი ლექსიკა და სტილი.	0-0, 5-1
<b>გრამატიკა</b>	
დაცულია სალიტერატურო ენის ნორმები, მართლწერისა და პუნქტუაციის წესები.	0-0, 5-1 – 1, 5 - 2
<b>ჯამური ქულა</b>	